114
1927

1927
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

№ 10

1927

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

114
1927/10
ეროვნული
ბიბლიოთეკა
6983

# მნათობი

## № 10

წელიწადი მეოთხე

ყოველთვიური სალიტერატურო, სამხატვრო
და სამეცნიერო ჟურნალი

ოქტომბერი

ტფილისი: სახელგამი. 1927

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მ. უ. ს.
პოლიგრაფიულ
ტრესტის მე-3
სტამბა

შეკ. № 203. მთავლ. № 1923. ტირაჟი 2.000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დიდი ოქტომბერი

## 1917 - 1927



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება

წერილი რ. ს.-დ. მ. პ. (ბ.) ც. კ., პ. კ. და მ. კ.

რადგან ბოლშევიკები ორივე დედაქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობას მოიპოვეს, ამიტომ მათ შეუძლიათ და უნდა აიღონ კიდეც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება.

შეუძლიათ, ვინაიდან ორივე დედაქალაქის მოსახლეობის რევოლუციური ელემენტების აქტიური უმრავლესობა საკმარისია იმისათვის, რომ მასები გაიტაცოს, მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა დასძლიოს, დაამარცხოს იგი, ხელში ჩაიგდოს ძალა-უფლება და შეინარჩუნოს იგი. რადგან ახლავე დემოკრატიული ზავის ჩამოგდებას მოვიწადინებთ, რადგან ახლავე მიწას გლეხებს დაურიგებთ და აღვადგენთ დემოკრატიულ დაწესებულებებს და თავისუფლებას, რომელიც კერენსკიმ გაჭყლიტა და დათრგუნა, ბოლშევიკები შექმნიან ისეთ მთავრობას, რომელსაც **ვერავინ** დაამხობს.

ხალხის უმრავლესობა **ჩვენს** მხარეზეა. ეს დაგვიდასტურა გრძელმა და ძნელმა გზამ მაისის 6-დან აგვისტოს 31-სა და სექტემბრის 12-დე: დედაქალაქების საბჭოებში მიღებული უმრავლესობა **ნაყოფია ჩვენსკენ მომავალი გზით** ხალხის განვითარებისა. ესერებისა და მენშევიკების მერყეობა, მათ შორის ინტერნაციონალისტების გაძლიერება ამასვე ადასტურებს.

დემოკრატიული თათბირი რევოლუციური ხალხის უმრავლესობას **არ** წარმოადგენს, არამედ **მხოლოდ შემთანხმებელ წვრილ-ბურჟუაზიულ ზედაფენებს.** არჩევნების ციფრებით თავი არავის უნდა მოვატყუებინოთ, საქმე არჩევნებში როდია: შეადარეთ ერთმანეთს პეტროგრადისა და მოსკოვის ქალაქის თვითმმართველობათა არჩევნები და საბჭოთა არჩევნები. შეადარეთ მოსკოვის არჩევნები და მოსკოვის გაფიცვა აგვისტოს 12: აი ობიექტური ცნობები რევოლუციური ელემენტების უმრავლესობის შესახებ, რომელსაც მასები თავისკენ მიჰყავს.

დემოკრატიული თათბირი ატყუებს გლეხობას და არც ზავს აძლევს მას, არც მიწას.

გლეხობას **მხოლოდ** ბოლშევიკური მთავრობა დააკმაყოფილებს.

* * *

რატომ უნდა აიღონ ბოლშევიკებმა ხელისუფლება სწორედ **ახლა?**

იმიტომ, რომ პეტროგრადის მოსალოდნელი დათმობა ჩვენს შანსებს 100-ჯერ მაინც გააუარესებს.



ოქტომბრის ბარიკადებში

ნახ. ი კოჩერგინისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონი

## პოეტის შეხვედრა მოჩვენებებთან რევოლუციის მუზეუმის წინ 7 ნოემბერს, 1927 წ.

მძაფრი ორკესტრი ხმას ანაკადებს,
გრგვინავს ქუხილი წინანდელ მონის;
ლოზუნგებს, ისრებს, ფურცლებს, პლაკატებს
ისვრის მანქანა რატაციონის.
გრგვინავს ორკესტრი ვით წინანდელი
სამოქალაქო ომის ტეხილი,
ჰქრის მოგონებათ კორიანტელი
წარსულ დღეებთან გადაგრეხილი.
გრგვინავს ორკესტრი. სინათლეთ სვეტი
ხან გაიელვებს, ხან იქუფრება—
ქარიშხლიანი ცხრაასჩვიდმეტი
ცხრაას ოცდაშვიდს ესაუბრება.
მძლავრი გამოდის ქუჩაზე მასსა
რომ ხმამაღლა სთქვას გულის ნადები.
მე ვიგონებდი სიმღერის ხმასა.
წარმოვიდგინე: გაჰქრა, გათავდა
შიმშილის გრძნებათ, სიცივის შავთა
და დანგრევათა წელიწადები.
რევოლიუციის მუზეუმიდან
დაფიქრებული გვიან დავბრუნდი
უეცრად თითქო ყრუ სიჩუმიდან
მოჩვენებათა შემომხვდა გუნდი.

**ცოცხალი მოჩვენებები:**

ჩვენ პოეტები
ვართ არეული
ვართ შინაური
და გარეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ დეპეშებით
მივიღეთ ომი
და ოქტომბერი
მზა-მზარეული.

**ცოცხალ მოჩვენებათა**
**მეორე გუნდი:**

არა! ჩვენია
ბედი მთოვარი
მიწა და ზეცა
სწორ-უპოვარი
ჩვენია ბინა
და ყოველგვარი
რევოლიუციის
მონაპოვარი.

**პირველი მოჩვენება**

ნება მომეცით ბგერის
ენა არა მაქვს მჭევრი
ვიყავ მამულის—ერის
მხსნელ კომიტეტის წევრი.

**მეორე მოჩვენება**

ვიყავ მეხური რიხი
და ფაბრიკანტი ძელქვა!

**მესამე მოჩვენება**

მე ეკლესია ვიყავ...

**მეოთხე მოჩვენება**

მე ადმირალი მერქვა!

——

ჩვენებათ გუნდი უეცრად გაჰქრა!
გაჰქრა! რიჟრაჟის საათმა დაჰკრა!
ისევ ორკესტრი... სინათლეთ სვეტი
ხან გაილევებს, ხან იქუფრება
ქარიშხლიანი ცხრაას ჩვიდმეტი
ცხრაასი ოცდა შვიდს ესაუბრება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ეს არც პოეტის მოგონილი ამბავი არის,
არც არაკია ლამაზი და ენამეტყველი—
ათ წელიწადში გავიზარდეთ ისე სიჩქარით,
როგორც სადგურში შემავალი მატარებელი.

პარტიას, ცეცხლში გამონაწრთობს ფოლადის მსგავსად,
ვერ შემოანგრევს უცაბედათ გზის გართულება—
თითეულ ჩვენგანს, ვით ჭადრაკის თითეულ ქვასა,
გარკვეული აქვს მოქმედების მიმართულება.

ჩვენშია ძველი სიცოცხლისა დაბოლოვება,
მაგრამ ჩვენშივე საწყისია ახალ ცხოვრების,
და უკანასკნელ გამარჯვების სიმბოლოებათ
დახანძრებულა შორეული შავი მონები.

ეს არც პოეტის მოგონილი ამბავი არის,
არც არაკია ლამაზი და ენამეტყველი—
ჩვენ წინ მივდივართ და ვიზრდებით ისე სიჩქარით,
როგორც სადგურში შემავალი მატარებელი.

ტფილისი.
ოქტომბერი.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲯᲐᲕᲨᲐᲜᲝᲖᲔ

ის ჯავშანო იყო ჩაგვრის ნიშანი.
იმონებდა— სხვა რა ჰქონდა მიზანი?

თუმც ჩაქუჩით მუშა ააშენებდა,
მასვე სცემდა, აღარ მოასვენებდა.

შემხვედრია მე ჯავშანო საზარი.
ომში რისხვა!.. მთებს გაჰქონდა ზანზარი!

თქეს სწირავდნენ შვილნი სოფლის, ქალაქის.
არვინ ჰყავდათ ფასდამდები ამავის.

ინთქებოდა შრომა, ოფლი მრავალი,
მაგრამ ჯილდოთ რა წამება, რა ვალი!..

მე მინახავს ქუჩებზედაც ომები,
რომ უფლებას მოითხოვდნენ მონები.

იქ ჯავშანო მშრომელს ანადგურებდა,
მყუდროებას ბატონს უსადგურებდა.

მბრძანებლობდა ოქროს მეფე—მამონი,
მისთვის იყო მაშინ დღენი ამონი!

მაგრამ, ნახეთ, ვინ გამოჩნდა ღევნილი?
ჯავშანოზე მტკიცედ შედგა ლენინი!

ოქტომბერში საჭე მარცხნით მიმართა,
ლახვარსიტყვით ხალხს ქუჩაზე მიჰმართა:

— უფლება და ძალა მხოლოდ საბჭოებს!
სხვას ნუ ატანთ თქვენი შრომის სარჩოებს!

აფრიალდა დროშა სისხლის ფერადი.
ჯავშანოდან არ ჩამოდის ბელადი.

აქ შეერთდა: აზრი, ძალა და ნება.
მართველობა მამონს აღარ ანება!

დღესაც დაჰქრის, ასპარეზი დიდია—
სადამდინაც ზღვა, ხმელეთი, კიდეა!

ჯავშანოზე ძეგლად მდგომი ლენინი!
ოქტომბერი—აღარც მონა დევნილი.
სულ ერთია: ისრაელი, ელინი!

კარლო კალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მებრძოლის ლექსი

თქმული საოქტომბროთ

ვინც ხალხის ღელვა ყრმობიდანვე გულით ატარა,—
იგი მებრძოლი მოღერილ ხმალს წარბს არ უხრიდა,
მაგრამ დუმილში
უსიცოცხლო წუთის გატანას
საკუთარ სუნთქვის წარკვეთამდე ვერ შეურიგდა...

და სად ფარულად
უწინ კრება შეკედლებულა,
სად მათრახებით ყაზახები გლეხებს არბევდენ,—
ეხლა სხვა ბრძოლა ხელჩართულად გაჩაღებულა
და ჰხეთქენ კლდეებს ლალუმები შუაღამემდე!..

მე კი სადა ვარ!—
მუხლი ჩემი რად მოკვეთილა,
დასამარცხებლად თვალო ღამე შემოგებურა!

სიცოცხლეს ჩემსას ტყვია ჰქონდეს მაშინ წერტილად,—
ლექსებით მარტო თავის ქალა თუ გავსებულა.

გზებში ჩაკარგულ ჩემ კაცობას დღესაც ვტირი მე —
ბრძოლების ცეცხლით
გატაცება რომ არ მრგებია!..

რად არ მიხმობენ:—ამხანაგო ჩადექ რიგშივე—
თუ სისხლი შენი დუმილს ველარ შერიგებია!—

ხომ გვსურს, ხმა ჩვენი, მასის გულში
დრომ ვერ გარიყოს,
და ეს მგოსნობაც მისთვის არი გამოგონილი!
თორემ ვის უნდა,—მეგობრებო ჩემი არ იყოს
მთვარეს შეჰყეფდეს ფრთამოტეხილ იადონივით...

ეხლა, ამ გზებზე გაშლილებო,
თქვენში გადმოველ,—
თქვენშივე მინდა შთავიკარგო,—ცუდად შეცნობილს;

მაღალ მგოსანის სალიმილოთ გატეხილ სახელს
ისევ სჯობს იყო უსახელო ვინმე მებრძოლი!

27 წლის
ოქტომბერი

გიორგი ქუჩიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქტომბრისათვის

ერთი ეპიზოდი
მოგორავს ტანკა,
ვეშაპი ტანკა,
რკინის ეშვებით.
ნეტავ ეს ხალხი
ვინ ააჯანყა
დიდ-ნუგეშებით?
გრგვინვით,
გრიალით,
ზანზარებს ქუჩა,
აშხედრებული.
ბარიკადებზე
იბრძვის ურჩად
გმირთა კრებული.
ცეცხლის სვეტები
აუშვიათ
თუჯის ქალაქებს.
ნგრევის და მსხვრევის
ორგიაა,—
ჰქმნიან არაკებს,
მოძმეთა სისხლი
ბევრ ლეგენდებს
მოავარაყებს.
გველის წივილით
დაფრინავს ტყვია,
გვირგვინოსანი
ოქტომბრის ტყვეა.
ყველგან წითელი
დროშების ტყეა,
თვალებში ცეცხლი
ყველას ატყვია.
გული ბუდეში
ველარ ეტევათ;
ისმის ბრძანება,
არის შეტევა.
ციხეთა კედლებს
დაუწყეს ნგრევა,
ლეწენ ბორკილებს,—
მსხვრევაა,
მსხვრევა!
ბრბომ მდიდართ უბანს
დაუწყო რბევა,
ისმის განგაში,
მუქარა,
წყევა!
— წინ! სასახლისკენ!
სადაც ბუდობს
მხეცთა კრებული! —
მოუწოდებდა
ჯარის-კაცი
აზავთებული.
— ეი, მეზარბაზნევ!
დაუმიზნე
აგერ იმ ტაძარს!
იქ შეიხიზნა
ოფიცრობა
და იუნკრობა!
— ბუმ!

მოხვდა გუმბათს!
ჩამოინგრა!
ვაშა, ამ ხანძარს!
მშვიდობა ქოხებს!
თეთრ დარბაზებს
პირქვე დამხობა!
— მხეცებო!
ბეცებო!
რას ხჩადით,
რას! —

ჰკივის, ვინც გაურბის
მტრის სისხლის ღვრას.
— ხა-ხა-ხა-ხა!
მაშ რა გეგონათ,
ჯალათებო,
შიგ რომ ჩასაფრდით,
ჰფიქრობდით ტაძარს
დავინდობდით,
დავიჩოქებდით,
რომ თქვენ იქიდან
დაგეშინათ ჩვენთვის
ტყვიები?
ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

დაინახეთ
იმ თქვენს გუმბათზე
გამსქდარ ყუმბარით
ჯვარი როგორ გამოისახა?!
ხა-ხა-ხა-ხა-ხა! —
და ამ ხარხარზე
კვლავ ყუმბარამ
გადიხარხარა!
— ურააა!
ცისა და მიწის ღმერთებს
დავეცით მეხი! —
გრგვინავს სარდალი,
ჯარის-კაცი,
უბრალო გლეხი,
— ბარბაროსებო!
რას ღრიალებთ
უგუნურ ურას!
რად ანადგურებთ
წინაპრების
შექმნილ კულტურას? —
ცოფს ჰყრიდა
ვიღაც ლიპიანი
ღორი ბურჟუა,
მაგრამ მისი ხმა
ზარბაზნების
ხმამ ჩააყრუა.
და იყო ბრძოლა
დაუნდობელი,
ხელისუფლების
დასაპყრობელად,
ბრძოლა სასტიკი
და ულმობელი,
დიდი ოქტომბრის
მახარობელად.
და გაიმარჯვეს!
ძირს დაემხო
ქვეყანა ძველი,
ქვეყანა ძარცვის,
გახრწნილების,
და მონობისა!
ფრიალებს დროშა,
ფრთა-გაშლილი,
როგორც ფრინველი,
დროშა წითელი,
დროშა ხსნისა,
დროშა ძმობისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ზომლეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უძლეველი ათეული

გადის წელთა ათეული!..
ჩაჰქრა აზრი „მათეული"!..
ასეულ წლად გვეყვის ჩვენ, რაც
დოვლათად გვაქვს დატეული.
იყო ომი... იყო სისხლი...
იყო ცრემლი... იყო გლოვა...
შიმშილობამ მოასრულა
ის, რაც უკან აღარ მოვა...
შემდეგ ურო დატრიალდა,
ცელ-ნამგალი გამოჰკვეოა:
ფეხზე დადგა გლეხი კაცი,
ალორძინდა შრომის კერა!...
ორთქლმავლების საყვირის ხმას
ქარხნის შტვირი აეკიდა...
ძირს კაბელი და ჰაერში
ბევრი სინა გაეკიდა...
წყალთა ჩქროლა დამორჩილდა
მარჯვენათა ძარღვს, მადლიანს,
ალურ დროშით ხელში შრომა
წინ გზას იკვლევს სამართლიანს!..
შეთანხმებულ მოძრაობად
გადაიქცა ესესერი!..
ხმა ჩაჰკმინდა მითქმა-მოთქმამ,
ჩაპირქვავდა ყველგან მტერი...
და მონათა წმინდა საქმემ
თუმც მოედო ჩანკაიშებს,
სვატოუ და გუანდუნი
გვამცნობს, რომ ის კვლავ აიშვებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჯაჭვს გასწყვეტს ჩაგვრის მთაზე
მიჯაჭვული ამირანი;
რომ შავს ლაქებს ჩამოიწმენდს
აქეთ რომი და მილანი...
რომ ვარშავის ბასტიონზე
ფრთებს აიწყობს ცისკრის დროშა:
რომ ნოტა ცეცხლს მიეცემა,
ჩემბერლენმა რომ მოროშა;
რომ მილიონ დაკოჟრილ ხელთ
კვლავ გამოწვდის ჩვენსკენ კუკი;
რომ დღის „ხვალე“ გათენდება,
დღეს „გუშინი“ ჰქონდა თუკი;
რომ ჩვენს გულში იმ თავითვე
რწმენა იჯდა ისე მტკიცედ,
რომ, თუმც გვტეხდა გასაჭირი,
გამარჯვება დავიფიცეთ!
არ მოცდება ჩვენი ფიცი,
არ მოკვდება რწმენა, არა!
სიბრალული ჩვენგან იმათ,
ვინც ზედ გული აიყარა!...
თქვენ კი, ქვეყნის ჩაგრულებო,
აისო თუ დაისელო,
გამარჯვება ცეცხლის ენით
შუბლზე უნდა დაიწეროთ,
და სპეტაკი ელვარებით
გადაანთოთ ის წინ ბრძოლებს,
სადაც გასცქერს ჩვენი **ათი**
თქვენს ათეულ წელთა რგოლებს!..

ი. ლიხაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 10...

დღეს ჩემი გული საგულეში თუ ჩაეტია
მინდა ვისროლო ყუმბარებათ სიტყვები წრფელი,
რამდენი სისხლის სარკეებში ჩამიხედია,
რომ დამეთვალა ათეული ოქტომბრის წელი.
მე უნდა მეთქვა, ათი წელი ეს ხომ არ არის,
ათ საუკუნის მწვერვალზე ვართ უკვე ასული,
მერანს სიჩქარით მოსწყდებოდა ყელზე ფაფარი
ასეთ გაფრენით, ასეთ ქროლვით წრე-გადასული.
ჯონ-რიდმა თითზე დაითვალა ოქტომბრის დღენი
და მხოლოდ ათი გამოვიდა ქვეყნის ოდენა,
დღეს კი სიცოცხლე გაიშალა წლების გარბენით,
რადგან ხალისმა სიყვარული უხვად მოდენა.
ამხანაგები საზეიმოთ მოდიან ეხლა,
გუშინ ტყვიებით აორთქლებდენ გაყინულ ჰაერს,
ძვირფასო ჩემო, მოგვინდება კვლავ მტერთან შეხლა,
ეხლა წამოდი მაშხალები ვესროლოთ მთვარეს.
მე უკვე ვხედავ ტრიბუნაზე ადის ლენინი,
ტუჩები ჩქარობს და თვალები გორავს ბურთივით,
რომ წრფელი სიტყვა შადრევანათ გადმოდენილი
ჩაგვესხას გულში და ყველასთვის იყოს მარტივი.
რა მოხდა გულო!—აჩქარებით რად მემუქრები,
მადროვე ცოტა, გავითენო ოქტომბრის ათი,
მე სიხარულით შეკეცება უკვე მუხლები.
მინდა დავლიო ალტაცების ტკბილი შარბათი,
ამით მინდოდა გამომეთქვა ჭეშმარიტება,
უბრალო სიტყვა სიყვარულით გადმომენთხია,
ჩვენ უშენობა ოქტომბერო გაგვიჭირდება
და წინამძღოლიც ვარსკვლავებში მხოლოდ ერთია.
გვინათე მზეო!—უდაბური სიბნელე მოგვდევს
გაფრინდი გულო!—საჭიროა მწვერვალზე ასვლა,
რომ ჩვენი სახე გალიმებულ ყვავილებს გავდეს.
გათავდეს ბრძოლა და სხეულის სისხლიდან დაცლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით სულიაშვილი

# ლენინი და პეტროგრადი

(მოგონება 1917 წლიდან)

ფინეთის საზღვრით პეტროგრადს უახლოვდებოდა მატარებელი. ეს იყო ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელს, აპრილის დასაწყისში.

მატარებელს მოჰყავდა რევოლიუციის ბელადი **ლენინი** და მასთან ერთად ოცდაათიოდე ემიგრანტი რევოლიუციონერი.

ათეული წლების ემიგრაციაში ყოფნის შემდეგ,—თავისუფალ რუსეთში დაბრუნება,—მათ გულს აძგერებდა და ტუჩებზე ღიმილს ჰგვრიდა.

მოსრიალებდა მატარებელი და თან მოჰყავდა ლენინი.

არ იცოდა მაშინ მემანქანემ, თუ იქ, მის მანქანაზე მობმულ ვაგონში, სხვა მგზავრთა შორის იმყოფებოდა ის, რომელმაც შემდეგში ქვეყნიერება შესძრა...

ეს არ იცოდა მემანქანემ...

მაგრამ, იცოდა თუ არა თვით ლენინმა, რომ სულ რამდენიმე თვის შემდეგ, მისი ლოზუნგები ქვეყნიერებას შესძრავდენ?..

მისი მაღალი, ფართე შუბლი, თაგვის სოროებსავით სიღრმეში ჩამძვრალი და მბზინავი თვალები, მტკიცე ნების გამომხატველი სახე, გონიერი, ფართე ტუჩები,—რიჟა ულვაშებით დაფარული,—ბუმბერაზ მყინვარსავით ცივი, აუღელვებელი, შეჩერებული ნაოჭები, განიერი მძლე მუხასავით მხარბეჭი, ქანდაკებასავით უძრავი თითქო მომავალი ქარიშხლის მომავალში გაყუჩებულიყო და ბუროუსიან ფიქრებით მოცული, სივრცეს გასცქეროდა.

მატარებელი მიჰქროდა... უკან რჩებოდა ლარივით ამართული ფიჭვის ტყე, ჯარისკაცებივით რომ ჩამწკრივებულიყვენ ლიანდაგის პირად. ჯარისკაცების რიგები ერთმანეთში ირეოდენ, იბლანდებოდენ და იერიშით გარბოდენ...

მატარებელი მიჰქროდა... თან მიჰქონდა ფიქრები და მოგონებანი ათეულ წლების ემიგრაციაში გატარებული...

რამდენადაც მატარებელი უახლოვდებოდა პეტროგრადს, იმდენად უფრო ძლიერად სცემდა გული. საუბარი ემიგრანტთა შორის შეწყვეტ[illegible] ყველა თავის ფიქრებს მისცემოდა და ფანჯრიდან მქროლავ სივრცეს [illegible]

არავინ იცოდა, პეტროგრადში ჩასვლისას რა ბედი მოელოდა მათ, ვინაიდან „პლომბიანი ვაგონით“ გერმანიის ტერიტორიაზე გამოვლის შემდეგ, კადეტების მთავრობა თავზე ხელს არ მოუსვამდა მათ.

ამიტომ იყო პეტროგრადთან მოახლოვებისას, ლენინმა რომ დარიგება მოგვცა და გვიკარნახა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით, თუ კადეტების მთავრობა დაგვატყვევებდა.

სასამართლოს წინაშე ჩვენ ბრალდებულის როლი კი არ უნდა შეგვესრულებინა!.. არამედ ბრალმდებლად უნდა გამოვსულიყავით! ბრალიც ის უნდა დაგვედო, რომ კადეტების მთავრობამ არ იზრუნა და არც არაფერი ზომები მიიღო, რათა საფრანგეთის და ინგლისის მთავრობას თავის ტერიტორიაზე გამოეყვშვით, რომ ამით შესაძლებლობა მიეცათ ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკურები, რევოლიუციის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ...

სასამართლოს ტრიბუნა, სააგიტაციო არენათ უნდა გაგვეხადა და კადეტური სულისკვეთება გვემხილებინა.

ასეთი იყო მუდამ ლენინის ტაქტიკა, რათა ყოველი მოვლენა რევოლიუციის სასარგებლოდ გამოეყენებინა...

თებერვალში მომხდარი რევოლიუცია, ჯერ კიდევ კადეტების ხელში იყო, მისი მსვლელობა იდილიურად მიმდინარეობდა. „სოციალისტური“ პარტიები მხარს უჭერდენ დროებით მთავრობას. სოციალ-დემოკრატებიც და ესერებიც ტკბილს ხმაზე ჭიკჭიკებდენ და ყოველ დათმობაზე მიდიოდენ..

ეს იყო რომ აცეცხლებდა ლენინს! ეს იყო რომ ადუღებდა მას! ამიტომ ეშურებოდა მალე ჩასულიყო პეტროგრადში და მძლავრი შეძახილით—პროლეტარული ენერგიით,—ეს იდილია დაერღვია.

ბინდდებოდა, პეტროგრადის სანაპიროს რომ მივუახლოვდით. აგერ მანქანამაც დაჭრილი მხეცის ხმით იღრიალა და მგზავრებმაც ხელი წაავლეს თავთავიანთ ბარგს.

მალე მატარებელი ბაქანით დახურულ სადგურში შესრიალდა.

მანქანის ყივილი, ზარის რეკა, ჟივილი და ხივილი ერთმანეთშია არეული. დამხვდურები, არეული ხალხი, ჯარისკაცები, მატროსები, მუშები..

მერე, რატომ არიან ჯარისკაცები და მატროსები იარაღით ხელში?.. მუშებიც?..—მუშებსაც ვინტოვკები უჭირავთ!

მატარებელი შეჩერდა. ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა. ვიღაცას ეძებენ. ხან აქეთ გარბიან, ხან იქით...

მერე ჩვენი ვაგონის წინ მოიყარეს თავი ჯარისკაცებმაც, მატროსებმაც, მუშებმაც...

გაბრუებული, ათრთოლებული და გულის ფანცქალით, ფანჯარაზე ვართ მიყუდებული. თვალში იბნევა არეული ხალხის მიმოსვლა და ჩოჩქოლი.

თავში გაირბენს ფიქრი: „შეიარაღებული ჯარისკაცები ჩვენ დასატუსაღებლად ხომ არ მოსულან?“...

და უცბად გვესმის: „Ленина давайте нам сюда, Ленина“...

ეს იყო ტკბილი ბარიტონის ტემბრით ნათქვამი ამხანაგ[illegible]ები... და ჩვენ მივხვდით... ჩვენ მივხვდით, რომ ჯარისკაცებიც, მატროსებიც და შეიარაღებული მუშებიც ლენინის შესახვედრად იყვნენ მოსულნი.

სახე გაბრწყინდა... ლენინის მიჭუტული თვალები სანთლის შუქივით ციალდენ...

სჩანს კადეტების მთავრობამ ვერ გაბედა ჩვენი დატყვევება. მუშებმა თავისი გაიტანეს! დაჭერის მაგიერ, დემონსტრაციით შეგვხვდენ!..

ვიღაც შემოვიდა ვაგონში. ლენინს მკლავში მოკიდა ხელი და ვაგონიდან გაიყვანა.

ჩვენ კვლავ ფანჯრებიდან გავცქეროდით არხეულ ხალხს.

და ვხედავთ: იმავე ბარიტონის ბრძანებით შეიარაღებული მატროსები, ჯარისკაცები და მუშები რიგად მწკრივდებიან. თოფებს შუბლის წინ ამართავენ, სულს განაბავენ... რიგების წინ ლენინს ჩაატარებენ...

მისი სახე გაწითლებულია, თვალები ციალობენ, ქუდი მოხდილი აქვს და მოტვლეპილი შუბლი ელექტროს სინათლეზე ბზინავს.

ცნობილია, რომ ლენინმა დაბნევა არ იცის.

ყოველ გაჭირვებულ და კრიტიკულ მდგომარეობას აუღელვებლად ხვდება,— ხოლო ახლა, ამ შეხვედრის დროს, მას დაბნევა ემჩნეოდა.

არც საკვირველია: დაჭერას მოველოდით, სამაგიეროდ ასეთი შეხვედრა!..

შემდეგში, როდესაც სახელმწიფოს მმართველობა ჩვენ ხელში გადმოვიდა, ლენინის წინაშე ბევრჯერ ბევრ ჯარს გაუვლია, ათასეული და ათი ათასეული ჯარის პარადიც მიუღია, ხოლო მაშინ, ჩვენდა მოულოდნელად—ეს მოვლენა გვაოცებდა. გაკვირვებული თვალებით შევცქეროდით შეიარაღებულ ჯარისკაცებს, მატროსებს, მუშებს და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

და ჩვენ ვიგრძენით, როგორ უცბად გაიზარდა ლენინი, ამაღლდა და ჩვენთვის ეხლა მიუწვდომელი გახდა! მუშებსა და მატროსებს მიეკუთვნა.

დაგვაშორეს ლენინს. ყველა მასთან მიდის. ესაუბრება. უცინის. ემცნაურება. ჩვენ კი მიგვატოვეს...

მერე... სადგურის დარბაზი. მისასალმებელი სიტყვები: ჩხეიძის და სხვების. ლენინი თავიდანვე შეურიგებელ ტონს იღებს... და დამსწრენი უკვე გრძნობენ ახალ ენერგიულ ძალას, დაუნდობელს და გადამწყვეტს...

მერე... ქუჩა. ავტომობილები. პროჟექტორი. ფაიტონები.

ლენინი ბრონიანი ავტომობილით მოიტაცეს. ჩვენ ფაიტონებით სადღაც დაჭრილ მეომართა საავადმყოფოს შენობაში წაგვიყვანეს.

მეორე დღეს იყო პეტროგრადი და ლენინი!

როგორც მდინარის შეტბორებული მორევი აირევა, აქოჩრდება, ადუღდება, ზხეფებს ისვრის, როცა მასში მოსხლეტილი კლდე ჩავარდება,—ისე აბობოქრდა მაშინ პეტროგრადი.

მყისვე იგრძნეს ძალა, მათ იდილიურ ცხოვრებას რომ შეაშფოთებდა. ლენინის გერმანიის ტერიტორიით კადნიერი გამოვლა,—ბორჯღალეულად ახსნეს და ავტორიტეტის დასაცემად, ჭორების გუდა გახსნეს.

„ლენინი გერმანიის მთავრობის მიერ მოსყიდულია!“... „ლენინი აგენტია ვილჰელმის!“... „ლენინი სამშობლოს გამყიდველია;“... ერთხმად ყვიროდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები...

ბიბლიოთეკა

„როგორ შეიძლება მეომარ სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე გამოგიშვას, თუ რაიმე სამაგიეროს არ დაჰპირდები?.. ცხადია ლენინმა უამრავი ფული აიღო!“... გაჰკიოდენ ისინი შარა გზაზე.

ასეთი ლაპარაკით ერთობოდა პეტროგრადის „საზოგადოება“.

იქ კი, პროლეტარულ ფენებში, სულ სხვა ზრახვები ღვივდებოდა.

მაშინდელ პეტროგრადის ბოლშევიკურ კომიტეტს ორგანიზაცია კარგად ჰქონდა მოწყობილი. გაიგეს თუ არა მუშებმა ლენინის ჩამოსვლა, მთელი გულის ყური მისკენ მიაპყრეს.

და ის პირველი ფრაზა, ჩამოსვლისას რომ ბარიტონის ტემბრით გაისმა სადგურზე,—ახლა მასიურ მოთხოვნილებად გადიქცა და ყოველ მუშათა უბნიდან ისმოდა: „Ленина давайте нам сюда, Ленина!“...

ახლა ეს ძახილი ისმოდა, არა როგორც ბარიტონის ხმა, არამედ ეს იყო მრავალრიცხოვანი გუნდის ხმა, მრავალ გზის რომ მეორდებოდა, სხვადასხვა მუშათა უბნებში.

ყველას უნდოდა მისი ნახვა, მისი მოსმენა.

და ლენინსაც ეს უნდოდა. მუშები მოითხოვდენ სალაპარაკოდ და ლენინი არ წავიდოდა?.. მუშები მოითხოვდენ წინამძღოლს და ლენინი დაიზარებდა? მაშინ ვინღა ილენინებდა, თუ ლენინი შექმნილ პირობებით არისარგებლებდა?..

არა! უნდა გენახათ მაშინ ლენინი! ჩემი სუსტი კალამი როგორ ასწერს მაშინდელ ლენინს!..

გინახავთ თქვენა გაზაფხულზე მოვარდნილი ნიაღვარი?—მას ჰგავდა ლენინი!...

როგორც გალიიდან გამოშვებული ვეფხვი, გაათრებული, დაუნდობელი, ატაცებთლი, შმაგი—ისე დაიარებოდა პეტროგრადის მუშათა უბნებში და აღვივებდა იმ კოცონს, შემდეგში რომ ხანძრად გადაიქცა.

მისი სიტყვა მკვეთრი, წრფელი, დასაბუთებული—ისე ედებოდა მუშათა გულს, როგორც ბურბუშელას ალი.

ამას ვერ ამჩნევდნენ მტრები! არ იცოდენ თუ რა ხდებოდა მუშათა მასებში! კმაყოფილი იყვნენ ზედა ფენებში მომხდარი გადატრიალებით და ახლა ფრონტის გამაგრებას ლამობდენ. მათ ყველა კმაყოფილი ეგონათ, დამშვიდებული.

ლენინი კი, მასების გულის სიღრმეში მიძვრებოდა და იქ პოულობდა თავის სიტყვების ამოძახილს!

მაშინდელი ლენინი თვით რევოლუცია იყო!

ის იყო ერთი მიზნით, ერთი სახეობით, ერთი ატაცებით ავარდნილი! ერთს იდეალში მომწყვდეული, ერთის ფიქრებით და ზრახვებით შთაგონებული რევოლუციონერი, რომელსაც არაფერი სწამდა, ვერაფერს ხედვიდა გარეშე რევოლუციისა!

გინახავთ თქვენ დედა ავადმყოფ შვილის მომვლელი? შეგიხედნიათ მის გონებაში? გიგრძნიათ მისი გულის ძგერა? ხომ შეგიმჩნევიათ მისი თვალები უძილო ღამეების გამტარებელნი!

ასეთი იყო ლენინი რევოლუციის წინაშე!

ამას კარგად გრძნობდენ მუშები.

ამიტომ იყო, რომ ბურჟუაზიულ წრეებში მას მოსყიდულს უძახდენ, მის გაბათილებას ცდილობდენ,—მუშები მის ნახვას ნატრობდენ.

„უნდა მოვიყვანოთ ლენინი ჩვენს ქარხანაში!..—ჩვენთანაც უნდა ილაპარაკოს ლენინმა! აბა ალიოშა, შენ გზები იცი, წადი კომიტეტში, მოიყვანე ლენინი“!...

და ლენინიც მიდიოდა დაუზარებლად: რაკილა მასსის წინაშე წარდგებოდა, უნდა გენახათ მაშინ, როგორი გამძაფრებითი მოყვებოდა პროლეტარულ ცხოვრების და მისი მიზნების განხორციელების შესახებ!..

მან კარგად იცოდა, რომ რევოლიუციონური მსვლელობა სულ სხვა გზით უნდა წასულიყო და არა იმ „სოციალისტურ“ პარტიების მიერ შემუშავებული პროგრამით, რომელსაც მაშინ სათავეში მდგარი პირები ზრახვიდენ.

მაშინ იყო ლენინი და იყო პეტროგრადი!

პეტროგრადი იყოფოდა ორ ბანაკად: ლენინის ჩამოსვლის მომხრენი და მისი მოწინააღმდეგენი.

პეტროგრადის ჰაერი გაჟღენთილი იყო ლენინის სულით. ბევრი ტკბილად ყნოსავდა მას, ბევრი მწარედ!

იყო პეტროგრადი და იყო ლენინი!

ლენინის მომავალი წინ იყო! პეტროგრადი მას მისდევდა!

დაბრკოლება უამრავი იყო! ლენინი ერთი იყო!

კადეტური მთავრობის გამყიდველი პოლიტიკა და მისი მაჩანჩალა „სოციალისტური“ პარტიები ერთ ჰანგზე იმღერდენ.

ლენინი კი რევოლიუციის სიღრმეში მიქროდა. ამიტომ იყო, რომ პარტიულ კრებებზე, სადაც პროვინციიდან ჩამოსული ამხანაგები მოხსენებებით გამოდიოდნენ იმის შესახებ, თუ როგორი გამოძახილი მიიღო რევოლიუციამ ქარხნებში,—ლენინი ყურადღებით უგდებდა მათ საუბარს და უბრალოდ მოთხრობილი ამბავი მისთვის განძიანი მასალა ხდებოდა თავის დებულების განსამტკიცებლად და ურწმუნოთა დასანახავად.

ამ დროს ის სცდილობდა მსმენელთა ყურადღება გაემახვილებინა და მიზნის მისაღწევად, მომხსენებლის ლაპარაკის დროს ხშირად ჩაურთავდა ხოლმე: **„უსმინეთ, უსმინეთ“.**

და მსმენელებიც ყურებს სცქვეტდენ, თვალებს აფართოვებდენ და ლენინს შესცქეროდენ, თითქო ეკითხებოდენ: „რაა, რაზია საქმე?.. მაშ, რაღაც ისეთი მომხდარა, რაც მათ ვერ გაარკვიეს, ვერ მიხვდენ!... ილაპარაკებს ლენინი და მაშინ ყველაფერი გამოირკვევა?...“

წინდაწინვე მომზადებულნი, რომ ლენინის ლაპარაკი რაღაცა ახალს შეიტანდა მათ შემეცნებაში,— მოუთმენლად ელოდენ მის საუბარს.

და აი, მომხსენებლის შემდეგ ლენინი იღებს სიტყვას. სკამები შეინძრევა, კუთხეში მდგარი მაგიდისკენ იწევენ, ჯგუფდებიან, პაპიროსის [illegible] ხნებებენ და მისცქერიან ლენინს.

დებულებანი მსმენელებში ჯერ გაურკვევლობას, განცვიფრებას იწვევს. მიუღებლად მიაჩნია იგი. ხოლო, შემდეგში, როცა ჩაფიქრდები—შეუცნობლად გამოირკვევა და მაშინ მთელის არსებით და გატაცებით ეძლევი მას, ჰგრძნობ სიმტკიცეს, გაბედაობას, ენერგიას, გატაცებას...

სათათბიროს შენობაში ბოლშევიკებსაც ჰქონდათ ერთი ოთახი. პირველი კრებებიც ამ ოთახში ხდებოდა.

ეს შენობა მაშინ ერთნაირ ბანაკს წარმოადგენდა პეტროგრადის დემოკრატიისათვის. მუშათა საბჭოების სხდომებიც აქ ხდებოდა.

მაგონდება ერთი სხდომა სათათბიროს ოთახში. ლენინი ვიწრო წრეში, თავის დებულებებს რევოლიუციის შესახებ ანვითარებდა. ამავე სხდომაზე გამოვიდა ლენინი შეურიგებელი მოწინააღმდეგე მენშევიკებთან გაერთიანებისა.

პეტროგრადის მუშებში მაშინ ეს კითხვა დღის წესრიგში იყო დასმული და პეტროგრადის ბოლშევიკური კომიტეტიც ამ გზაზე იდგა.

მახსოვს კუთხეში მდგარი კამენევი, კომიტეტის წევრი, გრძელ ულვაშებს რომ გამწარებული იგრეხდა.

ეს სხდომა კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ ოთახში შემოვიდა წარმომადგენელი და განაცხადა: „ქვეით, დიდ დარბაზში, მუშათა საბჭოს კრებაა, ლენინს სთხოვენ იქ ჩავიდეს და გააკეთოს მოხსენება!..“

წინადადება უკამათოთ იქნა მიღებული.

და კვლავ აციალდენ ლენინის თვალები.

წამოავლო წინ მდებარე ფურცლებს ხელი და დაეშვა კიბეზე. ჩვენც უკან გავყევით.

დარბაზი სავსე იყო. თავმჯდომარეობდა ჩხეიძე.

დარბაზში შესვლისთანავე სიჩუმე ჩამოვარდა.

„რომელია ლენინი?.. რომელი რომელი?..“ „აგერ, ის არის წინ რომ მოდის?...“ „თავ მოტვლეპილი“... „ჰო!“... გაისმა ჩურჩული.

ყველას თვალი ლენინს მიეპყრო.

პირველი რიგების წინ გაიარა. კ. ჩხეიძემ ტრიბუნაზე უჩვენა ხელით. ლენინიც ავიდა. მოჭუტული თვალები დარბაზს გადაავლო და დაიწყო... მისი სიტყვები მოდიოდენ როგორც ლურსმები და ჩაქუჩის დარტყმით მსმენელობას ესობოდენ. დებულება მისდევდა დებულებას ლოღიკური და ფოლადის ჩამოსხმით. თუ დაეთანხმებოდით პირველ დებულებას, არ შეგეძლო უარი გეყო მეორეზე, ან მთლიანად უნდა მიგეღო, ან სავსებით უკუ გეგდო.

ვეფხვივით ტრიალებდა ტრიბუნაზე და ტიტველ თავზე და წინ მოვარდნილ შუბლზე მომდგარ ოფლს იდაყვებით იწმენდდა.

დარბაზი სმენათ იყო გადაქცეული. ხოლო მათთვის უჩვეევი იყო ეს ახალი გაშუქება რევოლიუციის და ამიტომ თვითეულ მათგანზე თავისებურად მოქმედებდა.

იყო განცვიფრებული სახეები. დიდი ნაწილი პროტესტის ნიშნად უსტვენდა. მეორე ნაწილი ტაშს უკრავდა. ხოლო პირველიც და მეორეც [illegible] მკრთალი და დაბნეული იყო, რადგან ვერც მომხრეებს და ვერც მოწინააღმდეგეებს ვერ გაერკვიათ კარგად მის დებულებათა მნიშვნელობა. თითქო ეს ასეა და ამავე დროს არც ასეა...

საერთოდ მთელი დარბაზი განცვიფრებული შესცქეროდა მას და გაკვირვებით უცქერდა პირდაღებული. მათ აოცებდა მისი გადაჭრილი და გაბედული ნაბიჯები.

ორსაათ ნახევარი ილაპარაკა ათი წუთის შესვენებით.

როგორც მოწმენდილ ცაზე უცბად ღრუბელი მოიკრებს თავს და ქუხილს იწყებს,—ისე ლენინის სიტყვები იყო მოულოდნელი პეტროგრადის სოციალისტურად მოაზროვნე პირთათვის...

პეტროგრადის ცხოვრებაში ახალი ეპოქალური ხანა იწყებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო ეული

# ათი წელი

I

ივლისის დღეებს დაკაჟული გულით ვეხეთქეთ
და ქრილობებმა ვერ შეაკრთო რწმენის მზეობა,
ჩვენ მომავალი თოფით ხელში რომ ვადღეგრძელეთ,
იმ დღიდან არის ეს ზეიმი და ეს დღეობა.
ჩვენ შხამს გვასმევდენ და უწოდეს გამცემი ბელადს.
ქონდათ განზრახვა: შავი ლაქი წაეცხოთ მზისთვის.
ორას ათასის პირობა აქვს მათგან იუდას,
მეუხთალმა ბედმა რომ უმტყუნა და დღეს ცრემლსა ღვრის.
რა ამოწურავს ჩვენს ხსოვნიდან სადგურ რაზლივას,
საცა მალულად სათივეში გვყავდა ბელადი,
ხშირათ რომ ცელით აზვინებდა ტყის პირად თივას
და ცივ კარავში სულს უთბობდა რწმენა დიადი.
და იმ ტყის პირად, იმ ტბასთან და იმ ცივ კარავში
ბელადის რწმენა გასალკლდევდა და გაფოლადდა,
და ჩვენ ვიხილეთ ოქტომბერი არა სიზმარში,
ის იდგა ჩვენს წინ და ბელადი მას ჰიმნს უთხზავდა.

II

მაშინ იმ ქალაქს პეტროგრადად იმ დროს წოდებულს
არ სძინებია და ის ღამე მას დაათენდა.
იყო ბრძანება: „გადამაბით პირდაპირ მავთულს“!.
და მოწოდება ბელადისა ყველგან ისმოდა...
— კრონშტანტიდან ხარ?
— დიახ! ფლოტის ვარ თავჯდომარე!
— ოქვენ კი ვინა ხართ?
— თავჯდომარე ახალ მთავრობის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გესმის! საჩქაროთ მოგვაშველე ძალა დამხმარე!
საბედისწერო კითხვა გვიდგას სიკვდილ-სიცოცხლის!
— მესმის! და მზათ ვარ და ვიბრძოლებთ ყველა ერთად!
მხოლოდ იცოდეთ—არ ჩააქროთ ცეცხლი ჩვენამდის,
ბრძოლა გვექნება უკანასკნელ ჩვენ სისხლის წვეთით,
მოვეშურებით და ვიქნებით გათენებამდის!

III

მოულოდნელად ქალაქს ბნედა თუ მოუარა:
ყოველი კუნთი სხეულის აქვს მას დაჭიმული.
იქ თეთრგვარდიელს მეზღვაურმა გადაუარა
და გვარდიელი ფეხთ ქვეშა ყავს დანარცხებული.
„ო, შენ მოსისხლევ ხელში თოფი მისთვის გიჭირავს,
რომ ცხელი ტყვია გულში ჩასცე რევოლიუციას?
არ მოგცემ ნებას აისრულო შავი განზრახვა!
ინებე! შენთვის ეს მახვილი გულს ჩამიცია!.“
და აუწითლდა თეთრი სახე პიტერის ღამეს,
მდინარე ნევა ყურს უგდებდა უცნაურს ამბავს,
ბალტიის ზღვიდან კრეისერი ისვრის ზარბაზნებს,
ნევა ვერ იტევს ნაღმოსნებს და გემებს ჯავშნიანს!

IV

სმოლნის ეზოდან გამოგორდა მზე მიწიერი,
და წითელ ქუჩებს დააცქერდა და გაიცინა.
ჩვენ ვიძახოდით: ვიწყოთ დაგვა ნაგვის და მტვერი
და მიუჩინეთ ძველ მთავრობას ახალი ბინა.
ვამცნეთ მსოფლიოს საბჭოების ძალა-უფლება
და სახკომსაბჭო ავირჩიეთ ახალ მთავრობათ.
ძირს ომი! სისხლი აწ მშრომელთა არ დაიღვრება!
ჩვენ ზავს მოვითხოვთ და მსოფლიოს მშრომელთა ძმობას!
ჩვენი ბელადი ხელს აწერდა იმ დროს დეკრეტებს:
„დღეიდან მიწა მიწის მუშას აქვს საკუთრებათ!
„დღეიდან მიწა ჩამოერთვას მემამულეებს!
„ამიერიდან სრულდებოდეს გლეხკაცთა ნება!
„ქარხნები მუშებს გადაეცეს, ქალაქის მუშებს!
„და სახელმწიფომ უპატრონოს ქვეყნის სიმდიდრეს!
„შედგეს არმია, რომ მშრომელთ მტრებს ტყვიებს დაუშენს,
„რომ მშრომელთ მხარეს იცავდეს და დარაჯათ უდგეს!..“

V

ჩრდილოეთიდან ამობრწყინდა ჩვენი ვარსკვლავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდიდრებს ღვთისწყრომა რომ ეგონათ დაღუპულ ქვეყნის
და გაყვიროდენ—დაგვეუფლენ სულები ავი,
და სჯობს სიკვდილი ბატონობას ბოლშევიკების.
შრომის უბანს კი... შუქთაფრქვევით ის ახარებდა,
რომ დაჩაგრულთა გულში სევდის დაიწყო დნობა,
რომ ბრძოლის დროშებს ცეცხლის ფერად ქარი არხევდა
და პლაკატებზედ წაეწერათ: ძმობა—ერთობა!
„ამხანაგებო დამწყები ვართ ახალი ქვეყნის,
შრომის სამეფო არ იქნება ჩვენთვის ზღაპრული,
ყველა ქვეყნიდან ტანჯულები ჩვენსკენ მოილტვის
და სამშობლოთ თვლის ჩვენს ქვეყანას ყველა ჩაგრული.
ჩვენი პარტია წინ გვიძღვება—ავანგარდია
და შვილებსა ვზრდით კომკავშირელ-პიონერებათ,
წითელ არმიას ვერ გაუძლებს თეთრი გვარდია
და თან ვატაროთ ჩვენი რწმენა გულში ფარებათ“!!

## VI

და ოქტომბერით ჩვენ აღვსდექით და გავიხარეთ,
შრომის მგოსანი გამარჯვებას უთხზავდა ჰანგებს,
ასე ეგონათ: სიზმარია ეს ჩვენი მხარე.
ნუ თუ ქვეყანას გუშინდელი მონა განაგებს?!.
დიახ, ქვეყანას—შრომის მხარეს დღეს ის განაგებს,
ვინც ორთავიან არწივს სული ამოაცალა,
ვისაც წარსული არ ანაღვლებს და არ ადარდებს.
ვინც დაიგროვა მომავლისთვის მკლავებში ძალა.
ჩვენ გვიხაროდა ხვალინდელი დღის გათენება
და საძირკველი ჩაუყარეთ შრომის სასახლეს,
ჩვენი ქვეყანა სამოთხესა დაედარება,
ო, მაშინ ვიგრძნობთ ჩვენ სიცოცხლის ტკბობა-სიამეს!

## VII

მაშინ გვწყუროდა სიცოცხლე და შემოქმედება
და ჩვენ უარვყეთ დასვენება და ღამით ძილი,
ამხანაგებო! გაუმარჯოს ჩვენს წარმოებას!
შორს ჩვენგან, ბრძოლით თუ ვინმეა ჩვენში დაღლილი!
მაგრამ... გარშემო შემოგვრტყმოდა მოსისხლე მტერი:
იუდენიჩი მოიწევდა ჩვენსკენ თეთრებით,
გავდა ცოფიანს, როგორც სისხლით მთვრალი ტიერი
და შავ ზრახვებით გაეშალა მას ჩვენსკენ ფრთები...
ჩვენ მოვიწვიეთ საბჭოების დიდი ყრილობა
მუშების, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დავიფიცეთ ყველამ ერთად: ძმობა-ერთობა,
ყველამ ვიწამეთ უდღეობა მოსისხლე მტერთა...
გაჩაღდა ომი და ფრონტები გვქონდა მრავალი.
ბევრჯელ ეკიდა ჩვენი ყოფა ბეწვზე გაბედვით,
ბევრს ჩვენგანს გულში ჩასცემია თეთრების ხმალი,
ბევრს კი იმათგანს გაუგმირეთ გული ტყვიებით.
დენიკინელებს ჩაუმწარდა ტკბილი ოცნება,
(ალბად მეფის ტახტს დენიკინი თუ მოელოდა)
მემატიანე ჩვენი ბრძოლით მრწამს გაოცდება:
ჩვენგან ერთისა, მათგან ათის სისხლი იღვროდა...

## VIII

რას დაგვაკლებდა გულმაგარებს თეთრების ხროვა,
რომ ჩვენ არ გვეგრძნო დასავლეთით მტერთა ბლოკადა,
რა უნდა ექნა მშიერს პური რომ ვერ ეშოვა?
წითელარმიელს პაპიროსი ენატრებოდა.
მეფე-შიმშილის და დამშეულთ ვხედავდით ლანდებს,
სიკვდილი ცელით და კბილღრჭენით ყველგან დაძრწოდა,
ჩვენი ქვეყანა არ მოესწროს აწ ტომრიანებს,
მეფე-შიმშილი ახალ მხარეს რისხვას ათოვდა.
დახოცილები უთვალავი და ტანჯვა ხალხის...
თეთრგვარდიელებს საიმედო შეესხა ფრთები.
ჩვენ კი... ტანჯვაშიც ერთი რწმენით და ერთი სახის
ქედს არ ვიხრიდით—დაავალონეთ მშრომელთა მტრები.
ცეცხლიან სულით ჩვენი რწმენა გამოიჭედა
და გაჭირვება დავივიწყეთ დიად ბრძოლაში.
ჩვენ ვიმარჯვებდით: მოედნები ხალხს ვერ იტევდა,
ვეფიცებოდით ერთი-მეორეს მტკიცე ძმობაში.

## IX

მისი სახელი ყველასათვის იყო ნაცნობი:
მისი პორტრეტი ამშვენებდა ქოხებში კედლებს,
ჩვენი ბელადი და ბრძოლაში მტრის არ დამთმობი,
ყველგან უსმენდენ მის დაძახილს, მის ცეცხლის სიტყვებს...
და მისი შუბლი წააგავდა ფრიალო კლდესა,
საცა ალგზნებულ თვალებიდან ცეცხლი ალმოხეთქს,
რომ მიმოაპნევს მხურვალებით გარს ნაპერწკლებსა
და ცხოველმყოფელ მზიურობით ქვეყანას შუქს ფენს.
ო, ლენინ, ლენინ, ყინულს ათბობს შენი სიტყვები,
შენს ახალ აზრებს ჩაგრულები უფრო გაიგებს,
ვინ არის შენთვის რომ არ ირტყას გულში ტყვიები?
და ჩვენთაგანი ხმალს ქარქაშში აღარ ჩაიგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## X.

ფარული კრება გამართეს და დაადგინეს:
„მოვკლათ ლენინი, თორემ არ გვაქვს არსაით შველა!
ჩვენ ხალხის რისხვა შავ ნიღაბებს ჩამოგვაცილებს,
დრო აღარ ითმენს, ჯერ ღამეა და კიდევ ბნელა!
და თავმჯდომარე კენჭს უყრის და ხელებს დაითვლის.
ლენინის მოკვლა გადაწყდა და ერთხმად მიიღეს,
მაგრამ ვინ მოკლას? ვინ დაუშენს ცხელ ტყვიებს ლენინს?
ყველას სულისთქმა დაუმძიმდა—თავი ჩაქინდრეს!..
ამ დროს ქალის ხმამ სიჩუმეში დაიწკრიალა:
„მე მოვკლავ ლენინს! მე მომანდევით ეს საქმე ძნელი!
„მეტს ველარ ვითმენ და აივსო ჩემიფიალა!
„თქვენ თუ ვერ ბედავთ, მე ვიქნები ლენინის მკვლელი!“
და მისი სახე გაფითრდა და გავდა ბაიას,
კუთხეში იდგა და უცქერდა შტერივით სივრცეს.
რათ აცახცახდა მისი სახე—თვალები ღვრია?
ეგებ სინდისი გაეღვიძა, ქენჯნის, აწუხებს?
„ვინ არის მომხრე, რომ მკვლელობა მივანდოთ კაპლანს?“
და თავმჯდომარემ დაითვალა მომხრეთა ხმები...
უმრავლესობამ მას მიანდო ლენინის მოკვლა
და ეს ამბავი ჩაიწერა ოქმში იმ კრების...

## XI

ო, ეს სურათი: ნატყვიარი გულით ლენინი!
კაპლანის ქალი, რომ უმიზნებს ნაგანს და ესერის,
(ამ დროს ესერებს ბნელ ჯურღმულში ქონიათ ლხინი)
ამონაკვნესი მშრომელ გულის ქვეყანას ესმის...
და იმ დღეებში ჩვენმა რისხვამ ცაზე იქექა:
ბელადის კვნესა მილიონთა ოხვრამ დაფარა,
მაგრამ წითელი ცისარტყელა გადმოიზნიქა
და გაგვახარა, რომ ბელადი აღგება ჩქარა.
რადიოს ცნობას ვლებულობდით და გვიხაროდა:
„ლენინი დადის... ლენინი სწერს... გაზეთს კითხულობს.“
მტერთა იმედი დაითუშვნა და განაცარმტვერდა,
ჩვენი ბელადი მოუხმობდა შრომის სამყაროს.
„ჩვენ დღეს ოქტომბრით ანთებული ცეცხლის ალებათ
ვფენთ სინათლესა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს არე-მარეს,
გადავიქცევით სამყაროში ჩვენ ნაპერწკლებათ
და გადავიართ მაღალ მთებს და აღმართ-დაღმართებს.
ჩვენი ვარსკვლავი, ოქროს ფერად კვლავ იციმციმებს
და სიყვარულით გავახარებთ ქვეყნიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულ ბრძოლებსა ჩვენთაგანი არ დაივიწყებს
და კვლავ იმღერებს, რომ ვმღეროდით ბრძოლის სიმღერას,
გავიართ ღამეს ჩირაღდანით და ცეცხლის ნთებით,
სანამ არ ვნახავთ მიწის ყოველ წერტილზე სხივებს.
მომავალ ახალ ცხოვრებას ჩვენ მივეგებებით,
ძველი ქვეყანა მოგვიგონებს და გადიკივლებს.

XII

განვლო წლეებმა და ბრძოლებით წინ მივისწრაფვით,
ურიცხვი მსხვერპლი შეეწირა ბრწყინვალე რწმენას,
ძმათა საფლავებს გარს ვევლებით და ვამკობთ დაფნით,
გულით ვატარებთ მებრძოლ გმირთა ჩვენ მოგონებას,
მუდამ ვიგონებთ წითელ ბაქოს ოცდა ექვს გმირებს,
პარიზზე ფიქრებს ვიახლოვებთ ჩვიდმეტ ათასით,
მწარე წარსულის მოგონება ძალით გვატირებს,
და შხამსა გვასმევს ნაღვლით ნარევს ავსებულ თასით;
პარიზის ქუჩებს ეხსომება ფერე, ვარლენი,
ელიზ რეკლიუ, დელეკლიუზ და ვალიანი,
ჩვენ გვეხსომება ახჩაკუით და პერევალით
ფეოლეტოვი, ჯაფარიძე, შაუმიანი.
ტიერის სახე შავ ნიღაბებს მუდამ იფარებს,
მაგრამ სისხლითა გასვრილ ხელებს ვერსად დამალავს,
მათ წყევლა-კრულვას ჩვენი მხარე გულში ატარებს,
მათ მოგონება ბრძოლის ქინით ჩვენ სულსა გვიკლავს.
ო, ის ტიჯონი დათვრა მაშინ იმათი სისხლით,
ამცნო ანტანტას ოცდა ექვსის მოკლე ამბავი:
„მოკვდა კომუნა და გაუპეთ გული მახვილით,
„მათი გვამებით ტიალ მინდვრათ გაძღება სვავი!“
მაგრამ კომუნა არ მომკვდარა—აინთო ცეცხლით,
ალში გავხვიეთ, ვაყირავებთ დღეს ძველ სამყაროს,
ჩვენთან არიან ოცდა ექვსი ჭირში საშველათ,
ძველი ქვეყანა ელოდება სასტიკ სამსჯავროს...

XIII

კავკასიონის მწვერვალიდან მზემ გაგვიცინა
და საქართველოს გაეღვიძა და გაუხარდა,
შრომის უბანმა ნიღაბიანთ ვერ მოუთმინა
და ჩამოგლიჯა შავი ფარდა, მზეს რომ ფარავდა.
ჩრდილოეთიდან ოქტომბერი დიდხანს გვიმზერდა
და თორმეტ თვეში არჩევანი ერგო თებერვალს,
რომ წითელ დროშით, ხელში თოფით აოქტომბერდა
და ხელი მისცა თბილისიდან მოსკოვს, ლენინგრადს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ტოკავდა საგულედან ამოვარდნილი,
მოხუც დედასა ჯვარის სახე დავიწყებოდა,
რომ თვალწინ ედგა ვაჟი-შვილის სისხლი დალვრილი,
მოკლული ძმისა, რომ დუშეთში მტრებსა ებრძოდა.—
შულავერიდან ჩვენ თბილისში ვიღებდით სალამს
და ღამე თქეშში ვდარაჯობდით მედგრად განთიადს,
მტკვარს არ ეძინა: გვიამბობდა წარსულის ზღაპარს,
ქარის ზუზუნში ჰანგს უთხზავდით მომავალს დიადს.

რამდენს გაუსქდა შიშისაგან იმლამეს გული,
რკინის გზის სადგურს ათარებდენ თავს ლტოლვილები,
რომ ქონდათ მიზნათ უცხო მხარე—გზა შორეული,
გულით მიქონდათ სავსე შხამი და ტკივილები.

და ღამის ფრთებზე ანარქიამ დაისადგურა:
ღამის დარაჯმა გააცილა ხელისუფლება,
ჩქარა ქვეყანა ცეცხლის ზეწარს გადაიხურავს:
გავიზიარებთ განთიადზე თავისუფლებას.

ჩვენ დაგვათენდა მოედანზე თავისუფლების,
ხმა ბელადისა იყო მძლავრი და წკრიალებდა,
„აწ ხალხი ჩვენი პატრონია თავის უფლების!
„ამხანაგებო! მზე ამოდის, დღე გაგვითენდა“.
წითელ დროშების ხეივანში მზე ელვარებდა,
იყო შეხვედრა ალტაცებით კომუნარების,
ჩვენი სიმღერა მტერს ტანჯავდა და ამწარებდა,
საქართველოში დღე დგებოდა გამოდარების.

XIV

დიდმა ბელადმა რადიოთი გვიძლვნა სალამი
და მოგვილოცა გამარჯვება ხანგრძლივ ბრძოლაში,
ამხანაგებო! დღეს ერთია ჩვენი ალამი!
დღეს საქართველო წარმტაცია წითელ ხალათში!
მაშ, დღეს ქორწილი გადვიხადოთ რწმენის ასულის.
მაყრებათ უნდა დაპატიჟოთ თქვენ მეზობლები!
მთიელთ შიკრიკი გაუგზავნეთ, თათრებს —რადიო,
აცნობეთ სომხეთს, მოიწვიეთ მოძმე სომხები!
და მოწოდება აჴასრულეთ ჩვენი ბელადის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კავკასიის ყველა ერებს ჩვენთან აქვს ძმობა,
დღეს საქართველო ქვეყანაა მშრომელი ხალხის,
დღეს ჩვენც ვამაყობთ და გვახარებს ჩვენი მზეობა.

XV

როცა ბრძოლები გამარჯვებით დავაგვირგვინეთ
და ახალ ბრძოლებს მოველოდით—გვქონდა მზადება,
ცა მოიღრუბლა, მზე დაბნელდა და გავიყინეთ,
რადიომ გვამცნო ეს ამბავი და მწუხარება:
სოფელ გორკაში ათას ცხრაას ოცდა ოთხ წელში,
და იანვრის ოცდა ერთში, რომ ღამდებოდა,
მოგვიკვდა ლენინ—ჩაიძირა ჩამავალ მზეში,
და ჩვენს გულებში შხამ-ნაღველი ეწვეთებოდა.

XVI

ისეთი იყო იმ სიკვდილით მეხის გავარდნა,
რომ სამი წელიც გატეხილ წელს ძლივსღა იმაგრებს,
ეს იყო ზღვაში მაღალ მთიდან კლდის გადავარდნა,
ეს იყო თავში ცხელი ტყვია, რომ ადნობს აზრებს.
ო, ლენინ, ლენინ შენ ჩვენთან ხარ და ერთად ვიბრძვით,
შენს ნაანდერძევს და გაკვლეულს მივყვებით გზასა,
შენი მზიანი აზრებით ჩვენ მუდამ დავიწვით
და აკლდამიდან ჩვენ მოვისმენთ შენს მაღალ ხმასა!

XVII

ჩვენ ულენინოთ ლენინის გზას არ ავშირდებით,
დიდი ხანია კომპარტია გავაბელადეთ,
რევოლიუციის მონაპოვარს თავზე ვევლებით,
რომ დედა-მიწის ხუთ მეექვსედს წითლად ვღებავდეთ.
ვისაც გული აქვს დაცეცხლული ფოლადიანი,
ვისაც სისხლი აქვს ვაჟკაცისა და უჩქებს ძარღვებში,
ვინც დაისახა მომავლისა დღენი მზიანი,
გამობრძმედილი არის მტერთან წარსულ ბრძოლებში—
ვინც რომ ათი წლის ოქტომბრის მზით გული გაითბო,
იხილა მშრომელთ ბრძოლებისა გამარჯვებები,
ვინც რომ მტრისაგან მოწოლილი ხიფათი იგრძნო,
მოახლოება დიდი ომის—სისხლის დღეების,
უნდა ემზადოს საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისათვის,
მტრებს არა სძინავთ—ჩვენებისთვის მახვილს ლესავენ,
მათაც არა სწამს ძლიერება და ძალა ღმერთის
და ჩვენსკენ ტყვიებს აწვიმებენ, გადმოთესავენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლი სწყურიათ, ჩვენი სისხლი დღეს ჩემბერლენებს
და ვერ მოუკლავს მათ წყურვილსა სისხლი ჩინელთა,
უნდა ახსოვდეს ეს მშრომელ ხალხს და არმიელებს,
წითელ მფრინავებს და უშიშარ ჩვენს მეზღვაურთა.

XVIII

ეს მოწოდება აკლდამიდან ქარიშხალდება:
— პროლეტარებო ყველა ქვეყნის გაერთიანდით!
საფრთხის წინაშე რისხვით სული აგვიცეცხლდება,
აკლდამის კედლებს გამოარღვევს ჩვენი ბელადი.
დღეს ჩვენს სამყაროს, რომ უწოდეთ საბჭოთ ქვეყანა,
სადაც წარსულმა ჩაიძირა ყვლეფა, მონობა,
მტერს განუზრახავს გულში ჩასცეს მახვილი დანა,
და ჩვენი სისხლით დრო ატაროს — მიეცეს თრობას.
მაგრამ მეათე ოქტომბერი თვალებში გვიმზერს
და მოწოდებათ ჩვენ ლენინის ძახილი გვესმის:
„შავი ღრუბლები ეფარება კომუნიზმის მზეს—
მტერს განუზრახავს დაბნელება მისი სინათლის.
მაგრამ კომუნარს ვერ შეაკრთობს ზამთრის ავდარი,
საფრთხეს წინაშე ის მზათ არის აქარიშხალდეს,
წელზე ვაზნებით, ხელში თოფით და რწმენის ფარით,
მტერთან ბრძოლაში ან მოკვდება ან გაიმარჯვებს!“
ლენინ! ჩვენ მზათ ვართ და ვერ გვაკრთობს მოსისხლე მტერი,
ჩვენ თუ ვიხილეთ ოქტომბერი წინ განსაცდელის,
მაშინ მსოფლიოს გადავღებავთ წითელი ფერით,
მაშინ კბილღრჭენით აკივლდება სამყარო ძველი.
მეც მაშინ ხელში თოფს ავიღებ კალმის მაგიერ,
რომ ცხელი ტყვიით ჩემბერლენებს გაუპო გული.
ჩვენს წითელ დროშას კომუნიზმის ხელში დავიჭერ,
და მთელ სამყაროს შემოვიართ მზის სიყვარულით.

XIX

აღმოსავლეთი ოქტომბრის ცეცხლს სულში ატარებს
და ოცდახუთის გათენებას მოელოდება,
დაჩაგრულ ჩინეთს, დღეს რომ ბლავის ის გაახარებს,
რომ ოქტომბერით მისი ჩაგვრა დაბოლოვდება.
ბლავილი თქვენი, ჩინელებო, სულში ცეცხლს გვინთებს,
ინგლისის ხიშტი აულია ხელში ჩან-ძო-ლინს,
და პირსისხლიანს ის ახარებს და აქეიფებს,
რომ ჩემბერლენი უთავაზებს მეგობრულ ღიმილს.
ჩვენს წითელ დროშას ჟავს დაესხმის თეთრი გვარდია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელ ჩინელთა რისხვა უნდა აქარიშხალდეს,
გენერალ დუნკანს ის აწუხებს — ტანჯვა აქვს დარდით,
რომ წელში ვერ ტეხს ჩინელ მშრომელთ და კომუნარებს.
ჩინელთა კვნესა ამღერებით დაგვირგვინდება.
საბედისწერო დრო დადგება „კულტურულ მხეცთა“.
წითელ ჩინეთში ბრძოლის დროშა აფრიალდება,
ერთი გვექნება სიხარული ალმოსავლეთთან.

## XX

მტრებს გააოცებს ოქტომბერის ათ წლის ფინალი:
„სოციალიზმი ხილვა არის ერთ ქვეყანაში“.
თანასწორია უფლებებით კაცი და ქალი
და გამარჯვება ერგო ჩვენებს მტერთან ბრძოლაში.
დღე-ღამ ბრძოლაში ჩვენ სიმდიდრე შეგვიძენია;
არავის არ ვთხოვთ საჭმელს, სასმელს და ტანისამოს,
შრომის ქვეყანა დღეს ზეიმობს და მომღხენია,
ქოხმახებშიაც შევიტანეთ შუქი ელექტროს,
ყველგან შეხვდებით დღეს ჩვენებსა, რომ ესმით ჩვენი,
ჩინელი არის, ინდოელი, თუ ავსტრიელი,
სადაც ღამეა იქ ვითენებთ და ვართ მომთმენი
და ბრძოლით ველით გათენებას, ვით არმიელი.
**ათი წელია**, ოქტომბერში რომ დავიბადეთ,
**ათი წელია**, რომ ვიზარდეთ და გავიხარეთ,
**ათი წელია**, რაც სამყარო ძველი დავდალეთ,
**ათი წელია**, ვიბრძვით, მაგრამ არ დავიღალეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

# კორნელი და მუშები

(ნაწყვეტი)

შავი ზღვის ტროპიულ მცენარეებით დაფარულ ნაპირზე მიჰქროდა მატარებელი.

ჩატარდენ სადგურები: მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხის ძირი, ჩაქვი და ქობულეთი...

აჭარა!

ზაფხულის ნაშუადღევის მზე ოქრო-ვერცხლისა, ლალისა და ათასნაირ ფერებით აელვებულ თევშებსა და თასებს ათამაშებს ოდნავ შერხეულ ზღვის ტალღებზე—და ყოველ თევშზე, ვით არ ნახული, ჩვენდა მოსართმევად გამზადილი, ახალი ხილი—დასვენებულა მზე; და კაცთ მათრობელს ღვინო-შარბათით აღვსილს ყოველს თასში ჩასვენებულია მზე-ვარდი; და ყოველი ისარი მზისაგან ანთებულ ტალღით გამოსროლილი გულში გვასობს თავდავიწყებას.

— —

გურია-აჭარის მთები სთვლემენ იისფერ ბურუსში ლოცვებით გადამდნარნი; თითქოს შთენილან მარტოკა სამსხვერპლონი—აბოლებულნი; თითქოს იმათ კლდე და ტყის შორის არ ნავარდობდენ ჯიხვნი და არჩვნი, ირემ-ხარები?! ანუ ბროლი ჩანჩქრები არა გვესროდენ სისხლის წვეთებით დაცვარულ კალმახებს?!

მატყუარა კაცისა ეგ სიჩუმე დღისა და იისფერ ბურუსით დაფარული დადუმებული მთები!

ზღვაზე გადარბენილი ხმაური მოისმის ხანდახან, ვით ასი-ათას მოქალაქეთაგან გამართული ყრილობა, შორეული გოთგოთი. ქაფიანი ტალღები ქვიშიან ნაპირებზე აბნევენ ტაშსა და ხარხარს. რჩებიან გადარეცხილი ფერადფერადი ქენჭები და ხოჭოები.

ახლოვდება საღამო და მზე ეფარება ძოწეულ ღრუბლებს; შუქთა სვეტები გადატეხილან განდაგან და ეშვებიან ღვთიურის სიმშვიდით ადამიანის სულში.

მარაოსავით გადაშლილ პალმათა ტოტებში შარიშურობს შორიდან მოსული ნიავი;

მზით მონათლული თეთრტანიანი დიდი და საარაკო ევკალიპტები, ბუჩქა-ტოტებით ქოლგებივით შეგუნდული, ზანტად ქანაობენ ეთერში სიზმარივით;

კადრილიონები, ოლეანდრები, ცისფერი და ნარინჯისფერი ყვავილებით სავსე ბაღებიდან მოსჩანან ვილები და ცხელ ბურუსში მთვლემარე ციხე-კოშ-კები;

თვალწინ იშლება თითქოს იამატო!

აჰარა!

მიჰქროდა მატარებელი. ფანჯარასთან იჯდა მდუმარეთ კაცი კორნელი;

მისი თვალები შეაჩერდნენ ლადარიდან აღებულს, უზარმაზარ პირლია ქე-ცის ბორბალივით გახურებულს და ზღვის იქედ ჩამავალ მზეს.

ზღვასთან იდგნენ ასულთა და ვაჟთა წყებანი მდუმარეთ, თეთრ ტანსაც-მელში; ისინი იყვნენ ქარვისფერ დასავლეთის ზეწარზე ახატული და მზისაგან სახეგაბრწყინვებული; ბავშების თავები ყვავილთ გვირილებით მორთული; სხეული მზით გარუჯული ხანგების ტანივით; და სწორედ მაშინ, როდესაც ბორბალი მზისა ნახევრად ჩაესვენა და მისგან გასროლილი ალისფერი შუქი შემოერტყა საქორწინო ქამარივით ტიტან ზღვას წელზე, მოეჩვენა კორნელის:

ყველაზე წინ მდგომი ღაღადით იშვერს ხელებს მზისაკენ; სპილენძისფრად შელებილ მკლავებს;

ესმის კორნელის:

მემუსიკენი სალამურით, ფლეიტებითა და არფით ასრულებენ უტკბილეს ჰანგებს; ოდნავ აღწევენ ყურთასმენამდე მატარებლის ხმაურის გამო, მაგრამ მძაფრად იჭრებიან მაინც კორნელის სულსა და გულში. ამ ღაღადს და ლოცვას უწოდა კორნელიმ:

„ლოცვა მზის გარდაცვალებაზე"!

მიჰქრის მატარებელი და კორნელის არ შორდებიან ეს ენით გამოუთქმე-ლი, საიდუმლო ჰანგები, თქმული ზღვის პირად მზისადმი; მისი გული ივსება ნეტარის თრთოლვით, თვალები მიბნედილნი უცქერენ ჩამავალ მზის ალმოდე-ბულ ბორბალს; უცქერენ ისეთივე უძირო კაეშნით და მისტიურ ხედვით, ვით ზოგვი უპანიშადების სიბრძნეთა შქადაგებელი ჰანგეოსზე.

იყო წუთი, როდესაც თვალის უპეებში ჩაუდგა ცრემლი და გაჩნდა თვალ-ში ფოსფორიული ნემსის ყუნწისოდენა ბრწყინავი წერტილი; გამოსროლილი წვრილი სხივები ესობოდენ მზის უზარმაზარ, ფერმკრთალ თვალს; ჩაჰქრა მზე სამუდამოდ ზღვის იქედ. კორნელის გულში გაისმა ჩაკლული ქვითინი და ქვი-თინი იგი იყო „მოკვდავის ენით გამოუთქმელი უკვდავი გრძნობა", ხოლო გრძნობა იგი შობილი ზღვის პირად გაგონილ მიუხდომელ და მიუწდომელ ჰან-გებით, ხმებით, რომელნიც ყოველთვის აღელვებენ კორნელის სულსა და გულს, როგორც სიტყვა:

„ჰანგეოსი!"

კორნელის თვალზე მოადგა ცრემლი სამყაროს გამოტირებისა. შეირხა. გამოერკვია. ამოღულღული თვალები მალულად ამოიწმინდა და ოხვრით ეკითხებოდა თავის თავს:

„რა ღვთის წყრომაა, რომ ვერ ვისვენებ? განა ასეთის განცდით, ასეთის გრძნობა-ცნობიერებით შესაძლოა ეხლა არსებობა ამ ქვეყნად? კიდევაც ეგ არის რომ მაგიჟებს და მაშორებს სინამდვილეს, საარსებო წყაროებზე ზრუნვას!“

შეძველებული შლიაპა მოიხადა. ოფლიანს, მაღალს შუბლზე გადმოცვინდა ხუჭუჭა შავი თმა.

უცნაური და ჩირაღდნებივით ელვარე თვალები აალო; მიიხედ-მოიხედა.

თვალები შეხვდნენ კუთხეში მსხდომ ქალისას. ქალი უცქეროდა კორნელის მეტის-მეტ გაკვირვებით, წარბ აზიდულ, სერიოზული სახით. ქალი და კორნელი თვალს არ აშორებდენ ერთმანეთს. თვალებით ანიშნებდენ ერთმანეთს გულისთქმას. თვალებით საუბრობდენ, არ ახამხამებდენ. ვინ მოჰხუჭავს პირველი? თითქოს ჯიბრია! საკვირველი ამბავი სჭირს კორნელის. ისინი უცქეროდენ ერთმანეთს ქობულეთამდე.

---

ქობულეთში შემოლაგდა ხალხი. ვაგონი აივსო ექსკურსანტებით: ვაჟები ნახევრად შიშველნი და ქალები დამკლავებულნი, მზისაგან გარუჯული შავი ზღვის ნაპირებზე, პილპილოსავით აწითლებულნი სახეებით. აწყობდენ ბარგს ერთს წუთში სავსებით მოეკალათად, ვით თავის სახლში. მოიხსნეს ჩანთები, ჩაინიკები. ექსკურსანტები მოსულან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და ციმბირიდანაც. ისმის სიცილი, ვაჟთა ოხუნჯობა და აყოძახილი:

— ადჟარისტან, გრუზია!

დაუსრულებელი შლიგინია, გვერდის აჟხანა, მუხლებზე ხტომა. სიცხეა და სივიწროვე, ხალხი ილვრება ოფლად. ვილაც მეტის-მეტ საამო სათნო სახის ახალგაზრდა გურულ ქალს მუხლზე უკნავის დახუთულ ჰაერით შეწუხებული პატარა ბალღი, მარტო პერანგის ამარა, ხახაში ატენის ძუძუს:

— სუ, სუ, ნუ იტირებ, ალა, გენაცვალე!

კორნელის მოსწყინდა ხმაურობა, ბავშის ტირილი, უზრდიში მოპყრობა მგზავრთა და დასაწოლ ფიცარზე აცოცდა. გასაგრილებლად თავი ფანჯარაში გაჰყო. რუსი ყმაწვილი იკავებდა ადგილს მის გასწვრივ და ძველის-ძველ მეგობარივით მიჰმართა კორნელის:

— Братишка, далёко ехат? .

კორნელის გაუკვირდა „братишка“, მაგრამ მისი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა.

ყმაწვილი ფანჯარასთან იჯდა. საღამოს 8 საათი იქნებოდა. ექსკურსანტები ხარბათ ათვალიერებენ შავი ზღვის ტროპიულ მიდამოებს, მცენარეებს მთებს:

— ადჟარისტან! გრუზია!

ყმაწვილმა ისევ კორნელის მიჰმართა:

— ჟარკო, ტოვარიშჩ!—ყელგულს იხსნიდა, ხალათის შიგნით სულს იბერავდა. კორნელიმ ანიშნა რომ, ისიც ოფლშია გალვრილი. ყმაწვილი წამს წამზე ეწევა თამბაქოს და ყველასთან ასწრებს გამოსაუბრებას:

— Ой, несчастненький, как он вспотел?!

მოუთათუნა გურული ქალის ბავშს ლოყაზე ხელი. ბავშს მართლაც წყლივით ჰქონდა დასხმული ოფლი.

— Я думаю это у него от малярии—უპასუხა რუსულად ქალმა. ყმაწვილმა თვალები გადმოცვენაზე გადმოალაგა და შეშინებული ეტყოდა გოგიას დედას:

— Да разве от малярии потеют?

— Ну да!

— Значит я уже погиб; слышь ты Петя!

მიჰმართა მან ამხანაგს და სთხოვა მას ოხუნჯობით ქინაქინი.

— Меня, брат, малярия не берет!

კორნელიმ წარბები შეჰხარა და დააჩერდა ამ რუსეთიდან ჩამოსულ საზოგადოებას.

---

აი, იქ ზის მუშა-მემანქანე, წყნარი და ნებისყოფით სავსე სახით; ხშირი და ქერა წარბებისა და წინ წამოწვდილ შუბლის ქვეშ—ბავშური გულუბრყვილობით სავსე თვალები; ცხვირი—ნესტოებ დაბერილი; ბაგე—სქელი; მთელი მისი სახე სავსეა ენერგიით, სახე მონათესავე დიდი ბელადისა, რომელშიაც საჩინოა მშობლიური ხაზი, იგი გადიკრავს მონღოლის სახის იერს. ქალები შედარებით ჩვეულებრივნი—რუსეთის მასის მიხედვით: თვალები მოცისფრონი და თმები მწიფე პურისფერი. სუყველა—უბრალონი.

მემანქანე ისხდა მოშორებით და მის საუბრიდან ახალგაზრდა ინჟენერთან და მეზღვაურთან (სამხედრო გემიდან) აღწევდენ მხოლოდ ზოგიერთი სიტყვები:

...„Американская система езды.. Паровой кател.. Регулятор.. Наша рабочая бригада.. Я внес проект“... ამ სიტყვებიდან სჩანდა, რომ მათ ჰქონდათ საუბარი მატარებელის მიმოსლისათვის მეტი დადებითი შედეგების მიღებისა და ნაკლები ხარჯის გალების შესახებ და საერთოდ თანამედროვე ტეხნიკაზე,—რაშიაც თვალსაჩინო იყო ცოდნა და ინტერესი, სიყვარული საქმისადმი. მემანქანე-მუშა ყოველ მოსაზრებას ილიჩის სიტყვა—ანდერძით ასაბუთებდა. მას წინ უსხდა ცოლი, წითელ თავსაფარით, რომელსაც ესაუბრება მეზღვაური ბალტიის ზღვის ფლოტიდან. ის მსახურებს მეთაურად „ლენკორზე“—კრეისერზე „კომსომოლეც“.

სახელი მისი—ვლადიმირ. ის ლაპარაკობს გემზე სამსახურისა და თავგადასავალის ამბავს.

---

კრეისერის უზარმაზარი ფრონტონი, რომელიც იტევს ათასხუთასამდე კაცს, ტორტმანებს ბალტიის ზღვაში ფოლადის ჯავშანით გარემოცული და შორს გაშვერილ ზარბაზანთა გრძელი ლულებით.

ბიბლიოთეკა

ხანდახან მეზღვაურები დაიწყებენ გემზე ჭიანჭველივით ფუსფუსს, მაგრამ უმთავრესად ისინი იმალებიან მის ხვრელების შიგნით და მაშინ, [illegible] ყინვიან ზამთარშიც კი მეზღვაურები ოფლში იწურებიან.

ქშინავს ორთქლის მანქანები, ადუღებული ქვაბები; ორთქლი ცვარცვარად სწვეთავს ჭერიდან და ვლადიმირი, პერანგის ამარა, ტომარით აშრობს კაიუტის კუთხეებში დამდგარ წყალს. მეზღვაურებს ენატრებათ თვეობით მზე, ხმელეთი, ქალაქები, ნათესავები, ქალები და დროსტარება. თვეობით ვერ ნახავენ მეზღვაურები ქალს თვალით, ვინაიდან დედათა სქესის წარმომადგენელს არა აქვს ადგილი სამხედრო გემზე და ერთად-ერთი გასართობი მეზღვაურთათვის დედალი დათვია, რუხი, გარუჯული, რომელსაც აწვალებენ, ეჭიდებიან, სტანჯავენ ჩიბუხის ბოლით. მაშ რაღა გასაკვირია თუ მეზღვაური ჩამოსული ხმელეთზე, ქალაქში, რამოდენიმე დღით ან საათით, ცდილობს წაიღოს ქალაქიდან სიტკბოება, რომელიც კი გააჩნია უკანასკნელს? ნუ გაიკვირებთ თუ ნახოთ მეზღვაური აღვირაწყვეტილი, გადამთვრალი, გადავარდნილი ქალაქში!

კორნელი უცქერდა სამხედრო ტანთსაცმელში გამოწყობილს და ჩიბუხდაკიდულ ვლადიმირს.

ვლადიმირი აგონებდა მას ზღვასთან ბრძოლაში გამობრძმედილ ხალხთაშვილს, მუდმივ მეზღვაურთ, რომელთ გემების სირენები და საყვირები ბღავიან გიბრალტარში, მადაგასკართან...

ბავშობიდანვე უყვარდა ვლადიმირს ზღვა, ნავთსადგურზე უცხოელთა გემების და მეზღვაურთა გაბედულ სახეების ცქერა; მათი შალვრების სტიქიონივით ფართო ტოტებს მოჰქონდათ ტავერნისა, ხიზილალისა და იამატოს ფერადი ქვიშის სუნი...

---

ვლადიმირი იყო მოწოდებული გამხდარიყო ამირბარი... ბავშობიდანვე ხატავდა გემების, კრეისერების მოდელებს, მექანიზმს. შემდეგში ისეთის სიცხადით წარმოედგინა და შეესწავლა, რომ შეეძლო დაეხატა ისინი ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზზე განკვეთითაც. ჰხატავდა ყველგან, სახლში და სკოლაშიაც, რისთვისაც არა ერთხელ მიუღია „ბრძენ პედაგოგისაგან“ სასჯელი.

ვლადიმირს მაგიდაზე უდევს რვეული და ჰხატავს თავის შეყვარებულ გემებს და კრეისერებს. ირგვლივ ახვევია ამხანაგები და ასწავლის მათ სხვადასხვა ნაწილების სახელს, დანიშნულებას. მოწაფეები შორდებიან ირონიული ღიმილით:

— Вечно все тоже.. Чудак! —ხოლო გერმანელი ერთი მოწაფე, ფართო სათვალეებით, კარლოს ჰამერი, გულმოდგინეთ დასჩერებია ამხანაგის რვეულს და ყოველს ხაზის მოქნევაზე გამოწვდილ ენას, ნიშნად ღრმა თანამშრომლობისა და თანაგრძნობისაც, ხან იქეთ და ხან აქეთ ატრიალებს, ქსინავს და ნესტოებიდან მონაბერი ჰაერი ფშვინავს და სტვენს ვლადიმირის ყურის მილებში, როგორც დახატულ გემის საყვირი, სირენა. ვლადიმირი თავს განზე სწევს და ღიმილით ამოხედავს გერმანელ ბავშს.

Gut,. Gut! ამხნევებს ჩურჩულით კარლოსი.

---

კორნელი ყურს უგდებდა ვლადიმირის საუბარს. მეზღვაურის სახე გარუჯულია მზისაგან. კისრის ძარღვები ადიოდენ დაგრეხილ თოკებივით; ხანტოები—გათხრილი გვირაბები; ყბის ძვლები—აელვებული ხრიოგები კუნძულებისა, ზღვათ გაწვდილი; მათ აშუქებთ წყლისფერი, მჭრელი თვალები; თვალები ცივი და ფოლადივით მაგარი, ბასრი ალმასი, მინაზე გასაჭრელად დახაზული; ისინი ყოველთვის გასტეხენ მოპირდაპირეს..

ამ თვალებს ენატრებათ ზღვა და ოკეანებზე დიდი გემების ანძები გადაჭიმულნი ჯაჭვის თოკებითა და ბოლთებით, როგორც ძარღვები მუშათა კუნთში მავალნი..

ასეთის თვალების მქონე მეზღვაურებმა ჩაატარეს მეფის ტახტის დამხობა, კრონშტანდტის დღეები, ოქტომბრის რევოლიუცია.

კორნელი უცქეროდა ამ თვალებს, მუშათა სახეებს. შავი-ზღვის იქედ, ცის დასავლეთით იდგა ხანძარი და ანათებდა უცნაურ მგზავრებს. მათი სახეები აენთენ წითელის ფერით. ეხლა ყველა უცქეროდა ზღვას და სიჩუმეში, მუშების თავაწეულ ბრწყინვალე სახეებიდან წამოვიდა, კორნელის ნათლად მოესმა, სიმღერა შორეული, „ლოცვა ახალი“.

მუშათა დაძაბრულს ცქერაში გადადიოდენ მანქანათა ღვედები, ბორბლები და ძელები ჩქარის ტრიალით. თითქოს მუშები ყურს უგდებდენ თოფ-ზარბაზნების, დაზგებისა და დინამო მანქანათა გრიალს. მუშებს უჩანთ მაღლა აწვდილი ტყე ბოლსადენებისა, ქარხნები და ქალაქები, სადაც გაისმის ამხანაგების მხიარული, შრომის სიმღერები; მათ თვალებს მუდამ ელანდებათ არხები და გვირაბები, მთები განათებული ელვისოს ქსელით, რომელშიაც შედიან მატარებლები ქშენით. თავის ქალის შუბლის ძვლის იქედ წამოჭრილი „წყეული კითხვები“ მშვიდობიანად ჩატარებულან და მათ უცვნიათ ისინი, როგორც ადამიანთათვის სრულიად არა საჭირონი!

კორნელიმ ისევ შეჭყარა წარბები და მიაჩერდა ამ მისთვის უცნაურ საზოგადოებას.

აგონდებოდა მას თვისი ლოცვა, „ლოცვა მზის გარდაცვალებაზე“ და „ლოცვა ახალი“ მუშათა.

ცხადათ იგრძნო, რომ ეს ადამიანები ეკუთვნოდენ სრულიად ახალ ქვეყანას, რომელთაც აი, აქ, დღესავე, ამ დღის სინათლეზე სურთ მსოფლიო—ისტორიული, მართალი საქმის შესრულება მთელის თავის არსებით, მთელის თავის შეგნებით.

---

შავი ზღვის ტროპიულ მცენარეებით დაფარულს ნაპირზე მიჰქროდა მატარებელი.

ფანჯარასთან ისხდა მდუმარეთ ვიღაც კაცი; სახელი მისი—კორნელი.

კორნელის ირგვლივ საუბრობდენ მუშები თანამედროვე ტეხნიკის მიღწევებზე, შრომის ნაყოფიერებაზე. მუშები იყვნენ რუსეთიდან: ოქტომბრის შვილები.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**სიმონ ჩიქოვანი**

# ოქტომბერიდან 27-დე

(ადგილები პოემიდან)

## I

მე მაშინ კიდევ მოწაფე ვიყავ
და გული მქონდა გაკვეთილივით.
17 წელი ტრიბუნებზე განარიყავი
და ყაზარმები გამოკეტილი.
ტყვიის სახლებთან გავარდა თოფი,
შემდეგ დაეცნენ ჩექმის საწყობებს,
გაჩნდა ხანძარიც, დაიწყო შფოთი
ახალ ბრძოლებით მოწყურებული.
და ბელადები როგორც ფრესკები
წაშალეს ბრბოდან დაისრულები.
„ქალის კაბაში გარბის კერენსკი
მისი ბედია შესრულებული“
ბოლშევიკები სცვლიდენ ესერებს,
სადგურებიდან ოხში დიოდა.
და შრომის მკერდი ჩამოსერილი
მინდვრებს ბრძოლებზე გადაკიოდა.
ვით დამხობილი დიდი კვარტალი
ისე ღმუოდა წელი ქებული;
აზრები კრთოდა ქრუანტელივით
და ცანყდებოდენ ქალაქებივით
ჩვიდმეტი წლიდან დოშა დახარეს,
ხიდთან ესროლეს ჯარის ფარაჯას
შემდეგ ღლეებმა,
შეშლილებათ გადიხარხარეს
და დარჩნენ სახლნი გარუჯულები.
ასე მოვიდა შფოთი მტკივანი
და მებრძოლები კალთით მოისვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურთის ბგერებით ქუხდა მდივნაი
და კაპასობდა ვილაც ქალი.
ჩარექოვისა.

მე ბავშვი ვიყავ კიდევ კეთილი
და მაწუხებდა პარტა ფიცრების.
უცქერდით ამ დროს გაკვეთილიდან
და ვჯგუფდებოდით ოფიცრებივით.
ცხოვრება იყო ხლართული მაშინ
წიგნით ვიგებდით დღეებს წლებისას.
მე იმედები მცემდენ კეფაში.
და ვერ გამეგო
არჩევანი—პიროვნებისა.

II

მე მახსოვს ერთხელ სასწავლებლიდან
გაზეთებისთვის გამოვიარე.
მოქალაქენი იდგნენ ძვლებივით
და უცქეროდენ სარკმლის იარებს.
მხოლოდ მოვიდა გორკის გაზეთი
და მეთაურათ ქონდა ჭრილობა:
„ბოლშევიკებმა ბრძოლით გარეკეს
დამფუძნებელის წევრთა ყრილობა".
და გორკი დარბის გამოარკვიოს
სად მიდის ტალღა ცეცხლის ცინცხლებით,
იგრძნობს თუ არა მუშა მსოფლიოს
და სულში როდის გამოვცოცხლდებით?
და ვილაც გოგოც სროლაში მორბის
უჩვენებს მწერალს ქარხნებისაკენ.
იქ ჩვენებია—ამტვრევენ ბორკილს
და მაგრდებიან გმირთა სანგრები.
და გოგოც მორბის. სროლაში კივის
გამოარკვიოს „ჩვენი" სურს გორკის.
ირგვლივ სუნია ტყვიის და რკინის
და ქარხნებიდან ზღვაური ბორგავს.
ის-კი შერყეობს „ვინ არის ჩვენი"
ლენინის აზრი თუ მარტოვისა;
და ვერ ღებულობს თრში არჩევანს
და ახლავს პლაში სიმარტოვისა.
მოხდა რაც უნდა რომ მომხდარიყო
და საძირკველი ინგრევა ძველის
ის დასდევს ქუჩებს სახე გამხდარი
და დასცინიან დღენი ძვლებივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩვენებია?
ქუჩაში მუშა შეეკითხება
უთითებს სროლას—ბრძოლის მარწუხებს;
ჩამოდის ნისლი ქალაქს კათხებათ
და გორკი ვერვის ვერ უპასუხებს.
თმა გაწეწილი ქუჩებში დარბის
მოზდევს ქარხნების ჩონჩხთა კრებული
ქალაქს გადუკრავს ელექტროს წარბი
ბრძოლით და სროლით აკივლებული.

—

„ახალ ცხოვრების“ ბოლო გაზეთში
გორკი დიდ დღეებს ასე აღწერდა
მოსკოვის ქუჩებს სისხლით გაზეთილს
ქონდა იმედი ჩამორწეული.
დახავსებული აზრების ფოკვი
ჩაძირულიყო წლებში ტომრობით.
ოქტომბერს უკან მიზდევდა გორკი
და ეშინოდა გაოქტომბრების.
მეორე კლასის მახვილ მოწაფემ
ასე გაიგე ოქტომბრის დღენი
ბრბო გამოიქცა დაწაფებული
და ქვას დაარტყა რაინდის ცხენი.
აქ პოლიტიკა დაშორდა მელანს
და მინისტრებიც დარჩენ ლურსმნებათ,
ყველგან მოიხსნა ეშელონები
და პოზიციაც ოსმალეთიდან.
ჯარისკაცები მინდვრებს მოედვნენ
ცა დაიყარეს შაბიაბანათ
სიტყვები უთხრეს გაშლილ მოედნებს:
გვსურსო ცხოვრება მშვიდობიანი.

V

ეხლა დავდექით მწერლის სახელით
და ვადგენ აზრეეს ბრძოლით დარღვეულს;
მე ყურში მესმის გულის ძახილი
და ჩუმი ფეთქვაც ჩემი ძარღვების.
განვლილ ქვარტლისგან აზრი დაღლილი
დაითვლის ამ წლებს რიცხვით ათამდე:
ასეთი დროა დღეს გადავლილი
პეტერბურგიდან—ლენინგრადამდე.
რევოლიუციის ბორბალს გაქცეულს
მოურბენივართ სადგურზე დროის:
თითქოს გვეპიროს დღენი მარცვლებათ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოტორებათ მივდევდეთ როის.
ვით ჭიქებისგან თლილი მავრები
ღამე იმტვრევა ქუჩის კბილებზე
ელექტრონია გამრავლებული
კომუნიზმსა და სინამდვილეზე.
მუდამ ვამბობდი ნივთი ავაგოთ
რათ გვინდა ლექსით სულის ზნეობა
შრომის ბრძოლაში გული წავაგოთ
გვეძახის ქვეყნის მეურნეობა.
სულის ფათურში არ გეცილებით
მემარცხნეებო საქმე ალანდეთ
ყველგან გასწორდა გზა ტკეცილები
და მარშით ვივლით დარიალამდე.
ჩემი ლექსები ხალხში დარგულა
როგორც სხივები დილის მდელოზე
გზები მე უკან არ მეგულება
და პოეტი ვარ დღევანდელობის.
გაიგეთ მეთქი — აიღეთ ჩრდილი
უნახეთ ძალა ამ წლებს ათამდე.
ასეთი დროა დღეს გადავლილი
პეტროგრადიდან — ლენინგრადამდე

ლეო ქიაჩელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სისხლი

## რომანი

(გაგრძელება *)

### XXIX

მატარებელი სუფსას უახლოვდებოდა, როცა გათენდა.

არჩილს მთელი ღამე არ სძინებია. როგორც კი დღის სინათლემ კუპეში შემოატანა, იგი თავისი ადგილიდან წამოდგა და ფანჯარასთან დადგა. ფრთხილად გადასწია ერთი მხრით ფარდა, რომ შალვა არ გამოეღვიძებინა, და უძინარი დაღლილი სახე გარედ გაიტანა, მიმავალი მატარებლის გაყოლებაზე სხლეტით მქროლავ ჰაერს შეუშვირა.

ცაში უფეროული ლაქის მსგავსი ღრუბლები ირეოდენ.

ძირს, ვაკეთ დაცემულ მიდამოს, აქა-იქ უკვე მოჭრილი სიმინდის ყანები ძველი და გახუნებული ფარდაგივით გადაფარებოდენ.

ფანჯარაში სინესტით გაჟღენთილი დილის სიგრილე შემოდიოდა.

არჩილს თამბაქოს ბოლებისაგან პირი ჰქონდა გამომწვარი. ამიტომ სინესტეს ხახადაღებული ჰყლაპავდა და წყალივით პირში იგუბებდა, რომ გამოერეცხა.

თავი ქვასავით მძიმე ჰქონდა. იგი უცხო რამ საგნად ეჩვენებოდა, რომელიც აწუხებდა. იდაყვები ფანჯარაზე დაეყრდნო და ორივე მკლავი ნიკაპთან ისე შეებჯინებინა თავქვეშ, როგორც სვეტები. ამნაირად ვითომ კისერზე თავი შეემაგრებინა, რომ არ გადავარდნოდა.

უძილო ღამის განმავლობაში, მატარებლის ერთფეროვან რახა-რუხს აყოლებული ერთი და იგივე ფიქრი იმაზე, რაც მის ახლანდელ მდგომარეობას შეეხებოდა, ათასჯერ ეფიქრა და გადაეფიქრა. ახლა კი თითქოს აზროვნების უნარი მოკვეთოდა და ისე იყო განწყობილი, რომ ამავე საგანზე ფიქრი ტვინის აუტანელ ტკივილს გვრიდა.

ერთი გრძნობა კი აწუხებდა გარკვეულად და მისგან გული ულონდებოდა. მაგრამ იცოდა, რომ მაინც ვერაფერს ვერ გახდებოდა და ბედთან შერიგებულ

*) იხ. „მნათობი“ № 8–9.

ტყვესავით ამ გრძნობასაც გულშივე იკლავდა.—ეს იყო ანდრო ქარიყაძის გამოურკვეველი მდგომარეობა.

არჩილს მასთან არ დასცალდა ერთად ყოფნა და გულდაწყვეტილი ლაპარაკი. ციხიდან გამოქცევის შემდეგ სულ რაღაც ორ-სამჯერ ნახა რამდენიმე წამით და ისიც სხვების თანდასწრებით.

ამ შეხვედრიდან არჩილს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ანდრო უფრო გაურბოდა მას, ვინემ სცდილობდა მასთან დარჩენილიყო. რაღაც აჩქარება ეტყობოდა და უჩვეულო მოუთმენლობა. არჩილს ანდრო ახლა გაცილებით უფრო გულჩახვეული მოეჩვენა, ვინემ ბუნებრივად იყო იგი. თითქოს ისიც კი შენიშნა, რომ რაღაცას მალავდა მისგან და გულის კარი დახშული ჰქონდა.

ნეტავა, რას უნდა გამოეცვალა აგრე რიგად ანდრო? ან რა საიდუმლოება უნდა ჰქონოდა გულში, რომ არჩილთან თავი ასე უცხოთ დაეჭირა?

იმის წარმოდგენაც ეძნელებოდა არჩილს, რომ ანდროსა და მას შორის ოდესმე ნიკო ჩადგებოდა და მისი სიყრმის მეგობარი ამ „საშიში“ კაცის მესაიდუმლე გახდებოდა.

აბლანდიას მოკვლის შემდეგ კი ერთხელაც არ მოხერხდა არჩილისა და ანდროს შეხვედრა.

არჩილმა აბლანდიას მკვლელობისა ის იცოდა მხოლოდ, რომ ეს პარტიის მიერ გადაწყვეტილი და მოწყობილი საქმე იყო, მაგრამ თუ მკვლელი ანდრო იყო, ამის შორეული ეჭვიც არ დაბადებია.

ამ ტერორისტული აქტის შემდეგ არჩილს ვასოს გარდა სხვა ამხანაგი არც უნახავს, რომ ციხიდან გამოქცევის ამ მნიშვნელოვან ეპიზოდის წვრილმანი გაეგო. წამოსვლის წინ ვასოსთან კი ჰქონდა ხანმოკლე საუბარი, მაგრამ იგი სულ სხვა საგანს შეეხებოდა. მერე, როცა არჩილმა ანდროზე სიტყვა ჩამოუგდო ამხანაგს და სთხოვა მისდამი განსაკუთრებული ყურადღება მიექცია, ვასომ ის აცნობა, რომ იგი ამის საშუალებას იყო მოკლებული, რადგანაც ანდრო ნიკოს ბათომში მიყავდა იმავე მატარებლით, რომლითაც შალვა და არჩილი უნდა გამომგზავრებულიყვნენ.

„მგონი შენი გაცილება უნდათ... ნიკომ მითხრა, გზაზე თვალყურს ვადევნებთო, ხოლო ბათომში კი უეჭველად ვნახავთო“...

ამ ინფორმაციასთან ერთად ვასომ არჩილს ბათომელ ამხანაგების მისამართიც გადასცა ყოველ შემთხვევისათვის.

არჩილს ახლაც ის შიში ჰქონდა ანდროსათვის, რასაც იგი მისი ქუთაისში მოულოდნელი ჩამოსვლის შემდეგ განიცდიდა:—ეს იყო ანდროს ნიკოსთან დაახლოვების საშიშროება და ის უეჭველი გავლენა, რომელსაც მისი გამოუცდელი მეგობარი ვერ ასცდებოდა, თუ ნიკოსთან დროზე კავშირს არ გასწყვეტდა.

არჩილს ეს შიში პარტიული თუ ფრაქციული მოსაზრებით არ იყო გამოწვეული. მას ანდროსადმი მშობლიური რამ გრძნობა ჰქონდა და უმთავრესად იმისი ეშინოდა, რომ ნიკოს „გზაზე“ დადგომა ანდროს უთუოდ ფიზიკურადაც დაღუპავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რა ღონისძიებისათვის მიემართნა ამ მდგომარეობაში მყოფ არჩილს, რომ ანდრო აშკარა უბედურებისაგან გაერიდებინა?

ცხადი იყო, თუ აქ ყოფნის დროსაც კი მას, ნიკოსა და არჩილის დაახლოვებისათვის ხელი ვერ შეეშალა, რუსეთს რომ წავიდოდა, იქიდან სულ რა გავლენის მოხდენას შეიძლებდა.

„აი, ერთიც ჩემი ხელით განწირული, რომლისათვის ყველაზე უფრო დიდი პასუხი მომეთხოვება"... ფიქრობდა არჩილი.

კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა წრეშიც მოხდებოდა ანდრო ბათომში, ნიკოს ამ ძველ ბუნაგში, და ფოთელი სამსონას კვალობაზე რა სწრაფად დაქანდებოდა იგი დაღუპვის გზაზე...

„უეჭველია: სამსონას ბედი მოელის ანდროს... თუ არა უარესი"...

და არჩილს ჯავრი მოდიოდა, რომ იგი უძლური იყო, რაიმე ცვლილება შეეტანა შექმნილ მდგომარეობაში, და ერთიმეორეზე რაღაც უაზროდ წაწყობილი გარემოებათ ასე ბრმად უნდა დაემორჩილებოდა.

მაგრამ უცებ თავში აზრმა გაუელვა:

— მოდი, თან წავიყვან ნდროს რუასეთში და იქ ჩემთან ვამყოფებო...

სიხარულით წაეტანა ამ აზრს. შესაძლებლად მოეჩვენა მისი განხორციელება.

მართლაც, რატომ არ შეიძლებოდა ანდროს თან გაყოლება?— როგორც თვითონ არჩილს, არც ანდროს ეწერა შუბლზე, თუ ვინც იყო ნამდვილად, და რა დაუშლიდა?

ამ აზრის გარშემო არჩილს ფანტაზიაც აუთამაშდა.— წარმოიდგინა, თუ როგორ მოაწყობდა მეგობარს მოსკოვში, ხელს გამოიღებდა და მისგან შესანიშნავ ადამიანს გამოიყვანდა: მასწავლებლად დაუდგებოდა, მოამზადებდა, სტუდენტების წრეში გარევდა, განავითარებდა და რამდენსამე წელში, შესაძლებელი იყო, მისი ანდრო ნამდვილი სტუდენტიც გამხდარიყო.

„რა გადაულახავია მაინცა-და-მაინც გიმნაზიის კურსი?...

„აი, ეს კი მესმის... ეს, მართლა დიდი ამბავია... ანდრო უნივერსიტეტს დაამთავრებს და...

აღტაცებით ამბობდა გულში არჩილი და ის კი სულაც დავიწყებოდა, რომ დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც თვითონ მას სულ სხვა ცხოვრების მიზანი ჰქონოდა დასახული, რომ აქტიური პარტიული მუშაობისათვის თავის განებება არ უნდოდა და უნივერსიტეტის გარდა ცაცას სიყვარულსაც კი სთმობდა, ოღონდ კი ფოთის ორგანიზაციაში, ერასტო გერგაძესთან ემუშავნა, ნაბადას დაუშრეტელ ქაობში.

მოუთმენლობა ეტყობოდა. უნდოდა მალე დალეულიყო ეს დაუსრულებელი გზა, რომ ბათომის სადგურზე ანდროს შეხვედროდა.—გადაწყვეტილი ჰქონოდა, სადგურიდანვე თავის ბინაზე წაეყვანა იგი და აღარ მოეშორებინა, სანამ გემში არ ჩასვამდა.

ფიქრობდა, ამნაირად დაეხსნა მეგობარი ნიკოს ტყვეობიდან.

ამ განზრახვის შესრულება მხოლოდ ერთ რასმე შეეძლო დაებრკოლებინა: თვათონ არჩილს ამ ჟამად ფული არ ჰქონდა და რუსეთს შალვა რამაძის ხარჯზე მიემგზავრებოდა. უხერხულად ეჩვენებოდა, კიდევ სხვა კაცისაც [illegible] ამავე რამაძის ხარჯზე. დარწმუნებული კი იყო, რომ შალვა უარს არ ეტყოდა, მაერამ თქმა მაინც ეძნელებოდა.

ახლა კიდევ ეს გარემოება აწუხებდა.

დანაღვლიანებული თვალებით გასცქეროდა დილის ნისლში გახვეულ მიდამოს, რომელიც ბზრიალასავით ტრიალებდა მისთვის მატარებლის ჩაქროლებისაგან და არჩილის ფიქრებსა და გეგმებში გარევას სულაც არ აპირებდა.

უკვე დღის სინათლეც იშლებოდა.

აქა-იქ, შორი-ახლო სოფლებიდან სიმინდის მოსაწევად წამოსული გლეხები თავიანთ ყანებისკენ მიეშურებოდენ, ზოგგან კალათებით მხარზე, ზოგგან ურმებით, ზოგგან ქალებისა და კუდ-ბუთქა ძაღლების თანხლებით.

მატარებლის დანახვაზე კაციან-ძაღლიან შესდგებოდენ და გაჭენებულ მაშინას ხელ-ჩამოფარებულ თვალებს გაკვირვებით გააყოლებდენ.

„ალბად ასე იქნებოდა გუშინ და წინადაც. ასე იქნება ხვალ და ხვალზევითაც".—შეერია ფიქრებში არჩილს.—„აქ კიდევ სხვა ცხოვრება... სხვა აზრები და ფიქრები... დღეში რომ ათასჯერ ჩაიქროლოს მატარებელმა, ისინიც ათასჯერ შესდგებიან და ათასჯერვე გაკვირვებით თვალებს გააყოლებენ: —ჰა, შეხედე, რამ ჩაგვიარაო,—მეათასეჯერ გაიფიქრებენ, თითქოს მატარებელი სულ პირველად ნახესო და ისევ თავიანთ საქმეს განაგრძობენ".

და არჩილს მოულოდნელად ისე მოეჩვენა, თითქოს როგორც თვითონ ის, ისე მთელი მისი ამბავიც ცხოვრების წინაშე ჩაქროლებული უცხო მატარებელი ყოფილიყოს, რომელიც „ჰა, შეხედე, რამ ჩაგვიარაო"-ზე უფრო ღრმა კვალს ხალხის შემეცნებაში ყერ დასტოვებს.

მატარებელი რომ ერთ მხარეს გარბოდა, ყანები კიდევ მეორე მხარეს მირბოდენ.

მუშების რიცხვს კი თანდათან ემატებოდა. ერთ ყანაში რომ სამი-ოთხი მუშაობდა, იქვე შემდეგს ათი და მეტიც ქალი და კაცი შესეოდა. კიდევ მოდიოდენ და მოდიოდენ.

სურათი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს მთელი ხალხი, დიდიან-პატარიან, ჭიანჭველასავით უხვი ნადავლის გასანაწილებლად გამოსულაო და ხელ-ფეხ-დაკაპიწებული ერთმანეთს ეჯიბრება, თუ ვის რამდენის აღება შეუძლია.

„ბოლოს-და-ბოლოს, იქნება, ეს არის ნამდვილი ცხოვრება, და ჩვენი ამბავი კი უმნიშვნელო ფუსფუსია, ზღაპარი რამ, შედარებით ამ მარტივ, უბრალო, მაგრამ ნამდვილ და საარსებო საქმესთან, რომელიც დღითი-დღე გაუხმაურებლად კეთდება აქ, ცხოვრების ძირეულ ფენში, ამ უჩინარი და უსახელო ხალხის მიერ,"—განაგრძობდა ფიქრს არჩილი.

„შესაძლებელია, ამათ მიერ მოწეული სიმინდის ერთ ტაროსაც კი მეტი ფასი ჰქონდეს ცხოვრებისათვის, ვინემ ყველა ჩვენს მაღალ ფიქრობს, რომელიც ბოლოს, იქნება, ძალიან ტყუილიც კი გამოდგეს...

„ვინ იცის...

მაგრამ მალე სუფსას სადგურიც გამოჩნდა, და ყანები მის შენობებს ამოეფარენ.

არჩილს ფიქრები შეუწყდენ...

მატარებელი დადგა.

ბაქანზე სადგურის უფროსის წითელი ქუდი დატრიილდა და ზეზე-ნამძინარევი მოსამსხურეები ნალოთარებივით ამოძრავდენ.

ბაქანის თავში, განცალკევებით, აყლაყუდა, გრძელწვერიანი წითური ჟანდარმის ფიგურა ძეგლივით აიმართა და დამდგარი მატარებელი თვალების ერთი მოსმით თავიდან ბოლომდის დაღალა.

გარეშე ხალხი კი არ გამოჩენილა.

მატარებელსაც არ დაუხანებია. დადგა თუ არა, ისევ ქშინვით ფეხი აიდგა.

რამდენიმე ხანი კიდევ და ზლვის ლურჯი არშიაც ცის ტატნობს აეკრა.

. .

ბათომის სადგურზე კი მოულოდნელი უბედურება დატრიალდა.

გაშლილი დილა იყო, როცა მატარებელი სადგურს მოადგა.

არჩილმა ბარგი შალვას შეატოვა. უთხრა, ძირს გასავალ კარებთან დაგიცდიო, და კუპედან სასწრაფოდ გავიდა.

სანამ ორთქლმავალი დადგებოდა, ბაქანზე ჩამოხტა და სადგურის შენობის შუაკარებს მოაშურა, საიდანაც მგზავრები უნდა გასულიყვნენ.—ეშინოდა, ნიკო და ანდრო დროზე ვერ შეემჩნია, და ისინიც სადგურიდან ისე წასულიყვნენ, რომ გზაში შემზადებული გეგმა ჩაშლოდა.

კარებთან დადგა და რონოდებიდან ჩამომავალ მგზავრებს თვალიერება დაუწყო მატარებლის მთელ სიგრძეზე.

მესამე კლასის ერთი რონოდის კიბესთან ანაზდად რაღაც ჩოჩქოლი შენიშნა. ჩამოსული და დამხთური ხალხი უცებ უწესრიგოდ და რაღაც შფოთვით აირია ერთმანეთში, და ვაღაცამ ვიღაცას შეუტია ფოლადის ხმით:

— ხელები ზევით!

წრე გაკეთდა. უმალვე ჟანდარმებიც გაჩნდენ. მერე გაისმა რუსული ბრძაბა, და წრე ისევ შიშით დაიშალა.

არჩილმა ახლა როგორც ხელის გულზე ისე დაინახა რონოდის კიბიდან ოდნავ მოშორებით მდგარი, ხელები მაღლა აშვერილი ნიკო და მის გვერდით ანდრო, ესეც ხელებ-აწეული, რომლებსაც ორი ვინმე უცხო ზედ გულთან რევოლვერებს უმიზნებდა სასტიკი გაფრთხილებით:

— არ გაინძრეთ, თორემ..,

თითქოს უცებ გახმაო, ისე გაშეშდა არჩილი.

როცა დაინახა, რომ შეპყრობილ ამხანაგებს მალე ჟანდარმებიც ამოუდგენ გვერდში, არჩილმა თავი ვერ შეიკავა და, თუმცა არ იცოდა, თუ რისთვის

ბიბლიოთეკა

სჩადიოდა ამას, მათკენ პირდაპირ ნაბიჯი გადასდგა. მაგრამ ამ დროს ჯერ ნიკომ და მერე ანდრომაც შენიშნეს იგი. ორთავემ, შეთანხმებულ[illegible] თვალების გაფართოვებითა და უხილავი შეწყრომით ანიშნეს, მათგან თავი შორს დაეჭირა. ხოლო სანამ არჩილი გონს მოვიდოდა და შესდგებოდა, ნიკო და ანდრო საკომენდატოსკენ დასძრეს და იქაურობას მოაშორეს.

— „რა ამბავი, შე კაცო? რა ყაჩაღები გვნახე? თუ მიცანი, გეცოდინება, რომ არავინ არც მომიკლავს და არ გამიძარცვავს... გასაქცევი რა მაქვს? რაშია საქმე?" —მოჰკრა ყური არჩილმა ნიკოსმიერ ბაქანის ბოლოში ხმამაღლა, მაგრამ უწყინრად წარმოთქმულ პროტესტს.

შეშინებულმა შალვა რამაძემ ძლივს გაატნა შექუჩებულ ხალხში და, როგორც იქნა, არჩილამდის მიაღწია.

— არჩილ!—უთხრა ჩუმად, მაგრამ შემგონებელი საყვედურის გამომეტყველი თვალებით და წინ გამწყრალი დაუდგა. მკლავზე ხელი მოჰკიდა.—აქ რას შვრები, კაცო? წამოდი. —გვერდში ამოუდგა და გასავალი კარებისაკენ გამოიყოლია.

— იცი, შალვა, რა მოხდა?—ტუჩების აკანკალებით ჰკითხვა არჩილმა მეგობარს, როცა მცირე მანძილი გაიარეს, და ბავშივით თვალებში შეხედა: „თუ იცის, ასე დამშვიდებული რატომ არისო!".

— ვიცი... მაგრამ რას იზამ, ჩემო არჩილ?—და შალვამ ფრთხილად მიმოიხედა.—უარესი იქნება ხომ, რომ შენც მათთან დაგიჭირონ?.. წამოდი, აქ ნუ შევაგვიანებთ, თუ ძმა ხარ!

. .

შალვა და არჩილი სასტუმროში დაბინავდნენ, ნავთსადგურის პირდაპირ, სადაც რუსეთს გემით მიმავალი მგზავრები დგებოდნენ ხოლმე.

დაბინავებისთანავე მეგობრებმა გადასწყვიტეს ბათომის კომიტეტთან კავშირი გაებათ და ადგილობრივი ამხანაგებისათვის ნიკოს დაპატიმრების ამბავი ეუწყებინათ.

არჩილი ზოგს ბათომელ ამხანაგს დაახლოვებითაც იცნობდა. ვასოს მიერ ქუთაისში გადმოცემული მისამართების გარდა, თვითონაც იცოდა ზოგიერთის ბინა.

მაგრამ კიდევ რომ რაიმე უბედურება არ შემთხვეოდათ, შალვამ არჩილს ოთახიდან გამოსვლა აუკრძალა. თვითონ იკისრა საჭირო ამხანაგებთან წასვლა და მათი მოყვანა არჩილთან.

გაიგეს თუ არა ციხიდან გამოქცეული დადიშიანის ჩამოსვლა და ნიკოს დაპატისრება, ბათომელი ამხანაგები ფეხზე დადგნენ.

ამუშავდა პარტიის ყველა აპარატი.

ნაშუადღევისთვის უკვე გამორკვეული იყო, თუ რა პირობებში მოხდა ნიკოს დაპატიმრება და ისიც, დაახლოვებით, თუ რა ბედი მოელოდა მას.

ამხანაგებმა დაწვრილებითაც აცნობეს არჩილს საქმის ვითარება:

ნიკო გზაში შემთხვევით ეცნო ბათომის საიდუმლო პოლიციის ერთ ცნობილ აგენტს, რომელიც ნიკოს მტრად ჰყავდა გადაკიდებული ჯერ კიდევ იმ

დროიდან, როცა ბათომში როტშილდის ქარხნები მუშაობდენ და რევოლიუციონური მოძრაობა საქართველოში პირველად ფეხს იკიდებდა...

მაგრამ ერთად-ერთი ბრალდება, რომლის წამოყენება შეეძლოთ ბათომის ადმინისტრაციას ნიკოს წინაალმდეგ, იყო მისი ძველი რევოლიუციონური მოღვაწეობა.

ბათომის კომიტეტის ინფორმაციით, ნიკოს ერთად ერთი სასჯელი მოელოდა: ადმინისტრატიული წესით გადასახლება.

— რაც შეეხება მის თანამგზავრს, ვინმე სანდრო გერგაძეს,—აუწყეს ადგილობრივმა ამხანაგებმა არჩილს,—მას ბათომის პოლიცია სრულიად არ იცნობს და, ალბად, გულმოდგინე ჯაშუშმა ყოველ შემთხვევისათვის შეიპყრო, როგორც ნიკოს ამყოლი... ვინაობის გამორკვევისთანავე, აალბად, განთავისუფლებენო.

არჩილმა საქმის გამორკვევამდის ბათომში დარჩენა მოისურვა. მაგრამ ეს არ ურჩიეს ამხანაგებმა.

— რაკი მიდიხარ საქართველოდან, დღესვე წადიო,—უთხრეს·—თუ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება შესაძლებელი იქნება, ამას უშენოდ უკეთ გავაკეთებთო.

მოტანილმა ცნობამ დიდად დაამშვიდა არჩილი: რადგანაც ნიკოს და ანდროს შეპყრობა არც ფოთისა და არც ქუთაისის ამბებთან არ იყო დაკავშირებული, საქმის გამოსწორრება ადვილად შეიძლებოდა.

მან ფიცხლად დისწერა წერილი დიდ-ვასოსთან. შექმნილი მდგომარეობა აცნობა და სთხოვა საქმის სასწრაფოდ მოგვარება.

უმთავრესად იმას სთხოვდა, რომ როგორც კი მის „ძიძიშვილს,“ სანდრო გერგაძეს, იმავე ანდროს, გაანთავისუფლებდენ, მაშინვე დეპეშით ეცნობებია მისთვის მოსკოვში. ხოლო მისგან პასუხის მიღებამდის თავისთან წაეყვანა და ნიკოსთან არ დაეტოვებინა.

როცა მოსკოვის მისამართი უნდა მიეწერა, კალამი შეუჩერდა და შეფიქრიანდა. შალვას ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო.

— ცაცას მისამართი ჩაუწერე... ცაცას მისამართი.. ასე სჯობია!—მიეშველა შალვა.

არჩილის ხელი ოჩანი ცხენივით შედგა ქაღალდზე. თითქოს არ უნდოდა ამ სახელის დაწერა. მაგრამ სხვა გზა არ იყო.

როცა დასწერა, უნებლიედ დააკვირდა დაწერილს. ეუცხოვა. მოეჩვენა, რომ ძალიან უცნაურად ეწერა „ცაცა“. თითქოს ოთხივე უსწოროდ მოხაზული ასოდან ცაცას ელამი თვალები დაცინვით შემოსცქეროდნენო.

საჩქაროდ დაკეცა წერილი.

ახლა შალვა რამაძე დაფაცურდა. სასტუმროს კომისიონერს ორი ბილეთი შეუკვეთა ოდესამდის.

მერე ტელეგრაფში გაეშურა და მოსკოვს ცაცას სახელზე დეპეშა გაგზავნა:

— მოვდივარ ამეღამ ბათომით და ოდესით. ოთახი დაიქირავე ორისთვის და ბე მიეციო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილმა ამასობაში დედასთანაც წერილი დასწერა. მშვიდობით გადარჩენა აცნობა და კარგად ყოფნა. სთხოვა არ შეწუხებულიყო და მისთვის არ ეჯავრა.

„ჩემი გასაჭირი ახლა ფული არის და თუ ორას მანეთს მომაშველებ, მიხსნიო."

დედასაც ფულისა და წერილის გამოსაგზავნად ცაცა რამაძის მისამართი მისწერა.

ეს წერილი კონსპირაციისათვის მახლობელ დაბაში გაგზავნა ერთი საიმედო ნათესავის სახელზე, რომელსაც ცალკედ სთხოვდა მის დანიშნულებისამებრ საიდუმლოდ გადაცემას.

შუაღამე იქნებოდა, როცა მეგობრები შავი ზღვის ერთ-ერთმა დიდმა გემმა ბათომიდან მშვიდობით გაიყვანა.

## XXX

არჩილმა და შალვამ გემში სრული უშიშროობა იგრძნეს. თავი ცალკე საკანში ჩაიკეტეს. დილამდის იძინეს.

როცა გათენდა, პირველმა შალვამ გამოიღვიძა. ტანთ ჩაიცვა და საკანიდან გემის ბანზე გავიდა.

დილის ნისლი ჯერ კიდევ ჰბურავდა ჰორიზონტს. შალვამ ძლივს მიაწვდინა თვალები შორეულ ნაპირებს.

ვერ გაარკვია, თუ სად იმყოფებოდნენ. იკითხა.

— ერთი საათი არ იქნება, რაც ფოთი დავტოვეთო, უთხრეს.

შალვა ისევ საკანში ჩავიდა და ეს ამბავი არჩილსაც აუწყა.

მეგობრებმა ამჯობინეს საკანში დარჩენილიყვნენ, ვიდრე საქართველოს საზღვრებს არ გასცილდებოდენ.—იცოდენ, რომ ამ ხაზზე, განსაკუთრებით სოხუმამდის, ბევრი ადგილობრივი მკვიდრი მოგზაურობდა. შესაძლებელი იყო, არჩილი ვისმე ეცნო, რაც დიდად მოსაფრთხილებელი იყო.

ნასაუზმევს, შალვა რამაძემ ჩანთიდან წიგნები და რვეულები ამოალაგა, რომლებიც გზაზე სამუშაოდ წამოეღო, და საწოლზე, საკანის სარკმელთან, ჩამომჯდარი ფანქრით ხელში კითხვას შეუდგა.

ფიქრობდა, ის დრო გზაში მოეგო, რაც ქუთაისში არჩილის განთავისუფლებაზე დაეკარგა.

რაც ამ ზაფხულისთვის სამუშაო ჰქონდა გათვალისწინებული, ვერ მოეთავებინა და გულნაკლული იყო. გარდა არჩილის დაპატიმრებისა და ამასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობისა, ადგილობრივი გაზეთის შეკვეთით წერილების წერასაც ბევრი დრო წაერთმია. დიდი შრომა კი, რომლის დამთავრება ამ ზარხფულს ჰქონდა განზრახული, ოდნავადაც წინ ვერ წაეწია.

ამ შრომით რამაძე ძალიან გატაცებული იყო. წელიწადზე მეტი მისთვის მხოლოდ მასალებს აგროვებდა. ჩუმად მუშაობდა და შრომის დედააზრს არავის უმხელდა. ეს ისტორიული ხასიათის შრომა იყო, რომელსაც, ავტორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენით, ახალი შუქი უნდა მოეფინა საქართველოს ისტორიის ზოგ ბნელით მოცულ საკითხისათვის.

არჩილმა რომ მეგობარი წიგნებში გართული ნახა, თვითონაც წიგნი მოენატრა.

შალვას ნებართვა სთხოვა და მის წიგნებს გადარჩევა დაუწყო.

— სულ ისტორიაა... მერე კიდევ საქართველოსი... გაინტერესებს?—ჰკითხა რამაძემ.

— მეც სწორედ ამჟამად ეს მაინტერესებს ყველაზე უფრო... —უპასუხა არჩილმა და ერთდროულად, ნანატრსავით, ზ. ავალიშვილის რუსულ წიგნს— „საქართველოს რუსეთთან შეერთებას“—მოჰკრა თვალი.—აი, მაგალითად ეს... უთუოდ უნდა წავიკითხო...—გაუხარდა და წიგნი ხელში აიღო.

— რა ამბავი! საქართველო ასე რამ მოგაწყურვა?—ეჭვის თვალით ახედა შალვამ მეგობარს.

— განზრახვა მაქვს, ჩვენი ისტორია შევისწავლო... მე მგონია, ამის უფლება არა ნაციონალისტსაც აქვს!..

— მოსაწონი განზრახვაა... ავალიშვილის შრომა ძალიან სერიოზულია. მაგრამ უნდა გაგაფრთხილო: სოციალ-დემოკრატიულს მასში ვერაფერს ვერ ნახავ.—სთქვა შალვამ და მერე ნახევრად სერიოზულად და ნახევრად დაცინვით დაუმატა:—კლასთა ბრძოლის პრინციპი ავტორს გამოყენებული არა აქვს!

— მე მინდა მხოლოდ ფაქტები.—ვითომ ვერ მიუხვდა დაცინვას არჩილი.

— მართლა, შენ, მგონი, ნაკლებად იცნობ ჩვენს ისტორიას.

— სამწუხაროდ... მაგრამ ზოგადი წარმოდგენა კი მაქვს... მე მგონია ეს წიგნი ძალიან გამომადგება... ხომ შეიძლება?

— რატომ არა?... წამოწექი და იკითხე ამბავი ესე, თუ როგორ წაიშალა უკანასკნელად ჩვენი სახელი ისტორიაში...—ამოხვრით წააგრძელა შალვამ.

მერე პაპიროსი ამოიღო. გააბოლა. არჩილსაც მიაწოდა.

მცირე ხნის პაუზის შემდეგ სახის საიდუმლო გამომეტყველებით გადახედა არჩილს და განაცხადა:

— მე კი, ჩემო არჩილ, იმის ძიებას განვაგრძობ, თუ როგორ წაიშალა სულ პირველად იგივე სახელი ისტორიაში.. იმედია, ხელს არ შეუშლით ერთმანეთს.

არჩილი ვერ მიხვდა ამ სიტყვების აზრს, ცოტა არ იყოს შეოცებულად შეხედა შალვას და სიჩუმე ჩამოაგდო. მის პირდაპირ დაჯდა. ავალიშვილის წიგნი გადაშალა. პირველ გვერდზე თვალები გადაარბენინა.

— კი, მაგრამ ის პირველი წაშლა რომელია, კაცო?—ვერ მოითმინა და ერთი ხნის შემდეგ მოულოდნელად ჰკითხა მან მეგობარს.

— აი, შენ რომ ახლა „წაშლას“ წაიკითხავ, იმის შორეული სათავე... ჩვენი ტრაგედიის დასაბამი...—უპასუხა ქარაგმულადვე შალვამ.

კვლავ გაჩუმდა არჩილი. მაგრამ კიდევ არ ეყო მოთმინება და სიჩუმე მალე დაარღვია.

— მაინც არ მესმის, შალვა... თუ ერთხელ „წაიშალა“, მერე კიდევ... საიდან გაჩნდა?—ჰკითხა.

— ეს ჩვენი მოდგმის საიდუმლოებაა, ჩემო არჩილ... მაშ ალბათ, სიკვდილი არ უწერია...

არჩილმა საბოლოოდ დაჰკარგა იმედი რამაძის სიტყვების საიდუმლო აზრის გაგებისა. უკმაყოფილოდ მოაშორა მას თვალები და ისევ წიგნს დაუბრუნდა.

შალვამაც თავის რვეულებს მიჰყო ხელი.

კარგა ხანმა გაიარა სიჩუმეში.

მაგრამ არჩილს ემჩნეოდა, რომ აღძრული კითხვა ძალიან აინტერესებდა და მის შესახებ შალვასთან აზრის გაცვლა უნდოდა.

ავალიშვილის წიგნის წინასიტყვაობა რომ წაიკითხა, თავი აილო წიგნიდან და შალვას მიმართა.

— ამ ბოლო დროს, წარმოიდგინე, ერთმა საკითხმა ძალიან დამაინტერესა, შალვა... დამაინტერესა სახელდობრ იმან, თუ რატომ მოხდა, რომ... მაგრამ აქ წაბორძიკდა და სიტყვა დაეკარგა, თითქოს რაღაცის შერცხვაო, წამოწითლდა კიდევაც. მაგრამ ისევ აიდგა ენა და შალვასთვის სრულიად მოულოდნელად აზრი თამამად ასე ჩამოაყალიბა:—რატომ მოხდა მეთქი, რომ საქართველომ ისტორიის დაბრკოლებანი ვერ გადალახა და დიდი ერის ძლევამოსილება მისთვის მიუღწეველი შეიქმნა?..

ამის გაგონებაზე შალვას თვალები ისე გაუფართოვდენ, თითქოს მის წინ უდიდესი სასწაული რამ მომხდარიყოს. უჩვეულო გაკვირვების გამოსახატავად მან თავი უცებ ძირს დასწია და ასე ქვემოდან გაოცებით ამოხედა არჩილს.

— ეს შენა ხარ, ბრუტ?—ჰკითხა მოფერებიანი ხმით.

მერე ისევ გასწორდა. ცხვირზე პენსნე შეიმაგრა და არჩილს მოცინარი თვალები მიაპყრო.

— ყოჩაღ, არჩილ!—უთხრა შექებით.—გიფიქრნია, გეტყობა... ეს კარგი ნიშანია... თქვენებური ტრაფარეტით რომ ვსთქვა, ეროვნული მომენტი ძალიან შეჭრილა შენს შეგნებაში... მეორედ არის, რომ მაკვირვებ... რადგანაც ასეა, სიამოვნებით ვიმსჯელებ ამ საგანზე შენთან... უნდა გითხრა, რომ ეს ერთი ხანია, რაც მეც არსებითად ამ კითხვას ვამუშავებ... ზოგი ჩემი აზრი უთოდ შენთვისაც საინტერესო იქნება... მაგრამ ამაზე შემდეგ... ჯერ ის გამაგებინე, თუ კაცი ხარ, საიდან არის რომ, საქართველოს პრობლამამ ასე დაგაინტერესა?

— ამდენად გასაკვირველი, მგონია, არაფერი არ მითქვამს, შალვა... რატომ გგონია, რომ საქართველოზე ფიქრი შენს მონოპოლიას შეადგენს?.. ხუმრობა-გაშვებით... თუ გაინტერესებს, შემიძლია შენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო... ეს ცოტა უცნაური ამბავია... ციხეში რომ ვიყავი, უჩვეულო აზრები დამებადენ... ამის საბაბი ერთმა შემთხვევამ მომცა... მაგრამ ამის შესახებ შემდეგ მოგელაპარაკები: ძალიან ფსიქოლოგიური რამეა... ჰო და, იმ აზრების უჩვეულება იმაში გამოიხატებოდა, რომ... როგორ გითხრა... ქართველი რომ ვიყავი, ამის გამო თავი ძალიან მეცოდებოდა... მერე ამას ისიც დაემატა,

ეროვნული

რომ ძალიან მომწყურდა ეროვნულად დიდი ვყოფილიყავი... სულ ერთია, წარსულით თუ აწმყოთი, მაგრამ განსაკუთრებული დიდებით მინდოდა შემამყნა... აი, როგორც ეს ინგლისელს, ან ფრანგს, ან გერმანელს შეუძლია... [illegible]ლებს მრავალს კიდევ... მაგრამ, წარმოიდგინე, საამაყო ჩვენს ისტორიაში მაინცა-და-მაინც ვერაფერი ვერ აღმოვაჩინე... თუმცა, როგორც გითხარი, საქართველოს ისტორიას კარგად ვერ ვიცნობ და, შეიძლება ვცდები... შენ კარგად იცი ჩვენი ისტორია, შალვა, მოდი მითხარი: მართლა, რა იყო იმისი მიზეზი, რომ სულ უბედურება გვჭირდა და მონობას თავი ვერასოდეს ვერ დავახწიეთ... შენთვის რომ მომისმენია, თუ გადაჭარბებული ნაციონალისტური გრძნობა არ გალაპარაკებდა, თითქოს ოდესღაც ძალიან დიდი ხალხი ვიყავით... საიდან სჩანს ეს?

არჩილი ძალიან უბრალოდ ლაპარაკობდა და გულწრფელად...

— საიდან სჩანს?—ჩამოართვა კითხვა მას შალვამ და საპასუხოდ გაემზადა. მაგრამ უცებ დაფიქრდა და წამით მოულოდნელად დადუმდა. მერე, თითქოს წარმოსათქმელად გამზადებული აზრი გამოსცვალაო, არჩილს შეეკითხა:

— შენ დიდი ისტორიის მაშტაბი გაქვს აღებული... არა?

— კი... დიდი ისტორიის.—არ დაახანა პასუხი არჩილმა.

— შენც ისე მიდგომიხარ საქართველოს საკითხს, როგორც მე... საკვირველია!.. სიმპტომატიურ მოვლენად მიმაჩნია, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად... ორსავე ერნაირი „გზნება“ მოგვკიდებია... ალბად, ბევრს სხვასაც აწუხებს ეს საკითხი, არჩილ...—დაიწყო რამაძემ და ისეთი საიდუმლო გამომეტყველება მიიღო, თითქოს ძალიან შორს, სადღაც თვალმიუწვდომელ სიღრმეში იცქირებაო.—მე ვიცი, არჩილ, რა არის ის, რამაც ჩვენ აგრე აგვამეტყველა.. მე ვიცი და მინდა, რომ ეს შენც იცოდე დღეიდან...—განაგრძო და არჩილს მცდელი თვალები მიაპყრო.

არჩილს სასოწარკვეთილების ლანდმა გადაურბინა სახეზე: იგრძნო, თუ რამაძის ასეთი „მისტიური“ სამზადისი რას მოასწავებდა. ხმის ტონზე მიუხვდა, რომ იგი ძალიან „შორს“ აპირებდა შეტოპვას. უნდოდა რაღაც ეთქვა, ამის ასაცდენად, მაგრამ სიმივით მომართულმა შალვამ დაასწრო და ისევ განაგრძო.

— აი, როცა ეს წუხილი, შენ რომ გწვევია, მთელი ჩვენი ხალხის შეგნებაშიც შეიჭრება, მაშინ საქართველოს ამ ჟამად წაშლილი სახელი შეიძლება კვლავად აღორძინდეს... წარმოიდგინე: შენი მეგობრები, პარტიული ამხანაგები,—ის დიდი ვასო, ან ის, ნიკო რომ ჰქვიან, თომა ან კოტე—და არ ვიცი კიდევ ვინ დაგისახელო—საქართველოსთვის რომ ასევე თავგანწირვით იბრძოდენ და მათი ენერგია გადაშენებისა და გადაგვარების გზაზე მდგარ ერსა და მის სასიცოცხლო ინტერესებს რომ ხმარდებოდეს, განა ჩვენი ეროვნული ყოფა ასეთი აუტანელი იქნებოდა?!. მაგრამ მე მწამს, არჩილ, რომ ის, რამაც შენ, ამდენი ხნის განდგომილს, მოგიწოდა, ერთხელ იქნება და იმათაც მოაქცევს... და თუ ძველი გარდასული დიდების აღსადგენად ჩვენი სისხლი ძალა კვლავად ვერ იკმარებს, იმას მაინც შესძლებს, რომ ისტორიას თავისი არსებობა ერთხელ კიდევ მოაგონოს...

— ეს აზრი შენგან წინათაც გამიგონია, შალვა... იხუმრა [illegible]-სათვის დრო არჩილმა.—მე ახლა იმ „ძველი, გარდასული“ [illegible] ისტორია უფრო მაინტერესებს, შენ რომ ახსენე... როდის იყო იგი?

— მე ორ დიდ პერიოდათ ვანაწილებ ჩვენს ისტორიას, არჩილ. პირველია: ვიდრე ქართველი მოდგმის ტომები ახლანდელ ამიერკავკასიაში შემოვიდოდენ. მეორე: ამ ტომების „ამიერკავკასიაში“ შემოსვლისა და მათი აქ სამეფოში შეკრებიდან ვიდრე დღემდის. მეორე პერიოდს საკუთრივ საქართველოს ისტორია ეწოდება. პირველი პერიოდი კი სახელწოდებიანად ისტორიის უფსკრულშია დაკარგული... შენ ჩვენი დიდი ისტორია მეორე პეოიოდში გიძებნია. დიდი ისტორია, ალბად, ასე გქონდა წარმოდგენილი: მსოფლიოს მაშტაბით გამართლებული სახელმწიფოებრივი და კულტურული შემოქმედება. ისტორიის ქარტეხილებზე გამარჯვებული ეროვნული ორგანიზმი და ამ ქარტეხილების ბრძანებელი ეროვნული ნებისყოფა... და... პირისპირ სხვა ერების თარეშისა მსოფლიოში ამავე მაშტაბით მოთარეშე საქართველო... რა თქმა უნდა, ასეთ ამბავს ვერც ერთ წიგნში ვერ ამოიკითხავდი... რადგანაც ნამდვილად ჩვენი ისტორიის მეორე პერიოდი, ე. ი. საქართველოს ისტორია, იყო ისტორია უფრო მეტწილად სხვისი მოხარკე ერისა, რომელსაც თითქმის ყოველთვის რომელიმე „ბატონის“ უღელი ედგა, და რომელსაც არასოდეს არ ღირსებია სახელი ისტორიის დიდი მწვერვალების დამპყრობელისა...

„სულ უბედურება გვჭირდა და მონობას თავი ვერასოდეს ვერ დავაღწიეთ“, როგორც შენ წელან სთქვი... და ეს სრული ჭეშმარიტებაა. მე ამ ჭეშმარიტებას სასოწარკვეთილებამდისაც კი მივუყვანივარ... მისგან თავის მოკვლაც კი განმიზრახავს... კი არ ვაჭარბებ, ნამდვილ მართალს გეუბნები... დიდება მეზმანებოდა და მდაბიობას ვერ ვურიგდებოდი... საიდან არის ეს ზმანება, თუ მას საფუძველი არა აქვს მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს თავს, და საეჭვო, მაგრამ მხნე აზნაურივით მაინც განვაგრძობდი ეროვნული თავადობის საბუთის ძიებას... იმ საერთო „უბედურებაში“, რომელსაც საქართველოს ისტორია წარმოადგენს, შენ ალბად, არ შეგინიშნავს ზოგი ძალიან უცნაური ამბავი, ამ ისტორიას რომ თან ფარულად ახლავს... აი, ისეთი, წყვდიადს რომ ნათელი უეცრად გაანათებს. მაგალითად, შეგიმჩნევია თუ არა, რომ ზოგი ქართული სახე საკვირველად დიდი მოსჩანს ჩვენი საერთო ისტორიის უბადრუკ ფონზე?.. ეს სახეები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს ისინი სხვა სფეროს, სხვა ისტორიას მოსწყდენო და შემთხვევით ჩვენთან... ამ საქართველოს ისტორიაში ჩამოვარდენო... ა? შესანიშნავი აქ ის არის, რომ ისინი თავიანთ სიდიდით აშკარად არღვევენ ჩ-ენი ისტორიის ტონს... თითქოს მასში საოცარი დისონანსი შეაქვთო... თუ გინდა, ორიოდე ასეთი ძალიან აშკარად ცნობილი სახე დავასახელოთ საილუსტრაციოთ... თუმცა ერთი რუსთაველიც კმარა... ეს სახელი, ხომ დამეთანხმები, ნამეტანზე უფრო ნამეტანია საქართველოსთვის... საიდან არის ეს უცნაურება? დაუფიქრდი კარგად...

„გინდა, ამ სახეებს თავი დავანებოთ. სულ ახლანდელ ამბებს შევეხოთ. ავიღოთ ჩვენი საერთო სულის ხასიათი, დიდის დაჩემება რომ გვჩვევია დ მისი ფაქტიური

შესაძლებლობა კი არა გვაქვს... თითქმის დონკიხოტობას ჰგავსო... საიდან არის ეს შეუსაბამო გაქანება, სითამამე? ბოლოს და ბოლოს, რამდენი [illegible] ხალხი ცხოვრობს ქვეყანაზე... და რა შევიქენით მაინცა-და-მაინც ჩვენ, რომ ამდენს პრეტენზიას ვაცხადებთ... დამაფიქრებელი არ არის განა, რომ ჩვენი შეგნება მეორე ხარისხოვანი ერის ხვედრს ისტორიაში არ ურიგდება და იმაზე მეტს მოითხოვს, რისი მოცემაც ჩვენს ძალღონეს შეუძლია... აი, შენ რომ მსოფლიო მაშტაბის დიდება მოგნატრებია, და მეც რომ გულისნადები ამოგილაგე... საიდან არის ეს ყოველივე, თუ ჩვენს სულს არ ეზმანება ის დიდი...

„თუმცა აქ ერთი რამე უნდა გითხრა... ისტორიაში ინტუიციას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ მეცნიერების რომელსამე სხვა დარგში... თავის თავად ფაქტი ბევრს არაფერს არ ნიშნავს. ბევრს ნიშნავს სული, რომელიც ისტორიულ ფაქტს საიდუმლოდ თან სდევს.. საქართველოს რაობის გაგებაში ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს...

„იმ მცირე და ჯერ კიდევ გაურკვეველი მასალებისა დ ფაქტების მიხედვით, რომლების ნაწილი მე ამ ჩემს რვეულებში მომიგროვებია, მე ვამბობ, რომ ჩვენი დიდი ამბები შავზღვასა დი კასპიას შორის კი არ დატრიალებულან, რომ აქ მოქმედებენ მხოლოდ უმნიშვნელო ბირთვები იმ დიდი მოდგმისა, რომელიც ოდესღაც იყო მასაზრდოებელი კაცობრიობის უძლიერესი სულიერი და მატერიალური კულტურისა... ეს ჩვენი ისტორიის იმ პირველი პერიოდის ამბავია, რომლის შესახებ ზემოდ გითხარი. ეს პერიოდი ძნელად მისაგნებელ შორეულ წარსულს ეკუთვნის, როგორც ავღნიშნე. იგი ისტორიის უფსკრულშია ჩაფლული და... მეცნიერებამ, შეიძლება, ვერც კი ამოიტანოს ჩვენი დიდების ამბავი ამ უფსკრულიდან. ყოველ შემთხვევაში იმ „დიდებიდან“ ამ დღევანდელ „უბედურებამდის“ ასეთი დიდი მანძილი სდევს, რომლის მსგავსის გავლა--ამის თქმა თამამათ შეიძლება—ჩვენს გარდა ვერც ერთს სხვა ისტორიულ ერს ვერ მოუხერხებია. მარტო ეს მანძილი უკვე დიდი ისტორიაა... ამ მანძილის ერთი თავი ტერიტორიალურად წინა აზიაში იკარგება, ხოლო ისტორიულად—და ეს მთავარია—იგი სუმერიელთა მიერ შექმნილ საკვირველ დიდებას ემჯობინება, რომელზედაც დაფუძნებულია ყველა ცნობილი საკაცობრიო ისტორიული კულტურა...

„მაგრამ ეს დიდება დაიშალა, როგორც იშლებოდა ყველა სხვა, რომელიც კი ოდესმე სადმე შექმნილა.—სხვათა შორის ეს გარდაუვალი კანონია.—კატასტროფამ (შეიძლება იგი იყო უმაგალითო) გაანადგურა და მოშალა იმ ენერგიის მთავარი მილიც, რომლითაც მაშინდელი დიდი ისტორია იკვებებოდა... მხოლოდ მისმა ერთმა ნაკადმა კიდევ შესძლო საუკუნეებთან ჭიდილი და ქართველ ტომების სახით ბოლოს თავი კავკასიონის მთაგრეხილის კალთებს შეაფარა... საქართველოს საისტორიო წყაროები, ამიერკავკასიის კარებთან რომ უცნობ ტომებს ნახულობენ ჩვენი ისტორიის მეორე პერიოდის გარიჟრაჟზე, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით შემდეგში ახლანდელ საქართველოში შემოჰყავთ, ესენი იმ დიდების ნაფლეთებია, რომელზედაც გელაპარაკე...

„ამნაირად, ჩემო არჩილ, იმ დაშლილი ენერგიის მცირე ნაკადმა, რომელიც ქართველ ტომებს მათი დიდების სამშობლოდან გამოჰყვათ, აღარ იკმარა კვლავ დიდი ისტორიის შესაქმნელად. მან ისღა შესძლო, რომ ორი ათეულ საუკუნეზე მეტი კიდევ იბრძოლა თავისი რასიული სახის შესანარჩუნებლად... ხოლო კაცობრიული იდეალისათვის მის მიერ ოდესღაც გაწეული უმაგალითო, მაგრამ ამაო ბრძოლის ალსაბეჭდად, ისტორიის სინიდისში ამირან-მიჯაჭული პალო ჩაასო, როგორც ხორცშესხმული, სამარადისო მხილება იმისა, რაც იყო და რაც ახლაც არის...

აქ დადუმდა შალვა და ამოოხვრით სული მოითქვა.

არჩილიც დუმილს გან-გრძობდა. მაგრამ გამოურკვეველი სახე ჰქონდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებსო, ისეთი გამომეტყველება მიეღო და ასე უცნაურად შესცქეროდა შალვას.

— კი, მაგრამ, შალვა... დაიწყო მან ტუჩების მარჯვენა კუთხის ეჭვიანი აცახცახებით, მაგრამ რამაძემ არ დაანება.

— დამაცა, არჩილ... არ დამითავებია... იმ საბოლოო განადგურებას გადარჩენილი ნაკადი, ნაშთად რომ საქართველომდის მოაწია მეთქი, აქ ერთხელ თუ ორხელ, საუკუნის მანძილზე, უცნაურად იფეთქებდა ხოლმე და თავისი გარდასული დიდების მოსაგონად უეცარი მოულოდნელობით რასმე საკვირველებას მოავლინებდა... ბევრი რამ გაუგებარი, თითქოს საწინააღმდეგოც, საქართველოს ისტორიას თან ახლავს მეთქი რომ გითხარი, ეს აქედან არის... რუსთველი, მაგალითად, ამრიგად არის მოვლინებული... და ის გარდაუვალი ზმანება დიდების, რომელიც ჩვენს სულს ცასავით გადახურვია, სიზმრული მოლანდებაა იმისა, რაც ოდესღაც ყოფილა...

. . .

ლაჟვარდის ტახტზე იჯდა ღამე ზღაპარივით მორთული.

ორი მთვარის თვალი ჰქონდა: ერთი ცაში, მეორე ზღვაში.

გარს ვერცხლში დაფერილი იდუმალება ეხვეოდა. სდუმდა და ფხიზლობდა.

გვიან იყო.

გაცალიერებულ გემის ბანზე არჩილი იდგა და ერთფერში გაერთიანებულ ცას, ჰაერს, ზღვას გულჩათხრობილი გასცქეროდა.

მარტო იყო. სდუმდა და ოცნებობდა.

მისი დუმილი ზღვისას ჰგავდა: თითქოს შორს, სადღაც, მიუგნებელ ახმაურებას ერთვისო.

ოცნება უნაპირო სივრცის მანძილზე გაეშალა — მაღლა ცისა და დაბლა ზღვის კიდეებამდის, რომლებიც არ სჩანდენ.

როგორც მისი დუმილი, ისე ოცნებაც უსაგნო იყო. მაგრამ ორივე სავსე როგორც ჰაერით ზეცა და წყლით ზღვის უფსკრული.

არჩილი ფიქრობდა ერთდროულად ყველაფერზე. ფიქრობდა ოცნებაშერეულად როგორც ზღვის პირისპირ შეიძლება დუმილში ფიქრი.

ხანდახან შალვას ნაამბობის ზეგავლენით, ყურებს დასცქვეტდა უცნაურად და თითქოს სივრცისა და დროს იქით იმზირებაო, იმის სიმართლეს [illegible], რაც სუმერიელების შესახებ მეგობარმა აუწყა.

ვითომ ისიც ეჩვენებოდა, რომ ისტორიის მიუგნებელი ჯურღმულებიდან თვითონ მოჰყვებოდა საქართველოსკენ დიდი „სუმერიელების" კატასტროფას გადარჩენილ საკვირველ ნაკადს ქართველ ტომების სახით და მთელ მის თავგადასავალს ცხადად განიცდიდა თავიდან ბოლომდის.

მაგრამ ამ დროს ტკბილად და ნელად გაიღიმებდა, თითქოს გულუბრყვილო, მაგრამ საამო რამ ზღაპარს ისმენსო...

როგორც ლამეს ორი თვალი, ისე არჩილსაც ორი სულა ჰქონდა: ერთი დროსა და სივრცის იქით, მეორე კი — მათ აქეთ, სინამდვილეში...

და მათ შორის შეუცნობელი ბილიკებით თვითონ არჩილი მიმოდიოდა...

## XXXI

არჩილმა და შალვამ გზაში ხუთი დღე დაჰყვეს. მეექვსეზე დილას მოსკოვს მიაღწიეს.

მატარებელი რიაზანის სადგურს უახლოვდებოდა, როცა მეგობრები ჩამოსასვლელად გაემზადენ. ხელისბარგი შეჰკრეს და წიგნები ჩემოდანში ჩაალაგეს.

მოუთმენლად მოელოდენ მატარებლის დადგომას. ამდენიხნის ნამგზავრნი თავს დახუთულად გრძნობდენ და წიგნების თავაუღებელი კითხვისა და „თავსამტვრევ" კითხვებზე კამათისაგან ტვინი დამძიმებოდათ. ტანის გასავარჯიშებლად ხელებს შლიდენ და კუნთებს იჭიმავდენ.

ფანჯარასთან იდგენ.

მატარებელმა ჯერ ნაძვნარში მიმოპნეულ რუსულ ყაიდაზე აშენებულ ძარგვალის სახლებს ჩაუქროლა, მერე შენელებულად გაჰყვა ქალაქის განაპირას და სადგურს გაუპირდაპირა.

გამოჩნდა მოსკოვი.

ეს იყო ის „უდიდესი" ქალაქი, რომელსაც შალვა და არჩილი ქუთაისის გიმნაზიის გათავების შემდეგ პირველად გაეცნენ და რომელმაც გეგუთისა და ბალახვნის ქუჩების პატრიარქულური ბუდეებიდან ახლად აფრენილ ყმაწვილებს თანამედროვე დიდი ქალაქის უცხო და საკვირველი სახე უჩვენა.

პირველად მიღებული შთაბეჭდილება გაუცხოველდათ არჩილს და შალვას.

მაგრამ ის, რაც წინად ენახათ და ახლა მოგონების თვალწინ ჰონდათ გადაშლილი, ისიც, რასაც ფანჯრიდან უშუალოდ უცქეროდენ — ძველი ნაცნობი დიდი მოსკოვი — მხოლოდ დიდი ქალაქი როდი იყო მათთვის.

მეგობრების წარმოდგენაში ახლა მოსკოვის სხვა მხარეც შეჭრილიყო, რაც სტუდენტობის პირველ წელს მათ ყურადღებას ასცდენოდა. ეს იყო რუსეთის პირველი დედაქალაქის ორიგინალი რუსული სახე.

ამ სახის ცენტრი „კრემლში" იყო მოქცეული, რომელსაც მთელ ქალაქზე თავისებური ბეჭედი დაესვა.

მას შეოქროული ძველებური აბჯარი ჩაეცვა, ცათ აზიდული გუმბათოვანი თელებით დამშვენებული, და დილის მზით შებრჭყვიალებული დუნჯიროვან ქუდებს თავისი სტილის უპირატესობის ამაყი შეგნებით გადასცქეროდა.

ბიბლიოთეკა

მთავარი ადგილი იოანე მრისხანის აკიაფებულს, თავწვეტიან მაღალ სამრეკლოს ეკუთვნოდა, რომელსაც გარშემო „კრემლის“ სხვა დიდი და პატარა ჯვრის კოკონებით ანთებული გუმბათები შემოეკრიბა.

ეს იყო ძველი, რიურიკოვიჩების რუსეთის სტილიანი ნაკვეთი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე სხვა მსგავს რუსულ ნამოქმედართა შორის უდავო უპირატესობა შეენარჩუნებია და რომანოვების ახლანდელი მოსკოვისათვისაც ურცხვებელი შნო და ლაზათი მიენიჭებინა.

„კრემლის“ იქით, „ვორობიოვის მთების“ მხარეს, სადაც ჰორიზონტის შუქი არშია თვალთა ხედვის მანძილს მიჯნავდა, „ქრისტე მაცხოვრის“ სახელობის ახალი ტაძრის მაღალი ჯვრიანი კამარის სილუეტი განმარტოვებით გამდგარიყო, ვეება და პირქუში. იგი ერთი მხრით „კრემლის“ დიდებას შემოსცქეროდა ფარული შურით, ხოლო მეორე მხრით—შორი-შორს და თითქოს მალვით ქალაქის განაპირებში ჩარაზმულ ქარხნების პირშემურულ მაღალ მილებს მრისხანებით გადაყურებდა.

იგი თითქოს რომანოვების გვარის იმპერატორების რუსეთის უხეშ დიდებას გამოხატავდა, რომელიც ძველისა და ახალის მიჯნაზე მთელი თავისი მძიმე ტანის ჩლუნგი უძრაობით გაწოლილიყო.

— აი, მოვედით!—სთქვა შალვა რამაძემ, როცა მოსკოვის ზერელე და თვალწამიერ სანახაობას დაახლოვებული შენობები ჩამოეფარენ და მატარებელიც სადგურის დახურულ გრძელ ბაქანში შეიჭრა.

— ეს გრძელი გზა, ჩემო არჩილ, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ, ჩვენი ისტორიის გზაც არის, რომელიც უკანასკნელმა ბაგრატიონებმა გვიანდერძეს ამ ასი წლის წინად.. იგი ჩვენთვის შემთხვევითი არ არის... ამ გზას ახალი საქართველოც ვერ შელევია სოციალ-დემოკრატების წყალობით.—თითქოს ჩუმად ნაფიქრის ახლა დასკვნა გაუკეთაო, აზრის თავისებური გადაკვრით განაცხადა შალვა რამაძემ და ჩემოდანი ხელში აიღო.

არჩილმა კიდევ ჩანთა მოიგდო იღლიას ქვეშ.

— შენ როგორ გგონია, შალვა, ეს გზა აუცილებელი იყო ჩვენთვის, თუ შემთხვევითი?—მცირე პაუზის შემდეგ შეეკითხა მეგობარს არჩილი, რომელიც საქართველოს უკანასკნელ ისტორიას უკვე საკმაოდ გაცნობოდა და შალვას ქარაგმული აზრების გაგებაშიც ფრიად დახელოვნებულიყო.

შალვამ ეს შეკითხვა უპასუხოდ დასტოვა.

მხოლოდ კუპეს კარი რომ გააღო, არჩილისკენ პირი მოიბრუნა და ხმადაბულად უთხრა:

— სისხლი არ გვეყო, ჩემო ძმაო... სისხლი.

მატარებელი უკვე დამდგარიყო. რონოდის დერეფანი ჩამამავალ ხალხს გაევსო. შალვა და არჩილი მგზავრებს შეერივნენ.

სადგურიდან ხმაურობა ამოდიოდა. ყვირილი. ხმობა. გაძახილი.

ბარგის მზიდველები დაუზოგველად იკვლევდნენ კუპეებისკენ გზას.

— გავიხედეთ და... სადგურზე ცაცა დაგვხვდა!.. კარგი არის, რომ შეგვხვდა: პირდაპირ ბინაზე წაგვიყვანს... ჩემს დეპეშას უთუოდ მიიღებდა... — მოულოდნელად წინ გაჭირვებით მიმავალმა შალვამ და არჩილისკენ მოიხედა.

მისმა სიტყვებმა არჩილი თითქოს უცებ შეაშინესო, ისე შეკრთა... პასუხის მაგიერ მხოლოდ რაღაც უცნაურად გაიღიმა და შალვას თვალებს შესხლეტით აარიდა თვალები.

არჩილს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მოსკოვში ცაცას გვერდს ვერ აუვლიდა და მათი შეხვედრა აუცილებელი რამ იყო. თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს შეხვედრა, ამაზე ბევრი ეფიქრნა კიდევაც გზაზე. მისთვის წინასწარ მომზადებული მოდიოდა და სრული იმედი ჰქონდა, რომ შესძლებდა ცაცასთან ისე ოფიციალურად დაეჭირა თავი, როგორც უბრალო ნაცნობს.

მიუხედავად ამისა, შალვასმიერ ხმამაღლა წარმოთქმული რამაძის ქალის სახელი რომ გაიგონა, გული მაინც მოულოდნელად შეუკრთა.

ცუდად ენიშნა ეს ამბავი.

„არ დავიღუპო, მომზადება ტყუილი არ გამომადგესო", გაიფიქრა დაღონებით.

ძირს რომ ჩავიდნენ, შალვამ სადგური დაკვირვებით დაათვალიერა, მაგრამ ცაცა არსად არ იყო.

ამ გარემოებამ არჩილი შეათამამა.

ცაცას ტაქტის იმედი მიეცა. ციხიდან მიწერილი წერილს შემდეგ, იქნება, ცაცამ ისე მოახერხოს, რომ თავი აარიდოსო...

„მაგრამ, იქნება, არც კი იცის, რომ ჩამოვედი?.."

სხვა გზა არ იყო: შალვას დღესვე უთუოდ უნდა ენახა ცაცა და ბათომიდან დეპეშით შეკვეთილი ბინის მისამართი გამოერთმია.

ხომ ვერ დაიმალებოდა არჩილი?

ეტლში ჩასხდნენ და ცაცას ბინისკენ გაემართნენ.

* * *

ცაცა რამაძის ქალი „დიდი ბაღისა" და „ტვერის" ქუჩების შესაყართან, ერთ კუთხურ სახლში ცხოვრობდა, მეორე სართულში.

შალვამ ეტლი ამ სახლის შესავალთან დააყენა.

— შენი ნახვა, არჩილ, ძალიან გაუკვირდება ცაცას... არ გელის ალბად! — უთხრა მან არჩილს, სანამ ეტლიდან ჩამოვიდოდა. მერე უცებ, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, საიდუმლო ხმით შეეკითხა: — მართლა... მე, კაცო, მგონი, სულაც კი დამავიწყდა, რომ .. ჰმ... ცაცა და შენ...ა?.. — ძალაუნებურად შებორძიკდა. სახით გამომეტყველებით ანიშნა, თუ რისი თქმაც უნდოდა. — მაგრამ არაფერია, შეგარიგებთ!

— საიდან მოიტანე, შალვა, რომ ჩვენ შერიგება გვჭირია... ჩვენ არ წაჩხუბებულვართ... სრულიადაც არა!.. — უპასუხა არჩილმა ძალიან სერიოზულად. — ეს შენც იცი: ჩვენი გზები გაიყარნენ მხოლოდ... რა ვუყოთ მერე?.. ეს ხელს არ შეგვიშლის, კარგი ნაცნობები დავრჩეთ... — თავაზიანი ჩაცინებით დაამთავრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მჯდომარენ რევერანსისებურად ზემო ტანი მოიქნია. ეს რაღაც უცნაურად გამოუვიდა.

შალვამ ძალაუნებურად მიაქცია ყურადღება მეგობრის ამ უჩვეულო მოძრაობას.

— კარგი და პატიოსანი... რა თქმა უნდა, ეს გარემოება ხელის შემშლელი არ იქნება. სთქვა უფრო გაკვირვების დასამალად შალვამ და ძირს ჩამოხტა. არჩილი ეტლში დასტოვა და თვითონ სახლში შევიდა, კიბეზე აირბინა. ნუმერით მონახა ცაცას ბინა და დარეკა

კარი თვითონ ცაცამ გააღო.

შალვა რომ დაინახა, მთელი სახე სისხლის ფერად აუბრიალდა და ელამი თვალები უფრო გაუელამდენ.

— შალვა! — თავშეკავებული სიხარულით წარმოსთქვა. გარედ გამოსხლტდა და ძვირფას სტუმარს გადაეხვია, გადაკოცნა. მერე ბალღივით გულში ჩაეხუტა.—ჩემო შალვა, რა კარგია, რომ გხედავ... რატომ დაიგვიანე? ყოველდღე მოგელოდი.—უთხრა გულაჩვილებით.—შემოდი... ის მეორე ვინ არის, ორისთვის რომ ოთახი დამაქირავებინე?—ხმის აწოლებაც არ დააცალა შალვას, მკლავში ხელი ამოდვა და ღია კარისკენ გამოაქანა.—

— დაიცა, ცაცა...—კართან შესდგა შალვა. —ჩემთან არჩილია...

უცებ გაოცდა ცაცა. პირსახეზე გახარება წაიშალა და შალვას შეშინებული თვალებით შეხედა.

— არჩილი?.. რანაირად?.. გამოიქცა?. გაზეთებში ცნობა იყო ქუთაისში ციხე გასტეხესო...

შალვამ თავის დაქნევით დაუმოწმა.

უფრო გაუფართოვდენ ცაცას თვალები.

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. ცაცას რამდენიმეჯერ ეცვალა ფერი.

— სად არის მერე?—გაუბედავად იკითხა და სახეზე წითელი ალი აეკიდა.

— აქვე მიცდის, დაბლა, ეტლთან...—კონსპირატიული ხმით აუწყა შალვამ. მერე რუსულად შეეკითხა:—სად არის, ცაცა, ჩემი ოთახი?... მისამართის გამოსართმევად გამოგიარე...

— ამავე ქუჩაზე... ახლოს... აქედან მესამე თუ მეოთხე სახლია... წამოგყვე?..—და ცაცა კიდევ უფრო გაწითლდა. რაღაც გაუბედაობა შეეტყო და დაბნევა.

— შენ რა მალ-მალე წითლდები, ჩემო დაიკო!—გაეხუმრა ცაცას შალვა და მოფერებით ლოყაზე ხელი წაუთათუნა. თითქოს რაღაც მოულოდნელი შეამჩნიოს მის სახეზე, ისე დააკვირდა.—გამხდარხარ, მგონი...ა?.. თუ მეჩვენება?..—მერე საქმიან კილოზე განაგრძო:—ძალიან კარგს იზამ, თუ წამოგვყვები, ცაცა... დავბინავდებით ბარემ...—გაუცინა. მოეფერა, ვითომ დააწყნარაო. მერე თითქოს დარცხვენისა და დაბნევის დასაფარავად მიეშველაო, უთხრა:—ნუ გეშინია... არავინ არ მოგვსდევს...

— მე არ მეშინია!—ვერ გაიგო ცაცამ შალვას ხერხი.—ახლავე... ქუდს დავიხურავ და გამოვალ... შენ აქ მამიცადე, შალვა...—სთქვა ... და ოთახში შევიდა.

„გამოცვლილია რაღაც ეს ბავშვი“, თითქოს უნებლიე დაკვირვებისაგან მიღებული შთაბეჭდილება დაიდასტურაო, გაიფიქრა შალვამ. მაგრამ ასე უცბად ვერ გამოერკვია, სახელდობრ რაში შენიშნა ცვლილება ბიძაშვილს: ხმაში, თვალებში თუ სახის საერთო იერში.

მალე გამოვიდა ოთახიდან გამოწყობილი ცაცა. მას ახლა განუყრელი ნიხაკის ყვავილი ებნია გულზე.

სანამ ძირს დაეშვებოდენ, შალვამ ქუთაისის მოკითხვა გადასცა ცაცას და სახლის მშვიდობა აუწყა.

მაგრამ ცაცას ხმა არ ამოუღია, ისე მოყვებოდა გვერდით. ძალიან დაფიქრებულიყო და აღელვებული.

არჩილმა და ცაცამ ერთმანეთს ერთდროულად შეავლეს თვალები. შეკრთომა და მოულოდნელობა აღიბეჭდა მათ სახეზე.

არჩილი წამოდგა ეტლში და ოფიციალ ზრდილობის წესის დაცვით ქუდი მოუხადა ცაცას. უსიტყვოდ, მაგრამ ღიმილით მიესალმა. მერე ეტლიდან ჩამოსვლა გააპირა.

— მომეცი ნება, ცაცა, წარმომიდგინო ჩემი ახალი მეგობარი: გაბო გაბაშიძე...—მიმართა ცაცას შალვამ, მკლავში მოჰკიდა ხელი და ეტლს მოუახლოვა.

— მესმის...—წამოსთქვა ცაცამ ძალაუნებური ჩაცინებით.

ამასობაში არჩილიც ჩამოხტა ეტლიდან და ქუდმოხდილი მივიდა ცაცასთან. თვალების არიდებით ხელი ჩამოართვა.

— გმირი...—ჩაესმა მას ცაცს ფრთხილი ხმა, როცა ხელში მისი ხელის სითბო იგრძნო.

თითქოს ეწყინაო, თავი უცებ მაღლა ასწია არჩილმა და ფარული შეწყრობით შეხედა ცაცას.

— რატომ ჩამოდი, არჩილ, ეტლიდან... ჩვენი ბინა აქ არ არის. ცაცამ უნდა წაგვიყვანოს. განაცხადა შალვამ, და მით ცაცასა და არჩილს შორის ჩამოვარდნილი უხერხულება დაფარა. მერე ცაცას მიუბრუნდა:

— ჩვენი ეტლი ორადგილიანია, მაგრამ მაინც ყველანი კარგად დავეტევით... აქაურულად ჩავსხდეთ... მოდით, ხალხო!—თვითონ პირველი ჩაჯდა. მერე არჩილი მოისვა გვერდით.

— სულ ორი-სამი ნაბიჯია... მე ფეხითაც გავივლი... სთქვა ცაცამ, მაგრამ შალვამ არ დაანება. ჩამოხტა ცაცა ეტლისკენ გაიტაცა.

დაჯდა. ცაცა კი მუხლებზე დაისვა.

მოიკრუნჩხა არჩილი. მაგრამ ის მაინც ვერ შესძლო, რომ ცაცას სულ არ მიჰკარებოდა.

იგრძნო, რომ თავსბრუ ესხმოდა: საყვარელი ტანის ნაცნობი სურნელი შეფრქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ განსაცდელმა დიდხანს არ გასტანა.

ცაცამ სულ მალე დააყენებინა მეეტლეს ცხენები.

მოვედით... აქ არის!—სთქვა და ისე სწრაფად ჩამოხტა ძირს, თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა და თავს უშველაო.

. . .

სულ რამდენსამე წუთში შალვა და არჩილი მათთვის დაქირავებულ ოთახში იმყოფებოდენ, და ცაცა ბინის დიასახლისს ახალ მდგმურებს აცნობდა.

ცაცას მისსია შესრულებულიყო.

— შალვა, ჩაი კი ჩემთან დალიეთ... აქ ჯერ მოწყობილი არა ხართ... გთხოვთ ..—მიმართა ცაცამ შალვას, მაგრამ მრავლობითი რიცხვით, რათა ჩაიზე დაპატიჟება არჩილსაც მიეღო თავის თავზე.—მოგელით... სანამ გამოეწყობით, ყველაფერი მზად იქნება.

ამ სიტყვებით საერთო სალამი მისცა მეგობრებს და ოთახიდან გავიდა.

— ყოჩაღ, ჩემო ცაცა!.. ყოჩაღ!—მიაძახა მას შალვამ.

არჩილს მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი უბრალო სიტყვაც კი არ დაუგდია. ქვასავით სდუმდა. ოთახში შემოსულისთანავე შალვას ჩემოდანისთვის წაევლო ხელი, გაეხსნა და წიგნების გადმოლაგებას შესდგომოდა.

თითქოს არც კი შეუმჩნევია, თუ როდის და როგორ წავიდა ცაცა.

მეგობრები მალე დალაგდენ. დაიბანეს, დაივარცხნეს, დასუფთავდენ. ტანთსაცმელი გამოიცვალეს.

შალვას ძალიან მოსწონებოდა ოთახი. ხან მას აქებდა, ხან კი მის დამქირავებელს. ოთახი, მართლა, მოსაწონი იყო: მშვენიერად მორთული, ახლად დასუფთავებული. შალვას უმთავრესად ის მოსწონდა, რომ ნათელი იყო და დიდი...

— წავიდეთ ახლა, არჩილ... ცაცას ვეწვიოთ. ჩაიზე დაგვპატიჟა.—უთხრა შალვამ არჩილს, როცა გზის მტვერისაგან თავი გაინთავისუფლეს და სათანადოდ გამოეწყვენ.

— უკაცრავად, შალვა... მაგრამ ვერ წამოვალ... არ მინდა რაღაც ჩაი.. თავიც მტკივა და, მგონი, კარგად არ ვარ... შენ წადი...—უარი განაცხადა არჩილმა და ისეთი შეწუხებული სახე მიიღო, რომ შალვას მართლა შეეცოდა.

— თავის ტკივილს სწორედ ჩაი მოუხდება... თანაც გავიაროთ... გარწმუნებ, მორჩები.., კარგია ახლა... დაგემდურება, იცოდე.. ცაცასაც გული დაწყდება. წამო, თუ ძმა ხარ!

არ დაუჯერა შალვამ. ძალით გამოიყვანა ოთახიდან.

## XXXII

ცაცას ერთფანჯრიანი ოთახი პატარა იყო, მაგრამ კოხტა და ლამაზი. იგი ძალიან ახირებულად მოერთო ცაცას.

მორთულობაში წითელი და ყვითელი ფერი სჭარბობდა: ლამპის ფარდა და არაჩვეულებრივად დიდი აბაჟურიდან დაწყებული, რომელიც ფანჯარასთან მიდგმულ პატარა მაგიდის ზედაპირს თითქმის სულ ერთიანად ჰფარავდა, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელზე სურათებს ქვეშ დატანებული საფენელ ქაღალდებით [illegible] ყვე-ლაფერს ყვითელნარევი წითელი ფერი გადაკრავდა.

კუთხის სიღრმეში მიჩქმალული ლოგინიც ამ ფერებით იყო მოკაზმული.

ფენჯრის ერთი მხრით, კედლისკენ, პიანო იდგა, ზედ მოდიდო ჩარჩოებში ჩასმული სურათები იყო ჩამწკრივებული: შუაში ბეტჰოვენის, აქეთ-იქით: ბახის, ჩაიკოვსკის, შოპენის, გრიგის და სხვათა. მათ გვერდით რამდენიმე წიგნიც ელაგა.

პიანოსთან ნოტების პატარა მრგვალი მაგიდა იდგა, რომელზედაც ნოტის წიგნები და რვეულები ეწყო. ზედ მოდიდო მინის საფერფლე იდვა და შიგ პაპიროსის ორი ნამწვი ეგდო.

თითქოს შალვას თოკზე მიბმული მოჰყავსო, ისე შევიდა ცაცას ოთახში არჩილი. სახე შეფითრებოდა და ენა წართმეოდა.

თავში ის აზრი უტრიალებდა, რომ ბედისწერისაგან სჯიროდა, რაც ახლა მის თავს ხდებოდა, და ყოველივე ის ცხადად უმართლდებოდა, რაც წინასწარ ქუთაისში იგრძნო, დაპატიმრების წინა ღამეს.

ოთახში სუფრა გაწყობილი იყო: ჩაი დასხმული, საჭმელი დალაგებული. გარშემო ცაცა დიასახლისობდა.

თვალების ერთი მოსმით შეათვალიერა არჩილმა ცაცას ოთახი.

რაღაც მანქანებით, პირველადვე მისი ხედვის ისარი ნოტის მაგიდაზე მდგარმა საფერფლემ მოიტაცა, და მასში გდებული ნამწვები თვალებში მუგუზალივით შერჭვენ. უმალვე თავი ჩაღუნა არჩილმა.

ვერ მოიაზრა უცებ, როგორ მოქცეულიყო.

შეუპატიჟებლად დაეშვა სკამზე და ჩაის მიუჯდა. თავის გამართვა ვერ გაებედნა და თვალები ვერ გაეხილა.

იმისი შიში ჰქონდა, რომ მისი ყურადღება სხვა საეჭვო საგნებსაც არ მიეპყრო, რომლებიც ამ საფერფლისა და პაპიროსების ნამწვების შემდეგ, მისი აზრით, უთუოდ უნდა აღმოჩენილიყვნენ ცაცას ოთახში.

— შენი ოთახიც კარგია, ცაცა... მომწონს! — ეუბნებოდა ცაცას ოთახებით კმაყოფილი შალვა. — წითელი ფერი არ მაკვირვებს... მუდამ გიყვარდა. მაგრამ ეს ყვითლები, ნეტავი რისი მომასწავებელია?.. მაგრამ ეს შემდეგ... უპირველესად ყოვლისა ის მიამბე, როგორ მოეწყვე აქ?.. რას აკეთებ?.. კონსერვატორიაში უკვე დაიწყე მუშაობა?.. მოსკოვი როგორ მოგეწონა?., ფერი რომ შეგცვლია და გამხდარხარ, რისი ბრალია... დავიჯერო, ამდენს მუშაობ?

ცაცას უკვე დაეძლია პირველი შეკრთომა და მისთვის უჩვეულო დაბნეულობა. ჩვეულებრივი იერი დაბრუნებოდა. სტუმრებს უმასპინძლდებოდა. მოსკოვის გამოჩენილ ცხელ „კალაჩებს“ კარაქით აწოდებდა წამდაუწუმ. სუფრაზე დილის ჩაისთვის შეუფერებელი ტკბილეულობაც დაეწყო და ქუთაისიდან ჩამოტანილი ალუბლის მურაბაც გამოეტანა.

თან შალვას შეკითხვებთან შეფარდებით მოსკოვის პირველ შთაბეჭდილებათ უამბობდა ახალჩამოსულებს.

მიუხედავად თამამი ტონისა, რომელიც ახლა ოთახში სუფრასთან [illegible], თავისი ცხოვრების ამბავს მაინც დალაგებით ვერ ამბობდა. ბიბლიოთეკა

შალვამ შენიშნა, რომ ცაცა ზოგჯერ შეგირდივით იბნეოდა და უცნაურ სიფრთხილეს იჩენდა. დაწყებულ ეპიზოდს ხშირად შუაში გასწყვეტდა, მეორეზე გადავიდოდა და იმასაც არ დაამთავრებდა. თითქოს იმისი ეშინოდა, რომ უნებლიეთ საიდუმლოება რამ წამოსცდენოდა.

მეგობრებმა მაინც ბევრი რამ უცხო და მოულოდნელი გაიგეს ცაცას ახალი ცხოვრებისა.

მთავარი ის იყო, რომ ცაცას მოსკოვი ზღაპრივით მოსწონებოდა და ამ მოკლე ხანში შეყვარებოდა კიდევაც. განსაკუთრებით თეატრებს გაეტაცნა, ნამეტნურ კი ოპერას, და მის რომელღაც გამოჩენილს მომღერალს, ტენორს, მოეხიბლა.

გარეშე ამისა, მუშაობაც დაეწყო კონსერვატორიაში, ცნობილი პროფესორის ხელმძღვანელობით, და ახალი ნაცნობების წრე გაეჩინა, რომლის წყალობით „სამხატვრო თეატრის“ ახალი სასცენო სკოლის მიმდევარ დრამატიულ სტუდიასაც დაახლოვებოდა.

ყოველივე ეს უცხო რამ იყო, როგორც შალვასთვის, ისე არჩილისათვისაც. ამათი გონების ინტერესი სულ სხვა სფეროსკენ იყო მიქცეული, და ცაცას ამბავი „გადაცდენილის“ უაზრო და უმნიშვნელო ღროსტარებათ მიაჩდათ, რომელიც თუ არა ახლავე სულ მალე უნდა შეწყვეტილიყო.

არჩილის გულში კი ცაცას ნაამბობი კიდევ სხვანაირად გადამტყდარიყო. —იგი საფერფლეში შენიშნულ პაპიროსის ნამწვით ზომავდა ცაცას ყოველ ფრაზას და თითოეულ მათგანს გულში საშინელ კომენტარიას უკეთებდა.

ყველა ეს „თეატრი“, „ოპერა“, „ტენორი“, „ნაცნობთა წრე“, „დრამატიული სტუდია“ არჩილს თვალთმაქც შირმად წარმოედგინა, რომლის ერთი მხარე სრულიად კანონიერს და, გინდ, მოსაწონ და საქებ გატაცებას აჩენდა, ხოლო მეორე—დაფარული იყო და მის ნამდვილ ამბავს ხანდახან, და ისიც შემთხვევით „პაპიროსის ნამწვები“ თუ გამოაშკარავებდენ... ვისამე ოთახში, მეორე დღეს!

დაასრულა თუ არა ცაცამ თავისი ამბავი, უცებ გაბუტულად და თავისთვის მჯდომ არჩილისკენ პირი მიიბრუნა და, თითქოს აზრების მიმართულებაი მიუხვდა და განზრახ გააწყვეტინაო, პირდაპირ თვალებში შეხედვით მიმართა:

— გმირო...—და ოდნავ მოფერებით გაუღიმა, ძველი, ორაზროვანი მნიშვნელობით.—მიამბეთ ახლა თქვენი თავგადასავალი.

არჩილმა პირველად ვერ გამოარკვია, ცაცა დასცინოდა, თუ სერიოზულად ეკითხებოდა.

— ჰო... ეს ძალიან დიდი და გრძელი ამბავი იქნება!—განაცხადა შალვამ, ადგა და პიანოსკენ გაემართა სურათების დასათვალიერებლად

არჩილი კი, პასუხის მიცემის მაგიერ, მოკუმშით სკამზე შესწორდა, მერე თითქოს სანახევროდ წამოდგაო, ისე აიწია, გულისჯიბიდან პაპიროსის კოლო-

ეროვნული

ფი ამოიღო, გახსნა, და ფეხების იატაკზე ხმაურიანი გასავსავებით, ცაცასკენ მთელი ტანით გადაიწია.

— ჩემი თავგადასავალი ზღაპარსა ჰგავს, ქალბატონო ცაცა.—ხელოვანსაც კი ჩვენში ლამე ამბობენ...—უთხრა სახის უცნაური მოქცევით და დახელოვნებული მოარშიყესავით პაპიროსი გაუწოდა.—მიირთვით!

ახლა ისევ გაწითლდა ცაცა, თითქოს შერცხვაო. მაგრამ უმალვე ისევ გაისწორა ფერი.

— მადლობელი ვარ, მაგრამ არ ვეწევი.—უპასუხა და ეჭვიანი, ოდნავ დაპატარავებული თვალებით შეხედა.—ჯერ კიდევ არ ვეწევი!—დაატანა მერე ბეჯითად, მაგრამ გადაკრული მნიშვნელობით.

არჩილმა ამაზე საწინააღმდეგო და ურყევი ფაქტებით აღჭურვილი გამომძიებელივით ჩაიცინა ცალი ყბით და საფერფლესკენ ნაჩუმათევად გაიხედა. მერე სახის ცბიერი გამომეტყველებით თვალები ძირს დახარა, და თვითონ გააბოლა პაპიროსი.

ამ დროს ცაცას თვალებმა ნოტის მაგიდაზე მდგარი საფერფლე მოიკითხეს. იგი წამოდგა კიდევაც და მაგიდასთან მივიდა საფერფლის მოსატანად. შიგ ნამწვები რომ ლაინახა, გაკვირვებით დააცქერდა. უცებ მიხვდა, თუ რისთვის მოაწოდა მას პაპიროსი არჩილმა. იგრძნო, რომ გაწითლდა. აიღო საფერფლე. ის-იყო უნდა დაეფერთხა იგი და ნამწვები გადაეყარა, მაგრამ ამისთვის მოქნეული ხელი თითქოს თავისთავად შეუჩერდა. აზრი შეიცვალა.

წამოიღო და ნამწვიანი საფერფლე არჩილს წინ დაუდგა.

— მაშ, თქვენ არ ეწევით?—ჩაილაპარაკა ჩუმად არჩილმა და ცაცას თვალით ნამწვებზე ანიშნა: მაშ, შენს ოთახში ამას რა უნდაო.

— ალბად არიან, ბატონო არჩილ, თქვენს გარდა ისეთები, რომლებიც პაპიროს სწევენ....—იყო ცაცას პასუხი.

— ეჭვი არა მაქვს, რომ არიან!—ხელოვნურად გამოწვეული ბოხი ხმით უთხრა მას არჩილმა და ისე შეხედა, თითქოს დაემუქრაო.

— არჩილ, მოდი აქ, ცაცას სურათები დაათვალიერე... წარმოიდგინე: არცერთი მარქსი, არცერთი ენგელსი.... ლალატიც ასეთი უნდა!—მიმართა ამდროს ხმამაღლა არჩილს შალვამ, რომელიც ცაცას საწერ მაგიდასთან დამდგარიყო და კედელზე მიკრულ სურათებს ათვალიერებდა.

— ლალატის გამოაშკარავება წვრილმან რამეებს უფრო შეუძლია...—ჩუმად სთქვა არჩილმა, მაგრამ ცაცას გასაგონად, და შალვასენ გასწია—მე მგონია, შალვა, უმჯობესი იქნება, თუ ჩვენი „ბაგაჟის“ ქვითარს გადმომცემ... წავალ და ბარგს მოვიტან!—მოულოდნელად მიმართა მან მეგობარს, როცა მასთან მივიდა.

— მართლა... ქვესაგები „ბაგაჟში“ გვაქვს. მაგრამ რაღა შენ წახვალ, კაცო... მეეზოვეს გავგზავნი და ის მოგვიტანს. მოესწრება... მოდი, დააკვირდი: ცაცას აქ ყველა ქვეყნის მწერლებისთვის თავი მოუყრია... ქართველი კი არსად არ სჩანს... ესეც ხომ ლალატია ერთგვარი..,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელი გნებავდა, მაგალითად, შალვა?—ჰკითხა შალვას თავისი ადგილიდან ცაცამ, რომელიც ახლა ჩაის ჭურჭლის მილაგებას შესძახა.

— როგორ თუ რომელი? შოთა, მაგალითად...

— ჩემთვის გაუგებარია..

— აი, სირცხვილი... გურამშვილი? ბესიკი?

—მათი სურათი დანახვითაც არ დამინახავს... არც წამიკითხავს წარმოიდგინე.

— მაშ, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ყაზბეგი... ჰე, რას ამბობ, შენ ჩემო დაო: თავგამოსაჩენი თუ რამე მოგეპოვება, მხოლოდ ეს სახელებია.

— იცი, რა გითხრა, შალვა: გეთანხმები, რომ ისინი დიდი მწერლებია, მაგრამ ოთახში საქონებლად გარდა მწერლის დიდი სახელისა, საჭიროა რომ თვითონ სურათი იყოს მხატვრულად, ლამაზად შესრულებული... აი, როგორც მანდ არის შერჩეული. ზოგი სულაც არ წამიკითხავს, მაგრამ სახე მომეწონა და შევიძინე. ქართველი მწერლების სურათები კი კარგად შესრულებულები მე არსად არ შემხვედრია... ცალკე დაბეჭდილები არცკი მინახავს, მგონია. სადღაც ძველ ალბომში, თუ ძველ წიგნში მომიკრავს თვალი... როგორც არქეოლოგიური რამისათვის... სად შემეძინა? სად მეყიდნა?... რა ჩემი ბრალია?—იმართლა თავი ცაცამ.

—ა?.. მართალს ჰგავს, მგონი? შენ რას იტყვი არჩილ?—მოეწონა ცაცას თავისმართლება შალვას.

მაგრამ არჩილს ამ დროს არ სცალოდა. მას ყურიც არ უგდია შალვასა და ცაცას შორის გამართული დიალოგისათვის. —გაფითრებული, ნესტოებგაბერილი და სუთქმა შეკრული დასჩერებოდა ცაცას საწერ მაგიდის ერთ რვეულებშორის მიგდებულ შეჭუჭმნილ ქაღალდის ნაგლეჯს, რომელიც ზოგგან მელნითა, ზოგგან კიდევ ფანქრით იყო დაფხაჭნილი. ზედ რამდენსამე ადგილას მინაწერებიც ჰქონდა.

არჩილის ყურადღება ამ მინაწერებს შეეპყრო.

სჩანდა, ორ ხელს ემუშავნა ქიღალდზე. ერთი ქალისა იყო, აშკარად ცაცასი, მეორე კი უცნობი ხელი იყო, მაგრამ უთუოდ მამაკაცის.

მამაკაცის ხელი სწერდა:

— „გიყვარს?—მეკი რა ვქნა!—რას მეუბნები?"

იქვე ქალის ხელით თითოეულ კითხვას ქვეშ მოწერილი ჰქონდა ცალ-ცალკეთ:

— „ჰო და არა...—არაფერი.—არაფერს."

მეორე ადგილს:

მამაკაცი:—რატომ?"

ქალი:—„მიტომ?"

იქვე აჩნდა ფანქრების შებრძოლების კვალი. ერთ ფანჭარს, ეტყობოდა, წვერი წატეხოდა.

მერე იქვე გვერდით:

მამაკაცი ახლა კალმით სწერდა:— „მხოლოდ ერთხელ... ისე უმნიშვნელოდ... გთხოვ"...

ქალი ისევ ფანქრით;—„საძაგელი.“

არჩილი ამ უკანასკნელ ქარაგმას კითხულობდა და თვალწინ ძველი ნაცნობი ლევან პატაშვილის სახე ელანდებოდა, როცა შალვამ მხარზე ხელი დაადვა, რაკი მისი ყურადღება შეკითხვით ვერ მიიქცია.

ბიბლიოთეკა

არჩილმა ამ დროს სწრაფად აილო ქალალდი და ხელის გულში შეწმუჭნა. ტანი წინ წამოსწია და ხელი ჯერ ზურგს უკან დამალა, მერე შეუმჩნევლად ჯიბეში ჩაიდვა.

როცა თავი ასწია და შალვას შეხედა, თვალები მღვრიე ჰქონდა და სახის კუნთები უკანკალებდენ.

ტუჩები შელურჯებოდა. სულთმობრძავივით სუნთქავდა.

მისმა სანახაობამ შალვა ძალზე შეაოცა.

— არ შემიძლია... წამიყვანე აქედან, შალვა...—ძლივს გამოსცრა კბილებში არჩილმა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?... ნუ გეშინია... აქვე წამოწექი ლოგინზე...—უთხრა შალვამ, მკლავში ჩასჭიდა ხელები, შეესვეტა და ცაცას ლოგინისკენ წაყვანა დაუპირა.

— შალვა, აქედან წამიყვანე მეთქი, შენი ჭირიმე!—ცრემლიანი ვედრებით გაიმეორა არჩილმა თხოვნა და ახლა თვითონ გაიყოლია შალვა გასავალ კარისკენ.

შალვამ მკერდზედ მიიყრდნო მეგობარი და ასე შებჯენით მიჰყვა.

შალვას თითქოს სულაც დაავიწყდათ ცაცას იქ ყოფნა, არცკი შეუხედავს მისთვის, ისე ჩაუარა და არჩილი ოთახიდან გაიყვანა.

ოთახში სიჩუმე დამკვიდრდა.

ცაცას ლამბაქი ხელში შერჩენოდა და გახევებულიყო. რაღაცის მოაზრებას სცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, აზრს ძალას ვერ ატანდა. ისეთი გამომეტყველობა ჰქონდა, თითქოს არჩილის შესახებ არც-კი ფიქრობს და სულ სხვა რაღაცას იგონებსო.

მერე უცებ სახეზე საშინელმა ეჭვმა გაუელვა, თვალებიდან სიგიჟის ნაპერწკლები დასცვივდენ და საწერ მაგიდას შეეკიდენ, სადაც არჩილს გული შეუწუხდა.

ის-იყო, უნდა მომწყდარიყო ადგილიდან და იმ მაგიდას მივარდნოდა, რომ დერეფნიდან შალვას ხმა გაისმა:

— ცაცა, სადა ხარ?... კარი გამიღე, ქალო!

ცაცა ახლა შეუფიქრებლად გავარდა ოთახიდან.

უსიტყვოდ გაუღო სტუმრებს კარები, და თვითონ განზედ გადგა, გზა მისცა.

როცა მეგობრები გარედ გავიდენ, არჩილმა მოულოდნელი სისწრაფით თავი განთავისუფლა შალვასაგან, წელში გასწორდა, თავი მაღლა შეისროლა და მთელი ტანის ჭმაყური მიხვრით ღია კარისკენ მიბრუნდა. კართან ატუზულ ცაცას ზიზღით სავსე თვალები მიაპყრო. ზედიზედ რამდენჯერმე გახსნა ტუჩები, მაგრამ სიტყვა პირით არ ამოუვიდა,

მაშინ ჯიბიდან ხელის გულში შეკუმშული, ქარაგმებით დაფხაჭნილი ქალალდი ამოიღო და ხელის მედიდური გაქნევით ცაცას პირისახეში ესროლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე აუჩქარებლად კიბეზე დაეშვა.

შალვა დაბნეულიყო.

არჩილის საქციელი მას ტრაგიკულიც მოეჩვენა და სასაცილოც ერთსა და იმავე დროს.

არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ხან ცაცას შეხედავდა, ხან კი არჩილის განასროლ ქაღალდს იატაკზე.

„სიყვარულის ამბავია უთუოდ... ესეც შენი„ კარგი ნაცნობები დავრჩებით"...—გაიფიქრა შალვამ.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს, ცაცა?—ჰკითხა მან მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ თავის ბიძაშვილს, რომელიც უძრავად ისევ კართან იდგა და უცნაურად ციეი და უმეტყველო სახით მის ფეხებთან დავარდნილ ქაღალდს დასცქეროდა.—უცნაური რომანის გმირებივით იქცევით რაღაც... რაშია საქმე?

ცაცასაგან პასუხი რომ არ მიიღო, შალვა გაჯავრდა და ფიცხლად მოშორდა იქაურობას.

არჩილს კიბეზევე წამოეწია. გვერდში ამოუდგა და მკლავზე ხელი მოჰკიდა.

— კი, მაგრამ... რა იყო მაინც, კაცო?... რა მოხდა?—შეეკითხა დაბლად და ძირს გამოჰყვა.

— ცაცა რამაძის ქალს მე ამიერიდან არ ვიცნობ, შალვა!—საზეიმო გამოთქმით უპასუხა არჩილმა და დამძიმებული სიდინჯით შეუჩერებლად გზა განაგრძო.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ნ. ზომლეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იფქლი

(რომანი ქართველ რევოლიუციონერების ცხოვრებიდან)

## XIX

თედოს დაჭერამ ცუდათ იმოქმედა გადავარდნილებზე.

ეს იყო მათთვის მეტად დიდი დანაკლისი.

ამიტომ გადასწყვიტეს მათზე მოტანილ იერიშის სამაგიერო იერიშის მიტანა მთავრობის კაცებზე.

რა თქმა უნდა, მთავარი დამნაშავე, მათის აზრით, აქ იყო იორდანე მათრახაძე. ამიტომ გადასწყვიტეს იორდანეს თავიდან მოშორება, რათაც არ უნდა დამჯდარიყო ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა.

ეძებდენ მხოლოთ მოხერხებულს შემთხვევას.

შემთხვევამაც არ დაიგვიანა.

მწერლისა და იორდანეს ცოლის ცხრა თვის კავშირის თავზე იორდანე მათრახაძეს შეეძინა ძე.

იორდანეს ხელები ცაზე უწვდებოდა, რადგან აგერ თითქმის 5-6 წლიადი განმავლობდა, რაც მან ქორწინების საიდუმლოება იგემა, მაგრამ შვილები კი არ უჩნდებოდა მასა და მის ლამაზ მეუღლეს, ფეფიკოს.

რა თქმა უნდა, იორდანე ამის მიზეზათ ცოლს სახავდა, რადგან თავის თავზე ამ მხრით მდაბალი წარმოდგენის ქონება მას არ შეეძლო, თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა და, როცა მას შურიანი მეზობლები, უფრო კი ქალები—შექებით ეტყოდენ: „ბედნიერი კაცი ხარ, იორდანე, ამისთანა ლამაზი ცოლის პატრონი“-ო, იორდანეც ყველაფერში ჩვეული სიყოყოჩით მიუგებდა ხოლმე: „რათ მინდა, გენაცვალე? ძროხა რომ გაბერწდება, მისთვის დანის ძებნას შეუდგებიან, ხომ გაგიგონიათ-ო“...

ასე უხეშათ ილაშქრებდა იორდანე თავისი „უნაყოფო“, მაგრამ ლამაზი ცოლის წინააღმდეგ სახალხოთ; სახლში კი, თავის წინაშე იორდანე ცოლის თითქმის კერპათ მალიარებელი იყო, ისე თავის დამცირებამდის უყვარდა მას თავისი ლამაზი ნახევარი.

*) იხ. „მნათობი“ № 8—9

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ახლა მდგომარეობა უკვე საკეთილოდ შეიცვალა: მისი „უნაყოფო“ ცოლი უცბად განაყოფიერდა.

ამ მოვლენაში მთელს უპირატესობას იორდანე, რასაკვირველია, თავის თავს აკუთვნებდა. მიუხედავად ამისა, მისი დამოკიდებულება ცოლთან ამ დღიდან მაინც საგრძნობლად შეიცვალა და დღეს ამ უკვე „ხელმწიფის მიერ მიღებულ“ კაცს, რომელიღაც ბრჭყვიალა ჩინით დაჯილდოებულს, თავისი განაყოფიერებული ცოლის წინაშე შინაც და გარეთაც ლამის მუხლებზე დაჩოქილს ევლო, ლამის თითქმის ხელით ეტარებინა თავისი გამამედნიერებელი, შვილის ყოლით იორდანეს თვალში ახლა ერთი ასად უფრო ამაღლებული და გამშვენიერებული მეუღლე.

XX

ნათლობა აქვს იორდანეს.

ვინ გინდათ, რომ იმისას ამ დღისათვის არ იყვეს მოპატიჟებული?

სტრაჟის ინსპექტორი, პრისტავი, მამასახლისი, მწერალი, ბლაღოჩინ'ი მღვდელი, ერი და ბერი...

მაზრის უფროსმა ერთი თვის ჯამაგირიც კი უსაჩუქრა ასეთი წარმატებისათვის თავის ერთგულ იორდანეს და ნათლიებადაც ისა და მისი ტიკჭორა მეუღლე დაეპატიჟენ.

მართალია, ეს იყო რაღაცა ნაძალადევი, თითქმის უნებურათ თავს მოხვეული მოყვრობა, მაგრამ იორდანე სიხარულით მაინც მეცხრე ცაზე გრძნობდა თავს.

ან კი ვის უნდა ჰყოლოდა ამაზე უფრო ღირსეული ნათლიები, როგორიც ბედმა იორდანეს გადმოუგდო სრულიად მოულოდნელად?!.

სრულიად მოულოდნელად?!.

უკაცრავათ, იორდანემ დაიმსახურა ასეთი წარჩინება და აღმატება...

დაიმსახურა აგრეთვე ისიც, რომ ახლად მირონცხებულს, დედის დაჟინებით, სახელათ ბესიკი დაარქვეს.

იორდანე დაარწმუნეს ამ სახელის უპირატესობაში იმით, რომ უთხრეს: „ერთ ძველ სახელგანთქმულს ქართველ მწერალს სახელად ბესიკი რქმევია“-ო.

იორდანემ, აბა, რა იცოდა, თუ ესეც ისე, როგორც მისი უნებლიე და შემთხვევითი წარჩინება, თვით ახალიშვილის დაჭერის ხარჯზე რომ მიიღო, ეგერ სუფრის ბოლოში, სხვა მის სტუმრებთან შედარებით, პატარა კაცი რომ ზის, ბესარიონ მწერლათ წოდებული, ყველა ეს იმისი მოხერხება და წყალობა იყო.

დიახ, ყველა ბედი, თუ უბედობა ხეპრედ განდიდებულ, გაგულზვიადებულ იორდანეს, ისე როგორც არა ერთს სოფელში, ბესარიონ მწერლისაგან სჭირდა.

ის იყო ყველაფრის მიზეზი და საბაბი ამ ქვეყნად, ანუ „ყველაფრისტი“, როგორც სოფელში ეძახოდენ ბესარიონ მწერალს მეტ სახელად.

## XXI

რათა გადავარდნილების მხრივაც უზრუნველეყო თავისი თავი, თედოს დაჭერის შემდეგ, ბესარიონმა განგებ აღადგინა კავშირი ამ თავის ძველ ნამეგობრევებთან, რა თქმა უნდა, განზრახული მიზნით.

თედო ა ხ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ჩამოშორების შემდეგ, მას განდიდებული იორდანეღა დარჩენოდა ხელის შემშლელ მოქიშპედ ამ ქვეყნად და ბრიყვიც უნდა ყოფილიყო გამოქნილი „ყველაფერისტი“ და ამ თავისი ზედმეტი სახელის შეუფერებელიც, რომ გადავარდნილთა იორდანესადმი მტრული განწყობილება შესაფერისად ვერ გამოეყენებინა.

ნათლობის ღამეს, სწორედ იმის შემდეგ, რა რომ იორდანემ გააცილა თავისი ღირსეული სტუმრები სამაზრო ცენტრისკენ, ხოლო თითონ კი ბიილოს სახლში ერთის ღამით დარჩენის ნებართვა, რათა თავისი მშვენიერი ცოლის ალერსში გაეტარებინა ეგ ბედნიერების გვირგვინად მოჭრილი ერთი ღამე, სწორედ ამ ღამეს, უფრო ღამის განთიადისკენ გადახრის ჟამს იორდანე მათრახაძეს თავს დაესხნენ გადავარდნილები...

— „იორდანე მოჰკლეს, ხოლო მის ცოლს ძალზე სცემეს“-ო..

ამბობდა მეორე დილით ამ საქმეზე ბესარიონ მწერლის მიერ სასწრაფოთ შედგენილი მოხსენება მთავრობის წინაშე.

ამის შემდეგ, აბა, ვინ იფიქრებს, რომ ეს უკანასკნელი ბედნიერებაც იორდანე მ ა თ რ ა ხ ა ძ ე ს არ სჭირდა ბესარიონ მწერლისაგან, რომელმაც ხელსაყრელი დრო და ცნობა იორდანეს შინ ყოფნის შესახებ მოხერხებული სისწრაფით მისცა სწორეთ იმ გადავარდნილებს, რომელთაც თავის მხრით ისეთისავე მოხერხებული ოსტატობით საჭიროების დროს თვითონვე აბამდა განგებ, თუ შემთხვევით დაგებულს მახეში?!.

მხოლოთ იმ დროში კი ბესარიონზე ასეთი ეჭვის მიტანა არა თუ იორდანესავე მსგავს ხეპრე მაშინდელს მთავრობას, არამედ თვით მის საყვარელს, ამ ჟამად იორდანე მ ა თ რ ა ხ ა ძ ი ს ქვრივსაც კი არ შეეძლო, რადგან სხვა რომელი ვაჟკაცი დართავდა ნებას გადავარდნილებს, რომ ეცემნათ საყვარელი ქალისათვის, გარდა, ყოველი მოსალოდნელი შემთხვევის თავიდან აშორების მიზნით, წინდახედული ბესარიონ მწერლისა?

მან კი ნება დართო დამცემლებს, რათა ეცემნათ იორდანეს ცოლისთვის. ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტიც გამოადგებოდა მოხერხებულ მწერალს რაიმედ საჭიროების დროს.

ხოლო გადავარდნილებს კი ეს გარემოება ყოველშემთხვევაში ეჭვა უფანტავდა, რომ მათრახაძის ცოლი ბესარიონის საყვარელი იყო და, მაშასადამე, აქ მოსალოდნელი იყო მწერლის მხრით რაიმე მისთვისვე გამოსადეგი კომბინაცია.

„ფრთხილთა დედანი არა სტირიანო“, ნათქვამია.

ბესარიონ მწერალსაც პირდაპირ ესმის ყოველივე გონივრული აზრი. ყოველ შემთხვევაში იმის წინდახედულობასა და მოქმედებაში მოხერხებულ სიფრთხილეს სხვა ვინმე აზრითაც კი ვერ წარმოიდგენდა.

## XXII

„ცხენს ვერ შესწვდენ და უნაგირს ტყვა დაუწყესო“, ნათქვამია და მათრახაძის მკვლელებს რომ ვერაფერი დააკლო მთავრობამ, სოფელი დასაჯა უზომო ნივთიერი გადასახადით, ვითომ მოკლულის ოჯახობის სასარგებლოთ, ნამდვილად კი — ბესარიონ მწერლის საღველავ ხაჭაპურებისათვის, როგორც დაცინვით ამბობდენ სოფელში.

ამის შემდეგ ერთნაირი უკმაყოფილებაც კი ჩამოვარდა სოფელსა და გადავარდნილებს შორის.

აქაც ბესარიონ მწერალი გაჩნდა მოსაშველეთ და გადავარდნილებს, ვითომდა სიერთგულის დამამტკიცებელი მოსაზრებით, ნამდვილათ კი მათი თავიდან მოშორების მიზნით, ურჩია, რათა ისინი ხანგრძლივათ, ვიდრე ხალხს ტკივილები მოუშუშდებოდა, გასცლოდენ სოფელს.

— „რაღაც ეს მწერალი ძალიან კი დაგვეტრიალებს თავს და დიდი მზრუნველობითაც გვეპყრობა, მაგრამ, არ მჯერა, რომ მაგი თვითონ არ ამღერევდეს აქ წყალს“.

ეუბნება ახალგაზრდა გადავარდნილი უფრო ხანში შესულს.

— „ძნელი სათქმელია. დიდი რწმენა მაგისი არც მე მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ისეთს ვერაფერს ვამჩნევ“, დაფიქრებით და სიმძიმით მოუჭრა ხნიერმა.

— „იმ ხეპრე იორდანამ კი შემოგვწირა თავი და“...

დაუმატა მესამემ.

— „ძაღლს ძაღლური სიკვდილი ერგო და კარგიც იყო, ეს სოფელი რომ არ აემყრალებინა სიკვდილის შემდეგ“.

ნაღვლიანად შენიშნა ხნიერმა.

„სოფელი არაფერია, მართალია, ცოტას კი წაიგულძვირებენ ჩვენზე, მაგრამ გული მალე ისევ მოუბრუნდებათ, რადგან ვიცი, კიდევ მალე გავხდებით მისთვის საჭირონი“.

იმედიანად დასძინა მეორემ.

ასეთი მუსაიფით სტოვებდა გადავარდნილთა ერთი ჯგუფი, ეგრეთ წოდებული „ახალიშვილის პარტია“, სოფელი №-ის საზღვრებს და დროებით ამ სოფლისთვის თავის მორიდებას ჰფიქრობდა, თორემ, ვინ იცის, — გაბოროტებულმა გლეხებმა იქნება მართლაც იფიქრონ ცუდი რამეო, — გადასწყვიტეს მათ წასვლის წინ გამართულ მოლაპარაკებაზე.

მათ ეჭვიც კი არ შესდიოდათ იმაში, რომ მალე ისევ დაუბრუნდებოდენ სოფელს №-ს, რომელსაც უხვად აკრავდა საიმედო ტყიან-მთიანი საფარი ადგილები, სადაც გადავარდნილები უშიშრათ გრძნობდენ თავს.

## XXIII

„ა ხ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს პარტია მოქმედობს, საჭიროა მისი სასწრაფოთ გასამართლება და თავიდან მოშორება, თორემ კიდევ რასმე გამოიწვევსო“, სწერდა მწერალი სამაზრო ცენტრს თავის განსაკუთრებულ მოხსენებაში.

ცენტრმაც არ დააყოვნა, ვის წინაშეც ჯერ იყო, შესაფერი შუამდგომლობის აღძვრა, რაც დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ იქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალიშვილი დაასამართლეს.

ექვსი წლით მაღნებში მუშაობა და სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს და ხელფეხზე მძიმე ბორკილ-დაყრილი გაუყენეს გზას ცივი ქვეყნისაკენ.

სოფლად ახლო ნათესავი, ვისაც გული უნდა დასწოდა მისი ასეთი ხვედრით, ბავშობიდანვე ობლად დარჩენილ თედოს თითქმის არავინ არ ყოლია.

იყო მხოლოთ საერთო წყენა და, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ველიანე ყ ო ყ ო ჩ ა ძ ი ს ა  დ ა მისი ცოლის--ედუკის მიერ ამ წყენის საჯაროთ მჟღავნება.

— „ღმერთმა მისი კაცობა გააშავოს. პურ-ღვინისა და სტუმარ-მასპინძლობის გამჩენმა არ შეარგოს იმას ჩემი პატივნაცემი“.

თავიდან მანდილის მოხსნითა, ხელების მაღლა გაურკვეველი სივრცისაკენ აშვერითა და სავსავით, სწყევლიდა მარიამა--ა ხ ა ლ ი შ ვ ი ლ ს, როცა მასთან ვინმე შემთხვევით, ანდა ზოგი—განგებაც, მარიამას გულის მოსაკლავად, ახსენებდენ თედო ა ხ ა ლ ი შ ვ ი ლ ს.

სოფლად გახმიანდა პაემანის ჩაშლის ამბავი და ამან არა მცირე შეწუხება და შეურაცხოფა მიაყენა დათია წვადაგაძის ოჯახს.

ეს იყო მარიამას მიერ ახალიშვილის ცუდათ ხსენების მიზეზიც.

მაშოსაც არა ერთი ტანჯვა მიაყენა ამ ამბავმა, მაგრამ თედოს ცუდათ ხსენება მისი პირიდან მაინც არ ამოსულა.

მარიამას წყევლას კი, თუ შემთხვევით შეესწრებოდა, მყისვე პირს აარიდებდა და შორდებოდა.

მაშოს არ მოსწონდა დედის ასეთი ქცევა, მაგრამ რა უნდა ექნა...

## XXIV

საშინელი ეჭვი ღრღნიდა მაშოს სათუთ გულს.

ვინ გაგვცა?

აი, კითხვა, რომელიც ჭიანჭველასავით ევლებოდა და ჰკბენდა იმის გონებას. მაგრამ გარკვეული პასუხი ამ კითხვაზე მისთვის მაინც არსად არ იყო.

ყველაზე მეტი ეჭვი ალათიაზე წვებოდა.

მაშო და ალათია ამ ნიადაგზე, ასე ვსთქვათ, დაშორდენ კიდეც ერთმანეთს.

თედოს დაჭერის შემდეგ, დამაეჭვებელმა რამდენიმე შტრიხმა თითქოს ალათიაშიც იჩინა თავი: მაშოსთან შეხვედრის დროს, იგი თავს ღუნავდა და შენიშნული გვერდით მიძვრებოდა სადღაც.

ამიერიდან მაშოსაც შესძულდა ეს შავით მოსილი ქვრივი დედაკაცი. შესძულდა, როგორც „მწვივანი“ გველი.

— თუმცა რა უნდა სცოდნოდა ალათის?

გაუელვებდა ფიქრი მაშოს.

დაბეჭდილი წერილი მისცეს და მოიტანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი რა?

არაფერი!

ნუ თუ თედომ გაანდო მას საიდუმლო?

მაგრამ ამის შესახებ ხომ ალათიას არაფერი უთქვამს მისთვის...

არა, იქნება სრულიად არაფერ ბრალში არ არის საცოდავი ქალი...

და მაშოს გამოუთქმელი სიძლიერით მოუნდა ალათიას ნახვა, მისთვის გულის გადაშლა, ზოგიერთი კითხვის მიცემა და ამ კითხვებზე პასუხის მიღება.

რა ხანს თედომ ალათიას წერილი გამოატანა და ამით ანდო კიდეც საიდუმლო, ალათიას ეცოდინება ცოტა რამე მაინც იმისაგან, თუ რას ითხოვდა მაშოსგან თედო.

ერთი სიტყვით, ქალურმა ცნობის მოყვარეობამ სრულიად შებოჭა მაშო და აკრძალული ხილის შინჯვის თავშეუკავებელი სურვილი აღძრა მასში.

ალათიამ თითქოს ინსტიქტიურად იგრძნო მაშოში ასეთი გარდატეხაო, დაუწყო გამოჩვენება უფრო ხშირ-ხშირად.

და ერთ დღეს, როცა შემთხვევით გზაში შეეჩეხა, პირდაპირ მიიწია მაშოსკენ და მტკივნეულობით დაუწყო ლაპარაკი უცაბედი ხიფათის შესახებ. უსაყვედურა კიდეც, რომ იმ თავიდანვე მას არ გაანდვეს ეს საქმე, თორემ ასეთი ცუდი შედეგი აღარ მოჰყვებოდა პაემანსო.

ბევრი, ბევრი რამე უთხრეს ერთმანეთს მოულოდნელად შეხვედრილებმა. მაშოს გული ისევ მოინადირა ალათიამ თავისი თანაგრძნობით.

ახალგაზრდა ქალი აცრემლდა კიდეც გაქნილი ქვრივის წინაშე, რომელმაც ნაძალადევი ცრემლითაც კი უპასუხა ამ ბავშურს გულუბრყვილობაზე გამოუცდელს მაშოს.

მაშო საბოლოოთ მოლბა და აზრი გამოიცვალა ალათიას შესახებ.

ალათიასაც ეს უნდოდა.

და დღემდის შემთხვევით მტრები ახლა ისინი ერთმანეთს ამიერიდან უკვე ისევ მეგობრებათ დაშორდენ.

## XXV

მაისის შუა რიცხვები იყო.

სოფელ №-ის კანცელარიაზე დილიდანვე იწყო ხალხმა დენა.

მწერალი და მამასახლისი არაჩვეულებრივად ადრე ეწვიენ კანცელარიას. აქიდან რომ ესენი ამოდიოდენ, იქიდან ივლიანე ყოყოჩაძე, ოთხი, ხუთი გლეხის თანხლებით და რაღაცაზე გაცხარებული კამათით, სწრაფად მოადგენ კანცელარიას.

— დილა მშვიდობის, ბატონო მამასახლისო!

— ბესარიონს ვახლავართ!

მიაძახა ივლიანემ მომავალთ საერთო მისალმების სახით.

გლეხების მხრიდანაც გაისმა არეულად: „დილა მშვიდობის, დილა მშვიდობისო“, მაგრამ ივლიანეს მისალმება მაინც ყველას ჩასჩხრიალებდა ყურში და თავისი გარკვეულობით, რიხით და სითამამით მაინც პირველობდა, როგორც თვით ივლიანე გრძნობდა თავს პირველ კაცად გლეხებ შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ივლიანე, რაზედ ვართ დღეს დაბარებული, შენ გეცოდინება“...

მიმართა ერთმა თამამმა გლეხმა კანცელარიის წინ ხის ძირზე ჩამომჯდარ ივლიანეს.

— რა გითხრა, ჩემო ათარმეზ? აი, დაცემა რომ იყო ამ დღეებში, იმის შესახებ უნდა იყოს ყრილობა“.

იქვნეულად მიუგო ვითარების მშვენივრად მცოდნე ივლიანემ და თანაც დაატანა:

„პრისტავსაც ელიან, მგონი, თუ „ვეზნაჩალნიქმა“ ვერ იშოვნა დრო და ვერ მოახერხა მოსვლა.

— „კაი დაგემართოს! მეორეჯერ გადაგვახდევინებენ, ალბათ, იმ ფულებს!..

დასძინა ერთმა მოყურიადე გლეხთაგანმა.

— მესამეჯერ, რა უჭირს, რომ გადაახდევინონ, თუ ფიქრობ?

— რაზე არ იცი, რომ ძალაც მათ ხელშია და სამართალიც!

ჩურთო მეორემ.

— ჰო და ქე გადავყოლივართ, აბა, ზედ იორდანა მათრახაძეს...

დასძინა მესამემ.

— „ვაი, შე უბედურო, იორდანაის ქვრივი მაინც გეხსენებია ამ გადაყოლაზე...

— თქმაშიაც რომ აღარ გაქვს შნო...

იოუხუნჯა მეოთხემ.

— „ბესარიონ მწერალმა არ გაგიგონოს, თორემ ქვრივს გიჩვენებენ შენ.“

შენიშნა მეხუთემ...

ამ ლაპარაკზე რაღაც უხერხულობა-დანატყობმა ივლიანე ყოყოჩაძემ თავის ჩიჩქნა დაიწყო, ნელა წამოდგა ხის ძირიდგან და გაეშურა კანცელარიისაკენ.

— „წმინდა გიორგის ეკლესის შემავალნო! აქეთ მოიწით ერთი, ი გალავნის ფულის შესახებ გვინდა მოლაპარაკება“...

დაიძახა ვიღაცამ და განზე გადგა.

— რა დროს წმინდა გიორგია, ძმავ, ამ მაისში?!.

გიორგობა აპრილში გათავდა, მგონია, და შენ ახლა ახსენებ კიდევ?!.

უხუმრა ვიღამაც.

— „ხუმრობას მერმეც მოესწრები, ცოტა დაუჩქარეთ აქეთ, თუ შეიძლება...

განმეორებით გადასძახა ზანტად მისკენ ამოძრავებულს გლეხებს განზე გამოსულმა.

ამ სიტყვებზე გლეხების ერთმა ჯგუფმა თავი მოიყარა იქ, საითკენაც მოუწოდებდენ და შეუდგა ჩვეულებრივს ყაყანს.

იქ რომ ამ ყოფაში იყვნენ, კანცელარიის ეზო თანდათან ივსებოდა აქეთ-იქიდან მომავალი გლეხებით.

მალე ეზო სრულიად მოიფარა მოსული ხალხით.

შუადღემ რომ მოატანა, ხალხით გაჭედილ კანცელარიის ეზოს მოადგა ხუთი-ექვსი ცხენოსანი.

— „პრისტავი მობრძანდება“...

იძახოდა აქეშელებული ნიკოია და ხალხს მიარღვევდა კანცელარიის სამწერლო ოთახისაკენ.

ივლიანე ყოყოჩაძემ შორიდანვე შეასწრო თვალი ამას და მწერალ-მამასახლისს პირველმა ახარა ასეთი სასიამოვნო ამბავი.

ამასობაში ცხენოსნებიც კანცელარიის აივანს მოადგნენ და დაიქვეითეს.

ბოქაულს ცხენი სასწრაფოთ ჩამოართვა ნიკოიამ და კანცელარიის თავლაში დააბა.

ჩაფრებმა თავიანთი ცხენები, იქით-აქეთ გატარების შემდეგ, ახლო-მახლო ხეებსა, თუ სხვა რამეებზე მიაბ-მოაბეს და კანცელარიის აივნის ერთ კუთხეში მდინარის კუნძულზე შემოლამებულ ბატებივით თავი ერთად მოიყარეს.

— მობრძანდით აქეთ!..

— მიქელ, გადასძახე იქით დანარჩენებს!..

გაჰკიოდა აივნიდან გადმომდგარი ერმილე მამასახლისი და ხალხს უყრიდა თავს კანცელარიის წინ.

ბოქაული კი ამ დროს სამწერლო ოთახში იჯდა მწერალთან და კანცელარიის სხვა და სხვა დავთრებში იქექებოდა.

— „დრამის ანგარიში როგორ გაქვს?! შეეკითხა ბოქაული უპირველესად მწერალს, უფრო მამა ბლაღოჩინის გულის მოსაგებლათ, რომელიც ამ ამბავს იქვე შეესწრო.

— „თითქმის აბოჭილი გვაქვს“, სწრაფად მიუგო მწერალმა და გაუშვირა ბოქაულს თხელი საკანცელარიო წიგნაკი, რომელშიაც დრამა ფულის შემოსავალ-გასავალი იყო აღნიშნული. და მწერალმაც, ბოქაულის წაბაძულობით, გამარჯვებულ ყვინჩილასავით თავი ბლაღოჩინისაკენ მოიღერა.

— ნედოიმკები ხომ არ იქნება, შენის აზრით?.. შეეკითხა წიგნიდან თავის აუღებლად ბოქაული მწერალს.

— „რა ბრძანებაა, ნედოიმკები, როგორ შეიძლება? ამას წინადაც ქე გვქონდა მაგის შესახებ თქვენი ბრძანება...

— „მაშ, კარგი, წიგნი საჭირო აღარ არის“.

ამ სიტყვებზე საქმიანობის ძალდატანებით მჩენმა მოხელემ ორივე ხელი მუხლებზე დაიკრა, ზე წამოდგა და კანცელარიის აივანიდან გადმოდგა მოგროვილი ხალხის წინაშე. იდგა მათრახით ხელში და არწივის სიამპარტავნით გადაჰყურებდა მის წინ ერთავად თავებ-მოშიშვლებულ ხალხის ზღვას.

— ს უ თ!

გაისმა მამასახლისის მკაცრი ბრძანება და აქა-იქ ჯერ კიდევ თავზე ყაბალახების ხდით, ზღვა ხალხი სულ-გაკმედილი დადგა იშვიათ სანახავ უფროსის წინაშე.

ვიღაც ერთ-ორს ყაბალახის მოხდა დაავიწყნოდა. ბოქაულმა შენიშნა ესა და მამასახლისს მოკეცილი მათრახის ტარით ანიშნა:

— „არ, გყავს, მამასახლისო, ხალხი დაჩვეული ყრილობაზე“[illegible]

მამასახლისმა ხელი დაუქნია უხერხულების თავზე დამხვდურ[illegible] „[illegible]“ და იმათაც ფიცხლავ მოიგლიჯეს თავიდან ყაბალახები.

— „ურიას რეცხდენ და მას კი უარესი და უარესი წვენი გასდიოდაო“, ისეა თქვენი საქმე“.

გადაკვრითა და ირონიით დაიწყო ბოქაულმა.

ხალხი შეჩოჩქოლდა.

— სსუთ! გაისმა მამასახლისის მკაცრი ბრძანება.

ბოქაულმა განაგრძო:

— „გადავარდნილებია, თქვენ ინახავთ: თავის ნართლება ხომ აღარ შეგიძლიანთ? ყველაზე უფრო საშიშარი ავაზაკი იმათგან ხომ თქვენს უბანში შევიპყარით?!.

ეს პირველიაო, კსთქვით და გაპატიეთ.

— სტრაჟნიკი მ ა თ რ ა ხ ა ძ ე ერთად-ერთი ღამით გაჩერდა სოფელში თავის საკუთარ სახლში: თქვენ არ დაინდეთ ის, თითქოს თავის სახლში მოსვენების უფლება არა ჰქონდეს კაცს, თავს დაესხით და მოჰკალით.

ესეც შეგრჩათ...

იმ ფულის გადახდა, რომელიც თქვენ გაიღეთ, რომ საკმაო არ დარჩა, ეს იქიდანაც მშვენივრად სჩანს, რომ ის ფულიც ისევ თქვენვე გაიტაცეთ და სულაც არ შეგშინებიათ იმისი, რომ ამ ფულს ახლა ხელმეორედ გადაგახდევინებდენ.

ეს ფული ჩემს აქ ყოფნაში უნდა იქნას ხელმეორედ აბოჭილი და შემოტანილი.

მაგრამ ეს არ კმარა.

საჭიროა და აუცილებელი თქვენი ჭკუაზე მოყვანაც. ერთი კარგი ეკზეკუცია უნდა ჩამოგიყენოთ. სოფლად რომ ქერა-თმიანი ბავშვები მომრავლდება, ეგების შემდეგ ისწავლოთ ჭკუა და ამდენს ურჩობასა და ბოროტ-მოქმედებას ხელი აიღოთ.

მე უკვე გაგზავნილი მაქვს შესაფერი ქაღალდი და, სადაც არის, ჯარს გამოგზავნიან.

მე თქვენ მოგიყვანთ ჭკუაზე!... დაათავა მან ხალხის დარიგება და მათრახის ტარი დამუქრებით ისე შეათამაშა ჰაერში, თითქოს ბეჭედი დაჰკრა თავის ნათქვამსო.

ხალხში ისევ ჩოჩქოლი ატყდა.

— სსუთა!..

ისევ გაისმა მამასახლისის მკაცრი ბრძანება.

ხალხი რომ დაშოშმინდა, ბოქაული მიუბრუნდა მამასახლისს და უბრძანა:

— „მამასახლისო! ეხლავე გამოუძახე ხევისთავებს და გატაცებული ფული, ხუთი-ექვსი დღის ჩაფრების ხარჯის ზედ დამატებით, გააწერინე სოფელზე.

ხვალ ამ დროს ფული აქ იყოს!

მოსჭრა განუსაზღვრელი უფლების მჩენმა მოხელემ და შეიმალა სამწერლო ოთახში, თითქოს თავისი ნათქვამისა თვითონვე შერცხვაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XXVI

სწორედ ამ დროს სამწერლო ოთახში შევიდა სამსახურს გარეშე მყოფი პოლიციის პრაპორშჩიკი, როსტომ ქ ა შ ა ძ ე, ივლიანე ყ ო ყ ო ჩ ა ძ ი ს თანხლებით, და ბოქაული სადილათ სახლში მიიწვია.

„თქვენი საკადრისი, აბა, რა უნდა მექნას, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: „სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირებაო".

პირში ღრეჭითა და ხელში ქუდის სრესით დაათავა თავისი მიპატიჟება როსტომმა.

ამ დროს ივლიანეც თავზე ქუდმოშვლეპილი გვერდით ედგა როსტომს და წელში ოდნავ წინ გადახრილი ისეთის მოწიწებით მისჩერებოდა სასურველ სტუმარს, თითქოს მთელი თავისი პოზით უმწვერვალესი მოკრძალების გამომხატველი მჭერ-მეტყველებით უმოწმებს ძალა-უფლების წარმომადგენელს თავის ერთგულებასა და თან ეხვეწება, ემუდარება, რათა მან როსტომი არ გააწბილოს და დღეს სადილათ წვევაზე უარი არ უთხრასო.

თხოვნის შეუსრულებლობა ბოქაულის მხრით გამოიწვევდა უდიდეს უბედურებას: ჯერ ერთი,· რომ თვითონ მასპინძელს ტყუილ-უბრალოდ ჩაუვლიდა იმდენი სამზადისი, რაიც თავისი თვალით იხილა უკვე ივლიანემ, ხოლო მეორეც, ივლიანეს სურვილს საკუთარი მულლის ამოყორვის შესახებ ეს უარი პირდაპირ კატასტროფას უქადდა.

გაძღომა შეიძლება უიმისოდაც მოახერხოს დღეს ივლიანემ სადმე, ამისათვის სოფელი ერთობ დიდი და ნოყიერია, მაგრამ ეს გაძღომა სად შეედრება როსტომისას მუცლის ხეთქის შესაძლებლობას!..

აი, რა იდეია ასულდგმულებს ივლიანეს ბოქაულის წინაშე მოკრძალებიანს, თითქმის თაყვანისცემლობის გრძნობით აღსავსე პოზას.

და კეთილი თქვენა გქონდესთ, კეთილათ დაბოლავებულიყოს ეს თხოვნამუდარა.

ბოქაულმა თანხმობა განუცხადა რომსტომს სადილათ წვევის შესახებ.

ამის შემდეგ, როსტომი მიუბრუნდა ივლიანეს და რაღაც ჩუმათ გადასცა.

ივლიანეც საჩქაროდ გატრიალდა და კანცელარიას გაშორდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ბოქაული, მწერალი, მამასახლისი, ბლაღოჩინი, გაბრიელ მედუქნე და ორი-სამი სოფლის მშიერი აზნაური, რომელნიც, უსაქმურობისა გამო, ყრილობაში სასეიროდ გამოხეტებულიყვნენ, როსტომის წინამძღოლობით, მოშორდენ კანცელარიას და ნელის ნაბიჯით გაუდგნენ გზას იქვე კანცელარიიდან რამდენიმე ათეული საჟენით დაშორებულ როსტომ ქაშაძის მომაღლოთ წამოჭიმულ ოდისაკენ.

## XXVII

სოფლის კანცელარიის წინ მოგროვილ ხალხის ყაყანმა რომ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როსტომ ქაშაძის ოდიდან გაისმა გაჭიანურებული მრავალ-ჟამიერის ხმა.

ყველაფრიდან სჩანდა, რომ ქაშაძის სტუმრები ბედს არ ემდუროდნენ.

მრავალ-ჟამიერის ხმაზე კანცელარიის წინ ყაყანმაც კი იკლო. გლეხები ჯგუფ-ჯგუფად თითო-ოროლობით, მადიანი გამომეტყველებითა და ნახევრად გამშრალ ყელში ნერწყვის ყლაპვით, გაიყურებოდენ იქითკენ, საიდანაც სიმღერის ხმა მოისმოდა.

მაგრამ არა თუ არავითარ ნერვიულობას არ იწვევდა გლეხებში შორი მაურით აქ მოტანილი ლხენისა და დროს გატარების ეს მომხიბლავი იდილია, არამედ, პირიქით, ერთგვარი სიგულგრილითაც კი ხვდებოდენ მას, ვინაიდან გლეხური მასა დაჩვეულია სიმშილს, გასაჭირს და თმენას.

მზე გადახრილი იყო, როცა ქ ა შ ა ძ ი ს ოდიდან სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა ბესარიონ მწერალი. მას უნდა დაეხედნა ხევისთავების მუშაობისათვის. მართალია, საჭირო ქაღალდები შესაფერი ცხრილებითა და სხვა ბესარიონ მწერალს წინდაწინ დაემზადებინა, ასე რომ ხევისთავებს მხოლოთ მოსახლეობაზე შეწერილი ფულის რაოდენობის მზამზარეულ ცხრილებში შესაფერ სახელისა და გვარის გამსწვრივ აღნიშვნა-ღა რჩებოდათ შესასრულებლათ. მაგრამ ამის სავსებით მათზე მინდობაც არ შეიძლებოდა. საჭირო იყო ამ შემთხვევაშიაც ბესარიონ მწერლის გამოცდილი ხელის ჩარევა.

მწერალს თან მოსდევდა გაბრიელ მედუქნეც, რომელმაც, თავისი დუქნისათვის დახედვის მომიზეზებით, დააძვრინა თავი ჭირვეულ მასპინძელსა და მისაგან სრულის რწმუნებით აღჭურვილ თამადას.

მწერალი რომ აქეთ გამოეშურა, გლეხთა ერთი ჯგუფი, ხუთი-ექვსი კაცისაგან შემდგარი, ერთი განცალკავებულ ხის ძირში იჯდა, ყრილობის დანარჩენი მასიდგან საკმაოთ განშორებული, და რაღაცაზე დაბალი ხმით მსჯელობდა.

— „ისე ამ მწერალმა კი ჩაიდგა ჩვენი სისხლი მუცელში და სხვაი შენ იცი“.

თავის ქნევითა და რაღაც უილაჯო გაბოროტებით წარმოსთქვა ერთმა გონიერი გამომეტყველების პატრონმა გლეხმა.

— „არც სხვები აკლებენ ხელს, ჩემო ასალო!“

დაუმატა ნაღვლიანადვე მეორე გლეხმა.

— არა, სხვებიც ხომ გვჯექნიან, მარა მაგი კი ნამეტანს შობა“.

ჩაურთო მასამემ.

— „ივლიანე ყ ო ყ ო ჩ ა ძ ე რით ჩამოუვარდება მას, თუ იცი?

— აგი ქე მაინც ნასწავლი კაცია და რამდენიმეთ კიდეც შეშვენის ასეთი ქცევა. ამ ივლიანას კი რა ესმის ჩვენზე მეტი, რომ მთელი წლის-განმავლობაში ერთ თოხს არ ჩამოჰკრავს, წუწკი ძაღლივით დაძუგავს იქით-აქეთ და კინჩხი საკალანდო ღორივით აქვს გასიებული?!.

საიდან აქვს ყველაფერი ეს?

ციდან თავისით ხომ არაფერი მოცვივა.“

— „სანამ ძალა ჩვენი იყო, უსინათლო ლეკვებივით ფეხ ქვეშ გვეგებოდენ და ახლა ხომ დრო მაგათია.“

ჩაურთო ერთმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ერმილა ალაპის ჩოგანმაც რომ კი გაიმართა წელი და გაისწორა ქონდრი!..

გაკვირვებით წარმოსთქვა ვილაცამ მამასახლისის შესახებ და ამ თავისი შენიშვნით თანხმობის ნიშნად გულიანი ახმაურებაც კი გამოიწვია მაყურებლებში.

— „რა უჭირს, ძამია, ბექდის ფული მაგისია და სხვა კიდევ, თუ ვინმეს რაიმე მოეფინჩხება.

ახლა რომ ქრთამობაა საშინლად გახშირებული, მგონი, დიაბეგობის დროსაც არ ყოფილა ამის მსგავსი.“

ავტორიტეტულათ შენიშნა ერთმა მოსაუბრეთაგანმა, თითქოს დიამბეგობის დროს ზედმიწევნით მომსწრე და მცოდნე ის იყვესო.

— „არა, სხვას არ ვჩივი და მწერალს რომ რამეს მოუხერხებდეთ, კარგი იქნებოდა, მარა რას უზამ? ყველა მაგას სწყალობს!“.

სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა ერთმა მოსაუბრეთაგანმა.

ამასობაში, მზემაც ჩასასვლელათ აუჩქარა, რომ ქ ა შ ა ძ ი ს ეზოდან გამოვიდა ბოქაული, მამასახლისი, ბლალოჩინი და სხვები, რომელნიც პირდაპირ კანცელარიის მიმართულებით წამოვიდენ.

მამასახლისმა ხელი დაუქნია ხალხს და ამ უკანასკნელმაც, აქამდის კანცელარიის ახლო-მახლო გაშლილ ფარასავით გაფანტულმა, ისევ კანცელარიის წინ იწყო თავის მოყრა.

მწერალი გამზადებულ ქაღალდებით ხელში მოსულებს აივანზე გაეგება წინ.

— მზათ არის?

იკითხა ბოქაულმა, რომელსაც ზედვე ეტყობოდა, რომ ახლა, ღვინის სამაო რაოდენობის მიღების შემდეგ, იგი გაცილებით უფრო ხეპრე და გაბედული იყო, ვიდრე ოდესმე.

მწერალი ელდა-ნაკრავივით დატრიალდა:

— „მზათ გახლავს!“.

— „აბა, გამოუცხადე!

უბრძანა ბოქაულმა და მოკეცილი მათრახით ხელში მიუთითა მოგროვილ ხალხისაკენ.

მწერალი კითხვას შეუდგა.

ხალხში სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

უსუფთაოდ გაბურძგვნილი, ქერცლიანი მოშვლეპილი თავები გლეხებისა, ერთის შეხედვით, ზამთრის ბოლოს ახლად გადანაწვავ საისლეს მოგაგონებდათ.

ვილაცა ახალგაზრდას თავზე მოხდა დავიწყებოდა.

ბოქაულმა მწერალი შეაჩერა, ახალგაზრდას მუქარით გამოუძახეს, მაგრამ უკანასკნელმა ისეთის სისწრაფით იტაცა თავზე ხელი, რომ ყველამ იგრძნო მისი უბრალო დაუდევრობა.

ბოქაულმაც, პატიების ნიშნად, უიმედოდ ჩაიქნია მათრახიანი ხელი, რაც ნიშნავდა, რომ ახალგაზრდა კაცის მოსვლა საჭირო აღარ იყო.

ლოყაზე ალნაკრავივით ალეწილი ახალგაზრდაც ადგილზე შეჩერდა.
მას აქეთ-იქიდან მიაცქერდა ცნობის მოყვარე ხალხი.
მწერალმა კითხვა განაგრძო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XXVIII

მზე უკვე ჩასვლის პირზე იყო, როცა ბესარიონ მწერალი კითხვას მორჩა.

— ფული, ყოველ მიზეზ გარეშე, შემოტანილი უნდა იქნას ორ დღეში!

გადაჭრით ბრძანა ბოქაულმა. ისევ ყოვლის შემძლე მოკეცილი მათრახი დაიქნია და აივნის მოაჯირს მოშორდა.

ხალხიდან ვიღაცამ სცადა რაღაც უკმაყოფილების გამომჟღავნება, მაგრამ ერმილე მამასახლისის თვალების გადანათებამ და ჩვეულებრივ: „სსუთო“ს დახებამ გამბედავს ენა მუცელში ჩაუგდო.

აივანზე გამომდგარს ბოქაულს დაბალი ტანის ჩაფარმა თითქმის ჰენებით და გზა-გზა გლეხების ჯეკნით მოურბენინა ცხენი.

სხვა ჩაფრებიც შეუდგენ გასამგზავრებლად მზადებას. ზოგი ცხენზეც კი შეჯდა, თუმც ამ ყოფაში თავს რაღაც უხერხულად გრძნობდენ და ცხენზე ღარბებივით იკუნტებოდენ, რომ უფროსისაგან რაიმე მკაცრი შენიშვნა არ მიეღოთ მათი ასეთი აჩქარება—სულწასულობისათვის.

მხოლოთ დაბალი ტანის ჩაფარი ცხენზე ლაგამ-უზანგის დაწევითა და საერთოდ ნერვების დაჭიმვით უცდიდა გასამგზავრებლად ამხედრებულ ბოქაულს, რომელსაც წინ გადაღობებოდა აშკარად შეზარხოშებული როსტომ ქ ა შ ა ძ ე და ღამის გასათევად ისევ სახლისკენ ეპატიჟებოდა.

ამ წუთს ნაძალადევიხ სტუმართ-მოყვარეობაც ისევე ზედვე ეტყობოდა გაფაფრულს როსტომს, როგორც ღვინის გავლენა.

მაგრამ ბოქაული რის ბოქაული იქნებოდა, რომ მას უკან დახევა დაემჩნია.

მან ყველა გააწბილა: ერმილე მამასახლისიც, რომელიც მოხდილი ქუდის ხელებში ტრიალით ბანს აწევდა როსტომს და სტუმარს დარჩენას ელრიჯებოდა; ივლიანე ყ ო ყ ო ჩ ა ძ ე ც, რომელიც, პირიქით, თავზე ყაბალახ-მოხვეული თავისი განუყრელი გარგანით ხელში მიმავალს წინ აეტუზა და თავისი თამადურის სიყოყოჩით უმტკიცებდა „სასურველს“ სტუმარს დარჩენის უპირატესობას, თითქოს ძველი აღთქმის პატრიარქი თავის ერთად ერთ ვაჟს მემკვიდრეობას ულოცავსო.

ხოლო ამ დროს ბესარიონ მწერალი, წელში კითხვითი ნიშანივით მოხრილი, ივლიანეს მჭერმეტყველებას მოწმედ ედგა და თავის ბატონსა და მწყალობელს ბრჭყვიალა კაკარდებსა და ამ კაკარდებს ქვევით იქვე თვალებში ისე შესცქეროდა, როგორც მორწმუნე—ხატებით მოფენილს კანკელს ეკლესიაში.

მიუხედავათ ამ ჰირვეული ხალხისაგან ასეთი უქვეშევრდომილეს გრძნობათა მხილებისა, ბოქაულმა მაინც გადალახა ყველა ეს დაბრკოლებანი და მორთმეულს ცხენს ზურგზე არწივისებური რიხით მოახტა, რითაც დაბალი ტანის ჩაფარს უსაზღვრო სიამოვნებაც კი აგრძნობინა.

ბოლოს ეს უკანასკნელიც შეჯდა თავის შედარებით მაღალ [illegible] და მთელი ეს ცხენოსანთა კავალკადა დაიძრა წინ, თავიანთი საპატიო [illegible] წინამძღოლობით.

ხალხმა ორივ მხრივ გზა უტია მიმავალთ და თვითონაც დაიწყო კანცელარიის ეზოდან უკმაყოფილო ყაყანით დაშლა.

## XXIX

სოფლის ხალხის აყაყან-დაყაყანება ზღვის ღელვასა ჰგავს: აიწევს, დაიწევს და დაცხრება.

მ ა თ რ ა ხ ა ძ ი ს ქვრივ-ობლის სასარგებლოთ ერთხელ უკვე გადახდილ ფულების ხელმეორედ გადახდა, პირველად თუმცა ძალიან იუარეს, მაგრამ ფული ბოლოს მაინც აკრეფილ იქნა და თავის დროზე მიუთვალეს, ვისაც ჯერ იყო.

წარსული მაგალითით ჭკუა-ნასწავლმა მთავრობამ ეხლა უკვე მოითხოვა, რათა ქვრივ-ობლისათვის სოფელს მზრუნველი ვინმე მიეჩინა.

და ერთ მშვენიერ დღეს საზოგადოების კანცელარიაში, ხოლო იქიდან მაზრის უფროსთან და შემდეგ სამაზრო ხაზინაშიც—გამოცხადდენ: მამასახლისი, მწერალი, მ ა თ რ ა ხ ა ძ ი ს ქვრივი და ივლიანე ყ ო ყ ო ჩ ა ძ ე; ეს უკანასკნელი, როგორც მ ა თ რ ა ხ ა ძ ი ს ქონებისა და ქვრივ-ობლის სრულუფლებიანი „ოპეკუნი“.

— ჩავარდა ივლიანე ქერში,—ოხუნჯობდენ სოფელში, ამ ამბის გამო.

ის კი არ იცოდენ, რომ ქერს თავისი „ლურჯა“ უკვე კაი ხანია ჰყავდა, ხოლო ამ „ლურჯას“ თავისი დამხმარე ჯაგლაგებიც ბლომათ მოეპოვებოდა სოფლად.

ივლიანეც სწორეთ ერთი ამ ჯაგლაგთაგანი იყო და თვალის ამხვევი შირმა, რომლის გადაღმიდან, არა ყველა თვალის დასანახავათ, არამედ მხოლოთ დაკვირვებულთათვის, მშვენივრად მოსჩანდა „ქერში“ ყურებამდის ჩაფლული „ლურჯა“.

ყველა ვერა, მაგრამ სოფლად თითო-ოროლა მაინც რაღაცას ამჩნევდა, რადაც ეჭვში იყო მწერლისა და მათრახაძის ქვრივის შესახებ.

დადიოდა ეს ეჭვი კარიდან-კარად ჩუმათ, უთქმელად, გულმღვრიეულად, ვიღაცაზე გამწყრალი, რაღაცაზე დაფიქრებული... ხოლო, თავს თუ იჩენდა იგი, ისევ სოფლურს გამოხუმრებაში და გულუბრყვილობის ფონზე გადაშლილ ენა კვიმატობაში, რომელიც, თავის სიმწვავესთან ერთად, მაინც ჩლუნგი, მაინც მუნჯი, უაზრო და გულჩათხრობილი იყო.

„კრილოვის ხვადი“ კი იჯდა თავისთვის ბნელს კუთხეში და გემრიელად ახრამუნებდა...

„ლურჯა“ ქერს არხეინად შეექცეოდა...

## XXX

შუაღამეს კარგა ხნით გადასული იყო, როცა გაბრიელ მედუქნის ოთახის კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა.

გაისმა კარის ნელი ჭრიალი და ღამის უგულო სიბნელე გაშხარა ოთახი-დან გამოჭრილმა სინათლის ვიწრო შუქმა.

მაშ, ოთახში არ ეძინათ, იქ სინათლეც იყო, მაგრამ, ერთი ნემსის წვე-რის ოდენა ნაპრალიც კი არ მოიძებნებოდა გაბრიელის ამ ნამდვილს კუბოში, რათა იქიდან შესაძლო ყოფილიყო მშრალ ღრუბელსავით უძღები ღამის სიბნე-ლისათვის რისიმე გამოსრუტვა, თუნდაც აი, სინათლის თვით უმნიშვნელო წე-ტილისაც კი.

ოთახიდან გამოისმოდა ჩუმი, თითქმის სრულიად მიჩქვდარებული სა-უბარი.

მრგვალ მაგიდას, რომლის შუაზედაც მოთავსებული იყო დაბალი, ლურჯ-შუქ-ფარიანი ლამპა, შემოსხდომოდა ოთხი კაცი: თვითონ სახლის პატრონი, ბესარიონ მწერალი და ის ორი ახალგაზრდა, რომელიც ჩვენ ზევით ერთხელ უკვე ვიხილეთ გაბრიელ მწერლის ოთახში ღამის უდროო საათებში.

ეტყობოდა, რომ ესენი აქ ხშირი სტუმრები იყვნენ.

ყველაზე ბოლოს მოსული იყო ბესარიონ მწერალი.

ის დინჯათ მიუახლოვდა ამ მაგიდას, აუჩქარებელი თითებით იწყო ნაბა-დის თასმების შეხსნა და ამ ყოფაში ნაბადის ჯერ ისევ მოუხდელად ჩამოჯდა ოთკუთხ სკამზე გაბრიელის გვერდით.

დანარჩენებს სახეზე ეტყობოდათ, რომ რაღაც ძნელსა და სამძიმო ლაპა-რაკში იყვნენ გართულნი. სახე-წამოჭარხლებულებს თვალები ქორებივით გადმოე-კარკლათ და მომარჯვებული ნისკარტებით თითქოს გაბრიელ მედუქნისაკენ იყვნენ საკბენად მიწეულნი.

გაბრიელიც, არწივის თუ არა, შავარდენის გამბედაობით იჯდა შუაზე და მოხდენილად იგერიებდა მისკენ სამტროდ მომართულ ისრებს.

ამ ყოფაში გაბრიელი ელოდა... და აი კიდეც გაუმართლდა მო-ლოდინი...

ბესარიონ მწერლის მოსვლით სასწორი უკვე აშკარად გაბრიელისაკენ გა-დაიხარა.

— აი, ბესარიონიც აქ არის — შეუტია ქეზმობმულმა გაბრიელმა ყმაწვი-ლებს: მეოთხედი, როგორც უკვე გითხარით, თქვენია, მეოთხედი — ჩვენ ორის, ხოლო გატაცებულის ნახევარი უკლებლივ უნდა ჩავაბაროთ პრისტავს. კაცის სისხლი არ დაღვრილა და არაფერი. არც სხვა რაიმე ბოლო გამობმია ამ საქ-მეს, ხომ ხედავთ.

ყველაფერი ისე მოეწყო, თითქოს ჯიბეში გქონოდეს ეს ამოდენი თანხა და ალარ ვიცი, კიდევ მეტი რაღა გინდათ...

დამარწმუნებელი კილოთი უხსნიდა გაბრიელი ყმაწვილებს, რომლებიც შეძლეულს შედარებით მცირე თანხას იმ პატარა „ოპერაციისათვის“, როცა ისინი სრულიად უიარაღო ქვრივს თავს დაესხნენ, თვით გაბრიელისა და ბესა-რიონ მწერლის მიერ ნაკარნახევ მოხერხებულ დროსა და ადგილს და გაიტა-ცეს იორდანე მ ა თ რ ა ხ ძ ე შ ი მისი ახლა უკვე ქვრივი ცოლის მიერ აღებულ-თანხა თითქმის უკლებლათ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

იორდანე ას დროს "გზა მართალს" ადგა.

მისი ქვრივით გულს ირთობდა ბესარიონ მწერალი.

ხოლო მასში ალებული ფულები ერთხელ ამ ავაზაკებმა ჩაიგდეს ხელში, აქ რომ სხედან, სოფელმა კი იგი ისევ მეორეჯერ გადაიხადა, ბოქაულის დახმარებით, რომელზედაც თავის დროს შესაფერი გავლენა ჰქონდა იორდანე მ ა თ რ ა ხ ა ძ ი ს ოჯახში მიღებულს პურ-მარილს და ქვრივის მიერ ძღვნად მირთმეულ ხაჭაპურებს, თუ სხვა „ხელის დამამშვენებელ“ საგნებს.

არც თუ ქვრივის სილამაზეს უცქერდა ბ-ნი „პრისტავი“ უარყოფითად, თუმცა ამ მხრივ მიმართული განზრახვა მას სისრულეში არასდროს არ მოუყვანია.

იყო მხოლოდ წარმტაცი განზრახვა და მისი სისრულეში მოყვანის ტკბილი მოლოდინი.

აქედან, ცხადია, რომ გაბრიელ მედუქნის მიერ მძარცველების წინაშე „სახელად“ ბოქაულისათვის მოჭორილი „ნახევარი“, ნამდვილად მხოლოთ მისი და ბესარიონ მწერლის „სახრავი“ იყო და მეტი არაფერი.

მძარცველებს რაღა გზა ჰქონდათ.

დიდი ყოყმანისა და უკმაყოფილების შემდეგ, ბოლოს დასთანხმდენ შეძლეულს მეოთხედს და გაბრიელ მედუქნის ოთახიდან შურდულიდან გასროლილ ქვასავით გადაეშვენ ღამის ვეშაპს სიბნელეში.

სადღაც შორს სოფლის ბოლოს კვლავ ასტყდა ძაღლების ხშირი ყეფა, სტვენა და ქადილი... სტუმარ-მასპინძელს აქამდის ერთი სიტყვითაც კი არ მიუმართავთ ერთმანეთისათვის.

ძაღლების ეს შორეული ახმაურება კი თითქოს ნიშანი იყო: გაბრიელმა დუმილი დაარღვია:

— წაიღე ეს შენი ხვედრი...

უთხა მან ბოლოს მწერალს და მოკეცილ ფერად ქაღალდების დასტა მაგიდაზე წინ დაუდგა ნაბადში ბუსავით შემალულ მწერალს.

ბესარიონმა ფული ხელში ზანტად დაბღუჯა, მცირე ხანს ისე იყო, შემდეგ ფული ახალუხის ჯიბეში ჩაიწყო, ზანტადვე წამოდგა და კარისაკენ გასწია.

გაბრიელიც უკანვე აედევნა კარების შემოსახურავად.

აქ ერთმანეთს ტკბილი ძილი უსურვეს და სასწრაფოდ განშორდენ: ერთი შთანთქა ღამის სიბნელემ და თავში სიამოვნებისაგან მოწოლილმა უსიამოვნო ფიქრებმა, ხოლო მეორე — საკუთარი მყუდროებისა და სისაძაგლის აშმორებულმა კუბო-ჭაობმა.

ასე გადაიხადა აქ ამელამ ამ ოთხმა პირმა იორდანე მ ა თ რ ა ხ ა ძ ი ს ქელეხი განმეორებით.

ხოლო იმ წუთში, როცა გაბრიელ მედუქნე საქმის ასე სასურველად დაბოლავებისაგან ტკბილ სიზმრებს მისცემოდა, ხოლო ფულის ფაქტიური გამტაცებლები, თუმცა გატაცებული ფულის უთანასწორო განაწილებით ნაწყენები, მაგრამ მაინც თავიანთ ჭერ ქვეშ მშვიდათ და უზრუნველად გრძნობდენ თავებს, —ბესარიონ მწერალი ნაჩვევ საცალფეხო ბილიკებით ირგვლივ კუპრივით ღა-

მის კუნაპეტ სიბნელეში უცხო და უცნობ ზღვაში მოხეტიალე წყალ-ქვეშა ნავივით მიფონავდა გზას იორდანე მათრახძის ქვრივისაკენ, ჩვეულებრივი საღამოით „დროს გატარების“ მიზნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## XXXI

გაიქონა, გაიქლინთა სოფელი ბესარიონ მწერალსა და მის ამყოლ-დამყოლზე მოარული ჩუმი მითქმა-მოთქმით.

სოფელი გულმშვიდი ზღვაა. თუ ასტყდა, ზღვასაც გაათასებს შფოთით და მძვინვარებით.

აქა-იქ კანტი-კუნტათ ხმაც გაისმა: თედო ახალიშვილი ციმბირიდან გამოქცეულაო.

სტრატეგიულმა მოსაზრებამ ბრძანება გასცა: დროა, ბესარიონ მწერალმა სოფელი მიატოვოს, უნდა დაობლდეს ქვრივი ალათია, დაობლდეს იორდანე მათრახძის ქვრივი და ერთიც ქალწული, დათია წვადაგაძის მაშო.

მაგრამ რატომ?

შეიძლება ერთი და ერთი უვნებლად გადარჩეს ამ დაობლებას და თან გაჰყვეს ბესარიონს.

ვინ?

ქვრივი ალათია ეშმაკმა და სოფელმა ხიდოს...

მათრახძის ქვრივი, თუ მაშო?

აი, ბესარიონ მწერლის გადასაჭრელი კითხვა.

ასარჩევი ადვილია, რომ საქმეს ისევე ადვილად მარტო უბრალო არჩევანი შველოდეს.

მაგრამ ბესარიონ მწერალს არ სჩვევია უკან დახევა. საჭიროა მხოლოდ უკანასკნელი იერიშის მიტანა.

რატომ უკანასკნელის?

ეს იქნება ერთ-ერთი ცდა, საშუალება, უბრალო ზომა, მოხერხებული სარმა, რომლითაც ცნობილია ბესარიონ მწერალი არა თუ სუსტების წინაშე, ქვეყნის ძლიერთა წინაალმდეგაც.

ამოქმედდა ალათია, მოილესა გაქნილმა ქვრივმა თავისი ჭახრაკიანი ენა და გაუწვა მაშოს. გაუტკბო და გაუვარდისფერა ისეთი კაცის ცოლად გაყოლა, როგორიც იყო ბესარიონ მწერალი.

— ჩემო ალათი, აღარ მითხრა კიდევ მაგის შესახებ არაფერი. ჩემი გული მკვდარია. არ ვთხოვდები. ნაცარში უნდა დავბერდე. საწყალ ნენას და ბაბას მივხედავ ამ სიმოხუცებულეში და იგინი, რომ დეიხოცებიან, მეც ზედ დავაკლავ თავს...

სასოწარკვეთილსავით მოუჭრა სიტყვა მაშომ ალათიას.

ალათია კი მაინც თავისას განაგრძობდა. მას ამისათვის საკმაოდ ჰქონდა საუტიფრო.

— რას ჩივი, ციცავ, მაგას?

რა დროის შენი ამფერი ლაპარაკია, შვილო?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეშმაკს გადააფურთხე, ნენავ, და ჩემი სიტყვა გაიგონე!
მე შენ გლახას არაფერს გირჩევ...

მაგრამ მაშო ყურს აღარ უგდებდა. თეთრი, თავისი ხელით მოქსოვილი შალის გარუსი წამოიგდო თავზე, გაისწორა მხრებზე, წამოდგა და, ის იყო სახლიდან უნდა გამოსულიყო, რომ ვიღაც მაღალი, ახმახი კაცი ალათიას სახლის კარებზე მოეყუდა და მიმავალს გზა გადაუღობა.

— ჩემი მოსვლა გეწყინათ, თუ რა ამბავია?

შემოილაპარაკა ახლად შემოსულმა.

მაშომ საღამოს ბინდზე პირველად ვერ გაარჩია მოსული და მხოლოთ, დალაპარაკების შემდეგ, იცნო მასში ბესარიონ მწერალი.

რაღაცამ გულზე უკბინა და კინაღამ არ დაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიკავა და იქვე ტახტზე მუხლებ-მოწყვეტილი დაეშვა.

ბესარიონ სახლში შევიდა და კარებში ხელებ-გაშლილი გაჩერდა. ფრთებ-აწეული ალალივით დასჩერებოდა თავის მსხვერპლს, თითქოს მზად არის, დაეცხროს, მაგრამ მას ამაში ვიღაცა ხელს უშლისო.

ეს ვიღაცა ალათია იყო, ქოხში მესამე პირი, რომელიც ამ შემთხვევაში სრულებით საჭირო აღარ იყო აქ.

ალათიამაც იგრძნო ეს.

მან განგებ, მაშოსთვის თვალის ასახვევად, ხელი დაავლო იქვე კუთხეში მიდგმულ საწყლე კოკას და, თითქოს თავს უშველაო, სწრაფად გაჰქრა განის კარიდან.

მაშომ იგრძნო, რომ ბესარიონ მწერლის მიერ ოსტატურად დაგებულ ხაფანგში მოჰყვა. ალათიას ქცევამ ყველაფერი ნათლად დაუყენა თვალწინ, მაგრამ საოცარია, ამ წუთს მას თავის თავმა არ უღალატა, იგი ვაჟკაცურად მოემზადა ბრძოლისათვის.

ახალგაზრდა ქალის ამ არაჩვეულებრივმა თავის დაჭერამ გასჭრა ბესარიონ მწერალზე. იგი ამას არ მოელოდა მაშოსაგან. ამ უკანასკნელზე ის უფრო სხვა წარმოდგენის იყო. ეგონა, თუ დააშინებდა ყმაწვილ ქალს და ადვილად დაიმორჩილებდა მას.

მაგრამ რა ემართება?

ნუ თუ ის ბესარიონ მწერალი არის, რომელსაც თვით ჯოჯოხეთისაც კი არც რცხვენია და არც ეშინია?!

იგი იდგა ყმაწვილი ქალის წინაშე ყველა იარაღ-დაყრილი, და სასოებით ემუდარებოდა მას რაღაცას.

რაღაც არა ჩვეულებრივი სილამაზისა და იერის შარავანდმოსილ არსებათ ეჩვენებოდა მას ამ წუთს ტახტზე ზღაპრული დედოფალივით ჩამომჯდარი მაშო.

მხეცმა მუხლი მოიხარა დედოფლის წინაშე და ქალისაკენ მუხლზე სამთხვევად მიიწია.

— არ მომეკაროთ!

შეჰყვირა ახალგაზრდა ქალმა და ძუ ვეფხვივით ალიმართა დაჩოქილ მწერლის თავზე.

მას ხელში აღმოაჩნდა ტახტზე შემთხვევით დარჩენილი ხის დიდი თითის-ტარი, რომელიც ნათელას ხელში ნორინის გასაგმირათ მომარჯვებულ ხანჯალს უფრო ჰგავდა ამ წუთს, ვიდრე უბრალოსა და გამოუსადეგარ ხარახურას.

— არ მომეკაროთ!..

თვალებიდან ცეცხლის დაკვესებით დასჭყივლა ქალმა ვაჟს განწირულებით: ცუდი არაფერი გაიფიქრო, თორემ ვიკივლებ და ხალხს შეგიყრი. თავს შევა-კლავ და არ დაგნებდები!..

გაისმა სასოწარკვეთილი ქალის ხმა, რომელმაც კიდევ უფრო შეაწუხა უმისოდაც თავდაბნეული ბესარიონი და ხელი აალებინა ყოველგვარს უკადრის განზრახვაზე ქალის მიმართ.

— შემიბრალე!...

მიყვარხარ!...

მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან!...

ღუღლუღებდა ის ანგარიშ-მიუცემლად და ხოხავდა მიწაზე ქალის ფეხებ-თან.

ბესარიონ მწერლის ასეთი არეულობით ისარგებლა ახალგაზრდა ქალმა. სწრაფად აუქცია გვერდი მიწაზე განართხულ ვაჟს და ღია კარებიდან შველი-ვით ისკუპა სახლიდან გარეთ.

ამ შემთხვევის შემდეგ, ყოველგვარი ხიდი მასა და ალათიას შორის, რაღა თქმა უნდა, სამუდამოდ ჩატყდა.

სახლში მისულ მაშოს მთელ საღამოს ღელვა და მოუსვენრობა ეტყობოდა.

დედამ კიდეც შენიშნა ეს და ჰკითხა: „რა გემართება“-ო, მაგრამ მაშომ სიტყვა ბანზე აუგდო და თავი დააღწია დედის ცნობისმოყვარეობას, იმისი პირველი ყურადღების სხვა საგანზე გადატანით.

## XXXII

ალათიას სახლში მომხდარი შემთხვევა პირველად თუმცა ისე იოლად და-უჯდა მაშოს, მაგრამ ამან მაინც შესაფერი გავლენა იქონია მის სულიერ და ფიზიკურ არსებაზე.

მაშოს დასჩემდა უძილობა, საერთო ნერვიულობა და სისუსტე. რამდენიმე დღე ლოგინადაც ჩააწვინა ამ სისუსტემ და საჭირო დარჩა ენერგიის დიდი სიმ-ტკიცის გამოჩენა, რათა თავი დაეღწია კიდევ უფრო ძლიერ დაავადმყოფები-საგან.

მზრუნველი დედა, მამა და ოჯახის სხვა წევრები თავს დასტრიალებდენ მას და მათ საერთო საყვარელ მაშოზე, მათთვის გამოურკვეველი მიზეზით ასე მოულოდნელად გამოლაშქრებულ ავადმყოფობას გამეფებისა და გაძლიერების ნებას არ აძლევდენ.

მშობლიურ კერაში მიღებულმა მზრუნველობამ მალე გადაავიწყა მაშოს ხან-მოკლე აღშფოთებითა და სისაზიზღრით აღსავსე წუთები, რომლებიც მან განიცადა იმ საღამოს ალათიას სახლში.

ქორის კლანჭებიდან შემთხვევით თავ-დაღწეულ წიწილასავით, რომელიც კრუხის ფრთებს ქვეშ სულს იბრუნებს და საარსებო ძალებს იკ[illegible] და იწვილა მაშომ მშობლიურ ჭერქვეშ რამდენიმე დღე ავადმყო[illegible]ებში, მაგრამ მალე მოიკეთა და ისევ სრულიად გამოჯანსაღდა.

ამ შემთხვევამ თვალი აუხილა მაშოს და დაანახა ალათიას მთელი მოღალატური ბუნება.

ამ მოღალატის მიერ დაგებულ ხაფანგისაგან ხომ მხოლოთ სრულიად მოულოდნელმა შემთხვევამ იხსნა ის.

ამიერიდან მაშო მოვალეა გაუფრთხილდეს თავის თავს.

მით უფრო, რომ ხმები თედოს ციმბირიდან გამოპარვის შესახებ დღითი-დღე უფრო ძლიერდებოდა და რაღაც წინათგრძნობა ეუბნებოდა მას, რომ მალე ეღირსებოდა სასურველ-სანატრელი საყვარელი არსების ნახვას.

მაშოსათვის ეხლა უკვე დღესავით აშკარა შეიქნა, რომ ყველაფერი, რაც მასა და თედოს თავს დაატყდა, ალათიასი და ბესარიონ მწერლის მოხერხება იყო.

კიდევ მეტი.

სოფლად რაც ხმები დადის ბესარიონ მწერლის შესახებ, ყველა მართალია და ყველა ამის გამო, ადრე, თუ გვიან იგი პასუხსაც აგებს. დაუსჯელათ ქვეყნათ არაფერი არ უნდა დარჩეს და არც დარჩება.

მაშოში მუდამ ღრმა იყო რწმენა ბოროტზე სიკეთის გამარჯვებისა.

ამ რწმენამ ერთხელ კიდევ გაამხნევა ახალგაზრდა ქალი და განვლილი ჯოჯოხეთური წუთები ნელ-ნელა სრულიად გადაავიწყა.

და იქ, სადაც ოდესმე მის წარმოდგენაში აღმართული იყო საშიშარი მხეცი, ბესარიონ მწერლის სახით, ეხლა ძლივს-ძლივობით მოძრაობდა მიწაზე მის ფერხთა მტვერში საცოდავათ განართხმული უსუსური ჭია.

ხოლო საბრალო და ყოვლად უმწეო ქვრივ ალათიას ადგილას, ჭუჭყითა და შმორით აღსავსე მისივე ქოხის ბნელ კუთხეში საზარლად იკლაკნებოდა მტვერითა და ობით დაფარულ აბლაბუდაში გახვეული საზიზღარი, სისხლის მსმელი, წუწკი ობობა...

## XXXIII

დამარცხებული, დამცირებული და მიწასთან გასწორებული ბესარიონ მწერალი წელ-გატეხილი პირუტყვივით ხლაზვნით ძლივს წამოდგა და ტანში სრული მოსხლეტილობის გრძნობით დამძიმებული უნებლიეთ ჩამოჯდა იქვე ტახტზე, სწორეთ იმ ადგილს, სადაც ამ რამოდენიმე წუთის წინათ იჯდა მაშო, რომელიც ისე მოულოდნელად გაუსხლტა მაზედ ვნებეანის ნდომით ამხედრებულს დონჟუანს.

თავისი თავის სრულს არარაობამდის დაქვეითების გრძნობამ მასში, მცირე ხნით დაფიქრების შემდეგ, გამოიწვია სრულიად წინააღმდეგი სულიერი განწყობილება. მწერალს დაუბრუნდა ადრინდელი სიამაყე და გულზვიადობა. მას რაღაც დააკლდა გულში, რაღაცამ უკბინა იქ, მკერდის სიღრმეში, და ამასთან მძიმეთ და მწარეთაც ჩააგონა იგი.

გაწბილებული და დამცირებული ის რაღაც დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდნილი კაცის მდგომარეობაში მოექცა, რომელსაც გული წაუვიდა და — შემდეგ ნელ-ნელ მობრუნება იწყო. თავისი თავის სიძულვილი, შურის ძიების გრძნობა, წყენა და სინანული ერთმანეთში აირია და ამ დომხალით კიდევ უფრო დამძიმდა და დაცალიერდა იმედ-გაცრუებული მწერლის გული.

ვანის კარმა გაბმული ხმით საზარლად გაიჭრიალა და ქოხში ფეხ-აკრეფით შემოვიდა ალათია, წყლით სავსე კოკით მხარზე.

ცნობისმოყვარე ქვრივს, სახლისკენ მომავალს, სულ სხვა მოსალოდნელი სურათები ეხატებოდა თვალ-წინ და აქ კი რას ხედავს?

მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა.

იგი უსიტყვოთ იდგა და მისჩერებოდა ბუხანში შესულ ბესარიონ მწერალს.

მას ღრღნიდა გაურკვეველი ცნობის-მოყვარეობა იმის შესახებ, თუ რა მოხდა ქოხში მისი აქ არ ყოფნის დროს.

ალათიას ქოხში დაბრუნებამ ბესარიონ მწერალი მთლად გამოარკვია. იგი ზანტად წამოდგა და სიტყვის უთქმელათ ბარბაცით გასწია კარისკენ.

ეზოში გასულ ბესარიონს ალათიამ შიშითა და ძრწოლით ძლივს მიაძახა ფანჯრიდან:

„ბესარიონ მიბრძანდები?“

თითქო უიმისოდაც ნათელი არ იყო, რომ კუდ-ამოძუებული ხვადი კატა გარბოდა იმედის დამქცევ საკუჭნაოდან, სადაც მას ძეხვი ეგულებოდა, რომელსაც, როგორც თვითონ ფიქრობდა, ისე ადვილათ ვერ შესწვდა, ველარ დაეპატრონა.

ამ ამბავმა თითქოს გადამწყვეტი შედეგი იქონია ბესარიონ მწერლის მთელ აწინდელ ცხოვრებაზე.

პირველი ცვლილება, რაც მასში მოხდა, ეს იყო ის, რომ მან ხელი აიღო არა მარტო ქვრივ ალათიაზე, არამედ საზოგადოთ ყველა ქვრივებზე და, მათ შორის, იორდანე მ ა თ რ ა ხ ა ძ ი ს ფეფიკოზეც.

იოლად არ დაუჯდა ეს ნაბიჯი ბესარიონ მწერალს.

გაბახებული და გზა-შარაზე დადებული ქვრივი ასე ადვილათ არ ეშვებოდა თავის რამდენიმე წლის განმავლობაში შეჩვეულ-შეთვისებულ კეროს, რომელსაც, გარდა საკუთარი სილბო-სილამაზისა, იორდანეში აღებული თანხაც თავზე გადაალია.

მაგრამ, რუსული ანდაზისა არ იყვეს, „მგელს, რამდენიც არ უნდა აჭამო, ის მაინც ტყისკენ გაიყურება“-ო, სწორეთ ასე სჭირდა მ ა თ რ ა ხ ა ძ ი ს ქვრივის მკერდზე საკმაოდ დაპურებულს მხეცს.

„მომსმელ-მომჭმელი კიწავა, გაზაფხულდება შინ წავაო“, ამბობს ხალხური ანდაზა.

გაზაფხულს თუმცა უკლდა ბესარიონ მწერლის გულში, პირიქით, მასში ქარფისიანი იანვარიც კი მძვინვარებდა, მაგრამ „ახალი წელიწადი“ მაინც ძალაუნებურათ გაითენა სოფლის მოხერხებულმა ბიუროკრატმა და ერთი მშვენიერი დღიდან სრულიად უმიზეზოთ ფეხი ამოიკვეთა იორდანე მ ა თ რ ა ხ ა ძ ი ს ქვრივის „სალამიო თავ-შესაფარიდან“.

ქვრივი აქეთ ეცა, იქით ეცა, შეაწუხა: ალათიაც, მღვდელიც, მამასახლისიც, ივლიანე ყოყოჩაძეც, მკითხავიც; საქმის სასამართლოს ფონამდე მიყვანასაც კი ლამობდა, მაგრამ, გონიერი ხალხის რჩევით, უფრო კი—ივლიანე ყოყოჩაძის „მამობრივი“ მზრუნველობით სავსე დაყვავებითა და დარიგებით, ამ უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმიდან თავი შეიკავა, რადგან ეს, ახალი უსიამოვნების მეტს, მას პირადათ არაფერს უქადდა.

კეთილმა რჩევამ გასჭრა: ქვრივი მოეშვა, მოტყდა და დაუმორჩილდა თავის ბედს.

საქმის ასე დაბოლოებას ხელს უწყობდა უმთავრესად ის გარემოებაც, რომ, რაც ბესარიონ მწერალს ჯერ კიდევ კბილ-გაუკრავი გადარჩა იორდანე მათრახაძის ნამოსახლზე დარჩენილ ქონებიდან, კვლავ სავსებით საკმაო იყო იმისათვის, რათა იორდანე მათრახაძის შედარებით ჯერ ისევ ახალგაზრდა ქვრივს სხვა არა ნაკლებ ღირსეულ—შესაფერი მეორე „კანონიერი“ ქმარი მოესვა გვერდში.

ეს სწორეთ ასეც მოხდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, იორდანე მათრახაძის ეზოდან ვილაც სრულიად ახალმა, წვერ-ულვაშ-გაბურძგულმა, საკმაოდ ხანში შესულმა კაცმა დაუწყო ხმა მაღალი გადაძახება აქა-იქ მორყეულ ღობეებზე იერიშით მოწოლილ მეზობელთა პირუტყვებს.

ამის შემდეგ, დაიწყო დაზიანებული ღობე-ყორის შეკეთება, ხეებისა და ხეხილების შელამაზება, მინგრეულ-მონგრეული ნაგებების და ნაშენობის მოწესრიგება და მათრახაძის სახლ-კარმა მალე ისევ მიიღო ნამდვილი სოფლური მოსახლეობის ჯეროვანი სახე.

მართალია, იორდანეში აღებულ ფულებიდან ქვრივს, ბესარიონ მწერლისა და ივლიანე ყოყოჩაძის წყალობით, ბევრი არაფერი შერჩენია, მაგრამ პირველ ხანებში ხელის მოსათბობ საშვალებათ იმანაც მშვენივრად იკმარა, რაც გადარჩა.

მეზობლები შეეტკბნენ და შეეთვისნენ განახლებულ ოჯახს.

აქ თქვენ სხვათაშორის ხშირად ნახავდით ივლიანე ყოყოჩაძე საც, რომელიც, ჩვეულებრივი როგოროგისა და უხვი ხნამაღალი კვეხნის შემდეგ, მსუნაგ კატასავით ტუჩების ლოკვით და წმენდით გადმოდიოდა ქვრივის ჭიშკარიდან, ხოლო უკანიდან მას მოაცილებდა მოღიმარე თვალები ივლიანეს ამ სტუმრობით აყოფილი და რაღაც გაურკვეველი მიზეზით მადლიერი ცოლქმარისა.

რას იზამთ?

ასეთი იყო ივლიანეს განებივრებული ბედი.

ხოლო ეს ამ უკანასკნელს ხელს მაინც არ უშლიდა, რათა ბესარიონ მწერალთან, ერმილე მამასახლისთან, და გაბრიელ მედუქნესთანაც შეენარჩუნებინა ძირინდელი მეგობრული განწყობილება.

ამის შემდეგ იორდანე მათრახაძის ქვრივისა, იმისი ახალი მეუღლისა და საერთოდ სოფელ №-ის ცხოვრება, რომელსაც ბევრი რამ გადახდა წარსულში, მოექცა ერთნაირ მშვიდ კალაპოტში, როგორც დაქანებული მდინარის ერთ ადგილას შემდგარს და დაგუბებულს მორევს ემართება ხოლმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XXXIV

ასე გავიდა, რამოდენიმე წელიწადი.

19.. წ. გიორგობისთვის ქარიან წვიმიანი ღამე იყო.

გარეთ ისე ბნელოდა, რომ, როგორც იტყვიან, ადამიანს, თვალში თითის მიტანაც კი არ შეეძლო.

სოფელ №-ს უკვე ღრმა ძილით ეძინა.

კანტი-კუნტათ რომელიმე ეზოდან ძაღლის ყეფა თუ მოისმოდა, აქა-იქ ქათმის შეკრიახება და სახლიდანაც ნახევრად მძინარ გლეხის შეღარღილება:

— არიქა, არ გაუშვა.. ჰეე!..

და გლეხიც დარწმუნებული იყო, რომ საქათმესთან მოხეტებული ტურა მის ღარღილზე მიწას გაიხეთქდა და გადიკარგებოდა.

მაგრამ დიდი იყო ავდრის პირშეუხრელობა და იმაზე კიდევ უფრო ძლიერი ნადირის სიუტიფრე.

წასთვლემდა თუ არა შეშფოთებული სახლის პატრონი, ნადირს ისევ იერიში მიქონდა საქათმეზე და ფრინველის კრიახიც, თითქოს ვინმე დიდი სიმძიმის ქვეშ იჭყლიტებაო, ისევ ჩხვლეტავ ცივ ნემსებივით დაუვლიდა ტანში ღამის სიბნელეს...

აწკაპწკავდებოდა ირგვლივ მყეფართა ლაშქარი და ამ ზოგჯერ სრულიად უაზრო ქოთქოთს შემდეგ დიდხანს აღარ ეძლეოდა დასასრული.

რომელიმე გათამამებულს ეზოს საიმედო გუშაგს ხომ სულ გული მიჰქონდა გახშირებულის ყეფით. მისი თვალი, ყნოსვა და ფხიზელი ყური ჰგრძნობდა ნადირის სიახლოვეს. და, ამ გრძნობით მთვრალი, იგი უკვე წრეს გადადიოდა..

ქვრივი ალათიას ქოხი ისე გამოიყურებოდა ამ ღამის სიბნელეში ტყის პირად, როგორც ნარითა და ძეძვით შეხვეული ჯაგი, ან კიდევ გზის პირად გამვლელისაგან შეშინებული ზღარბი.

ეტყობოდა, რომ ქოხში განისვენებდა: სიბნელე, სინესტე და უგემური ცხოვრება.

ჩვეულებრივ არ ეძინა ალათიას,

ჩვეულებრივ უსიამოვნო, გულის გამწყალებელი ფიქრები უტრიალებდენ მას თავში, ხაფხულის ბუზებივით ირეოდენ ისინი იქ და ქვეყნის საძულელ კუდიანივით, ხალხის ცრუ წარმოდგენით, წვიმისაგან გაწკუმპლულ მგელზე რომ ზის და გახელებით დაძრწის ბნელსა და ცივს ღამეებში, დააფრენდენ ეს ფიქრები განაწამებ ქვრივს ამ სინესტით სავსე ქარიანს ღამეში...

ხან სად მიახეტებდენ და ხან სად.

წვიმის ხშირი წვეთების ციეი, ჰყიამპოსავით მკვნესავი მძიმე ხმა, მინდორზე ლალა-გადაკრულ ჰოჰებიდან რომ შემოისმოდა, საბრალო ქვრივს ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა და მოუსვენარ ღამეს კიდევ უფრო მეტად უტეხდა და უფორიაქებდა.

სილარიბის პირობაზე საკმაოდ რბილ ლოგინში იწვა ქვრივი, მაგრამ სიცივე, სიბნელე დ სინესტე ამ ქვეშაგებშიც ისე თავისუფლად მოძვრებოდა, როგორც გარეთ, ღამის სიბნელეში.

კედლებიდან ქარი ისეთის სიმედგრით მოზუზუნებდა, თითქოს სადღაც შორს მაყრიონს ახლად ჯვარ-დაწერილები მიჰყავს და მათ დაფ[illegible]-მული ხმით მიაცილებენო.

ბიბლიოთეკა

ყოველი ხმა, ხეზე ყოველი ტოტის-ტოტზე შეხლა გამოუთქმელი, რაღაც თავისებური შიშით და ძრწოლით ავსებდა ალათიას გულს და თავისი უფლების ალსადგენათ მოძალებულს ძილს ზაფხულში გამფრთხალ ბუზებივით ჰფანტავდა იქით-აქეთ.

მაშინ ალათიაც გვერდს იცვლიდა, მაგრამ, ძილის მაგიერ, აქაც იწყებოდა მისთვის ისევ დაუსრულებელი ახალი გაიცადენი...

კაკუ! კაკუ!..

გაისმა კარებზე და ვილამაც ჯერ ნელი, მაგრამ კვლავ უფრო ძლიერი ხმით დასძახა კარებთან:

— ალათი! გძინავს, ალათი?!..

პირველი, რაც ქვრივს მოუვიდა, ეს იყო გამოუთქმელი შიში; შიში, რომელმაც ტანზე ყველა ბალანი ყალყს დაუსო და ენაც მუცელში ჩაუგდო.

მთელს სხეულზე გამწარების ცივმა და ცხელმა ოფლმა დაასხა.

— „ავი სულია!“..

გაიფიქრა შიშით ჰკუის შერყევამდის მისულმა ქვრივმა.

ამელამ მას მარტოდ ეძინა.

ერთად ერთ გოგოს, რომელიც ალათიას მინდობოდა, სხვა საშუალება რომ არა ჰქონდა, იმასაც კი „ელალატნა“ ამელამ მისთვის და თავისი მწყალობელი ქვრივი მარტოდ დაეგდო. გოგო ერთ თავის ახლო ნათესავთან წავიდა ცოტა რამე სარჩოს გამოსათხოვნად, რაზედაც ალათისაგანაც ჰქონდა რამდენიმეთ ნაძალადევი დასტური.

ნაძალადევი, რადგან ალათიას „თვალის დაწვასავით“ ეძნელებოდა თავის ქოხში ღამით მარტო დარჩენა, მაგრამ გოგოს ამ წასვლისაგან მოსალოდნელი სარგებლობა სხვა გამოსავალს არ იძლეოდა და ისიც ძალაუნებურად დასთანხმდა.

და აი, ახლა (იწვნევს) იგი ამ მის მიერ გაცემულ მსხვერპლის მძიმე შედეგს: ავმა სულმაც სწორეთ ეს მოხერხებული დრო შეურჩია საცოდავ ქვრივს და, როგორც სჩანს, კიდეც ეწვია ამ სიბნელეში მარტო მყოფს, რათა თავის მხარეს გადაიყვანოს იგი!

ალათიას ბევრი რამ სმენია ასეთ შემთხვევათა შესახებ...

ყველა ამ ფიქრებმა ელვის სისწრაფით გაუელვეს შეშინებულს ალათიას თავში და მწარეთ დაალონეს იგი..

— „წმინდაო გიორგი, შენ დამიფარე!“

გაისმა ათრთოლებული ჩურჩული ქვრივისა ლოგინში და მისი აზრით, სამჯერ რომ პირჯვარი უნდა გადაესახა, ორჯელ ძლივს-ღა მოახერხა რაღაც პირჯვარის მაგვარის გაკეთება. ხელი აუკანკალდა, გულმა დაგა-დუგი შესწყვიტა, სული ფრჩხილებისაკენ მოეკრიფა, გაშეშდა, გაირინდა...

ცოტა კიდევ და ქვრივი ჰკუაზე შესცდებოდა, რომ ხმა ისევ არ გამეორებულიყო უფრო დაყვავებული ტონით, თითქმის ვედრებასავით:

ბიბლიოთეკა

— „ალათი, არ შეგეშინდეს: ეს მე ვარ, თედო! ბოდიშს ვიხდი ასე გვიან შეწუხებისათვის, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა...

მაგრამ ალათიას ამ სიტყვების მეათედიც არ გაუგონია. ყოველ შემთხვევაში არ მიხვედრილა, თუ ვინ უნდა ყოფილიყვეს მის კარებთან: ვინაა ეს თედო, ასე რომ ევედრება მას, ან რა უნდა მისგან?

ღონე-მობრუნებულ ქვრივს ტანი ისევ გაუთბა, რადგან გულმა იმედის სიტკბოებით ისევ განაახლა შეწყვეტილი ცემა.

— „კაცია!.. ადამიანია!..“

გაუელვა ქვრივს თავში სასიამოვნო აზრმა.

მაშინალურად წამოდგა ლოგინში და კაბას ხელის ფათურით ძებნა დაუწყო.

სიხარულისაგან ასანთის მოშველიებაც კი დაავიწყდა, რომელიც მას მუდამ სასთუმალს ედო ღამ-ღამობით, რათა, საჭიროების დროს, სწრაფად გაეჩაღებინა ქოხში სინათლე.

მხოლოთ ახლა, კაბას რომ ხელი წამოკრა და ასანთის კოლოფმა „ჩხაკო“ მოადინა, ამ ხმამ ძლივს მოაგონა რეტდასხმულ ქვრივს ქოხის განათების შესაძლებლობა.

ცალკე შიშისაგან და ცალკე სიცივისაგან აკანკალებული თითებით ძლივს მოართო კოლოფიდან ერთი ღერი ასანთის ამოღება და გაქნევა.

იმედის გამცისკროვნებელმა სინათლემ ქოხის კედლებს მკრთლად შესცინა, როცა ალათიამ იქვე სასთუმალთან დადგმულ ჭალს აუკიდა.

შიში სადღაც გაჰქრა.

ამ სინათლეში ალათიას ავი სულისაც კი აღარ შეეშინდებოდა, ეხლა მის მიერ გაღებულ კარში ტიტვლად რომ შემოშლეგებულიყო ქოხში.

იმედ-მოცემული ქვრივი კარის ურდულს მისწვდა და ცოტა შიგნით გამოზნექილმა კარი გამოაჭრიალა.

სიბნელემ ცალი თვალი ბრუტიანივით შემოჰყო ქოხში და იქიდან დაიბადა ვიღაც ნაბდით მოსილი და ყაბალახით თავ-შეხვეული კაცი.

კაი ნაცნობიც რომ ყოფილიყო, რომელზედაც ქვრივს ყოველ დღიურად ჰქონდა თვალი შეჩვეული, მას ამ პირველ წუთებში იმისი გამოცნობაც კი გაუჭირდებოდა, არა თუ ახლად შემოსულის, რომელიც მართლაც სრულიად უცხოს ჰგავდა და, მაშასადამე, ალათიას ფიქრით, ვიღაც ძალიან შორეულიც უნდა ყოფილიყვეს.

—ალათი, ველარ მცნობ?.-

წარმოსთქვა „უცნობმა“, რომელსაც ეტყობოდა, რომ სიცივ-სინესტისაგან კრიჭა ჰქონდა შეკრული.

ალათია სდუმდა და მხოლოთ ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებს აცეცებდა მოსულს, როცა იგი ნაბდის თასმებს იხსნიდა. თითები არ ემორჩილებოდა მას ამ საქმეში და ალათიას ცნობისმოყვარეობაც საშინელის დაჭიმვით გრძელდებოდა.

როგორც იყო, „უცნობმა“ ნაბადი მოიხადა და ალათიამ შიშისგან ლამის შეჰკივლა, რადგან სტუმარს მხარზე მოკლე თოფი ჰქონდა გადაკიდებული და წელ-საც უზარმაზარი რევოლვერი უმძიმებდა, ხოლო მთელი იმისი ტანი [illegible] ფალასკებით იყო აჭრელებული.

მაგრამ დაკვირვებამ და შიშისაგან მოძალებულმა სიფხიზლემ ალათიას ცნობიერება მალე დაუბრუნეს.

მან მოსულში იცნო თედო ახალიშვილი.

ნაბად და ყაბალახ-მოხდილი თედო იდგა ალათიას წინ და პირზე ღიმილით ხელს უშვერდა ქვრივს ჩამოსართმევად.

დარცხვენით და თედოს დანახვაზე ხელახალი შიშით ძირს თავდახრილმა ალათიამ ძლივს-ძლივობით გაუშვირა მოსულს საპასუხოთ თავისი აკანკალებული ხელი.

თედომ ხელი გრძნობიერად ჩამოართვა ქვრივს და იმისი ხელი დიდხანს თავის ხელში გაიჩერა.

ამით გათამამებულმა ქვრივმა ახალიშვილს მხრებზე ხელები გადააჭდო და ვითომ დედაშვილურად კიდეც მოეხვია და მიესალმა მას.

ტანში კი უხერხულობისა და სინანულის გრძნობებმა უსიამოვნო ჟრუანტელი მოგვარეს, თითქოს ნემსები შეერჭოო.

ამ უსიამოვნო გრძნობების გასაფანტავად და ვითომ [მოსულის თვალის ასახვევად, ქვრივი მალე ჯარასავით დატრიალდა კერასთან და თან რაღაც უილაჯოთ აფუსფუსდა.

კუთხეში მომარაგებულ ფიჩხს თავი ძლივს მოუყარა, ჭრაქს სარქველი მოხსნა, ნავთის ყლანტი ფიჩხს გადაავლო და ქიაფს გაჰკრა.

პატარა ხანს უკან ხმელ ფიჩხზე ხვავრიელად პირმოდებულმა ალმა ქოხის შუაგულში ბრიალი ასტეხა და მუგუზლების ხშირი ტკაცანით აგუზგუზდა ნაცრიანი კერა.

—„შვილო, უჭმელი იქნები, კვერს მაინც ჩაგიკრავ“?..

მიმართა ქვრივმა თედოს მოჩვენებითი მზრუნველობით.

—არა, ალათი, არა ღირს თავის შეწუხება! არ მინდა.

დაწექი და მოისვენე, როგორც ჩემს მოსვლამდი იყავი.

მე ამალამ, მართალია, აგერ ცოტას კი გაწუხებ, მაგრამ, იმედი მაქვს, ყველაფერს გადაგიხდი.

დილიდან კი ჩემს გზას ვნახავ.

დიდხანს ჭირვეულობდა ალათია: ხან თავისი ლოგინიც კი შესთავაზა თედოს; ხან მეორე მხრით ახალი ლოგინის გაშლაც კი სცადა, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. თედომ არც ერთის ნება არ მისცა და ძალას ატანდა, რათა მისგან ასე სრულიად შემთხვევით ძილ-გატეხილს ქვრივს ისევ მოესვენა თავის ადგილზე.

ამ შემთხვევაში კი თვითონ ქვრივიც აღარ უთმობდა სტუმარს, იმანაც ისურვა, ციმბირიდან ახლად დაბრუნებულ თედოსთან ერთად, ცეცხლის პირად ღამის ტეხა და კერის მეორე მხარეს, თავსა და ზურგზე ძველი თავშლის სწორებით, ალათიაც ჩამოჯდა დაბალ სამფეხა სკამზე, როცა თედო კერის ერთი

ქედრიდან გათოშილ ხელებს გამოუთქმელი სიმაით უშვერდა ახლად აბრიალებულ კოცონს.

ეროვნული

პატარა ხანს უკან, ამ ორ დიდხნის ერთმანეთის უნახავ[illegible]რის გაჩაღდა ტკბილი მუსაიფი, რომელსაც, გარდა ცეცხლისა, ათბობდა კიდევ ამ წუთს ორივეს გულში აღძრული ცნობისა და ზოგი ცოდნის მოყვარეობის გაძლიერებული ინტერესიც...

XXXV

ბევრი რამ უთხრეს ერთმანეთს ციმბირიდან ახლად დაბრუნებულმა თედომ და სოფლად რადიოს როლში მყოფმა, ს. №-ის ცოცხალმა მემატიანემ, ქვრივმა ალათიამ.

თედომ დალაგებით უამბო ქვრივს თავის თავ-გადასავალი, ციხეების გრძელი სერიის აღნუსხვით, მათი ბნელი და გაუმაძღარი ხვრელების ასახვითა და ციმბირის ცივი და ზვიადი ბუნების დასურათებით.

გრძელი და მომაბეზრებელი იყო თედოს თავგადასავალი, მაგრამ იმავე დროს მეტის მეტად მდიდარი და ფერადიც ქვრივისათვის სრულიად უცნობი და უჩვეულო ახალ-ახალი განცდებით, სახეებით და ცხოვრების მძიმე და ძნელი პირობებით.

და ალათიაც სულ-განაბული, ცოცხალი ინტერესითა და გამოუთქმელი ყურადღებით უსმენდა თედოს საუბარს.

ალათიამ, თედოსთან ერთად, მოიარა საკატორღო ციხეების აშმორებული ხალთები და ციმბირის ვრცელი და სასტიკი არე-მარე. ხოლო შემდეგ კიდევ იქიდან აქეთ—გრძელი და მრავალ-სატანჯველიანი გზაც გამოვლო თედოსთან ერთად.

ამ ძნელი, ქვრივის განსაკუთრებული სულიერი სიმძიმით დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ, ისინი დაბრუნდენ ისევ სოფ. №-ში და ახლა ქვრივი ჩადგა თედოს როლში. ახლა თავის მხრით ქვრივი მოუთხრობდა ადგილობრივი ცხოვრების შესახებ, ხოლო თედო კი სდუმდა და სულგანაბული უსმენდა მას.

მოხდებოდა, რომ ცეცხლის სიძლიერე და სინათლე უცბათ ჩანელდებოდა ხოლმე და მაშინ თედო მუგუზლების კერაში შეწევით და მათი იქ სწორებით ისევ აღვივებდა ცეცხლს, ხოლო საუბარით თავმობეზრებულ ალათიას კანტიკუნტ შეკითხვას აძლევდა და ამ უკანასკნელშიც ცეცხლივით იწვევდა და აძლიერებდა ახალ და ახალ მოთხრობათა წამოწყების სურვილსა და უფრო კი ამ მოთხრობათა სიტყვიერად გადმოცემის ნაძალადევ შეძლებას.

თითქმის ყველაზე და ყველაფერზე ილაპარაკეს მათ, მხოლოდ მაშოსა და დათიას ოჯახზე კი ერთი კრინტიც არ დაუძრავთ.

ალათია განგებ ერიდებოდა ამ საგანს, რადგან ეშინოდა, ვაი თუ თედოს ყველაფერი გაგებული ჰქონდეს და ჩემს გამოსაცდელად იყვეს აქ მოსულიო!..

ხოლო თვითონ თედო კი, გასაგები მიზეზით, უფრო იმ ეჭვებით, რომელიც მას თითქმის თავისი დაჭერის დღიდანვე გამოუთქმელის ტანჯვით უქენჯნიდენ გულს, განზრახ ერიდებოდა ამ საკითხის აღძვრას.

თავის მხრით, ის ალათიასაგან მოელოდა რაიმე მაშოს საბრალმდებლო, თუ გამამართლებელ ცნობას, მაგრამ ამაოდ. ორივენი თითქოს მხოლოდ თვა-ლით და უფრო კი გულით ზომავდენ ერთმანეთს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და როცა გათენდა, თედოს წასვლის დრომ მოაწია, ხოლო ალათიასაგან კი სწორედ ის ვერ შეიტყო მან, რაც მისი აქ მოსვლის უმთავრესს, თითქმის ერ-თად ერთ მიზანს შეადგენდა, მაშინ კი თედომ ველარ მოითმინა და ალათიას თვითონ მიმართა შესაფერი შეკითხვებით მაშოს შესახებ.

ალათია, მაშოს ხსენებაზე, პირველად შეკრთა, მაგრამ, რა შეატყო, რომ თედოს მხოლოთ მშიერი ცნობისმოყვარეობა ახრჩობდა მთელი იმ ამბის შესა-ტყობათ, რაც ალათიამ ყველაზე უფრო სისწორით იცოდა, სიამოვნებით წელ-ში გასწორდა, გათამამდა და მოყვა მიკიბულ-მოკიბულს:

— „ნენავ, დათია წვადაგაძის ოჯახმა დაგლუპა, შვილო, შენ!

სოფელში ახლა ამაში ეჭვიც ალარავის არ შესდის და, ამის გამო, კიდეც ერიდებიან მათთან მიმოსვლასა და რაიმე მეზობლობის დაჭერას.

პირველად რომ ეს მათი თვალის და ყურის დამაბნელებელი ამბავი ჩა-აწვეთეს ყურში, ციცაი ჯავრს კინალამ გადაყვა, შვილო: როგორ თუ გამიგეს აგი ჩემი გულის საიდუმლოებაო“...

და გალაღებული ქვრივი ფერებს ალარ ზოგავდა ციმბირიდან ახლად დაბ-რუნებულ თედოს თვალში წვადაგაძის ოჯახის გასაშავებლათ და მაშოს გასაბა-ხებლათ, რა თქმა უნდა, იმ მოსაზრებით, რომ თადოს კავშირი ისევ არ აღ-დგინა წვადაგაძის ოჯახთან და ალათიას ოინების გამომჟღავნებას ამით ხელი არ შესწყობოდა.

— „ტვყილად არ დააგლახებს, ნენავ შვილო, ღმერთი კაცს“-ო, ხომ გა-გიგონია?!...

განაგრძობდა ახლა უკვე მომაბეზრებლად მადა-აშლილი ალათია.

მაგრამამ თედო ალარაფერს უსმენდა: მისთვის მოკვდა და გაშავდა სულ ყველაფერი. და ეს სიშავე წასულ ღამესავით აღიბეჭდა მის ენერგიით სავსე სახეზე.

— ნუ თუ მაშოშიც მოსტყუვდა იგი?

ნუ თუ ქვეყნად სანდო ალარავინ არის?

მერე რა მოსაზრებით, რა სასყიდლის გულისთვის ჩაიდინა მაშომ ეს?

და თედოს წარმოდგენაში ბესარიონ მწერალი, გაბრიელ მედუქნე, ერმი-ლე მამასახლისი, ივლიანე ყოყოჩაძე, თუ სხვები მისთანანი, დათია წვადაგაძის ოჯახის წევრებთან შედარებით, ერთ ათად გაიზარდენ, გადიდდენ და გაკეთილ-შობილდენ.

მათი აშკარა მიმხრობა რეაქციისაკენ კიდევ გასაგებია, მაგრამ სრულიად გაუგებარია, თუ რა ამოქმედებდა დათია წვადაგაძის ღატაკ ოჯახს და მათ შო-რის მაშოს, როცა ისინი თედოს ასე მოღალატურად ხელში უგდებდენ სოფლისა და მთელი ქვეყნის სვავ-წურბელებს?

განსაკუთრებით მაშოს როლია აქ მეტად სათაკილო.

ათასჯერ გადაუტრიალდა თავში თედოს ეს აზრი და შეათასჯერ მაინც საეჭვოთ ეჩვენებოდა მას მამოსაგან ასეთი საზიზღარი საქციელის ჩადენა, ის, ვერ ურიგდებოდა ამ მქენჯნავ აზრს, ვერ წარმოედგინა მამოს ასეთი სივერაგე.

ბოლოს გადასწყვიტა: რათაც არ უნდა დაუჯდეს, მან თვითონ უნდა ნახოს პირადათ მამო და დაწვრილებით გამოჰკითხოს ყველაფერი.

ამ წინადადებით მან ალათიასაც კი მიმართა, სთხოვა, რომ ერთხელ კიდევ ეცადა და მოეწყო მათი პაემანი. მაგრამ ალათიამ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა: მან გადაჭრით ცივი უარი უთხრა თედოს ასეთ „უმადური და თან თავისთვის მეტად ულირსი და შეუფერებელი შუამავლობის“ გაწევაში. მართალია, ალათია ყველა „პატიოსან“ კაცს დახმარებას უწევს მსგავს საქმეში, მაგრამ წვადაგაძეებისთანა ხალხს კი იგი ახლოც არ გაეკარება.

ასეთია ამ „პატიოსანი ქვრივის“ უკანასკნელი სიტყვა თედოს წინადადებაზე...

XXXVI

ასე გავიდა ეს შესანიშნავი ღამე, როცა ციმბირიდან ახლად დაბრუნებული თედო ახალაშვილი პირველად ეწვია თავის მშობელ სოფელს და სოფელში პირველი საუბარი გაუმართა პირველსავე შეხვედრილს, რომელიც ამ შემთხვევაში ქვრივი ალათია აღმოჩნდა.

და დილით ადრე ალათიას ნახელავ კვერითა და ზედ ყველის შეჭამადით დანაყრებულმა თედომ, მისთვის მოსასმენად საძნელო და აუტანელ ცნობებით დატვირთულმა და დამძიმებულმა, თითქმის ისეთსავე უსიამოვნო გუნებაზე დამდგარმა მიატოვა ალათიას ქოხი, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინად აქედან უკანასკნელად ილტვოდა მამოსაგან იმედ-გაცრუებული, შერცხვენილი და დამცირებული ბესარიონ მწერალი.

მაგრამ იყო განსხვავებაც ამ ორ შემთხვევას შორის და ამ განსხვავებამაც დიდხანს არ დააყოვნა გამომჟღავნება.

თედომ, როგორც იყო, ინახულა მამო და აქ უკვე ყველაფერი გამოირკვა.

მამომ ახადა ფარდა ბესარიონ მწერლის ვერაგობას, ხოლო ალათიას ვერაგობას თვითონ თედომ მოუპოვა შესაფერი გასაღები, როცა იგი, ამ შემთხვევის შემდეგ, მოულოდნელად კიდევ ერთხელ და უკანასკნელად ეწვია ქვრივს მისივე ქოხში ზევით აწერილ ღამესავით ერთ ბნელსა, ცივსა და ნესტიან ზამთრის ღამეში.

ალათია სუყველაფერში გამოტყდა და მხოლოდ თედოს წინაშე ჩოქვითა და სინანულის ცრემლების ღაპა-ღუპით მოიპოვა დაუმსახურებელი პატიება.

ამის შემდეგ, სოფლად აქა-იქ ყურს წაკრავდით ცნობის ჩუმ გადაცემ-გადმოცემას ახალიშვილის ციმბირიდან დაბრუნების შესახებ.

ზოგს სიამოვნებდა ამ ცნობის მოსმენა, თუმცა თანაც ეჭვით უსხდებოდა მას; ზოგს კი ტანში შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა ის, თუმცა ამათაც ისევე აეჭვებდა მსგავსი ცნობის უტყუვრობა, მისი გამართლება და იმის დღეს სოფლად მოარულობას სავსებით ხალხის დაუდეგარს ფანტაზიას აწერდენ.

(დასასრული იქნება).

ვ. მაიაკოვსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 25 ოქტომბერი 1917 წელი

როგორც ყოველთვის
უბერავდა ქარი ოქტომბერს—
ვით საბერველი კაპიტალიზმის
და ტროიცკიდან
ტრამვაები და წყება ავტოსი
ლიანდაგებზე გარაზმულები.

—

ხიდის ქვეშ მიდის
        ნევა მდინარე
კრონშტატელების ჯგუფებით
ვინტოვკებიდან მყივარებს
        სასახლეს დაეუფლებით.
და გაქანებულ მოტორით
სახურავ გადახდომილში
ჩალაგებულან ყოველნი
ეჭურჩულება ძნობილი
გატჩინა დამწვარ გონებით
„თხებია სწორედ რქიანი
აჯანყებული მონები“.

—

ხედავენ
გაფანტულს, თვალებს—ვარსკვლავებს,
რომ სასახლეზე მოდის რგოლებით.
ყაზარმებიდან მილიონ კვალით
ახლოვდებიან კესკეგოლმები.

—

სმოლნში-კი ფიქრით
        ბრძოლის დასკვნებზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილიჩი ფანტავს ნაბიჯებს თოშვით
და შლილ რუქაზე
პოდვოისკისთან
ბრძოლის ადგილებს ნიშნავენ დროშით.

—

სჯობს ნებით
წასვლა ხელისუფლიდან
არსად არა გაქვთ
გზა გასახრელი
და ადგებიან ყოველ უბნიდან
არმიელები ზამთრის სასახლეს.

—

მუშათ რაზმები
მეზღვაურები თითქმის შიშველი
შტიკების ელვარით მოვიდნენ თავათ
თითქოს ხელები შეერთდენ ყელთან
სასახლის სუნთქვის შესახუთავათ.
და ორი ჩრდილი
წამოდგა სულმთლად
ვეებერთელა და მერყევი შუშათ
შუბლი მივიდა პირისპირ შუბლთან
და ქიშკრის ხელით ბრბო შეიკუმშა.
და ბარბაცებდენ
ჩრდილები დიდი
ზუილით ქარის
და ტყვიებისა
ტყვიის-მფრქვევლების ხმაც იყო მშვიდი
მზგავსი სიცივით
ნამტრევ ძვლებისა.
ღელავენ მდგარი პავლოველები
პოლიტიკაში დაიწყესო მოფერებანი
სად შეუძლიან ბოჩკართ სულელებს
ჩვენ გაგვიწიოს შეტაკებანი.
მაგრამ ჩრდილები
ქიდაობდენ თათებ დაბნევით
თათებს არ ხსნიდენ
და არ ჩანდა გამშველებელი.
ველარ უძლებდა მდუმარებას
და ნებდებოდა
სუსტი სიჩუმით შეშინებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველათ
შიშით გადაძლეული
მოიხსნა ქალთა ათასეული
სცადეთ კერენსკი
დამალული მოგვინახევით
ყაზახის გოგრა
ამ ფიქრებმა წაახალისა
და თხელდებოდა მცველნი
სასახლის
როგორც კბილები სავარცხალისა.

—

და ჩრდილათ გაგრძელდა
სიჩუმის ნაკვეთი
სიჩუმე იმედის
და სასოწარკვეთის.

—

VI.

ამ ღამეებში
და ამ დღეებში
გვიან გადასულ საათებისას
შეხვდებით მხოლოთ
თქვენ კუთხეებში
ქურდებს და ჯგუფებს პოეტებისას:
მწუხრმა ქვეყანა
ჩაუშვა ძარში
ლაჟვარდი ირგლივ.
კოცონებზე ნისლი ქურქივით.
ძირქვეშა ნავად
წავიდა ძროში
აფეთქებული
მთლად პეტერბურგი.
და მხოლოდ როცა
ხანძრის ალებით
დაბარბაცებდა ეს მწუხრი მღვრიე
კვლავ ვიხსენებდით წინათ და მაღლით
ბრძოლის ქარბუქებს დაურღვეველებს.
და წყალს ხომ მწუხრი
ისედაც აგავს
უძირო ლაჟვარდი
გარღვევით.
აქ კიდევ კიტის მზგავსებით
ავრორას ცხვირი ნალმებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოედნები
ტყვიით გაპარსეს
სანაპირონი დაცარიელდა
მხოლოთ ნისლებში
ალი პარპალებს
როგორც იმედი გადამთიელთა.
და აქ სად მიწა
იკუმშვის სიცხით
ყინვის სიმკვრივით
შიში ჩნდებოდა
ხელებით ალზე მიფიცხებული
აქ ჯარისკაცი ცეცხლზე
თბებოდა.
ცეცხლის სინათლე
დაეცა სახეს
და თმებს დააწვა ჩრდილების
ლოკვით.
გავკვირდი
ვიცან, შევძახე
ნუ თუ თქვენა ხართ.
ბლოკი!
„დოვლათი ფუტურისტების
დღეს იფლითება
წარსულთ ფრაკით.“
ბლოკმა შემხედა. კოცონი ინთება.
„ძლიერ კარგიო“.
ირგვლივ სიღრმეში
ბლოკის რუსეთი იძირებოდა
ჩრდილო — კვამლები
წყება ქალთა „უცნობებისა“
ძირს ეშვებოდენ როგორც ძორები
და თან ქისტები კონსერვებისა.
გამოიცვალა წამს ბლოკის
სახე
და მოიღუშა
როგორც სიკვდილი ქორწინებისას
„სოფლიდან მწერენ დამიწვეს სახლი
და ბიბლიოთეკა ჩემ წიგნებისა.“
გასცქერდა ბლოკი
და ბლოკის ლანდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იცქეროდა
    კედელს დაბჯენით.
თითქოს ელოდენ ორივე დარდით
წყალზე მომავალ
    ქრისტეს ნაბიჯებს.
მაგრამ აქ ქრისტე
    არ გამოცხადდა
ბლოკის თვალებით
    სევდას უფრთხიდა
ქრისტეს მაგივრად
    ცოცხალ სიმღერით
ხალხი გამოჩნდა
    ყოველ კუთხიდან.

თარგმანი **სიმონ ჩიქოვანის.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მემკვიდრენი

ძველთაგან გადმოცემულია, რომ სტენკა რაზინი შევარდენის მთიდან გადმოვიდა, და აგრეთვე ბევრგან წამიკითხავს, რომ პუგაჩოვიც იქიდან შემოვიდა. შევარდენის მთა ამართულია თვალგადუწვდენელ მინდორზე, იქ, სადაც ყაჩაღურად მოქშუის ვოლგა. ვოლგაზე გაშენებულია ქალაქი; ამ ქალაქში გლუბიჩევის ხევთან, ძველ სობოროს ახლოს, რომლის წინაც სდგას პუგაჩოვის მიერ დატოვებული ზარბაზანი, წარსულ საუკუნეების მოსაგონებლად, განმარტოებით ამართულია ძველებური, წითლად შეღებილი შენობა.

ოდესღაც ამ სახლში სცხოვრობდა სახელოვან აზნაურთა როსტოროვთა გვარეულობა და იმართებოდა დიდი წვეულებები.

უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში ამ სახლში, თვით შენობასთან ერთად, ბერდებოდა და თანდათან სიცოცხლეს შორდებოდა ძველი დიასახლისი ქსენია დავიდოვნა,—ქალიშვილი გაუთხოვრობაში დაბერებული.

ათას ცხრაას ჩვიდმეტ წლის ოქტომბერში ის მოკვდა და ეხლა ამ ცივ, ნესტიან, გაქურდულ და ნახევრად დანგრეულ შენობაში სცხოვრობენ მემკვიდრენი.

წინად ესენი მოედვენ მთელს რუსეთს; აწყობდენ თავიანთ ოჯახს პეტერბურგში, მოსკოვში, პარიზში, სახლი კი ოცი წლის განმავლობაში მივიწყებული უპატრონოდ ეგდო, მაგრამ მოვიდა რევოლიუცია, მღელვარებამ მოიცვა ხალხი და როსტოროვთა ნათესაობაც შეგროვდა თავის ბუდეში,—რევოლიუციისა და სიმშილის გამო.

ველ-მინდორზე, ვოლგაზე და თვით ქალაქზე დაჰქროდა ქარი. იშლებოდა რევოლიუცია ისეთივე, როგორც სტენკა რაზინის დროს,—ყაჩაღური და თავისუფალი.

შენობის ოთახები იყო ბნელი, ნესტიანი და ცივი. ფანჯრიდან მოსჩანდა ძველი სობორო და დათოვლილი ვოლგა ნავთსადგურებით და გემებით, შვიდი ვერსის სიგანეზე გადაჭიმული.

თავდაპირველად ამ ნათესაობამ დააწესა კომუნა; მაგრამ კომუნიზმი უდროული აღმოჩნდა, გაიმიჯნენ და ყველამ საკუთარი ავეჯით ცალ-ცალკე ამოჭყო თავი.

ეწევიან წვრილმან მოწყენილ ცხოვრებას. სწყევლიან რევოლ[illegible] სწყევლიან სიცოხლეს, არიან ძველისკენ ზურგშებრუნებულნი, მაგრამ [illegible] ძველის მოლოდინში.

* * *

შვიდ საათზე, როდესაც ჯერ კიდევ ლურჯია დილა, იღვიძებს გენერალი კირილ ლვოვიჩი, იცვამს ბუხარულს ხალათს, აქრობს სანათს და მიდის ფეხსადგილში.

იქ ყინვაა. ორთქლი კვამლივით იკლაკნება ჰაერში, დასაჯდომში, ისევე, როგორც ტრახტირებში ჰუჰყია და სავსეა ჩამოკიდულ ყინულებით. გენერალი მკაცრად ხრიწინებს, ცხვირზე თითებს იჭერს, შემდეგ მიდის ცოლთან, აღვიძებს და ებუზღუნება:

— ანაა! ეს რა უბედურებაა!.. ეს რა ღვთის რისხვაა!.. ჰკითხე შენს ნათესავებს ვინ აფუჰებს ასე საჯდომს?.. ხომ იციან რომ ჩვენ მსახური არა გვყავს..

ოთახში ავეჯი ვიწროდ ალაგია. ეს არის საწოლიც, სასადილოც და სასტუმროც. მძიმე ფარდებით დაბურულ ფანჯრებიდან მოსჩანს დილის სილურჯე.

-- ხომ იციან რომ არა გვყავს მოსამსახურე!?. ხომ იციან!.. დღეს სამოვრის დადგმა შენი რიგია... გილზი არა გვაქვს?..—გენერალი დადის ოთახში ხელებით უკან. მისი თითები ბრილიანტებშია.

— შენ კი მოგიხდება პურზე წასვლა,—ეუბნება ანნა ანდრეევნა.

— ვიცი, ვიცი!.. მიკვირს პირდაპირ, ამ სახლში სცხოვრობს ოთხი ოჯახი, და არ შეუძლიათ საქმე მოაწყონ ისე, რომ პურზე ჯერით წავიდენ ხოლმე. მომეცი ქაღალდის ფურცელი და ლურსმნები.

გენერალი ჯდება მაგიდასთან და სწერს:

> „ბატონებო, ჩვენ არა გვყავს მოსამსახურე, ჩვენ თვითონ უნდა მოუაროთ ჩვენს თავს; ყველას არ შეუძლია დაჯდეს არწივივით, ამიტომ გთხოვთ მოიქცეთ გულმოდგინეთ.
>
> **კირილე ლეუნევი.**

გენერალი არ არის მემკვიდრე. მისი ცოლი როსტოროვის გვარისაა და ჩამოვიდა მასთან ერთად.

კირილ ლვოვიჩი იღებს თავის განცხადებას და აკრავს მას ფეხსადგილის კარზე. შემდეგ ისევ დადის ოთახში, თითებზე აბჰყვრიალებს ბრილიანტებს და ბუტბუტებს:

— ეშმაკმა უწყის მაგათი თავი, სერგეი თავისი ოჯახით [illegible] ოთახში ცხოვრობს, მე კი ერთში. ესენიც ვითომ ნათესავებია რაღა?!. [illegible] გავ-ჩერდები, მე წავალ აქედან.. გილზი არა გვაქვს?..

ანნა ანდრეევნა ჩუმი, დაღლილი, დაქანცული მოთენთილად მიუგებს:

— არ არის, არა; მოგიძებნი ნამწვავებს. ლინა ხანდახან დაუმტვრევ ნამწვავებს აგდებს.

— შეხედე იმათ, რა ბურჟუებია?!. ნამწვავებს ჰყრიან, მოსამსახურეც კი ჰყავთ!..

ბნელს დერეფანში მრავალი ძველ-ძვული ჰყრია. მისი დალაგება ყველას ეზარება. ანნა ანდრეევნა სერგეი ანდრეევიჩის ლუმელთან ნაგავში და ქაღალ-დებში ეძებს ნამწვავებს. ეძებს და ხედავს, რომ მოსამსახურეს—ლეონტევნას, რომელსაც ცალი თვალი არა აქვს, ჩაუწყვია ლუმელში ფიჭვის შეშა, მაშინ რო-დესაც პირობა იყო, ჯერ დანგრეულ ოთახის დამპალი ყავრები დაეწვათ და შემდეგ ფიჭვის შეშა.

გენერალი ტკბილად პაპიროსს ეწევა; შემდეგ მიდის ეზოში და მოაქვს დამპალი ყავრები. სამოვარი მზად არის. გენერალი სვამს ჩაის ბევრსა და დიდხანს. ანნა ანდრეევნა დერეფანში ახურებს თავის ლუმელს.

ნელი-ნელ თენდება.

ზამთარია და დილა ბურუსიანი.

კედელს იქით გაიღვიძა სერგეის ოჯახმა. ის სამინისტროში განყოფილე-ბის უფროსია.

მოისმის კიდეც თუ რას ეუბნება ლინა ბავშვებს:

— კირა, შენ საკმარისი ცილა სჭამე, ეხლა საჭიროა ნახშირწყალი.

— კალთოფილი?..

— ხოო.

— ციცუქნეები?..

— სისუქნე რაცა სჭამე, ისიც გეყოფა.

გენერალი ეშმაკურად იღიმება და ბუტბუტებს:

— კი არა სჭამენ, იკვებებიან!.. და იჭრის თავისთვის ქონის ნაჭერს თეთრ პურზე, ჩაის სვამს სოლოდის ფესვებით და გამხმარი ნესვით.

სახლი იღვიძებს.

დერეფანში, გენერლის ოთახის ახლოს, დადიან ღამის გარშოკებით, სა-მოვრებით, კბილის საწმენდებით და პირსახოცებით, ნახევრად ჩაცმულები და ჯერ გამოუფხიზლებელნი.

გენერალი ჩაის სვამს, მოსიარულეთ აღევნებს თვალყურს და ბრაზობს... კაცურ ფეხსაცმელებში მოაბაკუნებს ბირჟიდან სერგეის მოსამსახურე; უცქერის თავის ერთად-ერთ დიასახლისურ თვალით სერგეის ლუმელს და ამბობს:

— შეშა კი თქვენ კარგა ბევრი ჩაგიწყვიათ!..

გენერალი უპასუხებს თავის ოთახიდან:

— თქვენ კი ყავრების მაგიერ ფიჭვის შეშა ჩაგიწყვიათ.

მსახური ღელდება. ირტყამს მუხლებზე ხელებს. იწყება მორიგი ჩხუბი.

— როგორ?.. მე არ მენდობიან?.. მე მზვერავენ?... ქალბატონო ლინა ფე-ოდოროვნა, გამისწორდით, თორემ ბირჟაში ვიჩივლებ...

ბიბლიოთეკა

ლინა ფეოდოროვნა კი ჰყვირის თავის ოთახიდან:

— როგორ, მას არ ენდობიან?.. მას ზვერავენ. ჩვენს სახლში მზვერავებია... და მერე ინტელიგენტებადაც მოაქვთ თავი!..

შეშა ხომ მაინც ფიჭვისაა!?.

— და მერე ინტელიგენტებიც არიან!..

გენერალი ჩნდება დერეფანში და ამბობს მკაცრი კილოთი:

— ქალბატონო ლინა! ჩვენ არა გვაქვს უფლება ამაზე ლაპარიკის, რადგან ჩვენ მემკვიდრენი არა ვართ. აი, მე ძალიან მიკვირს, რატომ სერგეის უჭირავს სამი ოთახი და ჩემს ცოლს კი ერთი... ძალიან მიკვირს...

— —

და იზრდება უსიამოვნება.

გენერალი იცვამს და კმაყოფილი მიდის პურისთვის რიგში ჩასადგომად. ლინა მიისწრაფის ქმართან საჩივლელად.

ქმარი მორბის მოსალაპარაკებლად, მაგრამ გენერალი შინ არ არის და ელაპარაკება თავის დას ანნა ანდრეევნას:

— ეს შეუძლებელია, ეს დაუშვებელია, ეს მზვერაობაა!..

— დამიჯერე, რომ ეს მოხდა სულ ერთი პაპიროსის ნამწვავისათვის,— დარდიანად უპასუხებს ანნა.

ლინა კი ზის მაღლა ეკატერინესთან და დაწვრილებით უამბობს მომხდარის შესახებ.

ანნა მიდის კონსტანტინესთან, ის მისი უმცროსი ძმაა—ლიცეისტი. ის ეუბნება, რომ მას არა აქვს დრო, რომ ეხლავე დაჯდება საწერად, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მირბის სერგეისთან..

— ნება მომეცი მოვუკიდო. სწევენ მახორკას, რომელსაც ეძახიან კეპსტენს.

სდუმან.

— იქნებ მოისურვებ ჭადრაკის თამაშს?..—ამბობს კონსტანტინე.

— არა, ისე, არც ძალიან.—უპასუხებს სერგეი.

— მხოლოდ ერთი თალია.

— აბა კარგი, ერთხელ.

— მარტო ერთხელ.

სხდებიან და თამაშობენ.

კონსტანტინეს აცვია გაწყალებული ლიცეის მუნდირი. მას თითებზე, ისევე როგორც გენერალს და სერგეის უბრჭყინავს ბეჭდები; კისერზე ძველებური ოქროს ძეწკვი ჰკიდია: ჩხრეკისა და წართმევის შიშით მემკვიდრეებმა გაიყვეს ძვირფასეულობა და ზედ ატარებენ.

თამაშობენ ერთ თალიას, შემდეგ მეორეს, მეოთხეს, მეექვსეს, სწევენ და კამათობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალი ბრუნდება პურის რიგიდან და დერეფანში გავლის დროს შეიხედავს სერგეის ოთახში. გადასწყვეტს შესვლას.

— აი, თქვე ძუძუმწოვრებო, თამაში არც კი იცით!..

— როგორც ვიცით ისე ვთამაშობთ.

— რაა, გეწყინა?.. მაშ როგორც მოხუცს, მაპატიე. იცი, კირკა გაზეთისთვის გავგზავნე, ორუზალთუნიანი მივეცი.

— არა, არ ვბრაზობ.

— ეგ უკეთესი... გადააგდეთ ჭადრაკი და პროფერანსი ვითამაშოთ.

და მთელი დღით პროფერანსის სათამაშოთ სხდებიან. თამაშს სწყვეტენ მხოლოდ იმისთვის, რომ ისადილონ სერგეისთან, რომელსაც დღეს აქლემის „ხალადეცი“ აქვს. და როდესაც სერგეი აგებს, ამბობს:

— მაგრამ მაინც, ბატონო გენერალო, თქვენ საძაგელი ხასიათი გაქვთ!..

— სულელო ბავშო!..

—

ფული გამოელიათ. მთელი მათი ქონების მზრუნველად დანიშნულია ეკატერინა ანდრეევნა. მამკაცები დღევანდელ წესწყობილებას არ სცნობენ. მხოლოდ სერგეის შერჩა ფულები, რევოლიუციის წინად გაყიდულ მამულებისაგან, (იმიტომაც მას მოსამსახურეც ჰყავს).

ეკატერინეს სახლში უზის ორი ქალიშვილი, რომლებმაც პრინციპიალურად მიატოვეს ერთმა გიმნაზია და მეორემ კონსერვატორია. ლაპარაკობენ ზანტად და შველიან დედას ქართოფილის გაფცქვნას. ქალბატონი ლინა და ანნა ერთად ჩადიან სარდაფში და გულმოდგინედ სინჯავენ ბებიათაგან დარჩენილ ძველ ტანსაცმელს. გვერდზე ალაგებენ ვერცხლს, ფაიფურს, ბრინჯაოს. სალამოზე მოვლენ თათრები.

სარდაფში თაგვების სუნი დგას. კედლები სავსეა ყუთებით, ჩემოდნებით, იქვე ჰკიდია უშველებელი დაჟანგული სასწორი.

თათრების მოსვლაზე ყველანი გროვდებიან. მამაკაცები განზე დგებიან. თათრები,—ისინი არიან ორნი—სალამს აძლევენ ყველას რიგ-რიგად და ხელის ჩამორთმევით. გენერალი მძიმედ ქშინავს, მოხუცი თათარი ახალ გალოშიან ვალინკებშია და ეუბნება ეკატერინეს:

— როგორ სცხოვრობთ ქალბატონო!..

გენერალი ფეხზე გადაგდებულ ფეხს აქანავებს და მკვახედ ამბობს:

— თქვენი ფასი სთქვით...

თათრები არჩევენ ტანსაცმელს, მოძრაობენ გულგრილად და აძლევენ ძლიერ მცირე ფასს. გენერალი ბრაზით ხარხარებს, ცდილობს იმახვილოს; ეკატერინე კი ბრაზდება და ეუბნება:

— რას ხარხარებ, კირილ ლვოვიჩ, ასე არ შეიძლება!..

გენერალი წამოხტება და უპასუხებს:

— მართლა, მე ხომ მემკვიდრე არა ვარ, მე შემიძლია წავიდე.

გენერალს ამშვიდებენ, თათრებს კი ევაჭრებიან.

ფანჯრებში იცქირება ბინდი. გაყინულ რუხ ჰაერში მოსჩანს ძველი სობორო, რომელსაც ახსოვს სტენკა რაზინი.

ეროვნული

რეკავენ სამრეკლოს ზარები.

და ბოლოს თათრები ჩვეულებრივად ჰკრავენ ნაყიდს, ტყავის საფულეებიდან უთვლიან კერენკებს და მიდიან.

მემკვიდრენი იყოფენ ფულს. სხედან სასტუმრო ოთახში. ფანჯრები ფარდებშია. თხელ ნაჭრის ბადეში გახვეული ჰკიდია ჭაღი და პორტრეტები. სდგას მუხის ყვითელი როიალი. ავეჯიც გაცვეთილა, იერი დაჰკარგვია.

ოთახში იჭრება ბინდი. მემკვიდრეებს აცვიათ ეგზოტიურად: გენერალი ხალათშია; სერგეის აცვია წავის ბეწვიანი მუნდირი; ლინას ყელზე ახვევია თბილი, კურდღლის ტყავის ყელსახვევი; ეკატერინე საშემოდგომო ვაჟურ პალტოშია,—ოთახში სიცივეა. ყველას ზედა აქვს ძვირფასი ნივთები: ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები.

კონსტანტინე ამბობს გაუბედავად:

— ეხლა ძალიან ცუდი დროა და გაჭირვებული მდგომარეობა, მე მგონია უნდა გავიყოთ იმის და მიხედვით, თუ ვის რამდენი მჭამელი ჰყავს.

— მე მემკვიდრე არა ვარ!.. გაიძახის გენერალი.

— მე არ ვითვალისწინებ სოციალურ მდგომარეობას, უნდა გავიყოთ მემკვიდრეთა რაოდენობაზე,—გადაწყვეტით ამბობს სერგეი.

შეკამათდენ. ფანჯრებში იჭრება ლურჯი საღამო. უკრავენ სამრეკლო ზარები. ძლივს თანხმდებიან. ეკატერინეს მოაქვს სამოვარი. ყველას მოაქვს საკუთარი სოლოდის ფესვი და გამხმარი ნესვი. სვამენ ჩაის და კმაყოფილნი არიან.

უეცრივ მოულოდნელად და მწუხარედ ამბობს გენერალი:—იმ ტანსაცმელში გამოწყობილი, ეხლა რომ გავყიდეთ, პირველად შევხვდი ძალუა ქსენიას, მე ვიყავი მაშინ ახლად დანიშნული პორუჩიკი; ოხ, ნუ თუ კიდევ ასე იქნება... მე რომ მითხრან, რომ ბოლშევიკები კიდევ ერთ წელიწადს დარჩებიანო, თავს მოვიკლავდი... მე ხომ ვიტანჯები... ეს ჩემთვის ძლიერ საგრძნობია... მე უკვე მოხუცი ვარ... არც კი ღირს სიცოცხლე.

და იყო მორიგი ცრემლები. ტიროდა გენერალი ბებრულად, ტიროდა ბოხი ხმის ამოსკვნით ულვაშებიანი ეკატერინე, ტიროდა ანნა, კუთხეში გადახვეული იდგა ორი ქალიშვილი და ტიროდენ იმიტომ, რომ მათი ახალგაზრდობა და ტკბილი გრძნობები დარჩა მათს გარეშე.

— რომ შეიძლებოდეს, ამბობს ეკატერინე, მე სათითაოდ დავხვრეტდი ყველას.

—

ცაზე მთვარე ამოვიდა. ვარსკვლავები მკაფიოდ გამოჩნდენ. თოვლი გალურჯდა. ვოლგა გამოიყურება უდაბნოისებურად. ძველ სობოროსთან ყრუ ადგილია: არ დადის ხალხი. სასტიკი ყინვაა. ქალიშვილები ქსენია და ელენე და სერგეი გენერლით მიდიან ციგებზე საცურაოდ. კონსტანტინე მიდის კოკაინისტების კლუბში საზიზღროების სალაპარაკოდ და ქალის ხელების საკოცნელად. ლეონტევნა, ბირჟიდან გადმოგზავნილი მსახური ქალი, ცალთვალა სამზარეულოში დასაძინებლად წვება. ძილის წინ ლოცულობს. ისვენებს დღიურ ხმაურობისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალი სდგას ბანთან. სერგეის აქვს ციგა მაღლა. სხდებიან სამნი: ელენე, ქსენია, თვითონ და მისცურავენ ჭრიალა თოვლზე.

ციგები ელვის სისწრაფით მისრიალებენ. ეს სწრაფი ცურვა, თოვლის ჭრიალი და გაყინული ჰაერის სუნთქვა ქსენიას მიაჩნია ბედნიერებად და სურს გადაეხვიოს მთელ ქვეყანას!.. ლოცავს სიცოცხლეს!..

მკაცრი ყინვაა... გენერალი იმშუშნება, როგორც ბეღურა ჩიტი და ბანიდან ხმამაღლა გაჰკივის:

— სერგეი დღეს ისეთი ყინვაა, რომ უსათუოდ დასკდება წყალსადენი მილები; საჭიროა ამაღამ მორიგეობის დაწესება.

სერგეი ყურს არ უგდებს და კვლავ მისცურავს ქვევით ვოლგაზე, ლურჯ ყინულების სივრცეზე, გენერალი კი ღელავს, მირბის სახლში და ყველას ფეხზე აყენებს:

— ბატონებო, თუ ჩვენ მთელი ღამის განმავლობაში მილიდან წყალს არ გამოვუშვებთ, წყალსადენი გაიყინება და მილები დასკდება; ყინვა—27".

— მილი ხომ სამზარეულოშია, იქ სძინავს მოსამსახურეს,— ეუბნება ლინა.

— გააღვიძეთ!

— არ შეიძლება.

— როგორ თუ არა; გენერალი მიდის სამზარეულოში, აღვიძებს მოსამსახურეს და ანიშნებს წყალსადენზე, იგი კი ბუზღუნებს:

— მე ბირჟაში ვიჩივლებ!.. ძილსაც არ მაძლევენ!.. ტანთ გახდილსაც თავზე მადგებიან!..

ლინა მოსამსახურეს ესარჩლება:

— ეგ ბირჟაში იჩივლებს!.. ძილსაც არ აძლევთ! ტანთ გახდილსაც თავზე ადგებით!..

მოირბინა სერგეიმაც.

— თავი დაანებეთ თუ ღმერთი გწამთ. პასუხს მე ვაგებ. აცალეთ მას ძილი. ეგ ბირჟის წევრია!..

გენერალი ნაწყენი გაიძახის:

— რასაკვირველია, მე მემკვიდრე არა ვარ!..

---

ველ-მინდორში, ვოლგაზე და ქალაქში სუფევს ღამე, სუფევს ყინვა... ოთახში ნაღვლიანად არიან ქსენია და ელენე. გენერალს თვალი ვერ მოუხუჭავს. კონსტანტინე მოდის გვიან ღამით და ჩუმად მიიპარება მოსამსახურისკენ. ფანჯრებში ლურჯ ზოლებად იჭრება მთვარის სინათლე.

წყალსადენი ღამით გაიყინა და გასკდა...

თარგმანი **ელიზბარ პოლუმორდვინოვისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კრიტიკა მხატვრობა და პუბლიცისტიკა



ინდუსტრიალიზაცია (იმერეთის ფონზე)

ნახ ჟურ. „მნათობისათვის“

დ. კაკაბაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფ. შ. ნუცუბიძე

# რევოლიუცია და მეცნიერება საქართველოს სინამდვილეში

I

რევოლიუცია და მეცნიერება თავის ბუნებით და მიზნისეულ გაზომვით ერთი მეორეს უნათესავდება. კონკრეტ სინამდვილეში ეს შეიძლება ყოველთვის აგრე არ მოხდეს და სწორედ აქ ისმება ისტორიულ კვლევის ის ამოცანა, რომელმაც რევოლიუციის და მეცნიერების შეხვედრის ის ორგანიული გადანასკვი უნდა ნათელ ჰყოს, სადაც ურთიერთ ზეგავლენა და დროულ-ვრცეული თანხლება შემოქმედების განაყოფიერების ხაზით განილაგების. ყოველი აზრი მაშინაა საინტერესო, როდესაც იგი აქსიომათი იწყებს და პრობლემით ათავებს. ისე ამ შემთხვევაშიაც: მეცნიერება იგივე რევოლიუციაა, და რევოლიუციაც მეცნიერებასთან წარმოიშობა და იზრდება. მეცნიერება რევოლიუციაა, არა მარტო იმ მხრივ, რომ იგი კაცობრიობისათვის ახალს, მანამდე უცნობ სფეროებს შლის და ძლევამოსილობის ჰორიზონტებს აფართოებს, არა მარტო იმით, რომ იგი მთელი ცხოვრების გასწვრივ ყოფნის ახალ ვითარებას ქმნის, არამედ მით, რომ იგი პირდაპირ გადადის რევოლიუციაში; მეცნიერებაში პოტენციის სახით მოცემულია რევოლიუცია, როცა იდგმება თუნდაც ერთი ნაბიჯი წინ ბუნებაზე განარჯვების საქმეში, მის ახალ, ჯერ უცნობ ფენების გაშლაში და ამით წარმოების და ტეხნიკის ახალ ვითარების შექმნაში, აქ მეცნიერება ამავე წარმოების და ამავე ტეხნიკურ მიზნების სამსახურშია, მაგრამ იგი ძალაა და საშუალებათა ერთდროულ ამ მიზნებს გასაქანს და რეალ დასაყრდენს აწვდის. რევოლიუცია ზოგადად და საერთოდ გაგებული მეცნიერებას ჰფარავს, რევოლიუცია ვიწროდ ე. ი. კონკრეტად მოხაზული სოციალურობაა, მაგრამ მეცნიერება არ ხარობს იქ, სადაც არაა სოციალურად გაგებული რევოლიუცია ე. ი. სადაც გასაქანი მეცნიერულ შემოქმედებისა სალტებშია გაკრული და მის განვითარების წინააღმდეგ შემზღუდველი ძალებია აღმართული. აქ ნათელი ხდება მეცნიერების დამოკიდებული ხასიათი, ნათელი ხდება ისიც, რომ თუ არ დაიმსხვრა ეს სალტები წინსვლა და პროგრესი შეუძლებელია, რომ არ გაიშლება მეცნიერე-

ბიბლიოთეკა

ბის ყვავილი მანამდე, ვიდრე ცეცხლი რევოლიუციისა შემბოჭველ ყინულის სა-ფარს არ გაადნობს და ყოველ დახშულებათა წამლეკ ნიავქარს ვერ დაადენს.

თუ საინტერესოა იმის ცოდნა და გაგება, რომ მეცნიერება მაშინ ხარობს, როდესაც ადამიანსა და ბუნებას შორის არაა აღმართული შუაკედელი სოციალ ფენების სახით, თუ ნათელია, რომ ყოველ განმსაზღვრელ და შემბორკველ ვითარების ამოკვეთა უშუალობისაკენ და მაშასადამე წმინდა დაკვირვებისა და ცდისაკენ გზაა—მით უფრო საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როდესაც სოციალური ურთიერთობა გართულებულია დამატებითი გარემოებებით, რომელთა შორის კერძოდ ჩვენს—ქართულს სინამდვილეში ეროვნული მომენტი ერთი მნიშვნელოვანი გარემოებათაგანია.

ევროპის ახალ მეცნიერების გაჩენის შემდეგ ადამიანის აზრი გამუდმებით იბრძოდა და იბრძვის იმ შუაკედლის ამოსაკვეთად, რომელიც მეცნიერებას მაძიებელ ადამიანსა და მეცნიერების საგანსა—ბუნების-შუა იყო აღმართული. **ბეკონის** მეთოდოლოგიური ძიება აქეთ იყო მიმართული და შეუცნობლათ იგი რევოლიუციონურ თესლს შეიცავდა. გარდაქმნილის სახით მისი მინაღწევარი მეითვისა შემდგომი ხანის დადებითმა მეცნიერებამ და რევოლიუციასთან მიმართების გამოსარკვევად ტონის მიმცემია, რამდენათაც შუამდებარე დაბრკოლებათა გადალახვა სოციალ და ეროვნულ დაჯგუფებათა და განსაზღვრათა მოხსნა და უკუგდებაა. რევოლიუციას შეეძლო ქიმიკოსი **ლავუაზიე** გელიოტინაზე აეყვანა—ეს შემთხვევითი კოინციდენტის ერთი მნიშვნელობის არ შემცველი მოვლენათაგანია, რომელშიაც არა არს რა არც რევოლიუციისაგან და არც მეცნიერებისაგან და, მაშასადამე, მათი მიმართების ნათელსაყოფად არ გამოდგება. განთავისუფლებულ საზოგადოების შებოჭვილ ძალთა ახსნა და განთავისუფლება ის ნიადაგია, რომელზედაც იშლება და ხარობს მეცნიერება და ხელოვნება; განთავისუფლებულ ერების შემოქმედებითი პოტენციის დინამიურ მდგომარეობაში მოყვანა ის ნიადაგია, რომელზედაც ხარბად იზრდება და უხვად ხარობს ეროვნული კულტურა თავის სპეციფიურ გამოვლენებში.

ასეთია ის საერთო დებულებები, რომლებიც საშუალებას იძლევა რევოლიუციისა და მეცნიერების მიმართების გარკვევისათვის და სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს მაშინაც, როდესაც ეს საერთო საკითხი საქართველოს სინამდვილეში უნდა გაირკვეს.

თებერვლის რევოლიუცია მხოლოდ პრელიუდია იყო იმ დიდი გასაქანის ისტორიულ ტეხილისათვის, რომელსაც ოქტომბრის რევოლიუცია ეწოდება და ეს ასეა არა მარტო სოციალურ ვითარებაში, არამედ მეცნიერებისა და რევოლიუციის მიმართებაშიაც. საკითხის ისტორია და მისი მნიშვნელობის გაშლა მხოლოდ უკანასკნელით იწყება, მაგრამ კონკრეტ ისტორიულ პირობათა დაჯგუფებამ ცოტა ოდნად განსხვავებული მდგომარეობა შექმნა, რომლის მიხედვით საერთო სიტუაცია და ისტორიული პერსპექტივები საქართველოს სინამდვილეში თითქოს სხვა გზებსა და შესაძლებლობებს მიუთითებს. თებერვალმა რუსეთში ვერაფერ დადებითის თქმა ვერ მოასწრო საერთოდ პოლიტიკაში და კერ-

ძოდ, რა თქმა უნდა მეცნიერებაშიაც. თებერვლიდან ოქტომბრამდე მხოლოდ ერთი საკითხი იდგა: ვის უნდა ჩავარდნოდა ხელში რევოლუციის შედეგი, რომ მისთვის ესა თუ ის გეზი მიეცა, მასში ესა თუ ის შინაარსი ჩაედო. ამ საკითხის ირგვლივ იყო ბრძოლა და ამდენად მთელი ხანა თებერვლიდან ოქტომბრამდე მხოლოდ მდგომარეობის გამორკვევის ხანაა. ცხადია, რომ ამ ატმოსფეროში არამც თუ არ გამორკვეულა, არც კი დასმულა საკითხი რევოლუციისა და მეცნიერების მიმართებისათვის.

იგივე საკითხი საქართველოს სინამდვილეში სხვანაირად გაიშალა. თუ თებერვალმა ვერ სთქვა ვერავითარი სიტყვა შემოქმედების სფეროში საერთოდ და კერძოდ მეცნიერების განვითარებაშიაც, იგივე თებერვალი ანუ უფრო სწორად თებერვლით დაწყებული მდგომარეობა საქართველოში სხვა იერს იღებს. ერთის შეხედვით ისე გამოდის, რომ საქართველოში თებერვლის ორიენტაციაზე დარჩენილ რევოლუციას აღმოაჩნდა საკმაო შემოქმედებითი პოტენცია და კერძოდ მეცნიერულ შემოქმედებაშიაც თითქოს შესაძლებელი გახდა ახალი პერსპექტივების გაშლა. ამ ხნის განმავლობაში დაარსდა უნივერსიტეტი—ცენტრი მეცნიერულ მუშაობისა საქართველოში. და ეს ძირითადი მნიშვნელობის მოვლენა ერთის შეხედვით თითქოს სავსებით თავსდება იმ პერიოდში, რომელიც თებერვლის რევოლუციის დროშის ქვეშ იდგა. სამი წელი გრძელდებოდა დაახლოვებით ეს პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში თითქოს ფეხი მოიკიდა უმაღლესი განათლების და მეცნიერული მუშაობის ცენტრმა—საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა. თითქოს ყოველი ახალი წელი ამ ქრონოლოგიურ ნაკვთიდან ამოღებული წინსვლის და გამტკიცების მაჩვენებელი იყო. ძირითად ფაკულტეტს, რომელსაც შეიცავდა ახლად დაარსებული უნივერსიტეტი გვერდში ამოუდგა თანდათანობით საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო ფაკულტეტი, მას თან მოჰყვა სამკურნალო და სხვ. ერთის სიტყვით, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ახლად ჩასახული სამეცნიერო გამომცემლობაც, სამეცნიერო დამხმარე დაწესებულებების შექმნა და სხვ.

პრობლემის ინტერესი ამ შემთხვევაში თავსდება საკითხის ირგვლივ: იყო თუ არა თებერვლის რევოლუცია დამოუკიდებლივ და გარეშე ოქტომბრის რევოლუციისა თავის თავად შემომქმედ ძალთა შემცველი. ისტორია არასოდეს არ მსჯელობს იმის მიხედვით თუ რა ი ქ ნ ე ბ ო დ ა, ან რა მ ო ხ დ ე ბ ო დ ა, ისტორია მომხდარ ფაქტების გაშლილი ფოლიანტია, სადაც აღბეჭდილია ის, რაც იყო ანუ მოხდა. უაზრო და არამეცნიერულია იმაზე ლაპარაკი იმის შესახებ, რაც მხოლოდ თეორიულ მოსაზრებათა და აბსტრაქტიულ დაშვებათა სფეროშია ნაგულისხმევი. მაშასადამე, უაზრობა იქნება ითქვას, თითქოს თებერვლის ორიენტირზე დარჩენილი რევოლუცია რუსეთის მასშტაბითაც შესძლებდა თავის შემოქმედებითი პოტენციის გაშლას, თუ კი საამისო ხელსაყრელი პირობები იქნებოდა და არსებული პირობები ხელს შეუწყობდა. ასეთი ფორმით საკითხის დასმა უნდა მოიხსნას იმ თავით, რადგან ის ვერ ასრულებს და ვერ აკმაყოფილებს ვერც მეცნიერების და ვერც ობიექტივობის მოთხოვნას.

ისტორიულ მიმოხილვას დღესაც, ისე როგორც მომავალშიაც საქმე აქვს მომხდარ ფაქტებთან და გარკვეულს დროში და სივრცეში გაშლილ [illegible] მოვლენებთან. ამ მხრივ კი ჩვენ ვიცით, რომ თებერვლიდან ოქტომბრამდე—იქ [illegible] ჩვენში გარკვეული სოციალური ფენები თავისი ხელმძღვანელ ჯგუფების თუ პარტიული ორგანიზაციების საშუალებებით ძალა-უფლებისათვის იბრძოდენ და რევოლიუციის გეზის თავის კლასობრივ ინტერესების მიხედვით წარმართვას ცდილობდნენ. inter arma silent artes—ბრძოლის ქრიამულში სდუმან ბუზები. ხოლო იმავე თებერვლის ჩარჩოებში გაქდობილი რევოლიუცია აქ ჩვენში იქცა თავისდარიგად ჩარჩოთ მეცნიერული გაშლა-განვითარებისა.

ნამდვილი ვითარება გარკვეულად წარმოდგენისათვის საჭიროა ნათელი გახდეს, რომ თებერვლის დონეზე დარჩენილი რევოლიუცია ჩვენში ილლიუზიაა. მისი მოჩვენებითი ხასიათი სწორედ იმაშია, რომ გარეგნულად ჩვენში თითქოს თებერვლის რევოლიუციის ინერცია გრძელდებოდა, ფაქტიურად კი ჩვენში საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ოქტომბრის რევოლიუციის შედეგი იყო და მასთან, როგორც მომხდარ ფაქტთან, უშუალო კავშირში იმყოფებოდა. თებერვლის რევოლიუციიდან გავლებულ ხაზზე „ოქტომბერი" რომ ამოვგლიჯოთ და ჩვენში, საქართველოში შექმნილი მდგომარეობა გავიგოთ მხოლოდ თებერვლის რევოლიუციიდან, ვერაფერს მივიღებთ და ვერაფერს გავარკვევთ. თებერვალი, როგორც მიზეზი და ჩვენში არსებული მდგომარეობა 1921 წლის თებერვლამდე როგორც შედეგი—შეუსაბამო კომპლექსთა და ისტორიულად გაუმართლებელი შენაერთი. თებერვლისა და საქართველოს სინამდვილეს შორის რომ ოქტომბრი არ ყოფილიყო ძნელი გასაგები იქნებოდა ის, რაც ჩვენში ხდებოდა. მხოლოდ ოქტომბერმა დააყენა რადიკალურად ძველი რუსეთის საკითხი, იმ რუსეთის, რომლის ფარგლებში „საოლქო თვითმართველობის" სახით უნდა მოთავსებულიყო საქართველო, როგორც ოლქის (ე. ი. ამიერ-კავკასიის) ერთი ნაწილი. ასეთი იყო თებერვლის ორიენტარში დარჩენილ მაშინდელ მმართველ ძალის პროგრამა და პრაქტიკული ხაზი. თებერვლის იმმანენტურ განვითარებას არ გაუტეხია იგი და მის ნანგრევებზე ახალი არ შეუქმნია. ძველის ძირეული ლიკვიდაცია იყო საჭირო. მისი აღმოფხვრა და თავდაყირა დაყენება, რომ ვეებერთელა მასშტაბის ნახტომი თვითმართველობიდან დამოუკიდებლობამდე აქტუალ ლოზუნგად გარდაქცეულიყო. ეს გარდატეხა და ძირეული ნგრევა ოქტომბრის საქმე იყო და თუნდაც პირდაპირი ხაზით არა არსებულად მაინც ოქტომბერმა შექმნა ის შესაძლებლობანი, რადიკალიზმის და ახალ ცხოვრების ჩანასახისა, რომელიც ასე თუ ისე ჩვენს საქართველოს სინამდვილეში შემოიჭრა.

თუ ეს მსჯელობა გასაგებია, თუ მოჩვენებით, შემოქმედება თებერვლის რევოლიუციისა ჩვენში ნათელი და გარკვეულია, მაშინ გასაგები და მისაღებია, რომ მეცნიერების და მეცნიერულ შემოქმედების შესაძლებლობა ჩვენში პირდაპირ ოქტომბერს დაუკავშიროთ. ოქტომბერმა დააყენა საკითხი ყოფილი რუსეთის ამა თუ იმ ნაწილს ანუ ერის მესიანიზმის უსაფუძვლობის შესახებ. რევოლიუცია გაგებული ოქტომბრამდე, როგორც ველიკორუსულ მსოფლიო-ისტორიულ დანიშნულების პერსპექტივების გაძლიერება, განძარცულ იქნა თავის

ვიწრო ნაციონალისტურ სამოსელიდან და მის ადგილს დიდმპყრობელობითი სახე რევოლიუციონური დემოკრატიულ ფრაზეოლოგიის იქეთ [illegible] სინათლეზე გამოიტანოს. ეს შესძლო მხოლოდ ოქტომბერმა. მან [illegible] და შეუბრუნებლად გადასწყვიტა საკითხი იმის შესახებ, რომ ყოფილ რუსეთის ერთა შორის არ არის არც ერთი, რომელსაც რაიმე საფუძვლით და მოსაზრებით რაიმე უპირატესობა ეკუთვნოდეს. ამ პერსპექტივაში ათი წლის განმავლობაში სამოქალაქო ომის ცეცხლში გამოჭედილი, ჭირის და ლხინის ემბაზში ნათლებული მოიტანა რევოლიუციამ დღემდე ეროვნული თანასწორობა და მას ჩამოქნილი სახელმწიფო უფლებრივი ფორმა მისცა.

მაშასადამე მთლიანად და სავსებით ეროვნული შემოქმედება და მეცნიერული მუშაობა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი განუკვეთელ კავშირშია ოქტომბრის რევოლიუციასთან და ამდენად საკითხი რევოლიუციისა და მეცნიერების მიმართებისათვის ჩვენ სინამდვილეში ფაქტიურად არის საკითხი მეცნიერებისა და ოქტომბრის რევოლიუციისათვის.

ზემოდ აღნიშნული გარემოება ნათელია იმ სოციალ-პოლიტიკურ მოსაზრებებიდან, რომელთაც ზემოდ ადგილი ჰქონდათ. იგი მოსაზრებებიდან თვალნათლივ გამომდინარეობს და ამდენად აღიარებას და მიღებას სრულიად კანონიერად მოითხოვს. ამის გარეშე არსებობს ისტორიულ მოვლენათა სინამდვილეთ გაშლილი დამოკიდებულება, რომლის შიგნით იგივე გარემოება მხილდება ფაქტის სიცხადით.

მეცნიერების ცენტრი საქართველოში—სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა ისტორიულად არ ხვდება „26 მაისის“ დეკლარაციას და ყველასათვის, ვისაც ისტორიულ მოვლენების თანმიმდევრობა მათ შინაგან დამოკიდებულებათა მიხედვით ნათლად წარმოუდგენია, ნათელი უნდა იყოს ისიც, რომ უნივერსიტეტის გახსნის ათი წლის თავი სრულიად განუქმებელ ისტორიულ აუცილებლობის სახით უკავშირდება სწორედ ოქტომბრის ათი წლის თავს და არა სხვა რომელიმე ისტორიულ დატას. ოქტომბერმა იმით კი არ შეუწყო ხელი უნივერსიტეტის გახსნას საქართველოში, რომ მან აქედან აღძრული შუამდგომლობის დაჩქარება და მისი დადებითად დაკმაყოფილება მოახერხა, არამედ იმით, **რომ მან „შუამდგომლობის“ ადრესატი გაანადგურა და ამით „შუამდგომლობის“ სანქციის აზრი ძირიან-ფესვიანად მოსპო.** სხვანაირად მსჯელობა დღეს, ოქტომბრის ათი წლის თავზე მხოლოდ ბრიყვს და რეგვენს შეუძლია. ხოლო მას, ვისაც პოლიტიკურ მოვლენების პრაგმატიული აზრი შეგნებული და გაგებული აქვს, ნათლად აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც წარმოდგენილი, რომ მეცნიერების ცენტრის შექმნა საქართველოში უშუალო შედეგია ოქტომბრის რევოლიუციის მიერ ძველი რუსეთის დამხობისა. ეს განსაკუთრებით ნათელია აგრეთვე იქიდანაც, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი რაიმე ნიშანი აპარატი, საჯარო უფლებებით აღმჭურველი არსად სჩანდა და **უნივერსიტეტმა ისტორიულ-რევოლიუციონურ გაქანებულ დენაში თითქმის ნახევარი წლით დაასწრო სახელმწიფოებრივ პრობლემის წამოჭრას.** ამ ხნის განმავლობაში—სრულიად ნათელი და განუქმებელი ფაქტია, რომ საქართველოს

უნივერსიტეტის არსებობის სანქცია მხოლოდ ოქტომბრის რევოლუცია და მისგან შექმნილი მდგომარეობა იყო; [illegible] გარემოება გაგებული უნდა იქნას არა ვულგარულად ე. ი. მექანი[illegible]რად — როგორც კავშირის გაწყვეტა ცენტრთან ფოსტისა და მიმოსვლის შეფერხების მხრივ, არამედ არსებითად, როგორც ახალ ვითარების შექმნა, ახალ პრინციპის წამოყენება, ახალ ლოზუნგის გადმოსროლა, რომლის მიხედვით ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნა ეროვნული მესიანიზმის ლათაიები და ზღაპრები და „ნებართვის“ მიცემის პროუროგატივის მატარებელი ისტორიას ჩაბარდა.

## II

ამ რიგად ჩვენი ძირითადი დებულება გარკვეულად აღიარებს: რევოლუცია და მეცნიერება საქართველოში როგორც თემა უდრის თემას: ოქტომბრის რევოლუცია და მეცნიერება საქართველოში. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ როგორც პრინციპიულად, ისე ფაქტიურად ქართული მეცნიერება ე. ი. მისი ცენტრი ეროვნული უნივერსიტეტი უშუალო კავშირშია სწორედ ოქტომბერთან. ამდენად გარკვეულია, რომ მეცნიერული მიღწევები ჩვენში, რამდენადაც იგი აღნიშნული იქნება აქ ამ თვალსაზრისით უნდა იქნას გაშუქებული, ამ ნიშნის ქვეშ დგას.

როგორც ითქვა, პირველი ადგილი მეცნიერულ მიღწევათა შორის უნივერსიტეტს ეკუთვნის, მრავალჯერ იქნა აღნიშნული და მითითებული, რომ მეცნიერულ მუშაობას მხოლოდ მაშინ შეეძლებოდა განვითარება, თუ მისი ცენტრი გახდებოდა, სადაც მთელი ერის კულტურულ პოტენციას თავი უნდა მოეყარა. სრულიად ნათელია ის გარემოებაც, რომ მეცნიერული მუშაობა სპორადიული ხასიათის უნივერსიტეტის წინა თაობისათვისაც უცხო არ იყო. მე-XIX საუკ. ქართული კულტურისა იცის მრავალი ცდა მეცნიერულ მუშაობისა სხვა და სხვა დარგში. ისტორია და ფილოლოგია, არქიოლოგია და ენათმეცნიერება ერთი სიტყვით დარგები კულტურულ რაობასთან უშუალოდ დაკავშირებული ყოველთვის იზიდავდა მოწინავე და მოაზროვნე ინტელიგენციის ყურადღებას, მაგრამ ყველა ამას ძალიან ვიწრო გასაქანი, პატარა მასშტაბით და, რაც მთავარია, მეცნიერული პერსპექტივა აკლდა, მეცნიერებას თავის კულტურა აქვს. მას როგორც დინამიკა გააჩნია ისე ამ დანამაკის გამოსავლენი არ ესაჭიროება. აუდიტორია, შემფასებელი, წრე აი რით სცოცხლობს მეცნიერება თავის გამოვლენაში და განვითარებაში. არსებითად ყველა ამას მეცნიერებასთან თითქოს უშუალო კავშირი არა აქვს, მაგრამ ფაქტიურად მეცნიერება მათში ცოცხლობს და მათში სახიერდება. ყველაფერი ეს აკლდა მეცნიერულ ცდებს საქართველოში წინაუნივერსიტეტულ ხანაში და ამდენად მას არ გააჩნდა მეცნიერული კულტურა. აქედან მისი შემთხვევითი ხასიათი და შედარებით დაბალი დონეც.

ცხადია, რომ მხედველობაში არ შეიძლება მიღებული იქნას ის მუშაობა, რომელსაც ტომით ქართველი მეცნიერება საქართველოს გარეშე ეწეოდნენ. ძველი წყობილების ერთი უდიდესი დანაშაული სწორედ იმ პირობების შექმნაში მდგომარეობდა, როდესაც დამატებით და წარმოშობით ქართველ მეცნიერს-

თავის სამშობლო კერასთან კავშირი უნდა გაეწყვიტა, რომ მას უმაღლეს სკოლაში და მეცნიერების ცენტრებში მუშაობა შესძლებოდა და მათ [illegible]-და საუცხოვოდ მოწყობილი და ჩატარებული გეგმა თავის მიზანს [illegible] წილს იმ ქართველებისას, რომლებიც მომეტებულად რუსეთში მოღვაწეობდენ ქართული არარაფერი ახასიათებდა; გადაკეთებული გვარით, აქცენტით, ყოფა-ცხოვრებით ის ეგუებოდა რუსულ წრეს—წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „ინოროდეცი"-ს იარლიკით შორს ვერ წავიდოდა. იმ შემთხვევებში კი, როდესაც გამონაკლისის სახით ესა თუ ის ქართველი მეცნიერი საქართველოსთან კავშირს არ სწყვეტდა, ქართულადაც კი სწერდა გამოკვლევებს და სხვ., მდგომარეობა შეცვლილი იყო იმ მხრივ, რომ ზემოდ აღნიშნული შემთხვევითი ხასიათი მეცნიერულ საქმეს საქართველოში ჯერ კიდევ ვერ გადაელახა. მეცნიერების საქართველოში ასაყვავებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა თვით საქართველოში, აქ მის მთავარ ცენტრში ტფილისში მეცნიერულ ცენტრის შექმნა. ამით მოიხსნებოდა მუშაობის შემთხვევითი ხასიათი, საფუძველი ჩაეყრებოდა პერმანენტულ და სისტემატიურ მუშაობას მეცნიერულ გეგმით გათვალისწინებულს და მეცნიერულ მოთხოვნილებით ნაკარნახევს. მაგრამ, ნათელია ისიც, რომ ასეთი მდგომარეობის შექმნა დამოკიდებული იყო ძირითად გარდატეხასთან, რომელიც ყოფ. რუსეთის ვითარებაში რევოლიუციას უნდა გამოეწვია. ძველი რუსეთის დაუმსხვრევლად, მისი ძირიანად შეურყევლად ასეთი პირობები და მდგომარეობა ცხადია, არასოდეს არ შეიქმნებოდა.

აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ იმ პატარა ისტორიულ დეტალს, რომელიც ამ შემთხვევაში ბევრის მაჩვენებელია. დროებით მთავრობას თავისი არსებობის უკანასკნელ ხანამდე ვერ შეეთვისებია იდეა, რომ ყოფ. რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებს თავისი კულტურული პრეტენზიები შეიძლება ჰქონდესთ. კერძოდ საქართველოს უნივერსიტეტის საკითხს მან. ე. ი. აი ამ დროებითმა მთავრობამ პასუხი გასცა, რომლიდან ნათლად სჩანდა, რომ არსებითად „ინოროდცებისადმი" პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა. ეს იყო უკვე დროებითი პარლამენტის ხანაში. „ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ა" და „რ უ ს ი ფ ი კ ა ც ი ა" ჯერ კიდევ ერთსა და იმავეს ნიშნავდა და უფრო ბუნებრივად იქნა მიჩნეული, რომ განათლებულ ცენტრს თავისი ხელით გაეკეთებია ის, რასაც ადგილები მოითხოვდნენ ე. ი. უმაღლესი განათლების და მეცნიერების ეროვნული ცენტრების შექმნა. რა თქმა უნდა, ეს ყოველი ისე გაკეთებულიყო, როგორც ეს შეეფერებოდა დიდმპყრობელობის პრესტიჟს და გაბატონებულ ერის პირობას. ეროვნული პრეტენზია, თუნდაც ისეთი, როგორიც საქართველოს უნივერსიტეტის ინიციატორებმა წარუდგინეს დროებით მთავრობას, შეფასებულ იქნა „აჯანყებულ მონების" ხაზით, როგორც უნიადაგო და თავხედი, ის ფაქტი, რომ ამ შუამდგომლობას დროებითმა მთავრობამ რუსული უნივერსიტეტის ტფილისში გახსნის გეგმით უპასუხა, საუკეთესო მაგალითია იმათთვის, ვისაც ოქტომბრის და ეროვნულ აღორძინების კავშირი ყოველთვის ნათლად ვერ წარმოუდგენია. ძალა, რომელმაც შეუბრალებლად დაამსხვრია იმ პოლიტიკის მესვეურები და ძირიან-ბუდიანად აღმოფხვრა მათი კვალი მთე-

ლი ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე უნდა შეფასდეს, როგორც გარკვეულად კულტურული ძალა ცივილიზაციისა და შემოქმედების ახალი ფასეულობების მატარებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი სკოლა, როგორც მეცნიერების ცენტრი. შეუძლებელი და წარმოუდგენელია იმ გარკვეულ გარემოს გარეშე, რომლის შინაარსს გაეროვნებული სკოლა წარმოადგენს. უმაღლესი სკოლა განყენებული მოვლენა არაა, რომელიც შეიძლება ზემოდან რასმეზე ეკიდოს და ქვევით არაფერს ემყარებოდეს. უმაღლესი სკოლა მხოლოდ დამთავრებაა სასკოლო სისტემის, რომლის საშუალო და დაბალი საფეხური მასთან ე. ი. უმაღლესი სკოლისადმი გასაყვანი გზაა. ასეთია მთლიანი სკოლის იდეა, რაც ცხადია, არავითარ წინააღმდეგობაში არაა გარკვეულ და კონკრეტ ამოცანების მქონე სკოლებთან, რომლებიც შეიძლება თვითღირებულ მიზნებს ემსახურებოდენ, მაგრამ სკოლის მთლიანობას არ არღვევდნენ. ყოველ შემთხვევაში უდაოა დებულება, რომ ეროვნული ცენტრი მეცნიერულ მუშაობისა შესაძლებელი და განსახორციელებელია მხოლოდ გაეროვნებულ სკოლის ნიადაგზე. ამ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია არა ის უბრალო და მარტივი დებულება, რომ ძველი რეჟიმი ასეთ გაეროვნებას ებრძოდა და სახალხო სკოლებში დიდ სადაო საგნად ითვლებოდა, დასაშვები იყო თუ არა რუსული ენის სწავლება დაწყებითი სკოლის მეორე განყოფილებიდან ჩაეტარებიათ. საინტერესო აქ არის მეორე—აქაც, ისე როგორც სხვა შემთხვევებშიაც, დროებითი მთავრობა და მისი ხელისუფალნი დაუშვებლად სცნობდენ სკოლის გაეროვნების იმ პრაქტიკას, რომელიც სტიქიურად მოედო მთელ საქართველოს, როგორც კი გარედან შემბოჭველი ძალის სუსხი შენელდა უხეშ ადმინისტრატიულ აპარატის მოსპობასთან ერთად. დროებითი პარლამენტის ეროვნულ კომისიაში განათლების სამინისტროს წარმომადგენელნი აშკარა უკმაყოფილებას აცხადებდენ გაზეთ „вечерпее время“ში მოთავსებულ ცნობების შესახებ საქართველოში სკოლის გაეროვნების ცდების გამო. ეს ხდებოდა იმ დროს, როცა იმავე სამინისტროს ქაღალდებში საქართველოს უნივერსიტეტის შესახებ შუამდგომლობა იდო. ჩვენში მეცნიერების განვითარების ყოველი გულწრფელი მომხრე უნდა იმ ძალის მზეს ჰფიცავდეს, რომელმაც ეს სამინისტროები მტვრად აქცია, მათი პორტფელები ქარიშხალს მისცა და ძველი ქვეყნის ნანგრევებზე ეროვნულ თანასწორობის და კულტურულ ზრდის თავისუფლების ნამდვილი გარანტია ქვეყანას ამცნო.

თანდათანობითი განვითარების გზით ოქტომბრით შექმნილ პირობებში ქართულ მეცნიერების ცენტრმა—უნივერსიტეტმა დღევანდელი სახე მიიღო. მართალია ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევსძელით კვლევა-ძიების საგანგებო ინსტიტუტების შექმნა და მეცნიერულ მუშაობის სასწავლო მუშაობიდან განცალკევება და დამოუკიდებლივ დაყენება. ამ მხრივ ბევრი საკავშირო უნივერსიტეტი ჩვენთვის წაასაბაძი და მაგალითის მაჩვენებელია, მაგრამ. ის ფაქტი, რომ საგანგებო კვლევა-ძიების ინსტიტუტების მრავალ დარგში მოწყობა რომ ჩვენთვის აკადემიურის მხრივ დაუყონებლივ შესაძლებელია, იმის მაჩვენებელია, თუ როგორ გავიზარდეთ ჩვენ ათი წლის განმავლობაში. ზოგიერთი წმინდა ტექნიკური და-

ბრკოლების დაძლევა პირდაპირ მიგვიყვანდა იმ მდგომარეობამდე, როდესაც სასწავლო მიზნების გვერდით საკვლევო-სამეცნიერო მიზნებიც განხორციელდებოდა. მთავარი ისაა, რომ საამისოდ მზადაა ჩვენი მეცნიერული აპარატურა.

ჩვენი საკუთარი მხარე და აგრეთვე ჩვენი მეზობლების ყოფა-ცხოვრება, ენა, კულტურა, სიმდიდრე ბუნებრივი, წარმოების დღევანდელი მდგომარეობა და მომავალი შესაძლებლობა, სოფლის მეურნეობა მესაქონლეობით და სხვა მთავარი დარგებით (მევენახეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა და სხ.) უკვე ზედმიწევნით მეცნიერული შესწავლის საგანია. გამოყენებულია როგორც სხვების, ჩვენზე წინწასულ ქვეყნების გამოცდილება, ისე მოხდენილია საკუთარი დაკვირვება. მეცნიერება ჩაბმულია საერთო საწარმოო ამოცანების შესრულებისა და განხორციელების საქმეში, განათლების, მართლმსაჯულების, ეკონომიკის და ფინანსების, სახალხო ჯანმრთელობის ამოცანებიც პირველ რიგში გამოძახილს პოულობენ უნივერსიტეტის მეცნიერულ მუშაობაში და პედაგოგიური, სოციალ-ეკონომიური და სამკურნალო ფ— ტები გამუდმებით მუშაობენ ჩვენი ცხოვრების მიერ ამ დარგებში წამოყენებულ საკითხებზე და აგრეთვე აწვდიან ჩვენ მხარეს ყოველ წლიურად საათანადოდ მომზადებულ ახალგაზრდების კადრებს.

ლაბორატორიები და დღებითი მეცნიერებანი არა გვაქვს იმ სიმაღლეზე, რომ ქვეყნისათვის სანიმუშო იყოს. დღევანდელ პირობების მიხედვით ბევრი რამ გვაკლია, თანამედროვე მეცნიერულ სიმაღლეზე მდგომი ქიმიური, ფიზიკური და სხვა ლაბორატორიები შეიძლება ჩვენთვის ჯერ კიდევ განუხორციელებელი ამოცანა იყოს, მაგრამ შესაძლებელი მაინც გაკეთებულა და ეს დაწესებულებები, როგორც წმინდა მეცნიერულს, ისე სასწავლო მიზნებს პირნათლად ემსახურებიან. „მუხრანის“ საცდელი მამული, ძოოტექნიკური სადგური, მასალათა საცდელი ლაბორატორია, აგრო-ქიმიური ლაბორატორია და სხვ. მაჩვენებელია იმ მიღწევის, რომელსაც მრავალ თაობათა ოცნება სინამდვილეთ უქცევია და მომავალ წარმატების უტყუარ ნიშნებს იძლევა. მალარიასა და ჭლექს, ამ ჩვენი ქვეყნის „შინაგან“ მტერს უკვე საკუთარი ძალებით უმკლავდებით და სისტემატიური ექსპედიციები მალარიის რაიონებში და წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებული ბრძოლა ჭლექის წინაამდეგ, ქალაქებში იმავე მეცნიერულ მუშაობის გაძლიერების ნიშნებია. თუ ძველად რუსეთიდან ჩვენში მოდიოდნენ პრაქტიკანტი სტუდენტები, დღეს ჩვენი ახალგაზრდა მომავალი ინჟენრები საკავშირო სამრეწველო ცენტრებს მოედვნენ და თავის მეცნიერულ მომზადებას პრაქტიკულ დაკვირვებით და გამოცდილებით ავსებენ. სამრეწველო და სამეურნეო ამოცანებმა ახალი სტიმული მისცეს მეცნიერებას და მის ირგვლივ შექმნეს ის პირობები, რომელთა წარმოშობა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შექმნილ ცხოვრების ვითარებიდან გამომდინარეობს.

მეცნიერულ განვითარების უშუალო მაჩვენებელია სამეცნიერო გამომცემლობა, დღეს ათი წლის თავზე ოქტომბრის გადატრიალებისა კატეგორიულად შეიძლება ითქვას, ქართული მეცნიერული წიგნი იმდენად მკვიდრ ნიადაგზე დგას, რომ მას არავითარი ხიფათის მომავალში არ ეშინიან. დღეს იმაზე კი არ ვწუხვართ, რომ ქართული მეცნიერული წიგნი არა გვაქვს ქიმიაში, ფიზი-

კაში, ბოტანიკაში, ფიზიკურ ქიმიაში, ანატომიაში ჰისტოლოგიაში, ბიოლოგიაში, ჰიგიენაში, მინერალოგიაში და სხ. და სხ. ე. ი. იმ დარგებში, სადაც ქართული ტერმინებით გადმოცემულ მეცნიერულ წიგნის შექმნა ბევრს ჩვენს მეგობარსაც კი საეჭვოდ მიაჩნდა, არამედ იმაზე, რომ დამზადებულ წიგნებისა და გამოკვლევების ბეჭდვას ვერ ვასწრებთ. უნივერსიტეტის გამომცემლობის მოცულობა ველარ იტევს მეცნიერულ წიგნებს და ბოლო ხანებში სახელგამი უკვე შეუდგა სამეცნიერო-საუნივერსიტეტო წიგნების სისტემატიურ გამოცემას. გარდა გამოკვლევებისა და კურსებისა იბეჭდება აგრეთვე პერიოდიკა და დისერტაციები, რაც მეცნიერულ წინსვლის და განვითარების ხერხემალს წარმოადგენს, რადგან ახალი სამეცნიერო ძალები ამ გზით მზადდება.

გარდა უნივერსიტეტისა სამეცნიერო მუშაობის სხვა ცენტრებიც შეიქმნა ჩვენში ოქტომბრის რევოლიუციის და გასაბჭოების შემდეგ. წმინდა სამეცნიერო ნიადაგზე დადგა საქ. მუზეუმის მუშაობა, რომლის ზოოლოგიური ნაწილი ორი წლის წინად მოეწყო და საზოგადოებისათვისაც მისაწვდომი გახდა. მუზეუმის ბიოლოგიური, გეოლოგიური და სხვა ნაწილები ეწევიან უკვე წმინდა მეცნიერულ მუშაობას და საამისო პირობებით საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან. გეოლოგიური მუშაობის წარმატებისათვის დაარსდა აგრეთვე 1925 წ. გეოლოგიური ინსტიტუტი მშვენიერის კაბინეტებით და პალეონტოლოგიური კოლლექციებით, სადაც სათანადო სპეციალისტები და მათი ასისტენტები მეცნიერულ კვლევა-ძიებას ეწევიან. ამ ხნის განმავლობაში დაარსდა ფარტოგრაფიული ინსტიტუტი, რომელიც რუქების დამზადებასა, მეცნიერულ შესწავლასა და გამოცემაზე ზრუნავს. აქვე ეკუთვნის პედაგოგიური მუზეუმი, რევოლიუციის მუზეუმი, ქართულ ხელოვნების საისტორიო მუზეუმი, ეროვნული გალერეა და სხვ. ასეთივე ხასიათისაა წიგნის პალატა, არქივი, სადაც წმინდა სამეცნიერო მუშაობა მოეწყო არქივმცოდნეობის თეორიისა და პრაქტიქის დამუშავებით. ხელოვნების ასეთი დარგები, როგორიცაა მუსიკა და პლასტიკა და სახვითი ხელოვნება საბოლოოდ მეცნიერულ ნიადაგზე იქმნენ დაყენებული კონსერვატორიის უმაღლეს მუსიკალურ განათლების ცენტრად გარდაქცევით და სამხატვრო აკადემიის დაარსებით.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დასახელებული სამეცნიერო და მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებული დაწესებულებანი ჯერ ხნობით დადგინების და განმტკიცების სფეროშია. ჩვენ ვერც ვერავის გავაკვირვებთ და არც საამისო პრეტენზიები გვაქვს, მაგრამ ერთის თქმა შეიძლება სრულიად კატეგორიულად: ყველაფერი, რაც გაკეთებულა და რისთვისაც მიგვიღწევია არა თუ შეუძლებელი, წარმოუდგენელიც იქნებოდა ოქტომბრის რევოლიუციას რომ ძველი ისე ძირეულად არ გაენადგურებია და ახლისათვის ეროვნულ პრევალაციის უარყოფის ნიადაგზე საფუძველი არ ჩაეყარა. ერი და კულტურა თავის კონკრეტ განსახიერებაში ერთი მეორეს ჰფარავს. კულტურის ხერხემალს კი მეცნიერება შეადგენს. ერთიც და მეორეც შესაძლებელია მხოლოდ „გაბატონებულ ერის“ პრინციპის განადგურებით. სხვა ყველაფერი რეალ გარანტიების საქმეა, მთავარი ამ რეალ

გარანტიათა შორის არის შეუდრეკელი წინსვლა იმ ძალის, რომელიც ოქტომბერში მსოფლიო ისტორიულ ძალად იქცა და ყოველგვარ მოულოდნელი შესაძლებლობის გამორიცხვა. ახლად შობილ ჩვენი მეცნიერებისათვის მისი მომაგრებისა და წარმატებისათვის ოქტომბერი განსახიერებული პროტექციონიზმია თვით ფაქტით თავის არსებობისა. მის წიაღში გამოიჭედა ყველა ის მონაცემი, ურომლისოდ ჩვენ დღესაც ცენტრიდან „ნებართვების“ მოლოდინში ვიქნებოდით, მის სისტემაში შევიდა შემადგენელ ნაწილად სოლიდარობის ნიადაგზე აგებულ საბჭოთა რესპუბლიკების, როგორც ეკონომიური ისე კულტურული ზრდა. აქედან ნათელია დასკვნა: ის, რაც ოქტომბერს ემუქრება—კულტურისა და მეცნიერების ჩვენში განვითარების მტერია, ის, რაც ოქტომბერს ამაგრებს ჩვენს საქმესაც აძლიერებს. რევოლუციას თავისი კალენდარი რომ ჰქონდეს, ჩვენი ახალი წელი ოქტომბრით უნდა იწყებოდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე კაპანელი

# ოქტომბრის რევოლიუცია და იდეოლოგია

ისტორია ცვლილებათა მიმოქცევაა და ადამიანი ამ მიმოქცევის მთავარი ორგანიზატორი: შორეულ წარსულიდან ცნობილია სხვადასხვა ფორმა სოციალურ მოძრაობათა; კლასთა საჭიროებანი და ინტერესები იძლევიან სოციალურ მოძრაობათა ორგანიზაციულ წყობას, ამ წყობის იდეოლოგიურ ფორმათა სხვადასხვაობას. კაცობრიობის იდეოლოგიურ ევოლიუციას ფაქტიურად შეადგენენ სოციალურ მოძრაობათა ენციკლოპედიები: ბიბლია და უპანიშადები ისეთივე ფორმებია კლასობრივ განცდათა და ბრძოლათა, როგორც ინდივიდუალიზმი და სოციალიზმი, არა მისტიურმა ძალამ, არა ბედის წერამ, არამედ სოციალურმა საჭიროებამ ალექსანდრე მაკედონელის მეთაურობით ხალხთა მასსა ბალკანეთიდან გადაისროლა ინდოეთის უდაბნოებში, ხოლო შუააზიის ხრიოკ მიდამოებიდან ურიცხვი მილიონები ადამიანებისა გადმორეკა ვოლგისა და დუნაის თვალუწვდენელ ჭალებში; სავაჭრო კაპიტალის მიმოქცევითმა ძალამ შეარყია ევროპიული ფეოდალიზმის უძრაობა და განთავისუფლებული საფრანგეთის კაპრალები ახეტიალა მოსკოვიდან ეგვიპტემდე, სოციალური საჭიროებანი და ინტერესები ჰქმნიან ისტორიას.

მაგრამ, არასოდეს კაცობრიობის წარსულში სოციალურ მოძრაობას არ ჰქონებია ისეთი შინაგანი სიმართლე და ჰუმანიური ტევა, როგორიც ახასიათებს ოქტომბრის რევოლიუციას: ყოველ სოციალ-ისტორიულ მოძრაობას წარსულში მიზნად ჰქონდა დასახული კაცობრიობის რომელიმე ნაწილის ჩაგვრა და დამონება. ოქტომბრის რევოლიუციის უდიდეს თვისებას შეადგენს კლასობრივ წინააღმდეგობათა თანდათანობითი ლიკვიდაცია და ისტორიის შინაგანი სიმართლის შექმნა. აქედან გამომდინარეობს კულტურის რეორგანიზაციის აუცილებლობა, სოციალური ყოფის სულ სხვა სახით აწყობა და ადამიანთა ურთიერთობის დამყარება არა ეკონომიურ ანტოგონიზმის პრინციპზე, არამედ კოლექტივიზმისა და შრომის კულტზე; ავტორიტარული ყმედობისა და ბატონმორჩილების ქვეყანას უკანტროლო ინდივიდუალიზმისა და ექსპლოატაციის ქვეყაყანას ოქტომბრის რევოლიუციიდან ეძლევა ახალი მიმართება და რა სიმწარეც არ უნდა ახლდეს თან ამ მიმართებას, შინაგანი სიმართლე და

ჰუმანიური მიზანი ოქტომბრის რევოლუციისა მაინც დიდია: ოქტომბრის რევოლუციამ გამოააშკარავა ძველი ქვეყნის არა მარტო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სიყალბე, არამედ კულტურულ-იდეოლოგიურიც. პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აბსოლიუტიზმისა და უძრაობის უარყოფასთან ერთად ოქტომბრის რევოლუციამ კატეგორიულად უარყო აბსოლიუტები და უნივერსალები ინდივიდუალისტურ-ეპისკოპოსური სოფლმხედველობისა, რომელზედაც იყო აწყობილი ძველი ქვეყნის სული და გონება; „ქნიჟნიკების“ სქოლასტიკა და იდეალისტური მისტიციზმი ოქტომბრის რევოლუციამ გაანადგურა მხარეთმცოდნეობისა, ბიოსფერიული კომპლექსიზმისა და სოციალური კორელიაციის იდეებით; რაც აზროვნებისა და კულტურის ისტორიაში არსებობდა იდეალებისა და წმიდა ლიტერატურის სახით, ის ოქტომბრის რევოლუციამ გადააქცია სოციალური პრაქტიკის პრინციპებად: აღზრდისა და განათლების სისტემა, რომელიც ისტორიულად გამოსახავდა ინდივიდუალისტური კულტურის ინტერესებს, რომლის მიზანს შეადგენდა იდეოლოგიისა და სოციალური პრაქტიკის დაშორება ერთმანეთისაგან, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ისახავს მიზნათ **კოლექტივიზმის კულტურას, სოციალური ამყოლეობის პრინციპის განხორციელებას და იდეოლოგიის დაახლოებას სოციალურ პრაქტიკასთან.**

ნაპოლეონის ქარიშხალი ევროპის სახელმწიფოებში ბურჟუაზიულ-ქალაქური კულტურის დიდი შეტევა იყო იმ ფეოდალურ დინასტიური აზლუდების წინააღმდეგ, რომელთა არტახებში ვერ ეტეოდა ევროპის ინდუსტრია, მაგრამ საბოლოო მიზანი ამ შეტევის ისევ ინდივიდუალისტური კულტურის გამაგრება იყო: კასტიური ინდივიდუალიზმის მეტრიკული და დინასტიური პრივილეგიები პირადი გაქნილობისა და ბურჟუაზიულ-კომერციული მოხერხების პრივილეგიებად გადაიქცა, ფეოდალურ არისტოკრატიას ისტორიამ დაუპირდაპირა ბურჟუაზიულ-კომერციული არისტოკრატია და კლასთა წინააღმდეგობის არე გაიშალა ახალ სოციალურ პირობებში; ექსპლოატაციისა და ჩაგვრის პერსპექტივები გაფართოვდა, ხოლო ამ პერსპექტივების მიმართებით აეწყო იდეოლოგია ბურჟუაზიული ევროპისა მეცნიერულ-ფილოსოფიური აბსოლიუტებით, დიპლომატიური შანტაჟებით და პოლიტიკური ინტრიგებით. მსოფლიო ომის წინა დღეებში ევროპიული ინდივიდუალიზმის იდეოლოგია მეცნიერებასა, ხელოვნებასა და პოლიტიკაში ერთ და იგივეს ამბობდა: ქიმიკოსები ამზადებდენ სახრჩობ გაზებს, ფილოსოფოსები ოცნებობდენ ინდივიდუალიზმის უნივერსალურ ბატონობაზე; ხოლო ვილჰელმ მეორე, ნერწყვდაგუბებული, მეტრესებს ირჩევდა პარიზის დემუაზელებში; ინდივიდუალისტური კულტურის ამ უზნეო და თავაწყვეტილ თარეშს ოქტომბრის რევოლუციამ დაუნთო ჩაუქრობელი ცეცხლი სოციალური კულტურის რეორგანიზაციითა და მისი იდეოლოგიის რეფორმით.

არ არის არც ერთი დარგი კულტურისა, რომელსაც არ შეხებოდეს ოქტომბრის რევოლუცია: აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მიიღო მსოფლიო ომით გაღატაკებული ქვეყანა და სახიფათო პოლიტიკური სიტუაცია; მიუხედავად ამისა, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავი იძლევა

სოციალური კულტურის თავისებურ ფორმას, რომელსაც წარსულში ადგილი არ ჰქონებია და რომლის ისტორიულ ტენდენციას შეადგენს კლასთა ბრძოლის პრინციპი შესცვალოს შრომის, კოლექტივის პრინციპით: ენერგია, რომელიც კაცობრიობის ერთ ნაწილს წარსულში ეხარჯებოდა მეორე ნაწილის ექსპლოატაციისათვის, ოქტომბრის რევოლიუციიდან დაწყებული, თანდათანობით მიიმართება ბუნების საექსპლოატაციოდ. მომავალ კაცობრიობისათვის სამარცხვინოდ დარჩება ისტორიაში შრომის ორგანიზაციისა და ადამიანთა ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც არსებობდა ოქტომბრის რევოლიუციამდე და რომელიც თხოულობდა ადამიანების მსხვერპლს, როგორც ბიბლიური ღმერთი იეღოვა: საუკეთესო ეპოქები კულტურის ისტორიისა და აზროვნების ამავე დროს იყვნენ ეპოქები მონობისა და ჩაგვრისა; გაბატონებული კლასი თავისი მატერიალური და გონებრივი ძლიერების ფორმას ჰქმნიდა დაჩაგრული კლასის ექსპლოატაციით: კაცობრიობის ისტორია ფაქტიურად გამარჯვებული ნაწილის ისტორიაა; ბრამინები, ევპატრიდები, პატრიციები, ფეოდალები, კაპიტალისტები კულტურის ისტორიას სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ნაირად აწყობდენ თავიანთი კლასობრივ-კასტიური ინტერესების მიხედვით. მასსა—ხალხი ისტორიაში თითქო არ ჩანს: პირამიდებსა და კოშკებს აშენებდენ ურიცხვი მონები და ყმები, ხოლო პატრონობდენ ფარაონები და ფეოდალები; თანამედროვე დიდი ქალაქების ქვაფენილები და ასანსიონები, სასახლეები და ინსტიტუტები გაკეთებულია იმ ხალხის მიერ, რომელსაც თავშესაფარი თითქმის არსად არა აქვს: კაცობრიობის ისტორია წართმევისა და ექსპლოატაციის ისტორიაა. მარქს-ენგელსის „კომუნისტური მანიფესტები“ პირველი ფორმულაა ისტორიის ორგანიზაციული პროცესისა, ხოლო ოქტომბრის რევოლიუცია პირველი ორგანიზაციაა მასსებისა წართმეული ისტორიის უკან დასაბრუნებლად. ოქტომბრის რევოლიუციამდე ისტორიას ჰქონდა არისტოკრატული ხასიათი, ოქტომბრის რევოლიუციიდან იწყება ისტორიის დემოკრატიზაცია: ისტორიის დემოკრატიზაციის რეალურ ფორმას წარმოადგენს შრომისა და მეცნიერების კავშირი, რომლის შესახებ ოცნებობდა ოღესღაც ლასსალი და რომელსაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის აქვს აქტუალური მნიშვნელობა; ცოდნა არა თავის თავად, არამედ ადამიანთა საჭიროებისათვის: მონარქიული და ბურჟუაზიული ქვეყანა ცოდნას ინახავდა არისტოკრატიულ-კასტიურ და სქოლასტიურ ზღუდეებში; მისტიურ და უნივერსალურ ხასიათს აძლევდა მას, რასაც ჰქონდა დროებითი და რეალური ხასიათი: იქ, სადაც ეხლა ელავენ ელექტრო-სადგურები, ძველი ქვეყანა თხზავდა ბნელ საუკუნეთა ლეგენდებს ჩაგვრასა და მონობასთან ერთად.

ის, რაც იმპერიულ ყოფაში წარმოადგენდა გაბატონებული კლასის საჭიროების პრივილეგიებს, აბსოლიუტის ფორმით იყო გამოცხადებული და მიღებულ იყო როგორც მორალურ-იდეოლოგიური აქსიომა სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ გენეზისის გარეშე: გაბატონებული კლასისათვის სასარგებლო მოქმედებანი ახარისხებულნი იყვნენ ადამიანის ქცევის იდეალურ ნორმებად. ცხოვრებას ახასიათებდა ანტინომია ფაქტისა და მოვალეობის შორის; ტრაგე-

დიას ჰქმნიდა წინააღმდეგობა სინამდვილისა და გაბატონებული ტრადიციის იმპერატივების; ნება, მოწყვეტილი წარმოების რეალურ პროცესს, ჩამოშორებულ გზაზე ცხოვრების აზრს ეძიებდა თვით იმ აზრის წყობაში, რომელიც იყო მხოლოდ რეფლექსი სოციალ-ეკონომიური ევოლიუციის წარმოებითი ორგანიზაციისა.

ოქტომბრის რევოლიუციამდე რეალური ადამიანი სოციალური ინტერესებით გამოცხადებული იყო ისტორიაში, როგორც ზემპირიული მოვლენა და ცრუმეცნიერების აპოლოგეტები, სქოლასტიური აკადემიების „კნიჟნიკები“ და შაოლატანები ცრუ პათოსით აცხადებდენ ცივილიზაციის დამხრჩობ კათეგორიულ იმპერატივებს-ეპისკოპოსებისა და კაროლების „ჭეშმარიტებებს“. აკადემიებსა და ინსტიტუტში ინდივიდუალიზმი ისე თხზავდა სინამდვილისა და შრომის უარმყოფ პრინციპებს, როგორც სადიპლომატო სალონებსა და საკათედრო ეკლესიებში. ქვეყანა შებოჭილიყო ინდივიდუალიზმისა და კაპიტალიზმის რეფლექსებით, ექსპლოატაციისა და აბსოლიუტების იმპერატივებით: ქვეყნის მოვალეობად გამოცხადებული იყო მხოლოდ ის, რაც ამაგრებდა ინდივიდუალიზმის ძლიერებას და კერძოდ საკუთრების იდეას, რაც სპობდა წარმოებისა და შემოქმედების თავისუფლებას, რაც კუთხებრივსა და ბიოსფერიულ ფორმას არსებობისას აცხადებდა უნივერსალურ და მარადიულ ღირებულებად.

ჭეშმარიტებას ეძიებდენ ლოღიკის სახელმძღვანელოებში და არა ადამიანთა სოციალურ ურთიერთობასა და წარმოებაში: ცხოვრების აზრი გადაიქცა კომენტატორებისა და კნიჟნიკების სალაღობო მასალად; მეშჩანური მყუდროება, მისტიციზმი, ოჯახურ-სოციალური ფარისევლობა, სიცრუე, ექსპლოატაცია, წარმოების ქაოსი, იდეოლოგიური დეკადანსი და ფორმალიზმი ახასიათებენ კაპიტალისტურ ცივილიზაციას: კაცობრიობა თავის მეცნიერებით, ინსტიტუტებით, ხელოვნებით, ფონეტიურ-სიმბოლიური ალიტერაციებით და რეფრენებით, თქმისა, მოქმედებისა და აზრის ფორმებით ჩიხში მოექცა; ტოლსტოი, იბსენი, მეტერლინკი დიდი მოციქულებია ინდივიდუალისტური ცივილიზაციის დეკადანსის, წარმოების ქაოსისა და სოციალური ყოფის უთანასწორობის. ოქტომბრის რევოლიუცია იყო ერთად ერთი გამოსავალი ცივილიზაციის კრიზისისაგან; საბჭოთა სისტემა—რეალური ფორმაა კულტურის რეორგანიზაციის უდიდეს საშუალებათა: დასავლეთის დალუპვა, რომლის შესახებ ეგრე მწარედ ლაპარაკობს შპენგლერი, ჭეშმარიტებაა იმდენად, რაოდენად იგი ეხება ბურჟუაზიულ ფორმას კულტურისას; კაპიტალისტური ყოფის რეფლექსები შპენგლერს ცხოვრების უნივერსალურ კანონებად მიაჩნია; აქაც კანტის ლოგიკის ძველი შეცდომაა; კაპიტალიზმს აქვს თავისი ბიოსფერიული, იმმანენტური სტრუქტურა, თავისი პროცესის ლოგიკა და მორალი.

მაგრამ ფსიქოლოგია ნირვანისა და მისტიციზმის ახასიათებს მხოლოდ იმ კლასს, რომელსაც გამოცლილი აქვს სიცოცხლის ენერგია, რომელმაც ამოწურა თავისი შემოქმედებითი პოტენცია არსებობისათვის ბრძოლაში, რომლის კუნთები ველარ იტანენ ბიოსოციალურ განცდათა ინტენსივობას; ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სული გაურბის სოციალური ყოფის პრაქტიკას: კოჰენისა,

ბოლცანისა და ჰუსსერლის ფილოსოფია არის ინდივიდუალისტური ცივილიზაციის რეფლექსოლოგია—რეფლექსელოგია დეკადანსისა და წარმოების პრაქტიკიდან გაქცევისა. რამდენად მწარეა რეალური ყოფის ცვლილების შეგრძნობა, იმდენად ძლიერია ადამიანის სულში მისტიურად ლტოლვა მარადიულ „არსებობისაკენ“ და გაქცევა საგანთა მოძრაობით ახმაურებულ სინამდვილიდან „ლოგიკისა“ და თეორიათა თეორიის ცრუმეცნიერული მიმართებით. „დასავლეთის კრიზისი“ კაპიტალისტური ცივილიზაციის კრიზისია. ეს კრიზისი შედეგია ინდივიდუალისტური ჰიპერტროფიის დეგენერაციისა, რომელთაც ოქტომბრის რევოლიუცია უპირდაპირებს სოციალური ყოფის სრულ რეორგანიზაციას, დაწყებული ინდუსტრიისა, და მეურნეობის ფორმით, დამთავრებული აღზრდისა, ოჯახისა და მეცნიერების სისტემით: ინდივიდუალისტური კულტურის სინამდვილიდან გაქცევისა და იზოლიაციის პრინციპს ოქტომბრის რევოლიუციამ უპასუხა კოლექტივიზმისა და კორელიაციის პრინციპით—ფედერაციისა და შეთანხმების იდეით.

მსოფლიო კულტურის დეკადანსი ოქტომბრის რევოლიუციამ შეაჩერა გარკვეული სოციალური პერსპექტივებით: დიპლომატიური შანტაჟებისა, ულტრაინდივიდუალიზმისა, მისტიციზმისა, წმინდა თეორემისა და დადაიზმის ევროპას გვერდით ამოუდგა მებრძოლი მასსების მრავალი მილიონი კოლექტივი ისტორიისათვის უჩვეული სახელმწიფოებრივი სისტემით, ჰუმანიური მორალით, შინაგანი სიმართლით, აღზრდისა და აზროვნების რეფორმით; ბურჟუაზიული კულტურის მისტიციზმი თავისი ვერბალური ალიტერაციებით, ყალბი პათოსით, ნეოსკოლასტიური ფილოსოფიით, „წმინდა აზროვნებისა“ და „წმინდა ხელოვნების“ იდეებით თანდათან ომით გადის სახელმწიფო დაწესებულებიდან, საზოგადოებიდან, აკადემიებიდან; ცრუმეცნიერებისა და „კნიჟნიკების“ იდეალისტურ-ფორმალისტური, სქოლასტიურ-თეოლოგიური ლალადი იცვლება მატერიალიზმისა, ორგანოტროპიზმისა და რეფლექსოლოგიის იდეებით. კაფე-რესტორანული ლოთობა, ალკოჰოლიზმი და პროსტიტუცია ახალგაზრდობისა, რომელნიც ახასიათებენ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ საზოგადოებას, რომელთა იდეოლოგიურ გამოსახულებებს შეადგენენ ულტრა-პერსონალიზმი, ცინიზმი, ფუტურიზმი და ყოველგვარი დეკადანსი, ისპობა საზოგადოებრივობისა და სოციალური მორალის არეში. **ოქტომბრის რევოლიუცია სოციალური დეზინფექციაა ისტორიულად დაავადებული ცივილიზაციისა.**

ინტელექტუალიზმიდან ვოლიუნტარიზმისაკენ—აი ჩემის აზრით იდეოლოგიური პრინციპი ოქტომბრის რევოლიუციისა; „ფილოსოფოსებმა მრავალნაირად ახსნეს ქვეყანა, დადგა დრო მისი გარდაქმნისო“,—ამბობს კ. მარქსი თავის უკანასკნელ თეზისში ფეიერბახის შესახებ. ოქტომბრის რევოლიუცია ორგანიზაციული და პრაქტიკული გამოსახულებაა მარქსის თეორიული დებულებისა: ოქტომბრის რევოლიუციამ დაიწყო სწორედ ძირეული გარდაქმნა მიტრაიზმისა და ბუდდიზმის შემდეგ ბევრნაირად ახსნილი ქვეყნისა. ისტორიული და ინტელექტუალისტურ-რაციონალისტური გაგება ოქტომბრის რევოლიუციამ შესცვალა **დინამიური და შემოქმედებითი** გაგებით; „კნიჟნიკებისა“ და ბუკინისტების

სქოლასტიური ციტატებით დაძენძილი, ლექსიკონებით და [illegible]ებით გამოცრეცილი სული კაცობრიობისა, ოქტომბრის რევოლუციამ [illegible] სოციალურ საჭიროებათა და ინტერესთა მოძრაობის ქარიშხალით, სიახლის ცეცხლეული ნდობით და სიყვარულით; უთანასწორო კვებითა, ალკოჰოლიითა და ჰაშიშით აბარბაცებულ სამყაროს ოქტომბრის რევოლუცია აწყობს პროფესიონალური კავშირებისა და წარმოებითი სინდიკატების სოციალური მორალით, სოციალური ლოგიკისა და ესთეტიკის კორელიატური პრინციპებით.

ოქტომბრის რევოლუცია დევნის ისტორიიდან ყოველგვარ აბსოლიუტებს, დაწყებულ მეფეებიდან, დამთავრებული „კნიჟნიკებისა" და ბუკინისტების „მარადიული ჭეშმარიტებით": წარსულის ფეტიშების—სხვა ყოფათა და განცდათა შინაარს გამოცლილი ფორმები, რომელთაც იდეალიზმი იღებდა, როგორც ზესოციალურ კათეგორიებს, როგორც „უნივერსალურ" საზომებს აზრისა და ქცევისას, ოქტომბრის რევოლუციამ უკუაგდო როგორც საწინააღმდეგო ძალა ცხოვრების წინსვლისა და ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესების. იდეალიზმი ქვეყანას იღებდა როგორც **უძრაობას:** მეურნეობა, ოჯახი, სახელმწიფო, აზრი, სული იდეალიზმისათვის იყო და არის ზეემპირიული და ზესოციალური კათეგორიები, რომელთაც არა აქვთ კონკრეტული კავშირი რეალურ ყოფასთან. ოქტომბრის რევოლუციამ არსებობის ყველა ღირებულება გამოაცხადა სოციალური საჭიროებისა და ინტერესის კორელიატად, წარმოებისა და ბრძოლის რეფლექსებად. „კნიჟნიკებისა" და ცრუმეცნიერების, მისტიკოსებისა და დეკადენტების, ფორმალისტებისა და იდეალისტების „წმინდა ლოგიკა" შეირყა კოლექტიური რეფლექსოლოგიით, **წარმოებისა და ინდუსტრიის შემოქმედებითი ზღუდეებით.** მართალია, ინდივიდუალისტური კულტურის რღვევა და მისი სოფლმხედველობის დაშლა დიდი ხანია დაიწყო: ევოლიუციონიზმი დიდი ხანია ებრძვის აბსოლიუტებისა და „მარადიულ ჭეშმარიტებათა" აპოლოგიას, მაგრამ ორგანიზაციული გამოსვლა და გადამწყვეტი ბრძოლა ძველი ქვეყნის იდეოლოგიისა და სოფლმხედველობის წინააღმდეგ იწყება მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციიდან.

კაცობრიობა ოქტომბრის რევოლიუციამდე იდგა უნიადაგოთ თვითწვალების გზაზე, გონების წარმოსახვას დახურული ჰქონდა პერსპექტივები და იმედის ჰორიზონტი, ადამიანის სულში იყო ისეთივე ქაოსი, როგორც ინდუსტრიისა და წარმოების პრაქტიკაში. კაცობრიობა ეძიებდა ხსნას ან ზეკაცებისა და ან ანტიქრისტეების სახეებში, (ნიცშე. მერეჟკოვსკი.) ან რუსსოს ნეორომანტიულ იდილიებსა და კარატეევის გულუბრყვილო ნაბაძვში (ტოლსტოი). ხოლო შრომის ექსპლოატაციისა და ბატონ-მორჩილების ჩიხში ინტელექტუალიზმის თიოლოგიურ-თეოსოფიურ ტრაქტატებში იხრჩობოდა შემოქმედების ცეცხლით ანთებული სული ადამიანისა.

სამყარო ტირანებისა, ცრუმორწმუნეთა და ეპისკოპოსების—სამყარო მონასტრებისა, ფეოდალების და „კნიჟნიკების"—ყალბ ჩვეულებათა და შინაარს გამოცლილ ღირებულებათა სამყარო ოქტომბრის რევოლიუციამ გარდაქმნა ცივილიზაციის ახალ საჭიროებათა და ინტერესთა მიხედვით.

ოქტომბრის რევოლიუცია წარსულის უარყოფაში **ისტორიას იღებს როგორც მასალას** და მასალის ხელახლა დაწყობით ცივილიზაციას უქმნის ისეთი მიმართება, რომელსაც წარსულში არ ჰქონებია ადგილი: ოქტომბრის რევოლიუციამდე კაცობრიობა თავის წარსულს უყურებდა, როგორც ზემპირიულსა და მარადიულ თვისებებს თავის შემოქმედებითი სულისას; პლატონისა და კანტის მორალური უნივერსალური (კათეგორიები) ითვლებოდენ **ისტორიულ გამოვლენად** კაცობრიობის შემოქმედებითი სულის **ტრანსცენდენტური** არსობისა; ოქტომბრის რევოლიუციიდან დაწყებული ისტორია გამოიხედება აზროვნების არეზე როგორც **ორგანიზაციული პროცესი, წყობილი სხვა და სხვა მდგომარეობაში სხვა და სხვა საჭიროებით და ინტერესით.**

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოქტომბრის რევოლიუციის შედეგებს ქართული კულტურის რეორგანიზაციისათვის: სხვა ქვეყნებში ინდივიდუალისტურ კულტურას ჰქონდა ისტორიულად ერთგვარი გარკვეული ტრადიცია და კლასობრივ-გენეტიური ფსიქოლოგია, რომელთა სისტემატიურ ძლიერებაში ასე თუ ისე გამოისახებოდა ხალხის ისტორიულ-მორალური პოტენცია. შორეულ წარსულიდან საქართველოში შეიქმნა ისეთი პირობები სოციალ-ისტორიული არსებობისა, რომ კლასობრივი ჰეგემონია ვერ გამტკიცდა სისტემატიურად თავის მორალით და ფსიქოლოგიით; შეიძლება უფრო გარკვევით ითქვას: საქართველოში საშუალო საუკუნეების შემდეგ არ ყოფილა ისეთი ძლიერი კლასი, რომელსაც ჰქონოდა ხანგრძლივი ტრადიცია სოციალური განცდებისა და კათეგორიების: ვინაიდან ისტორიული ენერგია ვერ განსახიერდა გარკვეული კლასობრივი ჰეგემონიის ფსიქოლოგიაში, ქართული კულტურა იმმანენტურად იცრიცება: მას ეკარგება ისტორიული პრიმატობა, სოციალური სიმტკიცე, წინა ეპოქების კლასობრივ ბრძოლათა სისტემით აწყობილი შინაგანი სიმართლე—ტრადიციის ეროსი; ამიტომ ქართული კულტურის ევოლიუციაში თანდათანობით შემოდის ალმოსავლეთისათვის დიდი ხნიდან ნაცნობი ფსიქოლოგია ცალკეულობისა, განაპირებისა, ცბიერებისა და ღირებულებათა გამასხარავებისა, რომელთა თარეშმა ქართული საზოგადოებრივობა და ლიტერატურა მიიყვანა დეგენერაციის კარამდე: „დამფუძნებელი კრების“ სხდომებზე ხალხის „წარმომადგენლები“ ერთმანეთის ფიზიონომიებს მუშტებით აცხელებდენ, ხოლო პრესასა და ლიტერატურაში „კვაჭოლოგიას“ თხზავდენ.

ოქტომბრის რევოლიუციის იდეოლოგიური პრინციპით იწმინდება თანდათანობით ჭუჭყი და ტალახი, ჩაძენძილი ქართულ ყოფაში ცუდი წარსულის ცუდი გადანაშთებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პლატონ კიკოძე

# ოქტომბერი ქართულ მწერლობაში

მხატვრული მწერლობა საზოგადოებრივი განვითარების თანამგზავრია. ხშირად მწერლობა აქტუალური საზოგადოებრივი იდეებით გამოდის, ფეხ და ფეხ მიჰყვება ახალი იდეების განვითარებას,—ეს მაშინ ხდება, როცა აღმობავალი და პროგრესიული კლასი ჰეგემონიისთვის იბრძვის.

თუ ამ მებრძოლ კლასს, მხოლოდ კულტურის და ხელოვნების სფერო აქვს თავისი ბრძოლის გასაღვივებლად—მაშინ მწერლობას საზოგადოებრივი აზრის ბელადის როლი ენიჭება. ასე იყო რუსეთის მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაში, როცა ბურჟუაზიას მხოლოდ მწერლობის საშუალებით შეეძლო თავისი იდეების პოპულიარიზაცია.

პროლეტარიატს თავისი ჰეგემონიისათვის ბრძოლაში არ შეეძლო გამოეყენებია მხატვრული მწერლობა, ისე ყოველმხრივ, როგორც ეს შესძლო ბურჟუაზიამ. ამის მიზეზი ორგვარია: ბურჟუაზიის ეკონომიურ-კულტურული ზრდა მონარქიის და ფეოდალიზმის წიაღში ხდება, რადგან ეს ორი საზოგადოებრივი წყობა პრინციპიალურად ერთი საფუძვლისაა: ორივე კლასობრივ ექსპლოატაციაზეა დამყარებული. ამიტომ პროლეტარიატს, რომელიც უკულტურო იყო და რომელმაც თავის ბრძოლას თითქმის პირველივე დღეებიდან პოლიტიკური ხასიათი მისცა, არ შეეძლო განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მებრძოლი მხატვრული მწერლობის შექმნისათვის.

მხოლოდ პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების შემდეგ შესაძლებელი გახდა საკუთარი მხატვრული მწერლობის განმტკიცება.

ამიტომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლიუციის წინა ეპოქაში მწერლობაში ჰეგემონია ეკუთვნოდა ბურჟუაზიულ და საქართველოში კი უმთავრესად წვრილ-ბურჟუაზიულ ლიტერატურულ მიმდინარეობებს.

პროლეტარიატის მწერლობა, მართალია დიდი ხანია, მუშათა მოძრაობის წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა, ეს მწერლობაა დღევანდელ პროლეტარული მწერლობის სათავე, მაგრამ, როგორც ზემოთ ვსთქვით, ახალ მებრძოლ კლასს ამ ფრონტისთვის შესაფერი ძალების გამოყოფა არ შეეძლო.

პოლიტიკურად კლასობრივ ძალთა ურთიერთ დამოკიდებულებამ და ბრძოლა ოქტომბერში პროლეტარიატის სასარგებლოდ გადაიჭრა, მაშინ მწერლობაში კლასობრივი ბრძოლა ამავე ოქტომბერში ჩვენ სასარგებლოდ არ გადაჭრილა. შეიქმნა წინასწარი კლასობრივად პრივილეგიური მდგომარეობა ახალი კლასის მწერლებისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ძველი ანტირევოლიუციონურ მწერლობის იდეურ-მხატვრულ ლიკვიდაციას.

ოქტომბრის რევოლიუცია და ლიტერატურაში გამეფებული მიმდინარეობანი სოციალურ კონფლიქტში აღმოჩნდენ და ოქტომბრის შემდეგი ქართული მწერლობის მთელი ისტორია, სწორეთ ამ კონფლიქტის ისტორიაა. დამარცხებულ კლასებს თავისი მხატვრული მწერლობა ვერ გაჰყვებოდა თან, ისე, როგორც ფრონტიდან დამარცხებულ „წითელ გვარდიას“ ამუნიცია და იარაღებით თან მიჰყვებოდა.

მაგრამ, როგორც ვიცით, საქართველოში ოქტომბერმა სამი წლით დაიგვიანა. ის რაც რუსეთში 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე გრძელდებოდა, საქართველოში 1917 წლის თებერვლიდან 1921 წლის თებერვლამდე გაგრძელდა. ამიტომ ძველ ანტირევოლიუციონურ და არარევოლუციონურ მწერლობას ჩვენში მეტი საფუძველი და მარაგი აღმოაჩნდა.

მონარქიის განადგურებას, ესე იგი თებერვლის ბურჟუაზიულ რევოლიუციას, გარდა ფეოდალურ კლასებისნარჩენებისა და მონარქისტულ ბიუროკრატიისა—ყველა მიესალმა. ქართული მწერლობის თითქმის ყველა მიმართულებები ამ რევოლიუციამ გააცხოველა და აამოქმედა. ყველაზე უფრო „მოიგო“ ამ რევოლიუციით და განსაკუთრებით მენშევიზმის სამი წლის ბატონობით, ეგრეთ წოდებულ **დემოკრატიულ მწერლობის** სკოლამ. მათთვის თებერვლის რევოლიუცია აღმოჩნდა უდიდესი მწვერვალი, რის სურვილიც კი მათ შეეძლოთ. ის, რაც ბოლშევიზმისთვის პროგრამა-მინიმუმს შეადგენდა (ე. ი. მონარქიის მოსპობა), მენშევიზმისათვის პროგრამა-მაქსიმუმი იყო. ამიტომ თავის დროზე რევოლიუციონური სკოლა დემოკრატიულ პოეტებისა, კმაყოფილი აღმოჩნდა ამ რევოლიუციითაც, მაშინ როცა ბოლშევიზმი და მისი დამხმარე ძალები, ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

ორშაბათს, 15 მარტს 1917 წელს გამოვიდა მენშევიკური გაზეთ **„ერთობა“**-ს № 1. აქ დაიბეჭდა თებერვლის რევოლიუციისადმი აღტაცებით აღვსილი ლექსები **ვარლამ რუხაძის** („მაშ მუშებო, წინ გავსწიოთ“), **გიორგი ქუჩიშვილის** და **ს. აბაშელის** („მებრძოლს“). საერთო თემატიკა ამ პერიოდის დემოკრატიული პოეზიის **საზეიმოა,** იმიტომ, რომ თებერვალი მათი რევოლიუციონური თემატიკის კულმინაციაა. თებერვლამდე იძულებით გაჩუმებული დემოკრატიული მწერლობა ამოქმედდა:

„აღზდგა ხალხი. ძველ ქვეყანას
მიაყარა ქვა და გუნდა.
და ჩემს მოძმე ხალხთან ერთად
ჩემი ჩანგიც ახმაურდა“.

(გ. ქუჩიშვილი, „ერთობა“ № 1, 15 მარტი 1917 წ.).

როგორც ისტორიულად გამორკვეულია, რევოლიუციის „სამშობლო“ პეტროგრადის და საერთოდ საწარმოო ქალაქების **ქუჩაა.** აქედან [illegible] დემოკრატიული მწერლობის თემატიკაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს ამბოხებულ ქუჩას:

„ჰოი, ნჭედელო თავისუფლების,
გადიდებ **ქუჩავ,** ჩაგრულთა კერავ,
დღეს შენ გაგვიღე კარი უფლების,
მწამს მომავალსაც შენ გამოკვერავ“.
(ვ. რუხაძე — იქვე).

რომ მონარქიის განადგურება მაქსიმალური სურვილები იყო დემოკრატიული მწერლობის, ადასტურებს იმავე ვ. რუხაძის ლექსი „ნაშ, მუშებო, წინ გავსწიოთ“. მონარქიის მოსპობა უკვე საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პოეტს „სოციალიზმის სამყაროში“ ეგრძნო თავი:

„ნუ იქნება „ჩემი“, „შენი“,
საზოგადო გამგებლობდეს,
რომ სუყველა — მუშა, ბრძენი —
თანასწორად სარგებლობდეს“.

ასეთი კუსტარული იყო წვრილ-ბურჟუაზიული მწერლობის „პოეტური“ წარმოდგენა სოციალიზმზე, „ერთობაზე“ და „თანასწორობაზე“.

„ერთობის“ ფურცლებზე უკვე ჩამოთვლილ მწერლების გარდა იბეჭდებოდენ: **ობოლი მუშა** (ს. თავაძე), **იასამანი, ი. სიხარულიძე** და სხ. საერთო მოტივები ამ მწერლების არ გამოდიოდა ზემოდ დახასიათებულ თემატიკის ფარგლებიდან. ი. სიხარულიძეს ეტყობოდა უფრო მუშათა ყოფა-ცხოვრების ცოდნა. გ. ქუჩიშვილი კვლავ განაგრძობდა რიტორიული ლექსების წერას მუშებზე, მაგრამ ეხლა უფრო საზეიმო მოტივებით, წინაალმდეგ წინანდელი ხალხოსნური ცრემლებისა.

რაც შეეხება მხატვრულ ფორმას მენშევიკური, ამ ოფიციალური მწერლობის, იგი სრული უპრინციპობით და კონსერვატიზმით ხასიათდებოდა. მაგალითად, **იასამანი** რევოლიუციას ქრისტეს აღდგომას ადარებდა (ლექსი „ქრისტე აღზდგა“). საერთოთ გაზ. „ერთობაში“ კაკი წერეთლის ენაწყლიან და ლამაზ მოხსენებების გვერდით ერთობისა და თავისუფლების შესახებ, თქვენს ყურადღებას მხოლოდ „არშინ-მალალანის“ უზომო რეკლამა იქცევდა. ქართველი მენშევიზმის მხატვრული სტილი, ფუქსავატ რიტორიკის და „არშინ-მალალანის“ სინთეზს წარმოადგენდა.

ქართულ მწერლობაში რევოლიუციის პირველ წლებში დემოკრატიული მწერლები ერთ-ერთ მთავარ სკოლას წარმოადგენდა. და ჩვენ იმიტომ შევჩერდით ასე დაწვრილებით მათ მიერ თებერვლის შეფასებაზე, რომ შემდეგ ნათლად წარმოვიდგინოთ თუ რატომ შეხვდა იგივე სკოლა ოქტომბერს უარყოფითად და მტრულად.

დაიწყო თუ არა ოქტომბრის რევოლიუცია მენშევიკურ პრესასთან ერთად პროლეტარული რევოლიუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში სდგება მისი პოეზიაც.

ვ. რუხაძე, დემოკრატიულ პოეტებში ყველაზე უფრო პარტი[illegible] აქტუალურ-პოლიტიკურ თემებზე პირველი გამოძახილის მიმ[illegible]ვე: ეკუთვნის რამოდენიმე ლექსი ოქტომბრის მგმობელი:

„მე შენს სახეზე წავიკითხე სევდის ანბავი,
მე შენი ენით მოვისმინე მწარე მოთხრობა,
და მეც შენსავით შევიქენი სევდა-ნაკრავი,
და მეც შენსავით მტარვალთადმი აღმომხდა გმობა.
ჩვენ ხომ „ერთობას“ ვეძახოდით, ქვეყნის ხსნა გვსუროდა,
მაგრამ ქვეყანა ჩაუვარდათ სისხლის მსმელ „გმირებს“,
**თვითმპყრობელობა სულ სხვა სახით კვლავ დაგვიბრუნდა,**
თავისუფლების ობოლ საფლავს ვინ დაიტირებს?“

(1918 წელი).

საერთოდ მაშინდელ პრესაში მენშევიკების ფელეტონისტებიდან (მაგალ. ალ. ქორქოლიანი) თქვენ ხშირად გაიგონებდით ბოლშევიზმის ბონაპარტიზმთან, ბლანკიზმთან, ტირანიასთან და სხვა ა. შ. შედარებას. ზემოდმოყვანილ ამონაწერში პოეტი იმეორებს ამავე პროვოკაციას: ბოლშევიზმის გამარჯვებას იგი თვითმპყრობელობის რესტავრაციას ადარებს.

**ობოლი მუშა** ბოლშევიზმს ბარბაროსობად სთვლიდა. საერთოდ მაშინ მიღებული იყო ბოლშევიზმის ასეთი „მხატვრული“ დახასიათება. ამ მხრივ ძლიერ ბევრი „იმუშავა“ მენშევიკურმა იუმორმა და სატირამ—**„ეშმაკის მათრახიდან“ (ეშმაკი, თაგუნა** და სხვ.). მაგალითად თაგუნას ერთ-ერთი იუმორისტულ მოთხრობა „სიზმარ“-ში ბოლშევიკები ჰოტენტოტებად, ბუშმენებად ჰყავდა წარმოდგენილი და დაცინოდა ოქტომბრის რევოლიუციის გმირებს, იმით, რომ მათ (გმირებს) ჩექმა ურჩევნიათ ძვირფას ქანდაკებასაო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მენშევიზმის დროს განსაკუთრებით ძლიერი იყო უდარდელი ობივატელის წვრილ-ბურჟუაზიული იუმორი, რომლის მთავარი ცეცხლი ბოლშევიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მენშევიზმს რევოლუციიდან საბოლოო ჩამოშორებასთან ერთად, შორდებოდა მისი პოეზიაც. პოეზიაში ოდესღაც **კლასობრივი მოტივები ეროვნული მოტივებით გამოიცვალა:**

„დღეს ფარხმალს უნდა იხმარდეს
**ვინც ერთგულია ერისა**“-ო

ამბობდა ვ. რუხაძე და საერთოთ ყველა. ამ სკოლის პოეტებში ეს ეროვნული მოტივები მათი თემატიკის მთავარ მასალად გადაიქცა.

ამრიგად: **ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ქართველ მწერალთა ძველი თაობის უმრავლესი სკოლები აქტიური მტრები გახდენ ოქტომბრის რევოლიუციის.**

მაგრამ, იყო გამონაკლისი: მაგალითად საუკეთესო სიმვოლისტი პოეტი **გალ. ტაბიძე** იმთავითვე ოქტომბრით „მოხიბლული“ აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, მისტიკოსმა და ინდივიდუალისტმა პოეტმა თავისებურად, რომანტიულად (ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად და მისტერიად) გაიგო რევოლიუცია. მაგრამ ეს ცალკე თემაა და აქ მას არ შევეხებით.

კომუნისტურ აზრსაც არ ქონდა მენშევიკურ საქართველოში კომუნისტურ პრესის, გაზეთ **„ბრძოლის“** და **„ახალი კომუნისტის“** ირგვლივ შემოიკრიბა, მართალია მცირე რიცხოვანი, მაგრამ მაინც დამახასიათებელი ჯგუფი მწერლებისა, რომლებიც ოქტომბრის რევოლიუციის მწერლობას ანვითარებდენ. **კომუნისტური პრესის ირგვლივ შემოკრებილი მწერლები წარმოადგენდენ დემოკრატიულ მწერალთა სკოლის რევოლიუციონურ გაგრძელებას და პროლეტარული მწერლობის პიონერებს.** ზოგიერთი მათგანი, მაგ. **ნოე ზომლეთელი** თვით ეკუთვნოდა დემოკრატიულ მწერალთა თაობას, დანარჩენები: **სანდრო ეული, იპოლიტე ხონელი, აპ. სპირიდონიძე ლ. შემოქმედელი, ვ. ჩლაიძე, კაკო-ეწერელი** (ეხლა კ. კალაძე), **ძ. ფეოდოსიშვილი** წარმოადგენდა უფრო ახალგაზრდობას, რომელთაგან ბევრი შემდეგში აღარც შერჩენია მხატვრულ მწერლობას.

როგორც მენშევიკური პრესის პოეზია, ისე ჩვენი კომუნისტური პრესის პოეზია წმინდა პარტიული, აქტუალურ-ყოველდღიური და მებრძოლი იყო ოქტომბრის ან საქართველოს რევოლიუციის კონკრეტიული სურათების გადმოცემისთვის მაშინ მწერლობას არ „ეცალა“ და არც შეეძლო შეესრულებია ეს ამოცანა, რადგან სამოქალაქო ომისა და ყოველდღიური პოლიტიკური ბრძოლის დროს „პარტიული პოეზია“ კონკრეტ-პოლიტიკურ ამოცანებს უნდა ემსახურებოდეს.

მაგრამ მეტისმეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ მენშევიზმის დროს, ჩვენი პარტია სერიოზულად უყურებდა მხატვრული მწერლობის საკითხს: მაგალითად „ახალი კომუნისტის“ № 19-ში (1920 წ.) ერთ მხატვრულ ფელეტონის (ანტონ ამნელი „მარატი“) წინ ასეთი შენიშვნა მიუძღოდა:

**„რედაქციისაგან:**

ჩვენი გაზეთის, როგორც პოლიტიკური ორგანოს პირდაპირ დანიშნულებას არ შეადგენს მიაწოდოს მკითხველებს ხელოვნურ-ლიტერატურული დარგიდან ნაწარმოები, მაგრამ, რადგან ამ მიზნისათვის პარტიას სხვა შესაფერი ორგანო არა აქვს დღეს დღეობით, რაც მეტად მნიშვნელოვან ნაკლებობას წარმოადგენს, ამიტომ მიზნად ვისახავთ, დრო-გამოშვებით ჩვენს მკითხველებს **პროლეტარული კულტურის** ხელოვნური ნიმუშებიც გავაცნოთ“.

გარდა ამისა იმავე გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა **რაჟდენ კალაძის** ფელეტონები პროლეტარულ ხელოვნებაზე და ა. **ბოგდანოვის** წერილების თარგმანი ამავე საკითხზე. რედაქციის ზემოდ მოყვანილი შენიშვნიდან და დასახელებული წერილებიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. ჯერ კიდევ საქართველოს ოქტომბრამდე ჩვენი ბოლშევიკური პარტია მეტად აქტუალურ, პოლიტიკურად—სასარგებლო ფუნქციას ანი-

ჰებდა მხატვრულ მწერლობას, როგორც ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუციის იდეების მასსებში განმტკიცების იარაღს.

2. კომუნისტურ პარტიას და მის პრესას ეჭვი არ შეჰქონდა პროლეტარული კულტურის, ხელოვნების და მწერლობის არსებობაში, რაიც ტროცკიზმის მიერ კითხვითი ნიშნის ქვეშ იქმნა დასმული;

3. პარტიის პრესას საჭიროდ მიაჩნდა მხატვრული მწერლობისთვის სპეციალური ორგანოს არსებობა, მიუხედავად იმ დევნისა და გაჭირვებისა, რომელსაც განიცდიდა იგი (კომუნისტური პრესა).

ამრიგად, ჩვენ უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეხვდა ოქტომბერს ქართული მწერლობა გასაბჭოებამდე.

მაგრამ ოქტომბერი რეალურად, პრაქტიკულად და ხელშესახებად ჩვენმა მწერლობამ გაიგო მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ. სწორედ ამის შემდეგ შევიდა **მეორე სტადიაში** ოქტომბრისა და ქართველ მწერალთა ძველი თაობების კონფლიქტი.

არ არის საჭირო დაწვრილებით მოვაგონოთ ჩვენ მკითხველს ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა გასაბჭოების შემდეგ სამ-ოთხ წელში. გასაბჭოების პირველ წლებში მხატვრული მწერლობა, გარდა პროლეტარულისა,—შეკავშირდა მთლიან ანტისაბჭოთა ფრონტში, იგი შეიქმნა ბელადი რეაქციონური საზოგადოებრივი აზრის.

საკმარისია ჩამოვთვალოთ ისეთი ანტი-საბჭოთა ლიტერატურული ორგანოები, როგორიც იყო: **„ხომალდი"**, **„ლომისი"**, **„ილიონი"**, **„ქართული სიტყვა"**, **„კავკასიონი"** და სხვა, რომ წარმოვიდგინოთ ამ ფრონტის „ერთსულოვნობა" და რეაქციონერობა.

თუ კი წინეთ, მენშევიზმის დროს **სიმბოლიზმი**—„ცისფერი ყანწების" სახით ყოველშემთხვევაში სდუმდა, გასაბჭოების შემდეგ ეს სკოლაც გაითქვიფა ანტირევოლიუციონურ მთლიან ფრონტში. ყველას ახსოვს ალბად **პ. იაშვილის** ლექსები („პავლე ინგოროყვას"), **ტ. ტაბიძის** წერილები და საერთოდ ამ სკოლის წარმომადგენელთა ბეჭედითი თუ ზეპირი გამოსვლები.

„დემოკრატიული მწერლები" ამ პერიოდის ანტისაბჭოთა მწერლების იდეური ჰეგემონები და ხელმძღვანელები იყვნენ. მართალია სიმბოლიზმი მეტისმეტად აგრესიულად იბრძოდა თავისი ესთეტიკის განსამტკიცებლად, მაგრამ იდეურად, ამ პერიოდში იგი მენშევიზმის და დემოკრატიული მწერლობის თანამგზავრულ ძალას წარმოადგენდა.

თუ როგორ აფასებდა საქართველოს გასაბჭოებას დემოკრატიული მწერლები, საილიუსტრაციოთ შეგვიძლია ს. აბაშელის ლექსი მოვიყვანოთ:

„მოვარდა ქარი ცეცხლის ფარფარით,
დასწყვიტა ცაში ყველა სიმები.
გარდაიცვალა ძველი ზღაპარი
და გადაფრინდა სერაფიმები,
სივრცე დაეთმო შავფრთოსან **გველებს**,
ცაში ავარდა რკინის აფრები".

საერთოდ გამძაფრებულ ანტისაბჭოთა ბრძოლასთან ერთად ქართულ მწერლობაში გამეფდა მისტიციზმი, პესიმიზმი და პატრიოტული ლირიკა.

გასაბჭოების პირველ წლებში, ამავე პერიოდში საგრძნობლად გაძლიერდა პროლეტარული მწერლობა და კერძოდ პოეზია. შედარებით ანტირევოლიუციონერ მწერლობის ეს „ფრთა“ ქართული მწერლობის, რა თქმა უნდა სუსტი იყო, მაგრამ მისი ისტორიული როლი მაინც დიდია. ამ დროს პროლეტარული მწერლობის საერთო მოტივები არ გასცილებია სამოქალაქო ომის რიტორიულ ლირიკას. ეს იყო პოეზია ბრძოლის და შეტევის, ამიტომ იყო, რომ მან ოქტომბრის და რევოლიუციის საერთო სურათები ვერ შექმნა.

პროლეტარული მწერლების ჟურნალი **„ქურა“** პირველი ლიტერატურული ორგანო იყო, რომელიც აღტაცებით შეეგება საქართველოს ოქტომბერს. მან შექმნა პირველი საოქტომბრო ლექსები. ამ პერიოდში შემდეგი პროლეტარული მწერლები მუშაობდენ: **ნოე ზომლეთელი, სანდრო ეული, იონა ვაკელი, პეტრე სამსონიძე, იაკინთე ლისაშვილი, სევასტი თალაკვაძე, კალე ფეოდოსიშვილი** და სხ., ცოტა ხნის შემდეგ პროლეტმწერლობის ამ წყებას მიემატა კომკავშირის მიერ აღზრდილი მწერალთა ახალი წყება **ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე,** იგივე **კალე ფეოდოსიშვილი** და სხ. რომლებიც ჟურნალ **„მომავლის“** ირგვლივ იკრიბებოდენ.

1925 წელს ჟურნალ **„პროლემათფ“**-ის გამოსვლით შეკავშირდა განსაკუთრებულ ჯგუფად პროლეტარულ მწერლობის ახალგაზრდა ფენა და კიდევ ახალი ძალები მოემატა: **კოსტ. ლორთქიფანიძის, ელ. პოლუმორდვინოვის** და სხვათა სახით—პროლემათფმა შექმნა ახალი ფორმალური მიმდინარეობა პროლეტარულ მწერლობაში და გამოიყვანა იგი პირველი პერიოდით შექმნილი კრიზისიდან. ამ რიგად 1921 წლიდან 1925 წლამდე საქართველოში შედარებით განმტკიცდა ოქტომბრის მწერლობა, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ქართული მწერლობის იდეურ განვითარებაზე.

მიუხედავად პროლეტარული მწერლობის საგრძნობი განვითარებისა, მან მაინც ვერ შექმნა რევოლიუციის ტიპები, ვერ შესძლო რევოლიუციის კონკრეტიული მხატვრული მოცემა. მაგ. ს. ეულის წიგნი „რევოლიუციის საყვირი“. პ. სამსონიძის „ცეცხლის ხმები“, ი. ვაკელის „შარავანდედი“, ალ. მაშაშვილის პოემა „სისხლიანი დღეები“ და კალაძის „პირველი მაისი“ უმთავრესად სამოქალაქო ომის იმ საერთო ხასიათის ლირიკით ხასიათდებოდა, რომელიც ზემოთ მოვხაზეთ.

„პროლემათფის“ მთავარი მოთხოვნილება იყო რევოლიუციის კონკრეტიული მოცემა. კ. ლორთქიფანიძის „წითელ ოქტომბერში“ დაბეჭდილი საოქტომბრო ლექსი ამ მხრივ, კონკრეტიულობით, ცოტათი უკვე განსხვავდებოდა პროლეტმწერლობის სხვა ლექსებიდან. კ. კალაძის „მომავალში“ დაბეჭდილი საოქტომბრო პოემა უმთავრესად რევოლიუციონური რომანტიკით და აღფრთოვანებით ხასიათდებოდა. ნ. ზომლეთელის, ი. ვაკელის, კ. ფეოდოსიშვილის, ელ. პოლუმორდვინოვის და სხვათა საოქტომბრო ლექსები ისევ საკალენდრო და საზეიმო ხასიათს ატარებენ და ამ მხრივ **საქართველოში პროლეტარული**

**რევოლიუციის კონკრეტიული მხატვრული მოცემა პროლეტარული მწერლობის ჯერ შეუსრულებელ და მომავალ ამოცანად რჩება.**

დამახასიათებელია პროლეტარულ მწერლობაში ოქტომბრის **საზეიმო ათვისება.** საქმე ის არის, რომ საერთოდ საქართველოს და, კერძოთ, ჩვენ პროლეტარულ მწერლებს სამოქალაქო ომის და რევოლიუციის სიმძაფრე ისე უშუალოდ არ განუცდიათ როგორც რუსეთს და ლენინგრადს. ამიტომ გასაგები ხდება კ. კალაძის შემდეგი სტრიქონები ოქტომბერზე:

„დღეს ვინ გაჰყვება
საუკუნის ღერძზე გადასულს,—
გმირული ბრძოლით
შვიდი წლი გადაიმართა;
დღეს ხალხის გულში
ვინ ჩაიღრჩობს უშრეტ სიხარულს,
**ვინ არის მეფე გამარჯვების**
**ღიმილის გარდა".**
(„ოქტომბერი" კარლო კალაძე:
„რჩეული ლექსები).

აქვე ხაზი უნდა გაესვას ოქტომბრის რევოლიუციის თავისებურ, მე ვიტყოდი გლეხურ ათვისებას ზოგიერთი პროლეტარული მწერლების მიერ. ალ. მაშაშვილის პოემა „სისხლიანი დღეებ"-ში, რომელიც ოქტომბერზეა დაწერილი, ჩვენ შემდეგ სტრიქონებს შევხვდებით:

„ბარიკადების და
ცეცხლის გარდა,
აქ ვინ გაარჩევს
წითელს და ყვითელს,
აქ ვინ გაარჩევს
შავისგან მართალს".
(ალიო მაშაშვილი—„მერეხი").

აქ რევოლიუცია თითქმის ბრმა სტიქიად არის წარმოდგენილი, რაიც, რა თქმა უნდა მართალი არ არის და რასაც ეხლა ა. მაშაშვილის შემოქმედებაში ადგილი აღარ აქვს. მან ჩვენთან ერთად, ეხლა კარგად იცის, რომ რევოლიუციას საკუთარი ალგებრა აქვს და, რომ ოქტომბერში კარგი ბოლშევიკისათვის „წითელი" და „ყვითელის" გარჩევა ძნელი არ იყო.

არის კიდევ ერთი თავისებურება პროლეტარული მწერლების მიერ რევოლიუციის ათვისებაში. ეს არის რევოლიუციის **კოსმიური ათვისება.** ასეთ ათვისებას უმთავრესად ს. ეულის, პ. სამსონიძის, ი. ვაკელის და სხვ. პოეზიაში ვხვდებით. „კოსმიური ათვისება" ჩვენ იმიტომ დავარქვით, რომ პოეტები ხშირად კოსმიურ მისტიკაში ვარდებოდენ, ჩვენი კონკრეტიული „მიწიერი" რევოლიუციის მოცემისას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *
*

ჩვენი დახასიათება ოქტომბრისა ქართულ მწერლობაში იქნებოდა ცალმხრივი, თუ ოქტომბრის რევოლიუციის და ქართულ მწერალთა ძველი თაობის კონფლიქტის მესამე სტადიას, არ განვიხილავდით.

**ოქტომბრის რევოლიუციის და ქართული მწერლობის ძველ თაობათა კონფლიქტის მესამე სტადია, ამ კონფლიქტის ფორმალური და ნაწილობრივ ფაქტიური ლიკვიდაციით ხასიათდება.**

ამ სტადიის დაწყების ოფიციალური დატაა 1925 წელს შემდგარი საქართველოს მწერალთა ყრილობიდან, მაგრამ ფაქტიურად იგი დაიწყო უფრო ადრე დაახლოებით **„ახალი კავკასიონის“** გამოსვლის დროიდან, თუმცა ეს ჟურნალი არ იყო თანამგზავრული.

ქართველ მწერალთა თანამგზავრული გადახალისება დაიწყო მაშინ, როდესაც ჟურნალ **„მნათობში“** იბეჭდებოდა **გალ. ტაბიძე** თავისი „ჯონ-რიდით“, **მიხ. ჯავახიშვილი** თავისი „ჯაყოს ხიზნებით“, **სანდრო შანშიაშვილი** თავისი „ამბოხარით“, **დ. შენგელაია** „ჯავშნოსანი მატარებელი“-თ, **ს. ჩიქოვანი** და **ნ. ჩაჩავა** თავიანთი დეკლარატიული ლექსებით, **კ. ჭიჭინაძე**—თავისი „ორიოდე სიტყვით“, **გიორგი ქუჩიშვილი** თავისი ახალი, უკვე პროლეტარული ლექსებით და სხვ. ეს იყო საერთოდ ცდები, ნახევრად მხატვრული, ნახევრად დეკლარატიული, ქართველი მწერლობის ძველი თაობის მოახლოვებისა ჩვენი რევოლიუციისადმი, როდესაც გ. ტაბიძემ სთქვა:

> დავდექით იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი,
> ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს ჩვენ პოეტები
> საქართველოსი—

ეს უკვე სინამდვილეს შეეფერებოდა ქართველ მწერალთა ძველი თაობის განსაზღვრული ნაწილისათვის.

1925 წელს მომხდარ მწერალთა ყრილობაზე ქართველმა მწერლობამ მთლიანად, ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი სდგება ოქტომბრის რევოლიუციის ნიადაგზე.

ამ მწერალთა ყრილობის შემდეგ ჩვენ შევედით, მწერლობაში კლასთა ბრძოლის სულ ახალ სტადიაში. აღარ არსებობს აშკარად და პოლიტიკურად ანტისაბჭოთა პარტიების დამხმარე მხატვრული მწერლობა. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, როგორც ამას აღნიშნავს პარტიის ცეკას რეზოლიუცია მხატვრულ ლიტერატურაზე, მწერლობაში კლასთა ბრძოლის მოსპობას. **ჩვენში მოისპო აშკარა ანტისაბჭოთა გაერთიანებული ლიტერატურული ფრონტი, მაგრამ ძალაში რჩება და მოქმედობს პროლეტარული მწერლობის მოპირდაპირე მხატვრული მწერლობა**. გამომდინარე ამიდან, ჩვენ უნდა მოველოდეთ პოლიტიკურ რეციდივებსაც და დაბრუნებებს. ყოველ შემთხვევაში, ერთი აშკარაა: საბჭოთა ხელისუფლების მიერ, საქართველოს ისტორიაში ჯერ არ ნახული პრაქტიკული საქმიანობა-აღმშენებლობით და მტკიცე რევოლიუციონური ტაქტიკით **ანტისაბჭოთა ლიტერატურული ფრონტი განიარაღებულია** და დღეს ლიტერატურული რეაქციის ძალები ნეიტრალიზაცია ქმნილია.

ჟურნალი **„ქართული მწერლობა“** ქართველ მწერალთა პოლიტიკურ-დეკლარატიული დაპირებების პრაქტიკულ-მხატვრული „განაღდებისთვის“ იყო მოწოდებული, ეს უკანასკნელი ამოცანა მას არ შეუსრულებია.

ვნახოთ, რა იქნება მომავალში?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჟღენტი

# ხელოვნება და ოქტომბერი

პროლეტარული რევოლიუციის ათი წლის თავზე საკმაოდ ნათელია და საგრძნობი ის გარემოება, რომ ოქტომბრის ტრანსფორმატორული ბუნება სრულიად არ თავსდება მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების ჩარჩოებში. კაცობრიობის ისტორიაში ოქტომბერი პირველი რევოლიუციაა, რომელიც თანაბარი ინტენსივობით შეიჭრა სულიერი და მატერიალური კულტურის ყველა სფეროებში და სოციალური ორგანიზმის ყოველი უჯრედი, ადამიანთა ურთიერთობის ყოველი დეტალი თავის გარდამტეხ ზეგავლენას დაუმორჩილა. ამიტომ სადღესასწაულო გრძნობათა გვერდით ჩვენს წინ სდგება გარკვეული ვალდებულება: მთლიანად გაშუქდეს ის დიდი მონაპოვარის ყოველი კუთხე, რომელსაც, როგორც გარკვეულ ისტორიულ ფაქტს, მართალია, თავისი გეოგრაფიული და დროული ლოკალობა გააჩნია, მაგრამ თავისი მნიშვნელობით უაღრესათ საკაცობრიო და ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენს. აქ საქმე გვაქვს თითქმის დაუძლეველ სიძნელესთან: რევოლიუციის ათი წელი სრულიად არ ნიშნავს ჩვეულებრივ კალენდარულ წლებს. ჩვენი დროის შინაგანი რიტმიკა—როგორც ამას მართებულად სწერს გეორგ ზიმმელი—ისეთი დინამიურობით ვითარდება, რომ უფრო და უფრო მცირე ხდება სოციალურ ცვალებადობათა პერიოდები. თუ ეს მართალია მთელი თანამედროვეობის მიმართ საერთოდ—მით უფრო ცხადია ეს გარემოება საბჭოთა ქვეყნების კულტურულ-სოციალურ განვითარების ტემპის შესახებ. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ თითოეული წელი პროლეტარული რევოლიუციისა შემცველი ფაქტების სირთულითა და მრავალფეროვნებით „გადაუჭარბებლად შეედავება საუკუნეებს ისტორიას იმ ეტაპებიდან, როცა კაცობრიობის სულიერი და მატერიალური კულტურა ნორმალური ევოლიუციის გზით მიარღვევდა თავისი განვითარების ფაერვატერს. მაგრამ არის კიდევ მეორე—არანაკლებ დაუძლეველი სიძნელე. ფაქტების სწორი შეფასებისათვის საჭიროა განდგომა მათგან და ანალიტიური ხედვა. ჩვენ კი მთელი არსებით დაკავშირებული ვართ ოქტომბრის ეპოპეიასთან. ჩვენ ფიზიკურად განვიცადეთ ჩვენი დროის სოციალური კატაკლიზმების ყოველი მომენტი. ჩვენი ფსიქიური კონსტიტუცია მთლიანად გამომუშავდა ოქტომბრის მდინარებაში და ორგანიულად შეეთავსა მას. ამიტომ ისტორია ოქტომბერზე—უფრო მომავალ თაობათა საქმეა, რადგან ჩვენი თაობა ამ დინამიურ პროცესის ორბიტში ორგანიული მონაწილეობით უფრო პრაქტიკოსია რევოლიუციონური თანამედროვეობისა, ვიდრე მისი ისტორიკოსი. მით უფრო ნაადრევია ცდა ოქტომბრის

ნიადაგზე აღმოცენებულ ხელოვნების დასრულებული ანალიზის წარმოადგენს. ახალი ხელოვნება ჯერ კიდევ ფორმაციისა და ყალიბობის პროცესშია; ჩვენ მხოლოდ იმ სადემარკაციო ხაზის მიგნება და აღნიშვნა შეგვიძლია, რომლითაც ოქტომბერმა გამიჯნა ძველი და ახალი ხელოვნება. ჩვენს ხელთ მხოლოდ იმ დაწყებითი საფეხურების აღნუსხვის შესაძლებლობაა, საიდანაც მომავლის ხელოვნების ნათელი პერსპექტივა მოსჩანს.

ხელოვნება და ოქტომბერი; ამ საკითხის ორმხრივი დაყენება შეიძლება: ხელოვნების როლი რევოლიუციაში და რევოლიუცია თვით ხელოვნების იმანენტურ არეში.

უკანასკნელმა წლებმა საბოლოოდ გადაჭრა ის უდიდესი პრობლემა, რომელიც ხელოვნებისა და სოციალურ ცხოვრების ურთიერთობის საკითხში მდგომარეობდა. მე-19 საუკუნის ლიტერატურულ აზროვნებაში ამ საკითხში ორი მოწინააღმდეგე თეორია ებრძოდა ერთმანეთს, ორი გარკვეული ფორმულის სახით: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და „ხელოვნება ცხოვრებისათვის“. საკითხის ასეთ დაყენებაშივე სჩანს, **რომ რევოლიუციის წინად არსებული ხელოვნება ეთიშებოდა სოციალური ცხოვრების პროცესს და მისგან განყენებულ კატეგორიას წარმოადგენდა.** აღნიშნული ორი ფორმულა ლოღიკურად ერთი და იმავე დასკვნისაკენ მიდის. ერთი გულისხმობს ხელოვნების სრულ განყენებას, მის აბსოლიუტურ მოსხლეტას სოციალურ გარესკნელისაგან, მეორე ხელოვნების ცხოვრებასთან განსაზღვრულ დანიშნულებრივ ურთიერთობის აპოლოგიას წარმოადგენს. მაგრამ სადაც ურთიერთობაზეა ლაპარაკი, იქ საქმე გვაქვს განცალკავებულ, ერთმანეთს გარეშე არსებულ მოვლენებთან. ამ რიგათ რევოლიუციამდე ხელოვნების თეორიისათვის ხელოვნების სხვაობა სოციალური ცხოვრებისაგან უდავო იყო. და რადგან ხელოვნების თეორია ყოველთვის შენდება ხელოვნების პრაქტიკაზე, ცხადია ხელოვნების და ცხოვრების დაპირისპირების თეორეტიულ აზრს ძველი ხელოვნების ფიქტიური მდგომარეობა ასაზრდოებდა. „მოსაწყენია ცხოვრება, მაგრამ სასიხარულოა ხელოვნება“ შილლერის ამ თქმაში შეიძლება შეთავსდეს მთელი ძველი, ოქტომბრის წინა ესთეტიკა. რასაკვირველია ჩვენ არ ვამბობთ, რომ მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისში მთელი ესთეტიური აზროვნება სრული ერთგვარობით მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ძირითად საკითხში ყველა ესთეტიურ თეორიების თანხმობა თვალსაჩინოა. ფოლკელტის აზრით „მხატვრული ხედვის განსაკუთრებული უპირატესობა სინამდვილისაგან განთავისუფლებაში და მასზე სრულიად უარის თქმაში მდგომარეობს.“ „იზოლიაციის კანონი“-ს ავტორი რიჰარდ გამანი თავის ცნობილ „ესთეტიკა“-ში გარკვევით ამბობს, რომ: „ხელოვნების ნაწარმოები და ესთეტიური განცდა სავსებით დამოუკიდებელია ცხოვრების მოთხოვნილებათაგანო“, რომ „განცდა მაშინ იქნება ესთეტიური, თუ იგი თავისთავშია ჩაკეტილი და თვითდამწოლია“ (самодавлеющее). ისეთი პოზიტური მოაზროვნეც კი, როგორიც ჰერბერტ სპენსერია, თავის წერილებში გიუიოსადმი გარკვევით ამბობდა, რომ „სანამ ადამიანის გონება ხელმძღვანელობს ცხოვრების გაუმჯობესების ინტერესებით, — ადგილი არ აქვს არავითარ ესთეტიურ მგრძნობელობას“-ო. მისი აზრით მშვე-

ნიერების იდეა ეწინააღმდეგება ცხოვრებისათვის საჭიროებისა და [illegible]ლებლობის ცნებებს. შეიძლებოდა დაუსრულებელი ამონაწერების მოყვანა ძველი ესთეტიკის სხვა და სხვა ავტორიტეტებისაგან, მაგრამ ესეც საკმარისია იმ გარემოების ნათელსაყოფად, თუ რა თვალსაზრისით უდგებოდა ძველი აზროვნება ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის პრობლემას. ჩვენ საოცარ არქაიზმათ გვეჩვენება ეს სტრიქონები. ჩვენ გვგონია, რომ საუკუნეები გვაშორებენ ასეთი აზროვნების ისტორიულ პერიოდისაგან. რევოლიუციის ათმა წელმა საკმაოდ დაშალა ასეთი მეტაფიზიკური აზროვნების ატმოსფერა, თუმცა ჩვენს დროშიც საკმაოდ ვგრძნობთ მის ნარჩენებს, როცა ხელოვნების ფუნქციას „ცხოვრების გამშვენიერებას“ ან „ცხოვრების ასახვას“ თეორიებით განმარტავენ ხოლმე. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ თეორეტიულ აზრს ხელოვნების პრაქტიკა ასაზრდოებდა. ავილოთ მთელი დეკადენტური ხელოვნება; რა არის ის თუ არ ცხოვრებიდან გაქცევის, თავდავიწყების და განდგომის უებარი საშუალება? პლეხანოვი თავის შრომაში „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“ ამართლებს ამ ლტოლვას ცხოვრებისაგან. ეს მართალია მართალია იმდენად, რამდენადაც კაპიტალისტურ საზოგადოებრივობის სოციალურმა ბუნებამ გარიყა ხელოვნება, და პოეტები და მხატვრები აქ არაფერ შუაშია. ცხადია ძველი საზოგადოებრივობის ორგანიზმში შედუღებას, ხელოვნებისათვის მისგან გაქცევა სჯობდა, როგორც მისი უარყოფის თუნდაც პასიური ფორმა. **ბურჟუაზიული საზოგადოებრივობა არ იძლევა ჰარმონიული შემოქმედების პირობებს სოციალურ გარესკნელთან დაკავშირებით.** ამაშია ხელოვნების ცხოვრებიდან გაქცევის ისტორიული ახსნაც და გამართლებაც.

ავილოთ მეორე დიდი მიმართულება ძველი ხელოვნებიდან: ე. წ. რეალისტური ხელოვნება. ეს ხომ ილლიუზიების ხელოვნებაა. კონრად ლანგეს ტერმინით რომ ვსთქვათ, ეს ხომ „შეგნებული თვითმოტყუების“ ხელოვნებაა, რომელიც მართლა ცხოვრების სუროგატს იძლეოდა თავისი ამსახველობითი კონცეპციის ნიადაგზე. რასაკვირველია ამასაც აქვს თავისი სოციოლოგიური განპირობება. კაპიტალისტურ ურთიერთობაში—სოციალური ცხოვრების დაშლისა და ორგანიულად დარღვევის პირობებში—რეალისტური ხელოვნება ქმნიდა ილლიუზიას ცხოვრების მთლიანობასა და მასთან ინდივიდუმის დარღვეულ კავშირის აღდგენისათვის. ესთეტიური ფეტიშიზმი: თავდავიწყებისა და ცხოვრებიდან გაქცევის ხელოვნება; ამსახველობა და ცხოვრების სუროგატი—აი ის საერთო ხაზები, რომელშიც ძველი ხელოვნების ორგანიზმი ბრუნავდა. რეაქცია ძველი ხელოვნების წინააღმდეგ ევროპაშივე დაიწყო. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მთელი ევროპის ხელოვნება ძიებათა დიდ ლაბორატორიას წარმოადგენს, რომელშიც ახალი ხელოვნების მშენებლობის მეთოდები მუშავდება. მაგრამ რაგინდ ფასეული არ უნდა იყოს ევროპის ახალი ხელოვნების აღმოჩენები მომავლის ხელოვნებისათვის—მაინც ევროპა არ იძლევა ხელოვნების ორგანიული გარდატეხის, ძირითადი რევოლიუციის შესაძლებლობას. მართალია ხელოვნებას აქვს განვითარების საკუთარი კანონები, მას აქვს თავისი იმანენტური სამყარო, მაგრამ მისი შინაგანი ევოლიუცია და განვითარება მჭიდრო კავშირში იმყო-

ფება საზოგადოებრივ ცხოვრების მდინარებასთან. ეს იმიტომ, რომ როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ბუხარინი, ხელოვნება, ისე როგორც ყოველი სხვა სფერო ადამიანთა შემოქმედებისა, სოციალური ცხოვრების უშუალო პროდუქტია. იგი შენდება სოციალურ ფსიქიკაზე და უეჭველია მისი არქიტექტონიკა და დინამიკა კაუზალურათ უკავშირდება უკანასკნელს. აქედან ცხადია, თუ რატომ არის შეუძლებელი თანამედროვე დასავლეთში ხელოვნების ოქტომბერი.

ახალი ხელოვნება ძველი სოციალ-პოლიტიკური სისტემის საზოგადოებრივ სხეულში ვერ განვითარდება. ახალი ხელოვნება დასავლეთში — მებრძოლი პოლიუსია, და ისეთივე ანტინომიის მაჩვენებელი კულტურის სფეროში, როგორსაც ადგილი აქვს მთელს თანამედროვე ცხოვრებაში — ცნობილია, რომ ბრძოლა ახალ ხელოვნებისათვის იტალიანური ფუტურიზმით დაიწყო — ვერავინ უარყოფს იმ დიდ დამსახურებას, რომელიც მარინეტის მანიფესტებს და მის ნიადაგზე შექმნილ ლიტერატურულ მოძრაობას ეკუთვნის თანამედროვე რევოლიუციონურ ხელოვნების ფორმაციაში. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ იტალეთის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა თავისებურებებმა ის პროგრესიული ლიტერატურული მოძრაობა სოციალურ რეაქციას დაუკავშირა და იგი თანამედროვე ფაშიზმის მასაზრდოებელ იდეოლოგიურ კონცეპციის ელემენტად აქცია — ფრანგული კუბიზმი და სუპრემატიზმი, ხსნიან მეთოდოლოგიურ გზებს ძველი ხელოვნების დაშლისა და ახალის ორგანიზაციისათვის — მაგრამ მისი გარესკნელის კონსერვატიულობა ამ ფალრესად პროგრესიულ კულტურულ მოვლენებს სოციალურ ცხოვრებისაგან განყენებულ, აბსტრაქტიულ ძიებათა კატეგორიის ხარისხში ათავსებს. დაახლოვებით იგივე ითქმის აპოლინერის შკოლაზე, რომლის უნიჭიერესმა წარმომადგენელმაც რელიგიოზურ მისტიკის სფეროში დაფარა თავისი მისია, როგორც პოეზიის რევოლიუციონერისა. არის რევოლიუციონური ცდები გერმანეთის ხელოვნებაშიც. უახლოესი დროის გერმანული მხატვრობა, დრამა, პოეზია იძლევა მთელ რიგ ექსპერიმენტებს მარცხნივ — წარმართვისაკენ. მაგრამ განა ნათელი არ არის, რომ გერმანული ექსპრესსიონიზმი, (რომელსაც ეკუთვნიან მემარცხენე გერმანელი მწერლები: ბეხერი, ცვეიგი, ჰაზენკლევერი და სხ. და სხ.) თავისი სოციალური და იდეოლოგიური ბუნებით ვერ მოგვცემს ხელოვნების ოქტომბერს?! დასავლეთის ხელოვნება — მისი პროგრესიული პოზიციებიც კი — დაპყრობილია კონტინენტის სოციალ-პოლიტიკური სიტუაციის ორბიტში და ამ უკანასკნელის გარღვევისაგან დამოკიდებულია ნამდვილი რევოლიუცია დასავლეთის ხელოვნებაში. ამ დებულების სისწორე ექსპერიმენტალურად დამტკიცდა უკანასკნელი წლების სოციალური კატასტროფების პირობებში. მსოფლიო ომმა უეცრად გამოამჟღავნა ევროპის ხელოვნების ერთიანობა კაპიტალისტურ მსოფლიოსთან. საკმაო იყო პირველი სამხედრო ბარაბანის ხმა, საკმაო იყო პირველი ყუმბარის გავარდნა, რომ მთელი ევროპის ხელოვნება ერთბაშათ შეეხიზნა ყაზარმებსა და ბარრიკადებს და თავიანთი ქვეყნების იმპერიალისტურ ინსტიქტებით აბობოქრდა. გერმანეთის, საფრანგეთის, იტალიის, მეფის რუსეთის და სხვა ქვეყნების პოეტები ერთმანეთს აჰარბებდენ მილიტარისტულ კაკაფონიაში. მსოფლიო ომის ისტორიას არ დაავიწყდება კლოდელის, სიუარე-

სის, ბუცცის, დემელის, ლისაუერის, გოროდეცკის და სხვათა სახელები, რომელთა ლექსები და პოემები მხრჩოლავი გაზებისა და შრაპნელების ქუხილით ევლინებოდა მეომარ ქვეყნების ცეხგაუზებს. მარსელ მარტინემ, (პირველი პოეტია ევროპაში, რომელმაც პირველმა უძღვნა ლექსი საბჭოთა რუსეთს) პირველმა აღიმაღლა ხმა ამ ლიტერატურულ გაბოროტების წინააღმდეგ და მისი გამოხმაურება კარლ ოტტენთან (გერმანელი თანამედროვე პოეტი) იყო დასაწყისი ევროპის ახალი ლიტერატურული „გუმანიზმისა“ და „ადამიანობის ძიებისა“. მას შემდეგ ევროპის ახალ პოეზიაში ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ პოეტებს, რომელთა პოეზია სოციალური და პოლიტიკური რადიკალიზმით არის ანთებული: ანრი გილბო, ჟუვი, მაქს ბარტელი, ჰაზენკლეველი, ბეხერი და სხ. მრავალი. ოქტომბრის უშუალო ზეგავლენა მათ პოეტურ შთაგონებაზე უდავოა და ცხადი, მაგრამ სწორეთ მათი პოეზია საუკეთესო ილლიუსტრაციაა იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენად ძნელია კაპიტალისტურ ევროპის წიაღში რევოლიუციონური ხელოვნების აღმოცენება და განვითარება. მთელი ამ მსჯელობიდან ბუნებრივათ გამომდინარეობს, რომ ხელოვნების ძირითადი გარდატეხა მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის ნიადაგზე არის შესაძლებელი. ძველი საზოგადოებრივობის დაშლა და ტრანსფორმაცია ლოღიკური პირობაა ახალი ხელოვნების განვითარებისათვის. აქ არის გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიც მომწყვდეულია ევროპის ხელოვნება. ეს თეორეტიული აზრი პრაქტიკულად გაამართლა პროლეტარული რევოლიუციის ათი წლის მხატვრულმა მშენებლობამ. მართალი გამოდგა რიჰარდ ვაგნერი, რომელიც 1849 წელს სწერდა: „ჭეშმარიტი ხელოვნება მხოლოდ ჩვენი დიდი სოციალური მოძრაობის მხრებზე შეიძლება ამაღლდეს ცივილიზაციური ბარბაროსობის მდგომარეობიდან—თავის ღირსეულ სიმაღლემდე, რადგან ამ ორს საერთო მიზანი აქვსთ“.. ახალი ხელოვნების ფორმაცია, მისი განვითარების და დამკვიდრების შესაძლებლობა ისტორიამ იმ გეოგრაფიულ არეში მოათავსა, სადაც ახალი სოციალური ურთიერთობის, მომავლის საზოგადოებრივობის მშენებლობა დაიწყო. ჩვენ ვლაპარაკობთ საბჭოთა ქვეყნების შესახებ და ამით სრულიადაც არ ვცდილობთ ვამტკიცოთ, რომ მომავლის ხელოვნების საფუძვლები რომელიმე ნაციონალური კულტურის რკალში იყოს მომწყვდეული. როგორც თვით ოქტომბერი შედეგია იმ სოციალ-პოლიტიკური ანტინომებისა, რომელიც მთელი თანამედროვე კულტურული კაცობრიობის სოციალურ ორგანიზმში ხანგრძლივათ ვითარდებოდა, ისე ხელოვნების რევოლიუციაც ძველი და ახალი კულტურული ტენდენციების ისეთი დაპირისპირების რეფლექსს წარმოადგენს, რომელიც აგრეთვე საკაცობრიო მაშტაბით სწარმოებს. და სწორედ ისევე, როგორც ოქტომბრის რევოლიუცია თავისი მნიშვნელობით საკაცობრიო მოვლენაა, ახალი ხელოვნებაც, როგორც პროლეტარულ რევოლიუციის ორგანიული ნაწილი, ახალ საკაცობრიო კულტურის პირველ საფეხურებს წარმოადგენს.

ოქტომბერმა მოსპო ყველა ის პოსტულატები, რომლებზედაც ძველი ხელოვნება შენდებოდა. ის ახალი, ჯანსაღი სოცილური ფსიქიკა, რომელიც გამომუშავდა ახალი საზოგადოებრივობისათვის ბრძოლისა და მისი მშენებლობის პრო-

ცესში, ცხადია ველარ შეითავსებდა მირაჟებისა და ფანტასმაგორიის ხელოვნებას. რევოლიუციამ დააყენა პრაქტიკული დირექტივა: მოქმედებისა და შემოქმედების მთელი ენერგიის წარმართვა ახალი ცხოვრების დამკვიდრე[illegible]გებია, ასეთ პირობებში ცხოვრებიდან გაქცევის და ჰაშიშის ხელოვნებას აღარ დარჩებოდა არსებობის სოციალური განპირობება. სწორეთ ამით აიხსნება დეკადენტური ხელოვნების უეცარი ლიკვიდაციაა საბჭოთა ქვეყნებში. მეშჩანურრომანტიული განწყობილების დაშლა და მისი შეცვლა ჯანსაღი, მებრძოლი ფსიხიკით იყო უშუალო მიზეზი იმ ფაქტისა, რომ მთელი სიმბოლისტური ხელოვნება რევოლიუციისაგან შინაურ თუ გარეშე ემიგრაციის მდგომარეობაში მოექცა. ოქტომბერმა შექმნა ახალი სოციალური ყოფის მშენებლობის ორგანიული პროცესი. მის დინამიკაში ხელოვანს არ რჩება შესაძლებლობა თავისი შემოქმედება ცხოვრების სარკეთ ან ფოტოგრაფიათ აქციოს, რადგან ასახვისათვის საჭიროა ობიექტის სტატიკა და ამსახველის დგომა მის გარეშე. ასე კვდება ტრადიციული რეალიზმი ხელოვნებაში თავისი ყველა ვარიაციებით. მას აღარც რაიმე სოციალური გამართლება რჩება, რადგან რევოლიუციონურ თანამედროვეობაში ადამიანი ორგანიულად შეთავსებულია ცხოვრების მშენებლობის უალრესათ კოლექტივისტურ პროცესთან და მაშასადამე ცხოვრების ილიუზია და მისი სუროგატი ყოველგვარ საჭიროების გარეშეა.

ამ რიგად რევოლუციამ დაშალა ხელოვნების—ცხოვრებისაგან განდგომის ყველა ობიექტიური პირობები და ახალი ხელოვნების უმთავრეს პრინციპს—სოციალურ პროცესთან ორგანიული შეთავსება, საზოგადოებრივად სასარგებლო უტალიტარული შემოქმედება წარმოადგენს. ყალიბდება ხელოვნების ახალი გაგება. მისი სოციალური ფუნქციის, მისი დანიშნულების ახალი კონცეპცია. ჰაშიშისა და ამსახველობის მაგიერ ხელოვნება იქცევა რეალურ მხატვრული ნივთების მშენებლობათ. ახალი ყოფის მშენებლობის პროცესში ხელოვნება უნდა მონაწილეობდეს ახალი სოციალური ფსიხიკის ორგანიზატორის, ახალი ადამიანის ემოციონალურ ცხოვრების კონსტრუქტორის როლში. ხელოვნებამ უნდა შესძლოს უტალიტარულ, მოსახმარი პროდუქცია, რადგან რევოლიუციით შექმნილ ობიექტიურ პირობებში სხვა „reson d'aitre"—მას აღარ რჩება. აქ ცხადი ხდება ის ძირითადი, პრინციპიალური ზღვარი, რომლითაც ემიჯნება ახალი შემოქმედება წარსულის მემკვიდრეობას—ახალი იდეოლოგიის, განწყობილებისა და დანიშნულების ხაზებში წარმართული ხელოვნება ცხადია ველარ შეითავსებს წარსულის ესთეტიურ ტრადიციებს და ამიტომ ახალი ხელოვნების მშენებლობა სრულიად განსხვავებული კანონებითა და მეთოდებით ხდება. **ხელოვნების რევოლიუცია იწყება ძველი მხატვრული ფორმების დაშლით და ახალი მშენებლობითი კანონების აღმოჩენით.** რადგან ახალ სოციალურ განწყობილებას მის ნიადაგზე აღმოცენებულ ხელოვნებას დანიშნულებრივ კონცეპციას სრულიად აღარ ეგუება წარსულის ესთეტიური მემკვიდრეობა.

აქ უნდა განვასხვაოთ რევოლიუციონური ხელოვნება და ხელოვნების რევოლიუცია. შეიძლება თერმინოლოგიურათ ასეთი დაყოფა არ იყოს სავსებით სწორი და იგი ოდნავ უხერხულობასაც შეიცავდეს, მაგრამ საგნობრივი განმარ-

ტება გამოარკვევს ამ განსხვავების აზრს. რევოლიუციონურ ხელოვნებაში მე ვგულისხმობ იმ ნაწილს ძველი შემოქმედების, რომელიც თავისი სოციალური იდეოლოგიით მებრძოლი რადიკალიზმით იყო ანთებული და მასსების გამოფხიზლების, მისი ამხედრების, ამოძრავების ფუნქციას ასრულებდა. რევოლიუციის ისტორია გვერდს ვერ აუვლის პოეზიის, თეატრის, მხატვრობის, მუსიკის და სხვა ხელოვნებათა დამსახურებას—რევოლიუციონურ ენტუზიაზმის და ბრძოლის სტიქიის გაღვივების საქმეში. ჩვენ არ დაგვჭირდება სახელების ჩამოთვლა. მათი როლი მიმდინარე რევოლიუციის მომზადებასა და გამარჯვებაში უდავოა და უეჭველი. თუნდაც სამხედრო კომუნიზმის პერიოდიც რომ ავიღოთ, ჩვენ დავრწმუნდებით, თუ რამდენათ დიდი შეცდომაა, როცა ამბობენ, თითქოს ზარბაზნების ქუხილის დროს პოეტური შთაგონება უნდა სდუმდეს. როგორც იმპერიალისტურ ომის დროს პოეზია არ დაუფრთხა ზარბაზნების ხმას და პირიქით თავისრთულად შეეთავსა მის კაკაფონიას, სწორედ ისევე სამოქალაქო ომის ცეცხლსა და კვამლში გაეხვია მთელი რევოლიუციონური ხელოვნება როგორც კლასიური ბრძოლის საუკეთესო იარაღი. პოეზია გამოვიდა კლასიური თავგანწირვის ტრიბუნის როლში. იგი აღელვებდა და ამოძრავებდა მებრძოლ მილიონებს, იგი დითირამბებს უმღეროდა მუშათა კლასის პოლიტიკური გამარჯვების ყოველ მომენტს და ამით ახალი გამარჯვებისაკენ სწრაფვის იმპულსსა და ენტუზიაზმს ქმნიდა.

ყველაფერი ეს ჩვენი მეხსიერებისათვის ჯერ კიდევ ცოცხალი ფაქტებია და ასე ცხოველი მნიშვნელობით დარჩებიან ეს ფაქტები მუშათა კლასიური გამარჯვების ისტორიაში. მაგრამ მთელი ეს ხელოვნება, მიმართული ძველი სამყაროს წინააღმდეგ მოქცეულია მაინც ძველი ხელოვნების რკალში, რადგან იგი ძველი ესთეტიური ტრადიციებით შენდებოდა მთლიანად. ავიღოთ მაგალითად დემიან ბედნი—ეს ყველაზე პოპულიარული რევოლიუციონერი-მწერალი. ვინ იტყვის მისი დამსახურებისა და მნიშვნელობის წინააღმდეგ რევოლიუციის წინაშე, მაგრამ განა ცხადი არ არის ის გარემოება, რომ დემიან ბედნი სრულიადაც ვერ ახდენს ძველი მხატვრული ტრადიციების უშუალო დაშლას და იგი თვითონ სავსებით მოქცეულია ამ ტრადიციებში? ტროცკი სავსებით მართალი იყო, როცა შენიშნა, რომ დემიან ბედნი მწერლობაში არავითარ სკოლას არ ქმნის და იგი კრილოვის სკოლის ერთგული გამგრძელებელიაო. ხელოვნებას, როგორც ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა სხვა სფეროს, უეჭველად აქვს თავისი საკუთარი, იმანენტური სხეული; მას აქვს განვითარების საკუთარი გზა და კანონები, რასაკვირველია მჭიდროთ დაკავშირებული სოციალურ გარემოსთან. და სწორეთ ამიტომ ოქტომბერი, როგორც ცხოვრების მთლიანი გარდატეხის ფაქტი, ბუნებრივათ გულისხმობს რევოლიუციის ხელოვნების ამ იმანენტურ სამყაროში მისი სპეციფიური კანონების ტრანსფორმაციას.—ეს იქნება **რევოლიუცია ხელოვნებაში**, რომელიც სრულიად არ განისაზღვრება რევოლიუციაზე ლექსების წერით, საერთოდ რევოლიუციონური, სოციალური თემატიკით.

რევოლიუცია შევიდა აღმშენებლობით სტადიაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ცხოვრების ყოველ სფეროში თანდათანობით თავდება წარსულის ლიკვიდაციის

პროცესი და ყალიბდება საფუძვლები ახალი საზოგადოებრივობისათვის. ხელოვნებაში ეს პროცესი ანალოგიურად მიმდინარეობს მემკვიდრეობის [illegible]ით და ახალი ესთეტიური ფორმების ყალიბობის გზით.

ბიბლიოთეკა

შეიძლება თუ არა ახალი ხელოვნების ორგანიზაცია ძველი მხატვრული ტრადიციების გაზიარებით და მათი გადამუშავებით ახალი ყოფის ფონზე? ამ საკითხში ერთი აზრი არ არსებობს. ჩვენ კი გარკვევით ვამტკიცებთ, რომ ახალი ხელოვნება მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობისაგან სრული განთავისუფლებისა და თავდაღწევის ნიადაგზე შენდება.

„18 ბრიუმერში" მარქსი ამ საკითხს შემდეგნაირად უპასუხებს: „მე-19 საუკუნის სოციალური რევოლიუცია თავის პოეზიას ამოსწურავს არა წარსულიდან, არამედ მხოლოდ მომავლიდან; იგი ვერც კი დაიწყება, ვიდრე ალმოფხვრილი არ იქნება წარსულის ყველა ცრუმორწმუნეობანი. წინა რევოლიუციები საჭიროებდენ დიდ ისტორიულ მოგონებებს, რათა თავი მოეტყუებიათ თავისი ნამდვილი შინაარსის შესახებ. მე-19 საუკუნის რევოლიუციამ კი—თავისი ნამდვილი შინაარსის მოსანახავად მკვდრებს თავიანთი ნეშტების დამარხვა უნდა აიძულოს". ცხადია ამ ციტატაში მე-19 საუკუნის რევოლიუციის მაგიერ ოქტომბრის რევოლიუცია უნდა ჩავსვათ და ჩვენ მივიღებთ გარკვეულ დებულებას რომ ჩვენი რევოლიუციის შესაფარდი პოეზია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარსულის მემკვიდრეობაზე აშენდეს, რომ ახალი ხელოვნების იდეა ძირეულად ეწინააღმდეგება პასეიზმისა და უკანმზერის—რესტავრაციის შესაძლებლობებს. მართლაც საკმაოა ანალიტიური თვალით შეხედო საბჭოთა ხელოვნების სინამდვილეს, რომ ყოველგვარ წინასწარ წარმოდგენათა გარეშე იგრძნო, თუ როგორ წინააღმდეგობაში და დაპირისპირებაში წარსულის ხელოვნებასთან—მტკიცდება ახალი ესთეტიური კულტურის დაწყებითი საფეხურები. როცა ვლაპარაკობთ საბჭოთა ხელოვნების შესახებ, საჭიროა განვმარტოთ, რომ საბჭოთა მოსახლეობის ეროვნული მრავალფეროვანება—ბუნებრივათ ეწინააღმდეგება ერთიან საბჭოთა ხელოვნების ცნებას. ხელოვნებაში უფრო მეტად, ვიდრე კულტურის სხვა რომელიმე სფეროში, ეროვნულ შემოქმედებით სპეციფიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს მომენტი ნათლად იჩენს თავს ხელოვნების მორფოლოგიურ ანალიზის დროს. მაგრამ ამ წერილის ფარგლებში თემა დაყენებულია მარტოოდენ სოციოლოგიურ სიბრტყეზე, ჩვენ აქ ვცდილობთ გამოვარკვიოთ ოქტომბრის ნიადაგზე აღმოცენებულ ხელოვნების ზოგად-პრინციპიალური საფუძვლები—ახალ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. და რადგან საბჭოთა ქვეყნების სოციალ-პოლიტიკური კონიუნქტურა დაახლოებით ერთი და იგივეა, ამიტომ ამ წერილს ფარგლებში თავისუფლად შეიძლება გვერდი ავუაროთ ცალკე ეროვნებათა ხელოვნების ანალიზს და ილიუსტრაციისათვის მოსკოვის ახალი სახელოვნო ცხოვრება ავიღოთ, რადგან მოსკოვი არის ცენტრი არა მარტო რუსული ხელოვნების, არამედ მთელი მომავალი კულტურისათვის. თუ როგორ გადატყდა ოქტომბრის ზეგავლენა ცალკე ეროვნებათა და კერძოთ ქართულ ხელოვნებაში—ეს დამოუკიდებული თემაა და ამის გამორკვევას სხვა ადგილას და სხვა დროს შევეცდებით.

ზემოთ აღნიშნული იყო რომ ახალი ხელოვნება ყალიბდება ახალი მშენებლობითი კანონებისა და მეთოდების აღმოჩენით, ამ მხრივ უეჭველად დიდ ღირებულებას წარმოადგენს დასავლეთის მემარცხენე ხელოვნების მიღწევები და მათით საკმაოდსარგებლობს ახლად მოყალიბე საბჭოთა ესთეტიურიმ შენებლობა. წერილის დასაწყისში ჩვენ ვსთქვით, რომ ევროპაში ხელოვნების ოქტომბერი არ სჩანს, მაგრამ ევროპის პროგრესიული ხელოვნების მეთოდიური მხარე, გადამუშავებული ჩვენი ქვეყნების სოციალურ თავისებურებათა ნიადაგზე—უეჭველად ამზადებენ ხელოვნების ჭეშმარიტ ოქტომბერს. ის ფაქტი, რომ ფრანგი სიურრეალისტები თანამშრომლობენ „ლუმანიტე“-ში; ის ფაქტი, რომ ავსტრიაში თანაბრათ აკრძალეს კომუნისტური ლიტერატურა და კუბისტური რეპროდუქციები, იმის ცოცხალი ილლიუსტრაციაა რომ თანამედროვე დასავლეთი იძლევა ხელოვნების რევოლიუციის ელემენტებს, რომ მომავლის ხელოვნების განვითარება საბჭოთა ტერიტორიით არ შემოიფარგლება.

ჩვენ უკვე შეგვიძლია გამოვიყვანოთ კატეგორიული დასკვნა, რომ ოქტომბერი, როგორც მთლიანი რევოლიუციონური როცესი შეიცავს და იტევს ხელოვნების ძირითად რევოლიუციის მსვლელობასაც. უკვე გარკვეულია მიჯნა ძველ ხელოვნებასთან და მოხაზულია ის დაწყებითი საფეხურები, რომელზედაც მომავლის ხელოვნების გრანდიოზული შენობა უნდა აღიმართოს. არის ხალხი, რომლებიც ვერ ამჩნევენ ამას; რუსულ კრიტიკაში ხშირად გაისმის ხმა, რომ ხელოვნება დეკადანსშია, რომ რევოლიუციონური თანამედროვეობა არ იძლევა დიდ ესთეტიურ ღირებულებებს. ასეთი მოაზროვნეები საქართველოსაც მოეპოება. ძველი ხელოვნების კრიზისი, დეკადანსი, სიკვდილი—რა თქმა უნდა ფაქტია. მაგრამ ეს ოდნავადაც არ მოასწავებს საერთოდ ხელოვნების დეკადანსს. პირიქით ეს აუცილებელი პირობაა ახალი ხელოვნების აღმოცენებისათვის, რომლის დიდი ილლიუსტრაცია უკვე გვაქვს თანამედროვე მემარცხენე ხელოვნების სახით. „წმინდა ხელოვნების“ პატრიოტები—„ესთეტიური ფეტიშიზმის“ აპოლოგეტები ვერ იგრძნობენ და ვერ გაიგებენ ამას. ისინი დაჟინებით გაიმეორებენ მაქს ჰულვერის სიტყვებს: „აღარ დაბრუნდება სხვა—ცოცხალი ქვეყანა, რომელიც სამუდამოთ დაიმარხა ღვთიურ გამოხატულებათა აჩრდილებში“-ო... მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს მხოლოდ წარსულის განწირული დატირებაა. სრულიად ბუნებრივი და მართებული დატირება. იგი მართლაც აღარასოდეს აღარ დაბრუნდება და იგი მართლაც სამუდამოდ დამარხულია. მაგრამ მის მაგიერ ჩვენს თვალწინ მტკიცდება და ვითარდება ახალი შემოქმედების, ახალი ხელოვნების მაღალი და საღი კულტურა, როგორც ამომავალი საზოგადოებრიობის ერთ-ერთი პოსტულატი.

26 ოქტომბერი 1927 წ.
ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. დანელია.

# რევოლიუცია და სკოლა

უკვე ათი წელი შესრულდა, რაც ოქტომბრის რევოლიუციამ გაიმარჯვა რუსეთში, რომ მან დიდი ცვლილება გამოიწვია განათლების სისტემაში, დღეს ყველა ხედავს, მაგრამ თუ ვიკითხეთ, რა არის აზრი ამ ცვლილებისა, საეჭვოა, რომ ბევრმა მოგვცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი. უმრავლესობა ამჩნევს მხოლოდ ხედაპირს ცვლილებისას. მაგრამ ეს არ კმარა. ვისაც სურს სწორად შეაფასოს ის დიდი გარდატეხა განათლების სისტემაში, რომლის მოწმენი გავხდით რევოლიუციის მეოხებით, ის უნდა გასცილდეს მოვლენათა ზედაპირს და დააკვირდეს იმას, რაც ამ ზედაპირის ქვეშ არის დამალული. ეს კი უკეთესად მოხერხდება მაშინ, როდესაც ის რევოლიუციის მიერ უარყოფილ ძველ სკოლას შეადარებს ახალ სკოლასთან და ამ შედარებას საფუძვლად ნამდვილი სკოლის ცნებას აქცევს.

რა არის ნამდვილი სკოლა წმინდა პედაგოგიური თვალსაზრისით? ნამდვილი სკოლა ის არის, რომელიც სკოლის დანიშნულებას ემსახურება. ეს დანიშნულება კი რაც შეიძლება მეტისათვის რაც შეიძლება უკეთესი სწავლა-აღზრდის მიწოდებაშია. აქ არის სკოლის პედაგოგიური აზრი, ამაშია მისი მაცოცხლებელი არსი. სკოლა იზრდება და ვითარდება, როდესაც ის ამ დანიშნულებას ემსახურება, სკოლა კნინდება და იღუპება, როდესაც ის ამის საწინააღმდეგოდ მიიმართება.

ამ წმინდა პედაგოგიური კრიტერიუმით თუ მივუდექით იმ ცვლილებას, რომელიც გამოიწვია რევოლუციამ განათლების სისტემაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ცვლილება დიდი მოგებაა.—რატომ? იმიტომ, რომ განათლების ძველი სისტემიდან ახალ სისტემაზე გადასვლა არის თავის ტენდენციით ერთსა და იმავე დროს, როგორც რიცხვობრივი, ისე თვისობრივი ზრდა განათლებისა.

რომ რევოლიუციამ გაზარდა და გააფართოვა ის წრე, რომელსაც განათლების სისტემა ეწოდება, ეს საკმაოდ ცნობილია. ძველი სისტემა განათლებისა მხოლოდ სახელით იყო სახალხო: ნამდვილად კი ის იყო მხოლოდ სახელმწიფოებრივი, ვინაიდან სახელმწიფოსა და ხალხს შორის რევოლუციამდის მწვავე ანტაგონიზმი იყო გამეფებული. ყველამ იცის, რომ უხსოვარ ჟამი-

დან რუსეთის მონარქია წარმოადგენდა პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც თავად-აზნაურობის ეკონომიური ბატონობის განმტკიცებას ემსახურებოდა. გასული საუკუნის მიწურულიდან ამ მსხვილ მიწის მესაკუთრე თავად-აზნაურობას გვერდში ამოუდგა მსხვილ ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფი. მაგრამ ამით სახელმწიფოს დამოკიდებულება ხალხთან არსებითად არ შეცვლილა, და ანტაგონიზმი სახელმწიფოსა და ხალხს შორის მხოლოდ გაიზარდა. განათლების სისტემაც ამ ანტაგონიზმზედ იყო აშენებული, და სკოლაც მხოლოდ ამისათვის არსებობდა, რათა გაემაგრებია არსებული წესწყობილება. ის იყო საპრივილეგიო დაწესებულება, რომლის კარები მდაბიო ხალხის მასსებისათვის დაკეტილი იყო. ან სად იყო ძველ რუსეთში იმდენი სასწავლებელი, რომ ტეხნიკურად მაინც შესაძლებელი ყოფილიყო იქ ხალხის შვილების გამოზრდა? სკოლაში სწავლა ძველად პრივილეგია იყო და არა ყველასათვის ერთნაირად მისაწვდომი სიკეთე.

ამ გარემოებით განისაზღვრებოდა თვისებაც იმ სწავლა-აღზრდისა, რომელსაც აწვდიდა ძველი სკოლა თავის ადეპტებს. უმთავრესი მიზანი ამ სკოლისა იყო მოქალაქეთა სოციალური ფილტრაცია: სკოლა იყო იარაღი საზოგადოებრივი შერჩევისა. ის იმისათვის არსებობდა, რომ მოქალაქეთა მასსა გაენაწილებია ორ მოწინააღმდეგე ბანაკად: ერთში შევიდოდენ ისინი, ვისაც მიეცა საშუალება დაესრულებია სკოლის კურსი და მიეღო ამის დამამოწმებელი დიპლომი, რომელიც ძლიერი საწინდარი იყო ყოველგარი წარჩინებისა პირადს ცხოვრებაში; მეორეში კი რჩებოდა უდიპლომო მასსა, უმთავრესად მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი. ამასთან დაკავშირებით დიპლომი იყო უმაღლესი ჯილდო იმისათვის, ვინც ძველად სკოლას ეტანებოდა. ეგოისტური ანგარიში, პირადი კეთილდღეობა—აი რა იყო უმთავრესი მოტივი, რომელსაც მიყავდა ახალგაზრდობა სკოლაში. ძველი ბიუროკრატიული სკოლა იყო ეგოიზმის ქარხანა, რადგან ის იყო ორგანიზაცია საკუთარ თავში ჩაკეტვისა და ხალხის ფართო მასსისაგან მოწყვეტისა. სკოლა იმისათვის არსებობდა, რომ მოსწავლე ყმაწვილი ხალხისაგან მოეგლიჯა და ექცია ის პირადი ჩინოვნიკურ კარიერის კერპთაყვანისმცემლად. ძველი სკოლა ავიწროებდა და ასუსტებდა ახალგაზრდობის ზნეობრივ ბუნებას. ძნელი იყო ეს საქმე, რადგან ექსპანსიურია ადამიანის ბუნება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ზრდის პროცესში იმყოფება. ამიტომ სოციალურ ანტაგონიზმზე აშენებული ძველი სკოლა თვითონაც უნდობლობისა და ანტაგონიზმის დაჭიმულს ატმოსფერაში ცხოვრობდა მუდამ: მოსწავლეს სძულდა მასწავლებელი და ეშინოდა მისი, მაგრამ არა ნაკლებად სძულდა მასწავლებელსაც თავისი მოწაფე. როგორ იხეირებდა ასეთს პირობებში სწავლების საქმე, რომლის საიდუმლოება სიყვარულშია?

და მართლაც, ძველს ბიუროკრატიულს სკოლაში ნამდვილი სწავლება არ იყო. მასწავლებელი იქ იყო უმთავრესად სახელმწიფო მოხელე, რომელსაც დავალებული ჰქონდა კონტროლი გაეწია მოსწავლისათვის და შეეფასებია, რაც უკანასკნელმა მასწავლებლის დაუხმარებლად რეპეტიტორებისაგან შეითვისა. ძველი სკოლის კედლებში სწავლების მაგივრად კონტროლის პრინციპი ბატონობდა, და ეს სკოლაც უფრო ფისკალური ინსტიტუტი იყო, ვიდრე სასწავლო და სა-

ალმზრდელი დაწესებულება. მასწავლებელი თავის მთავარ ფუნქციას სწავლაში კი არ ხედავდა, არამედ მხოლოდ განაკვეთის მიცემაში („от сих до сих“) და შემდეგ, მიცემული განაკვეთის გამოკითხვაში, რომლის დროსაც მოწაფეს კარგი ნიშნის მისაღებად უნდა დაემტკიცებია, რომ მან დაიმახსოვრა ის, რაც წიგნშია დაწერილი. ცოდნა, რომელსაც ძველი სკოლა აწვდიდა, საკუთარს გამართლებას უმთავრესად დიპლომში პოულობდა. ამიტომ როგორც მასწავლებელთა წრეში, ისე მოზარდ თაობაში ცოდნის შესახებ ყალბი შეხედულება იყო გავრცელებული. არც მასწავლებელი და არც მოსწავლე ცოდნაში არ ხედავდა არაფერს გარდა იმისა, რომ ის იყო საშუალება ატესტატისათვის. და მართალიც რომ ითქვას, ცოდნა ყველა იმისა, რასაც ძველად სკოლაში ასწავლიდენ, მხოლოდ ატესტატისათვის თუ იყო გამოსადეგარი, იმდენად დაშორებული იყო სასკოლო საგნების შინაარსი, როგორც რეალური ცხოვრებიდან, ისე მოწაფეთა ბუნებისაგან: ასწავლიდენ ბერძნულ ენას და არ ასწავლიდენ ქართულს; ასწავლიდენ უძველესი წარსულის ამბებს და არ ასწავლიდენ იმას, რაც მოწაფის გარშემო ხდებოდა, და რის ცოდნაც საჭირო იყო ცხოვრებაში. სასკოლო ცოდნა იყო—განყენებული, ცოდნა რომელიც მოწაფეთა ნებისყოფაში არ გადადიოდა და მხოლოდ მეხსიერებაში ინახებოდა. ინტელექტუალიზმი იყო ძველი სკოლის ავადმყოფობა, რომელიც მისი სოციალური საფუძვლიდან გამომდინარეობდა. ატესტატის მიღების შემდეგ სკოლაში შეძენილი ცოდნა იქცეოდა სრულიად უსარგებლო ბარგად, რომლის თავიდან მოცილებას ეჩქარებოდენ და რომლის განვითარებაზე არავინ იფიქრებდა: სკოლა არ აჩვევდა ახალგაზრდობას ცოდნისადმი კულტურულს დამოკიდებულებას, არ უნერგავდა ცოდნის უშუალო სიყვარულს. კაცს შეეძლო თვით უმაღლესი სასწავლებელიც კი დაესრულებია და თავის არსებაში უკულტურო ადამიანი დარჩენილიყო: რომ წაგერთმიათ მისთვის დიპლომი, მას ცოტა-ღა უპირატესობა დაურჩებოდა იმის წინაშე, ვისაც არავითარი სწავლა არ მიუღია. ეგოისტური იყო ძველი სკოლა თავისი ძირითადი თვისებით, და ეგოისტური იყო ის დამოკიდებულებაც განათლებისადმი, რომელსაც ეს სკოლა ავრცელებდა.

როგორც ვხედავთ, ძველი ბიუროკრატიული სკოლა შორსაც არ შეეფერებოდა ნამდვილ სკოლის ცნებას, რადგან ის ზრდიდა ძალიან მცირერიცხოვან კონტინგენტს და იმასაც ცუდს სწავლა-აღზრდას აძლევდა. ამის მიზეზი კი მის სოციალურ-პოლიტიკურ საფუძველში იყო. ოქტომბრის რევოლიუციამ გაანადგურა ეს საფუძველი, მან მოსპო ძველი წესწყობილება და ამით მოსპო ის მიზეზებიც, რომლებიც მხოლოდ აფერხებდენ სკოლის განვითარებას. უადგილობის გამო ჩვენ ვერ ვიკისრებთ აქ ყველაფერ იმის ჩამოთვლას, თუ რა გაკეთდა ფაქტიურად რევოლიუციის შემდეგ განათლების დარგში. განვისაზღვრებით მხოლოდ იმ მიზნების აღნიშვნით, რომლებიც რევოლიუციამ სკოლის წინაშე დააყენა, და დავსძენთ, რომ ეს მიზნები ჯერ კიდევ შორსაც არ არიან სისრულეში მოყვანილნი. იმ ზომაზედ დიდია ეს მიზნები, რომ არამც თუ ათი წლისა, არამედ მრავალ თაობათა ენერგიული მუშაობა არის საჭირო მათი სრული განხორციელებისათვის. ამიტომ არც უნდა ძალიან გვიკვირდეს,

რომ დღევანდელს სკოლაში ბევრი რამ კიდევ მოუწყობელია და მიუღებელიც-ჯერაც ვერ შეჩვიენ ძველისა და ახლის გარჩევას განათლების ფარგლებში, და ხშირად რევოლუციის მიერ პრინციპიალურად უარყოფილი ძველი, [illegible] განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფება მხოლოდ იმიტომ, რომ მან მოახერხა თავისი გარეგნული ფორმა გამოეცვალა. ამ ხამელეონურ მიმიკრიაშია დღეს უსაშინელესი მტერი განათლების წინსვლისათვის, და სწორედ აქ არის საჭირო დიდი დაკვირვება. გარეგნობაში როდია საქმე: არა ყოველი, ვინც ფიცულობს, რომ ის ახალი სკოლის მომხრეა, არის ნამდვილად მისი მოკეთე. შეიძლება კაცს თვითონაც გულწრფელად სწამდეს, რომ ის ახალს სკოლას ემსახურება, მაგრამ ნამდვილად ის იყოს ერთგული მონა ძველი სკოლისა. ასეთი ხალხი ბლომად მოიპოვება არა მხოლოდ ძველ მოღვაწეთა შორის, რომლებიც გახრწნა და სულით გააბიუროკრატა ძველმა წესწყობილებამ, არამედ უფლვაში ახალგაზრდა მასწავლებელთა შორისაც. ყოველგვარი ზერელე, უგულო და ფორმალური მოპყრობა სწავლების საქმისადმი ძველია და არა ახალი, და ასეთს მოპყრობას ჩვენ შევხედებით იმ მასწავლებელთა წრეშიც, რომლებიც მკერდზე ახალი სკოლის დამცველთა ნიშანს ატარებენ.

ოქტომბრის რევოლიუციამ მოსპო ძველი წესწყობილება, რათა მოეხსნა ანტაგონიზმი სახელმწიფოსა და ხალხს შორის. ამით მან მიზნად დაისახა ახალი სულის შეტანა განათლების სისტემაშიც. თუ ძველი სისტემა განათლებისა მხოლოდ სახელით იყო სახალხო, რევოლიუციის მიზანია ეს განათლება საქმითაც სახალხოდ აქციოს. მისი კონცეპციით, სკოლა უნდა იყოს არა სოციალური პრივილეგიის განმამტკიცებელი საშუალება, არამედ ნამდვილი იარაღი ხალხის ფართო მასსებში სწავლა-განათლების გასავრცელებლად. საზოგადოებრივი უთანასწორობის და დაქსაქსვის კი არა, საზოგადოებრივი თანასწორობისა და ერთობის ფაქტორი უნდა შეიქმნეს ერთიანი სკოლა, რევოლიუციის განზრახვით. ამიტომ ჩვენ დროს სკოლაში ისეთი საზოგადოებრივი ელემენტებიც კი სწავლობენ, რომლებიც რევოლიუციამდის სკოლაზედ ოცნებობასაც კი ვერ გაბედავდენ. განა ჩოხატოურელი გლეხი, რომლის შვილი დღეს უნივერსიტეტში ექიმად ან ინჟენერად ემზადება, წარმოიდგენდა ამის შესაძლებლობას რევოლიუციამდის? რა თქმა უნდა, არა. რევოლიუცია ცდილობს გაზარდოს სკოლა ქვანტიტატურად და ამით დაუახლოვოს ის ნამდვილი სკოლის ცნებას. საყოველთაო და სავალდებულო სწავლების დაკანონება—აი იურიდიული ფორმა იმ მისწრაფებისა განათლების დარგში, რომელიც რევოლიუციას ახასიათებს.

სკოლის ქვანტიტატურ ზრდას დაუკავშირდა მისი ქვალიტატური დაწინაურების მოთხოვნილებაც. თუ სკოლა სახალხო დაწესებულებაა, მაშინ მისი შინაარსიც, ცხადია, ამას უნდა შეეფერებოდეს. სკოლა, სადაც სწავლება ხალხისათვის გაუგებარ ენაზე სწარმოებს, არ არის სახალხო. ამიტომ რევოლუციაც დღიდან თავისი გამარჯვებისა სკოლის გაეროვნებას შეუდგა. უკრაინელებს, სომხებს, ქართველებს რევოლიუციამ ეროვნული სასკოლო სისტემა შეუქმნა; ტფილისის უნივერსიტეტი ისტორიული ძეგლია ამ გაეროვნებისა. რომ ქართულ ენაზედაც შესაძლებელი იქნებოდა მეცნიერული შემოქმედება, ამაზე ვინ იფიქ-

რებდა რევოლუციამდის, როდესაც ეგრედ წოდებული განათლებული წრე, ქარ-თველებისა გადაგვარების გზაზედ იყო შემდგარი და დედა-ენის უცოდინარობა უმალ სასახელო საქმედ ითვლებოდა, ვიდრე საძრახისად. რევოლუციამ ეს გა-დაგვარებული ელემენტებიც ხალხს დაუბრუნა და ხალხის ენა შეასწავლა. თვით იმ მცირე-რიცხოვანი შემადგენლობისა და ჩამორჩენილი ტომებისათვისაც კი, რომელთაც თავისი მწერლობაც არ გააჩნდათ, რევოლუციამ განიზრახა საკუთა-რი ეროვნული სკოლის შექმნა, თუმცა ამ გრანდიოზული განზრახვის სისრუ-ლეში მოყვანა უძნელესი საქმეა. თათრული ანბანის რეფორმა, მწერლობის შე-ქმნა ოსებისათვის, ინგუშებისათვის, აფხაზებისათვის, ბაშკირებისათვის, უზბე-კებისათვის, თურქმენებისათვის — ყველაფერი ეს ტიტანისებური განზრახვაა, რომელიც მხოლოდ რევოლუციონურმა აღფრთოვანებამ ჩაჰბერა ინიციატორებს. რევოლუციამ დაბადა დიდი იმედი, რომ უისტორიო და კულტურულად ჩამორ-ჩენილი ტომებიც შესძლებენ ისტორიის ფართო ასპარეზზე გამოსვლას, რადგან მან ამ ტომებში გათვითცნობიერების ძლიერი ფერმენტი შეიტანა განათლების სახით.

ნორმალურ პირობებში სკოლის გაეროვნება არის სწავლების განამდვილე-ბა, ისე როგორც, მეორეს მხრით, უცხო ენაზე სწავლების წარმოება არის მისი გაუუქსავატება და გაჩერელება. ამიტომ რევოლუციამ სკოლის გაეროვნებით განიზრახა გაედიდებია მისი ხვედრითი წონა და გაეღრმავებია მისი შინაარსი. მაგრამ აქ მეორე მხარეც არის მისაღები ანგარიშში. ახალს სკოლაში, რომე-ლიც უნდა არსებობდეს არა რჩეულთათვის, არამედ ყველასათვის, თან და თან ახალი შეხედულება მყარდება სასკოლო მეცადინეობაზე. თუ ძველს სკოლაში ახალგაზრდა სწავლობდა დიპლომისათვის, რომელიც ეგოისტური პრივილეგიე-ბის წყარო იყო, ჩვენს დროში დიპლომს ეკარგება ძველებური აზრი. რა უპი-რატესობა უნდა მისცეს კაცს დიპლომმა, თუ თვით ეს დიპლომი არ იქნება უპირატესობა და ის ყველას ექნება ერთნაირად? ამიტომ ახალს სკოლაში ახალგა-ზრდა თვით საქმის მდგომარეობით იძულებული ხდება მოვიდეს არა დიპლომი-სათვის, არამედ უშუალოდ ცოდნისათვის. ის ყურადღებას აქცევს ამ ცოდნის ხასიათს (ძველი სკოლის მოწაფისათვის მისი მიზნის თვალსაზრისით სულ ერთი იყო, რა ხასიათის ცოდნას იძენდა ის, რადგან ეს ცოდნა მას მხოლოდ დიპ-ლომისათვის ესაჭიროებოდა) და ცდილობს სკოლაში სასარგებლო ცოდნა მიი-ღოს. ახალი სკოლაც თავის მხრივ სასარგებლო ცოდნის ძიებაში შეძლები-სამებრ ეგებება მოსწავლეს.

რა არის სასარგებლო ცოდნა? სასარგებლო ცოდნა ის არის, რომელიც რეალურად ზრდის ჩვენს ბუნებრივ ძალას და გვაძლევს საშუალებას კარგი პრაქ-ტიკოსები ვიყოთ, ე. ი. კარგად ვიმუშაოთ. ცოდნა, როგორც ძალა, როგორც ნამდვილი იარაღი ცხოვრების გასაუმჯობესებლად—აი ახალი სკოლის მიზანი. ასეთი ცოდნა მხოლოდ გამოცდის ჩასაბარებლად და დიპლომის მისაღებად კი არ არის საჭირო, არამედ ის საჭიროა ყანაში და ქარხანაში სამუშაოდ. ძველი სკოლა იყო დიპლომების და ატესტატების სკოლა, რომელიც ახალგაზრდას ბრძანებათა გამცემი ჩინოვნიკის მაგიდისაკენ უკვლევდა გზას. ახალი სკოლა

თავისი მიზნით არის შრომის სკოლა, რომელმაც უნდა ასწავლოს ახალგაზრდას, თუ როგორ უნდა მან რაციონალურად იმუშაოს წარმოებაზე; მშრომელების კი არა, მშრომლების მომზადება სურს თანამედროვე სკოლას და ამიტომაც დაარქვეს მას სახელად **შრომის** სკოლა. შრომის სკოლაში არ არის საჭირო ძველი ბერძნულისა ან ლათინური ენის სწავლება, რაზედაც ამდენი ენერგია იხარჯებოდა ძველად. სამაგიეროდ იქ საჭიროა სწავლება მაგალითად, ეკონომიური ცხოვრების კანონებისა, რასაც ძველი სკოლა თითქმის უყურადღებოდ სტოვებდა. ერთი სიტყვით, ოქტომბრის რევოლიუციამ მიზნად დაისახა სასკოლო საგანთა შინაარსის რეალურ ცხოვრებასთან დაახლოვება.

ბევრი დღესაც ფიქრობს, რომ რევოლიუცია სპობს განათლებას. ეს დიდი შეცდომაა: რევოლიუცია სპობს ცრუ-განათლებას, განათლებას მოჩვენებითს, რათა საფუძველი ჩაუყაროს ნამდვილ განათლებას. ვინც ახალს სკოლას დაასრულებს, მას არ ეცოდინება, მართალია, თეოკრიტეს და ჰორაციუსის თხზულებიდან მოკლე-მოკლე ნაწყვეტები, მაგრამ მას უნდა ექნეს ორგანიულად შეთვისებული სალი ან რეალური ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნის ელემენტები, რომელთაც ის სკოლის და სკოლების შემდეგ ძველებურად კი არ დაივიწყებს, არამედ იძულებული იქნება განავითაროს და გააღრმავოს ისინი, რადგან ახალს სკოლაში შეძენილ ცოდნას უშუალო კავშირი უნდა ექნეს იმ საქმესთან, რომელსაც მოსწავლე სკოლის დასრულების შემდეგ მკიდებს ხელს. ვინც ამას გაითვალისწინებს, ის ალბათ აღიარებს, რომ განათლება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ შეიძლება დაიბადოს.

არც ის არის მართალი, რომ რევოლიუციის მიზანია სწავლება გაამარტივოს და გააფუქსავატოს. პირიქით, რევოლიუციის მიზანია გააღრმავოს და გაართულოს სწავლება, რადგან მან ის მოსწავლის ბუნებას დაუახლოვა. უწინ სწავლება უფრო ფორმალურად წარმოებდა და ის უმთავრესად მოსწავლეთა კონტროლში შედგებოდა. რა მისწრაფება აქვს მოსწავლეს, საითკენ არის მიმართული მისი ბუნებრივი ნიჭი—ამას სკოლა არსებითად არ იძიებდა. მას შემუშავებული ჰქონდა მოთხოვნილებათა შაბლონი, რომლითაც ის მოზარდ თაობას ათასებდა. ვინც ამ შაბლონს არ აკმაყოფილებდა, მას სკოლის კარებს უჩვენებდენ, და ამით თავდებოდა ყველაფერი. ამაზე უფრო გამარტივებული მეთოდი მოსწავლისადმი მოპყრობისა ძნელი წარმოსადგენია. სულ სხვანაირად უდგება თანამედროვე სკოლა მოსწავლეს, რადგან მასში ის უწინარეს ყოვლისა სახალხო საქმის იარაღს ხედავს. ამიტომ ის ვალდებულად რაცხს თავს, მისცეს მოსწავლეს მაქსიმუმი იმისა, რასაც მოსწავლის ბუნებრივი ნიჭი დაიტევს, და არ კმაყოფილდება იმით, რომ გაყინული შაბლონისათვის შეუფერებელს ახალგაზრდაზე ხელი აიღოს სრულიად. უნიჭო მოსწავლე ახალი სკოლისათვის არ შეიძლება არსებობდეს: არის მხოლოდ მეტად ნიჭიერი და ნაკლებად ნიჭიერი. და ამ ნაკლებად ნიჭიერსაც ახალი სკოლა საჭირო ხელმძღვანელობას არ აკლებს, რადგან ეს ნაკლებად ნიჭიერიც სასარგებლოა ხალხისათვის, თუმცა მან, შეიძლება, სხვებსავით კარგი კარიერა ვერ გააკეთოს. ძველი სკოლა ეგოისტურ პრინციპზეა აშენებული, იყო დაწესებული „უკეთესების“ შესარჩევად. ახალს

სკოლას ხალხის სარგებლობის პრინციპზე აგებულს, სურს იყოს [illegible] ყოველი ძალის საწვრთნელად და განსავითარებლად, თვით [illegible]-საც კი.

ამიტომაც უხდება ახალი სკოლის მასწავლებლობას ამდენი შრომის გაწევა, რათა ყველას, და არა მხოლოდ რჩეულებს, შეაძლებინოს ცოდნის მიღება. ძველი ბიუროკრატიული სკოლა აზარმაცებდა არა მხოლოდ მოსწავლეთა უმრავლესობას, არამედ თვით მასწავლებელსაც, რადგან არ მოითხოვდა უკანასკნელისაგან ძიებას მოსწავლისადმი პედაგოგიურს მიდგომაში. კონტროლიორად ქცეული მასწავლებელი პედაგოგიურ ინიციატივას მოკლებული მოხელე იყო არსებითად, და როდესაც ადამიანს ინიციატივა ერთმევა, ის გონებრივადაც ჩლუნგდება. ძველი სკოლის მასწავლებელი საზართლიანად იყო საყოველთაო ირონიის საგნად გადაქცეული. ვინ არ დასცინოდა მას? რევოლიუციის მიზანია გაზარდოს მასწავლებლის საზოგადოებრივი წონა, რადგან მან ახალი სული ჩაჰბეროს პედაგოგიურ საქმეს. მხოლოდ განაკვეთის ფორმალური მიცემა და მოწაფის მიერ უკვე შესწავლილის ფისკალური გამოკითხვა კი არა, ნამდვილი სწავლება, რეალური ახსნა-განმარტება არის თანამედროვე მასწავლებლის მოწოდება, და ეს მასწავლებელიც იძულებული ხდება, ამ მოწოდების მიხედვით, ეძიოს ის გზები, რომელთა საშუალებით ცოდნა შეითვისება მოსწავლის მიერ. ინდივიდუალიზაციის სწავლების მეთოდებისა, რომელზედაც ყოველთვის ბევრი იწერებოდა, აქტუალურ პრობლემად იქცა თანამედროვე სკოლაში: თანამედროვე სკოლა უუდიდესი ლაბორატორიაა, სადაც ახალი პედაგოგიური მეთოდები მუშავდება. არასოდეს ადამიანის ფსიქოლოგიისა და მეცნიერული პედაგოგიკის პრინციპების ცოდნა არ იყო ისე საჭირო მასწავლებლისთვის, როგორც დღეს. ძველი მასწავლებელი-მოხელე, მასწავლებელი-რუტინიორი ოქტომბრის რევოლიუციამ პრინციპიალურად დაამარცხა, რათა გზა გაუკაფოს პედაგოგიური ინიციატივით აღჭურვილს ახალს მასწავლებელს. რევოლიუციამ მოსპო პირობები, რომლებიც პედაგოგიური ძიების შესაძლებლობას აფერხებდენ, რათა ხელი შეუწყოს იმას, რომ მასწავლებელი ცოცხალ და მოაზროვნე ადამიანად იქცეს. დროისა და საშუალებათა საკითხია ამ მიზნის სისრულეში მოყვანა.

ვინც გაითვალისწინებს ყველა იმას, რაც ზევით არის აღწერილი, მას არ შეუძლია, თუ ის ნამდვილი პედაგოგია, არ შეუერთდეს ხალხის მასსას და მასთან ერთად, არ წამოიძახოს: **„გაუმარჯოს დიდ სოციალისტურ რევოლიუციის მიზნებს“.**

სერ. ამაღლობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინი და რევოლიუციონური სამართალი

## I. ლენინი — პოლიტიკური გენია

„ლენინის სახით სცენიდან ჩამოვიდა ისეთი ადამიანი, რომელიც საუკუნოებში მხოლოდ ერთხელ მოგვევლინება“.

გაზ. „პრაგერ პრესს“.

პოლიტიკა არენაა ბრძოლის, დაუნდობელი შეჯიბრის, დაუსრულებელი ანტაგონიზმის. პოლიტიკურ ბრძოლაში ერთმანეთს აშავებენ, ამცირებენ, ანადგურებენ და ჰკლავენ. აქ არის მარატის მკერდში დაცემული მახვილი და ლენინის სხეულში გაჩერებული ტყვია. ამდენათვე იშვიათია და საკვირველი პოლიტიკური მტრისაგან მოწინაალმდეგის დადებითი შეფასება. ასეთი ბედი ისტორიაში იშვიათებს ხვდებათ. ლენინი იშვიათია ამ იშვიათთა შორის.

ბურჟუაზიული პრესის ურცხვილობა შეაჩერა ლენინის სიკვდილმა. ამ პრესამ ლენინის ფიგურაში აღნიშნა დიდი პიროვნების სახელი. ლენინი შეადარეს რობესპიერს, ბისმარკს, ნაპალეონს, მაგრამ შესცდენ ამ შედარებაში. ეს შეცდომა არა მარტო სოციალური ხასიათისაა, არამედ ფსიქოლოგიურისაც. ლენინი ამ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან განსხვავდება როგორც თავისი სოციალკლასობრივი იდეალით, ისე პიროვნულ-ფსიქოლოგიური ბუნებითაც.

პიროვნება პოლიტიკაში, ცალკე აღებული, უმნიშვნელო მომენტია. პოლიტიკა, განსაკუთრებით დღეს, იქმნება მილიონებით და მილიონებისთვის. აქ პიროვნების ძლეობა საზოგადოების მოძრაობის ფაქტორთა სწორ შეფასებაში და ამ შეფასების ნიადაგზე სწორი მებრძოლი ხაზის დაცვაშია. ეპოქის მიჯნა და ზღვარი არ იდება გენიალ პიროვნებათა სურვილით და ბრძოლით. ნაპალეონი იმპერიალიზმის პირობებში არ იქნებოდა ნაპალეონი. ლენინი ფეოდალური საზოგადოების ნგრევის დროს, ვერ იქნებოდა ლენინი. კაპიტალიზმის თავისუფალი მეტოქეობის ხანის საფუძველზე შეიძლებოდა მარქს-ენგელსის გამოსვლა. კაპიტალიზმის იმპერიალისტურ ფაზაში ნიადაგი ეყრებოდა ლენინის ბრძოლას.

ამით პიროვნების როლი ოდნავადაც არ მცირდება. პიროვნების სუბიექტურ კონსტიტუციაზეა დამოკიდებული ისტორიის პულსის სწორი გაზომვა, ყოველ ფაქტორთა უტყუარი შეცნობა და პოლიტიკური იდეალის რეალურად დასახვა. ლენინმა შესძლო ეს. მან საკვირველი ოსტატობით მოამზადა უდიდესი რევოლუციის უმძიმესი საქმე. ამაშია მისი გენიალობა.

პოლიტიკური გენია იშვიათია ისტორიაში. პოლიტიკურ მოღვაწეს საქმე აქვს საზოგადოების მთელ სისტემასთან. ეს სისტემა ურთულესია თავისი ბუნებით. საზოგადოებრივი მეცნიერებანი ზუსტ დასკვნებს ვერ იძლევიან მის შესახებ. ძნელიც არის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი ჯამის ხელმიწვდენით ცოდნაც. პოლიტიკურ გენიას არც ცოდნის მარაგი ჰქმნის. საჭიროა მის ინდივიდუალ-ფსიქოლოგიის ისეთი კონსტიტუცია, რაც დაიტევს პოლიტიკური გენიისთვის საჭირო ყველა თვისებებს.

რა არის საჭირო პოლიტიკური გენიისთვის?

**ინტელექტუარი სამყაროს მხრივ**—საზოგადოებრივი ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნა. შემოქმედებითი ნიჭის მაღალი ინტენსიობა. პოლიტიკური ნიუანსების დაჭერისა და გამოყენების თვისება. პოლიტიკურ მიზანთა სწორი დასმა და უტყუარი შორსმჭვრეტელობა. საერთოთ—ინტელექტუალური ცხოვრების მაღალი ინტენსივობა.

**ნებისყოფის სამყაროს მხრივ**—თავგანწირული გამბედაობა. თავის აზრის შეურყევლად დაცვა. თავის იდეალისთვის ბრძოლის ატანა. საშიშროების გადალახვა. უკიდურეს განსაცდელის დროს მამაცობა. საერთოდ—ნებით ცხოვრების უმაღლესი ინტენსივობა.

გენიალური პოლიტიკური მოღვაწე უბადრუკი და საპყარი გახდება თუ გონების დანასკვი ნების სიძლიერით არ გასალკდევდა, აზრს მოქმედებამ ხორცი არ შეასხა.

**გრძნობიერი სამყაროს მხრივ**—თავდაცვის ინსტინქტის მინიმუნამდე დაყვანა. პიროვნულ კეთილდღეობისთვის ზრუნვის უარყოფა. საზოგადოებრივი მოვალეობის იდეფიქსად დასახვა. უდიდესი სიძულვილის განცდას (მოწინააღმდეგე კლასის მიმართ) უდიდესი სიყვარულის შესაძლეობა (თავის კლასისა და იდეალის წინაშე) საერთოდ—სოციალური ინსტინქტისა და მოვალეობის უმაღლესი ხარისხი.

დიდი ინტელექტუალური და ნებითი ცხოვრება პიროვნებას ვერ გახდის მასის ხელმძღვანელად თუ ის გრძნობიერ—ზნეობრივი მხრით არ იქნება საზოგადოებრივი იდეისთვის თავგანწირული.

პოლიტიკური მოღვაწის პიროვნებაში თუ არ არის ასეთი მთლიანობა, ის ვერ გამოდგება პოლიტიკურ ბრძოლის დიდ ხელმძღვანელად. თუ მასში არ არის ჰარმონიული შეთანაზრება გონების, ნებისყოფის და გრძნობის სამყაროს, კიდევ მეტი—თუ არ არის მისი სოციალური და პიროვნული „მე“ მომართული პოლიტიკური შემოქმედების და ბრძოლის ხაზით, იქ არ არის პოლიტიკური ტალანტი, მით უფრო პოლიტიკური გენია. ბუნებაში ასეთი მთლიანი პიროვნება იშვიათია. ამიტომაც პოლიტიკური გენია იშვიათია ისტორიაში.

ეროვნული

საჭირო არის ასეთი ფსიქიური კონსტიტუცია მეცნიერებისა და ხელოვნების დარგთა შემოქმედისთვის? არ არის საჭირო.

მეცნიერული გენია შეიძლება წმინდა ინტელექტუალური სამყაროს სიძლიერით იქნეს დაჯილდოვებული. ნებისყოფის სისუსტე, გრძნობის დეფექტიურობა, ზნეობრივი მხარის სიცუდეც მის მეცნიერულ შემოქმედებას ხელს ვერ შეუშლის.

ხელოვანს შეიძლება სუსტი ჰქონდეს ინტელექტუალური სამყარო, შეიძლება მისი ნებისყოფაც იყოს დეფექტიური, ან მისი ზნეობრივი გრძნობები უმდაბლეს ინსტიქტებამდე დასული. ეს ხელს ვერ შეუშლის მის ემოციონალური სამყაროს შემოქმედებას, მის მიერ გენიალურ მხატვრულ ფაქტთა შექმნას. ამიტომ ბუნებრივია, რომ პიროვნებათა კლასიფიკაციაში, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგის ტალანტს და გენიას უჭირავს გაცილებით მეტი ადგილი, ვიდრე პოლიტიკურ ტალანტსა და გენიას.

ლენინი წარმოადგენს იშვიათ პოლიტიკურ გენიას, რომელშიაც მაღალ გონიერებასა და დიდ ცოდნას უერთდება მტკიცე ნებისყოფა და მორალური გრძნობის სიძლიერე. ასეთ პიროვნებას ვერ ვხვდებით დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის.

ვინ შეედრება ლენინს?

**რობესპიერი ხასიათდება**

მორალური სიწმინდით. ზნეობრივი სიმაღლით. ერთხელ მიღებულ პრინციპთა უკიდურესობამდე მიყვანის ჟინით და სურვილით. თავის საქმის რწმენით. შეუვალი და შეუდრეკელი სვლით მიზნისკენ. მისი—ნებისყოფა და გრძნობა ლენინის მგზავსია. გონებით, ცოდნით ის არა ლენინური.

რობესპიერი—მეოცნებე, მცირე ცოდნის მქონე, თავის შეცდომების ვერ დამნახე, კრიტიკულ მომენტებში ორჭოფი და მერყევი, გადაჭარბებული მეტყველების მოსურნე. ლენინი—დიდი ცოდნით, უდიდესი იდეალის მატარებელი და უდიდესი პრაქტიკი. თავის შეცდომაზე გამოცდილების მიმღები, კრიტიკულ მომენტებში გაბედული, შეუდრეკელი და სწორი ხაზის ამღები. ნაკლებად მეტყველი და მეტად საქმიანი. რობესპიერის დასასრული—გილიოტინაა მოხითხით ბრბოთი გარშემორტყმული. ლენინის დასასრული—გამარჯვებული ქედმოხრილი რევოლიუციაა პირველი მებრძოლის ცხედრის წინაშე გმირული ფიცით შემჭიდროებული.

**მირაბოს აქვს**

თავგანწირული გამბედაობა. მაღალი პათოსი. გულწრფელი მჭერმეტყველობა. ეს თვისებანი ახასიათებს ლენინსაც. მაგრამ მირაბო—ყოყმანია და ოპორტუნიზმი, ზნეობრივი ბუნდოვანებაა და მერყეობა. გონებრივი სივიწროვეა და პიროვნული ელემენტების სიჭარბე. ლენინი—პირდაპირობაა, გადამჭრელი ხაზია, უდრეკი ნებაა, დაჭიმული ძარღვები და მომარჯვებული გეზია. ის ზნეობრივად ბინდმიუკარებელი, პიროვნულ ზრახვათაგან განწმენდილია. მირაბო ვერც

სიცოცხლეში გაექცა დიდ ბრალდებებს, ვერც სიკვდილმა გააქრო ეს ბრალდებანი. ლენინმა სიცოცხლეში მიიღო საზიზღარი ცილისწამებანი. სიკვდილშივე ბრძოლით ქვეყანას დაუტკიცა ცილისმწამებელთა გულშავობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მარატს ახასიათებს**

ბრძოლის ატანა, მსხვერპლის არ დარიდება, გატაცება, ზნედბრივი სიფაქიზე, ხალხის ზრახვათა ტარება. ეს ლენინის თვისებაა. მაგრამ მარატი—თავდაუჭერლობაა, მრისხანების გადაჭარბებაა, გონიერების ზღვარის გადასვლაა. ლენინი—უდიდესი გატაცების დროს უსასტიკესი თავშეკავებაა. ზომიერი სტრატეგიის მოქნილობაა, წრეგადასული მრისხანების უარყოფაა. მარატის ცოდნის მარაგი მცირეა ლენინთან შედარებით. ამიტომ მისი თავგანწირული ბრძოლა მცირე კვალს სტოვებს, ვიდრე ლენინის რევოლიუციონური ბრძოლა.

**ნაპოლეონს ახასიათებს**

ნების ამბოხი. გენიალური თავხედობა. ტერორის დაძლევის უკმეხი ცდა. ლენინიც—გენიალური უკმეხობაა და ომზე შეომებაა. მაგრამ ნაპოლეონი—გონებრივი მარაგის სიმცირეა, წიგნის და ცოდნის სიძულვილია. გრძნობის სიმდაბლეა. კარიერიზმის და ავანტიურიზმის კერპია. მე-ს თაყვანისცემაა. ლენინი—ცოდნაა ფილოსოფიის, სოციალოგიის, ეკონომიკის, იურისპრუდენციის პოლიტიკის. ზნეობაა კლასის, კოლექტივის, მასის. პიროვნებაა **მე-ს** დაცილებით. **ჩვენ-ის** გაგებით. მოაზროვნე და მებრძოლია.

**ბისმარკი არის**

კანცლერი რკინის. ინტუიცია მეძებრის. ლენინიც ნება და მიხდომაა. მაგრამ ბისმარკი—საშუალო ცოდნაა. სანტიმენტალური განცდაა. ახალგაზრდობაში ქარაფშუტობაა. ლენინი—ცოდნის მარაგი. გრძნობა კოლექტიური. ცხოვრება ზომიერი. ბისმარკი ტაქტიკაა რეფორმის, ლენინი სტრატეგიაა რევოლიუციის.

**ლასალს ახასიათებს**

გენია აგიტატორის. მეტყველება მებრძოლის. ცოდნა ფართო. მაგრამ არა ღრმა. ოპორტიუნიზმის ჩანასახი. კომბინაცია რეაქციასთან რევოლიუციისთვის. რომანიულ დუელში დაცემა. ლენინი ტრიბუნია ფოლადის ლოღიკით, მეტყველებაა მებრძოლის და მასწავლებლის. დაუნდობლობაა მტრის. არ გაკარებაა მოწინააღმდეგის. სოციალისტურ რევოლიუციის სამსახურში ყოფნაა სრულად და სავსებით. ბურჟუაზიულ სამყაროსთან კლასობრივი დუელის წარჩინებით ჩატარებაა.

ამ რიგად ლენინს ვერ წვდება ვერც ერთი პოლიტიკური ტალანტი და გენია.

ისტორია წარსულში ვერ ნახავს ლენინის ბადალს და სწორს. არ ვიცით მარქსი და ენგელსი აიტანდა თუ არა გიგანტურ მოძრაობის სტრატეგობას. „კაპიტალის“ და „ანტი-დიურინგის“ ავტორები შეიძლება სამოქალაქო ომის

მესამე ისეთ რიგად არ გამომდგარიყვენ, როგორც“ სახელმწიფოს და რევოლუციის“ ავტორი. ლენინს, როგორც პოლიტიკურ გენიას, მარქს-ენგელსს ვერ შევადარებთ, რადგან ამ უკანასკნელთ არასოდეს ხელთ არ ჰქონია პოლიტიკური საქმე.

ლენინი ეპოქალური თემაა, როგორც პუბლიცისტიკის, ისე ფსიქოლოგიის. მისი პოლიტიკური ბრძოლა, ბრძოლის სისტემა და მეთოდია, მისი ადამიანური პიროვნება საკვირველი გენიაა გამოსაკვლევი და ასახსნელი.

ლენინი თემაა ხელოვნების, უდიდესი თემა ქანდაკების, კინოს, თეატრის, რომანის, მხატვრობის, მუსიკის. ქვა ლენინის ნებით და იდეით ამეტყველებული,—ისტორიული ძეგლი იქნება სამარადისო. ფილმი ლენინელთა ბრძოლის დ გმირობის—საკაცობრიო დოკუმენტი იქნება მომავლის. დრამა ლენინის განცდის დ მოქმედების—ეპოქის ხასიათის და სულის გადაშლა იქნება თეატრში. რომანი ლენინის გრძნობის და აზრის—ახალი მწერლობა იქნება უკვდავი. სურათი ლენინის იდეის გამოხედვის—დოკუმენტი იქნება ისტორიული. მუსიკა, ლენინის ბრძოლის რიტმისა და მოძრაობის, ახალი რიტმის პოვნა იქნება, დასაწყისი ცხოვრების ემოციათა განახლების.

ლენინი თემაა სოციოლოგიის, ეკონომისტის, იურისტის, პოლიტიკოსის. ლენინის შესწავლა—მთელი ეპოქის შესწავლაა.

მრავალ ხელოვანს დაამარცხებს თემა ლენინის. იშვიათები შესძლებენ მის დაძლევას. დამძლევნი ამაღლდებიან ლენინის სიმაღლემდე. ყოველ დიდ ეპოქას მოსდევს მეცნიერებაში და ხელოვნებაში დიდი გენია. ასეთი გენია შესძლებს ლენინის ასახვას. ეს გენია შეიძლება ეხლა საბავშო ბაღში თამაშობს.

მასიურ ხელოვნებას ვინც ეძებს, ლენინის ინდივიდს უნდა მიმართოს. აქ მტკიცდება, რომ მასიურობა ხელოვნებაში არ იქმნება ინდივიდთა სიმრავლით. მასა არ უდრის კოლექტიურობას. მასა შეიძლება ინდივიდუალისტურიც. მასიურობა ინდივიდის კოლექტივისტურ განცდებშია საძებარი. ინდივიდუალური და სოციალური ერთი მოვლენის ორი მხარეა. ინდივიდი სოციალურია თავის თავად, სოციალური ინდივიდუალურიც არის თავის შედგენილობაში. პროგრესი ინდივიდუალურ და სოციალურ მომენტთა წონასწორობაში, გვაძლევს კოლექტივიზმს. ლენინი უაღრესი ინდივიდუალობაა და უდიდესი სოციალობაც. ამიტომ ის უდიდესი კოლექტიურობაც არის. ის ფსიქო-ანტროპოლოგიურ არსში—გენიაა, სოციალურში—მუშათა კლასის ნაწილია და ღვიძლი ნაყოფი. ლენინს ვერ გამოაცალკევებთ მუშათა კლასისაგან. გამოაცალკევებთ და ველარ ახსნით მას, ვერ გაიგებთ მის პიროვნებას.

ლენინი ისეთი სიძლიერით აჩენს კვალს ისტორიას, როგორც ტრაქტორის მაგარი სახნისი რბილ ნიადაგს. ლენინი ისე მოვარდა რევოლიუციაში, როგორც ციკლონი ბუნებაში. ლენინმა ისე ააფეთქა იმპერიალიზმი, როგორც დინამიტმა კლდის ნაპრალი.

ლენინი არ არის ძალა მარტო ამბოხი, ძალა ნგრევის, ძალა აფეთქების. ლენინი ნგრევით ნიადაგს სწმენდს ახალის აგებისათვის; ახალს აგებს დაუყოვნებლივ და სწრაფად, შეუჩერებლივ დ მტკიცეთ. შენების პროცესში ლენინისთვის უპირველესად სახელმწიფო წყობილების შენება სდგას პირველ რიგში. დაპყრო-

ზა ხელისუფლების პროლეტარიატს არ აძლევს გამზადებულ სახელმწიფოებრივ აპარატს, გამოსადეგს მისი ინტერესებისთვის. ამიტომ დაპყრობილი სახელმწიფო ხელისუფლების იქცევა ახალი სახელმწიფოს შენების საფუძვლად. ახალი სახელმწიფოს შენება იწვევს ახალი სამართლის სისტემის შენებასაც. ლენინი, როგორც პოლიტიკური გენია, აღმშენებლობით მუშაობაში, თეორიულად და პრაქტიკულად ჰქმნის ახალ სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლებს. პოლიტიკა და სამართალი მჭიდრო კავშირშია ყოველთვის. პოლიტიკური ბრძოლა იურიდიულად შეუძლებლისთვის — ამაო ბრძოლაა. იურიდიული სწავლა პოლიტიკურად შეუძლებლისთვის — უაზრობაა. რევოლიუციის პროცესში პოლიტიკური მომენტი მჭიდრო კავშირშია იურიდიულ მომენტთან. პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ამოცანების მიზანშეწონილებით გადაჭრის ხელოვნება, რევოლიუციის შემოქმედებით ჰქმნის ახალ იურიდიულ ინსტიტუტებს, ახალ ორგანიზაციებს პოლიტიკური მიზნების გადასაჭრელად. ლენინი გამოდის საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც ორგანიზატორი, როგორც ადმინისტრატორი და როგორც კანონმდებელი. **ლენინი გამოდის, როგორც ეპოქის ყველაზე დიდი იურისტი.** პროფ. ვ. ბოშკო სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ლენინზე, როგორც იურისტზე მეტად ნცირეა დაწერილი". თვით ეს ავტორიც მხოლოდ ზოგიერთ საკითხებს მოკლეთ იხილავს ლენინის იურიდიული აზროვნებიდან. სწორია პროფ. ა. გოიხბარგის შენიშვნა, რომ ლენინის როლის გარკვევას სამართლის დარგში მთელი თაობის შრომა სჭირდება. ჩვენ გვსურს ოქტომბრის 10 წლის თავზე მეტად ვიწროდ, ერთი თვალის გადავლებით, გავითვალისწინოთ ლენინი, როგორც იურისტი.

## II ლენინი—იურისტი

ავ. ბებელი სწერს: „იურისტები ქსოფლიოში ყველაზე უფრო რეაქციონური ხალხია". სწორია თუ არა ავ. ბებელის აზრი იურისტების შესახებ? უეჭველად სწორია. არის თუ არა ლენინი იურისტი? უეჭველად არის. ამ სილოგიზმის დასკვნა ლენინის შესახებ გამოსადეგია თუ არა? **არავითარ შემთხვევაში.** მაშ სად არის ამ წინააღმდეგობის ახსნა? იმ ისტორიულ პირობებში, რომელშიაც ნათქვამი იყო ავ. ბებელის ფრაზა და იურისტის ტრადიციულ გაგებაში.

ავ. ბებელი სამართლიანად უსაყვედურებდა იურისტებს რეაქციონერობას. ბურჟუაზიული იურისპრუდენცია სოციალ მეცნიერებათა ყველა დარგებს შორის ყველაზე მეტად რეაქციური, შავრაზმული და ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებით დამძიმებული მეცნიერებაა. ის აღმოცენებულია ბურჟუაზიის კლასობრივ საჭიროების ნიადაგზე, საქონლის მეურნეობის პრინციპების საფუძველზე და მიმართულია კაპიტალისტური სისტემის დაცვისაკენ. იურისტები, რომლებიც დადებით სამართლის დოგმატიკის სფეროში ტრიალებენ, იღებენ, როგორც ბურჟუაზიულ იურისპრუდენციის თეორეტიულ საფუძვლებს, ისე მომქმედი სამართლის სისტემას, წარმოადგენენ ყველაზე რეაქციურ ხალხს მსოფლიოში.

„ადამიანის უფლების", „თანასწორობის და თავისუფლების" ლოზუნგის ქვეშ იურისტების მჭერმეტყველობით იჩრდილება ბურჟუაზიული სამართალი,

როგორც უსამართლობის სისტემა. ციხე, კატორღა, სახრჩობელა, ელექტროს სკამი, როგორც მშრომელი კაცობრიობის გამანადგურებელი [illegible]

სამართალი იქმნება ბრძოლით. სამართლის შემოქმედებაში [illegible] და ძირითად ძალად გამოდის ისტორიის სარბიელზე გამოსული კლასი. ბურჟუაზიამ შექმნა თავის სამართალი, როგორც ბურჟუაზიული მეურნეობისა და საზოგადოებრიობის დაცვის იძულებითი ნორმების კრებული. ვიდრე ბურჟუაზია ჰქმნიდა სამართალს, ის თავის ბრძოლით ეწეოდა სამართლის პოლიტიკას. ის ებრძოდა ფეოდალურ სამართალს, წოდებრივ უთანასწორობაზე დამყარებულს, უფრო პროგრესიულ სამართლის იდეალით, ფორმალური თავისუფლებისა და თანასწორობის მოთხოვნით. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული სამართალი და მეცნიერებანი ამ სამართალზე, იურისტები უმთავრესად მოემწყვდენ ბურჟუაზიული სამართლის დოგმატიკის არეში. მათი მთავარი ამოცანა გახდა არსებულ კანონმდებლობაში გარკვევა, მისი გამოყენება ცხოვრების კონკრეტ შემთხვევებზე, სამართლის აზრის დაცვა და კლასობრივი ნორმების ქცევა ზოგად საკაცობრიო აბსოლიუტურ კატეგორიებად. ამ რიგად ჩამოყალიბდა იურისტების მთელი წოდება, რომლის დანიშნულება გახდა ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა ბურჟუაზიული სამართლის მომარჯვებით. იურისტი, ამ ტერმინის ფართო ტრადიციული გაგებით, გულისხმობს ბურჟუაზიული იურისპრუდენციის მუშაკს, „იურიდიული მსოფლმხედველობის“ მატარებელს, ფრ. ენგელსის ენით, რომ ვთქვათ, „ბურჟუაზიის კლასიკურ მსოფლმხედველობის“ მქონეს.

**ლენინი ასეთი იურისტი არასდროს არ ყოფილა.** არაფერს ამბობს არც ის გარემოება, რომ ლენინმა იურიდიული ფაკულტეტი დაასრულა. ლენინს სპეციალი იურიდიული ცოდნა არც მიუღია, არც ფორმალურ-იურიდიული მსოფლმხედველობა შეუქმნია. ლენინი სამართლის დოგმატიკის დარგში არასოდეს გვინახავს. **ლენინი მოდის სამართლის პოლიტიკის გიგანტიურ ფიგურად.** როგორც ფეოდალური სამართლის ნგრევის პერიოდში აღმოცენებული სამართლის იდეოლოგია და სამართლის ფილოსოფია წარმოადგენდენ ბურჟუაზიული სამართლის პოლიტიკის იდეოლოგიურ წინამძღვრებს, ისე ლენინის სწავლა სახელმწიფოსა და სამართალზე წარმოადგენს სოციალისტური სამართლის პოლიტიკის იდეოლოგიურ წინამძღვრებს. კიდევ მეტი. ლენინის ბრძოლა, რევოლიუციონური შემოქმედება, მისი თავმჯდომარეობით პირველი სოციალისტური სახელმწიფოს კომისართა საბჭოს საკანონმდებლო მუშაობა, საბჭოთა ყრილობების საკანონმდებლო საქმიანობა წარმოადგენს სოციალისტური სამართლის შემოქმედებას.

**ამ აზრით ლენინი არის ჩვენი ეპოქის ყველაზე უდიდესი იურისტი.**

ლენინს, როგორც რევოლიუციონერს დ პოლიტიკურ მებრძოლს არ შეეძლო არ შეხებოდა თეორეტიულად და პრაქტიკულად სამართლის თეორიის და სახელმწიფო სამართლის საკითხებს. შენება ახალი სახელმწიფოს, კანონმდებლობა ამ სახელმწიფოს ინტერესით, ლოღიკურად გულისხმობს სამართლის მომარჯვებას, სამართლის პოლიტიკის წარმოებას. კიდევ მეტი. ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, კოლონიალურ ხალხებთან, ნახევრად კოლონიალურ

ქვეყნებთან ლოლიკურად ჰქმნიდა საერთაშორისო პოლიტიკის ნიადაგზე საბჭოთა საერთაშორისო სამართლის ნორმებსაც.

ამ რიგად, ლენინი როგორც თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ამუშავებდა სამართლის თეორიას და სამართლის ნორმებს.

## 1. ლენინის თვალსაზრისი სამართალში

სამართალი და სახელმწიფო ლენინის აზროვნების სისტემაში აღებულია კლასთა ბრძოლისა და რევოლუციის თვალსაზრისით. ლენინი მთელი თავისი სიმკაცრით და ფოლადის ლოლიკით თავს ესხმის ყველას, ვინც საბჭოთა სამართალსა და სახელმწიფოს აკრიტიკებს ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში მიღებულ კლასიფიკაციათა და კონცეპციათა თვალსაზრისით. კ. კაუცკის დებულებებს, რომლითაც ის სცდილობს საბჭოთა კონსტიტუციაში აღმოაჩინოს „ძალადობა", ლენინი უპასუხებს—ძალადობა! იფიქრეთ მაინც, როგორი ბინძური ლაქიობაა ბურჟუაზიისადმი, როგორი ბრმა პედანტობა სჩანს ამ საყვედურში. როდესაც ბურჟუაზიული და უმთავრესად რეაქციონური იურისტები კაპიტალისტურ ქვეყნებში საუკუნოებით დეტალურად ამუშავებენ წესებს, სწერენ კანონებს და კანონების განმარტებათა ათეულ და ასეულ ტომებს, რომ შეავიწროვონ მუშები, ხელ-ფეხი შეუბორკონ ღარიბებს, მაშინ ბურჟუაზიული იურისტები და ბატონი კაუცკი ვერ ხედავენ „ძალადობას". იქ „კანონიერებაა" და „წესრიგი", ხოლო, როცა მშრომელი კლასი აშენებს თავის პროლეტარულ სახელმწიფოს, სამოქალაქო ომის ცეცხლში აყენებს თავის სახელმწიფოს ძირითად დებულებებს ექსპლოატატორების გარეშე, მაშინ ბურჟუაზიული ყველა სისხლის მსმელები, რომელსაც უერთდება კ. კაუცკი, გაჰკივიან „ძალადობაზე".

ამ რიგად, ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს ცნებასთან მიდის არა იმ თეორიებით, რომელსაც მას სტუდენტობის დროს აწოდებდა ბურჟუაზიული უნივერსიტეტი, არამედ კლასთა ბრძოლისა და რევოლიუციის თვალსაზრისით, რომლის სათავე მარქსიზმიდან მომდინარეობს.

თავისუფლების იდეა, იდეა თანასწორობის, რომელიც ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში უკავშირდება ბუნებრივი სამართლის კონცეპციას, ადამიანის ბუნებრივ, თანდაყოლილ და განუყრელ უფლებებს, ლენინის მიერ განიხილება, როგორც გარკვეულ საწარმოო და საზოგადოებრივ პირობების ნიადაგზე აღმოცენებული ზედნაშენები. მათ განსაზღვრავს საზოგადოების მატერიალური საფუძველი. კლასთა ბრძოლისა და რევოლიუციის კონ ექსტში ეს ლოზუნგები ააშკარავებენ ბურჟუაზიულ შინაარს. ლენინი ამბობს— ბურჟუაზიული დემოკრატია აყენებს აბსტრაქტიულად და ფორმალურად თანასწორობის საკითხს საერთოდ და ეროვნულ თანასწორობის საკითხს კერძოდ. ადამიანის თანასწორობის სახელით ბურჟუაზიული დემოკრატია აყენებს მესაკუთრის და პროლეტარიატის, ექსპლოატატორისა და ექსპლოატაციაქმნილის ფორმალურ-იურიდიულ თანასწორობას და ამით აშკარა შეცდომაში შეჰყავს დამონებული კლასები. თანასწორობის ჭეშმარიტი მოთხოვნა უდრის კლასების მოსპობის მოთხოვნას.

ამიტომ ლენინი უარყოფს საბჭოთა კონსტიტუციაში ფორმალურ თანასწორობას კლასთა შორის. ის ასაბუთებს—როგორც რესპუბლიკანელები ამარცხებდენ მეფეებს და აღარ ეძებდენ ფორმალურ თანასწორობას მონარ[illegible] არც პროლეტარიატს სჭირდება ფორმალური თანასწორობის დამყარება ბურჟუაზიასთან.

ასევე კლასობრივ-რევოლიუციონური თვალსაზრისით უდგება ლენინი ეროვნული თანასწორობის იდეასაც. მისთვის „უფლება გამოყოფამდე" წარმოადგენს არა „ეროვნული იმუნიტეტის" და „იურიდიული სუვერენიტეტის" მოთხოვნას, არამედ რევოლიუციონურ სტრატეგიას და ტაქტიკას, დამონებულ ერთა განთავისუფლებას, როგორც რევოლიუციის ერთ-ერთი ფაქტორის ამოძრავებას. ეროვნული თავისუფლება, ლენინის სწავლის სისტემაში, მიღებულია, როგორც პირობა იმპერიალიზმის ეპოქის ერთ-ერთი ძალის ამოძრავების, რომელიც მიმართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჭეშმარიტი ეროვნული თავისუფლება კი განხორციელდება არა „ეროვნული სუვერენიტეტის" იდეებით, არამედ იმპერიალიზმის დამხობით, კერძო საკუთრების განადგურებით, უკლასო საზოგადოების დამყარებით.

აქაც ლენინი გამოდის, როგორც რევოლიუციონერი, კლასობრივი და რევოლიუციონური თვალსაზრისით და მიდის გარკვეული უფლებრივი კონცეპციის შექმნამდე, რევოლიუციის სტრატეგიისა და ტაქტიკის მიხედვით.

**ლენინი სამართალში არ სცნობს არც ერთ აბსოლიუტს, მარადიულ დოგმასა და კანონს, ბუნებრივ მომენტსა და წესს.** ის იღებს მთელ სამართალს, როგორც საზოგადოების მატერიალური საფუძვლის ზედნაშენს, გარკვეული კლასობრივი ინტერესების დასაცავად. ლენინის მეთოდი იგივეა აქ, რაც მარქსენგელსის მეთოდი. დიალექტიური მატერიალიზმის პრიზმით აღებული სამართლისმეტყველების პრობლემები საოცარი სიცხადით ააშკარავებს სამართლის კლასობრივ ხასიათს და ამდენათვე მის რელატიურ ბუნებას სოციალ-მოვლენათა წყობაში.

ლენინი სამართლის პრობლემებს არ იხილავს სოციალ-პოლიტიკურ პრობლემების დამოუკიდებლად, მარტო იურიდიულ-ფორმალური თვალთახედვით. მისთვის ასეთი მეთოდი სავსებით უარყოფილია. ლენინი ეძებს სამართლის მატერიალურ ბუნებას, სამართლის შინაარს. ამ ძიების სფერო კლასთა ბატონობისა და ბრძოლის ისტორიაშია. კიდევ მეტი. სამართლის თეორია ლენინის სწავლაში არ იჭერს პირველ ადგილს. ლენინმა იცის, რომ სახელმწიფო წყობილება, სახელმწიფოს სოციალ-კლასობრივი ბუნება განსაზღვრავს სამართლის ბუნებას. სამართალი თუ მას თან არ ახლავს „იძულების აპარატი" ფუჭია და უმნიშვნელო, იძულების აპარატი კი სახელმწიფოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2. ლენინი სახელმწიფო სამართლის დარგში

ლენინი თავის „სახელმწიფოსა და რევოლიუციას“ იწყებს იმ განმარტებით, რომ რევოლიუციონურ მოაზროვნეთა სწავლა, მოაზროვნის სიკვდილის შემდეგ განიცდის დამახინჯებას მის მოწინააღმდეგეთა მიმართ, რათა ის გამოყენებულ იქნეს რეაქციონური მიზნებისთვის. ასეთი მოვლენები არის კ. მარქსის სწავლის შესახებ. ბურჟუაზია და ოპორტიუნისტები მარქსიზმის „დამუშავებით“ ცდილობენ გამოაცალონ მას მისი რევოლიუციონური მხარე. მისი რევოლიუციონური სული. ამიტომ ლენინი მიზნად ისახავს მარქსიზმის სწავლის აღდგენას სახელმწიფოს შესახებ. სახელმწიფო საკითხი დიდ მნიშვნელობას იღებს, როგორც თეორეტიკულად ისე პრაქტიკულ-პოლიტიკურ-ევოლიუციონური ბრძოლის პირობებში, იმპერიალიზმისა და რევოლიუციების ხანაში. ლენინი მიზნათ ისახავს აღადგინოს კ. მარქსის და ფრ. ენგელსის სწავლა სახელმწიფოს შესახებ. აღნიშნულ შრომაში, („სახელმწიფო და რევოლიუცია“) ლენინი ფოლადისებური კრიტიკით ანადგურებს რეფორმისტებისა და ოპორტიუნისტების მიერ მარქსიზმის „გადამუშავებას“, ააშკარავებს მათ სიყალბეს, ფალსიფიკაციას და არკვევს მარქს-ენგელსის ჭეშმარიტ აზრს სახელმწიფოს შესახებ.

ამიტომ ფიქრობენ, რომ ლენინმა თითქოს აღადგინა მარქს-ენგელსის სწავლა სახელმწიფოს შესახებ, მოახდინა „პროლეტარული დიქტატურის საკითხის არითმეტიკული გარჩევა“ (ამხ. ბუხარინი). ასეთ შეხედულებებს სამართლიანად არ ეთანხმება ამხ. ი. სტალინი, პროფ. გოიხბარგი პროფ. ბოშკო და სხვა. ამ მოაზროვნეთა შეხედულებით, ლენინმა მოახდინა არა მარტო მარქს-ენგელსის სწავლის აღდგენა სახელმწიფოს შესახებ, არამედ ამ სწავლის განვითარებაც. ამხ. ი. სტალინი გვეუბნება—შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლენინის მეთოდი არის უბრალო აღდგენა იმის, რაც მოცემულ იყო მარქსის მიერ არსებითად, ლენინის მეთოდი არის არა მარტო აღდგენის, არამედ მარქსის რევოლიუციონური სწავლის კონკრეტიზაციის და მისი განვითარების მეთოდი.

მარქსიზმის აზრის აღდგენას სახელმწიფოს შესახებ რევოლუციონური ბრძოლისთვის დიდი პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მთელი ქვეყნის რეფორმისტები და ოპორტიუნისტები პარლამენტარიზმის აპოლოგიით ცდილობდენ მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობის შეფერხებას და საპარლამენტო დებატებით დაკმაყოფილებას. ბურჟუაზია ორივე ხელებით იღებდა ისეთ „მარქსიზმს“, რომელიც არ გაშორდებოდა პარლამენტარული ლაყბობის ფარგლებს.

ლენინმა ფარდა ახადა რეფორმისტების ნოლვაწეობას, მათ მიერ მარქსიზმის დამახინჯებას. ლენინმა ცხადჰყო მარქსიზმის ჭეშმარიტი აზრი სახელმწიფოს შესახებ.

ამიტომ ლენინს უწოდებენ მარქსიზმის ინტერპრეტატორს სახელმწიფოს სწავლის დარგში. ეს სწორია, მაგრამ სწორია ისიც, რომ ლენინი არ შეჩერებულა ინტერპრეტაციაზე. მან განავითარა მარქსიზმის სწავლა სახელმწიფოს შესახებ ახალ სოციალ-პოლიტიკური მოვლენების ნიადაგზე. მარქსი და ენგელსი სწავლობდა სახელმწიფოს კაპიტალისტური სისტემის წონასწორობისა და პარიზის კომუნის პრაქტიკის ნიადაგზე. ლენინი სწავლობს სახელმწიფოს კაპიტალიზმის დაცემისა და რუსეთის ორი რევოლიუციის გამოცდილების ნიადაგზე. ამაშია ისტორიული განსხვავება მარქს-ენგელსისა და ლენინის სწავლას შორის სახელმწიფოს შესახებ. ერთია მეთოდი, მსოფლმხედველობა, ჭთლიანია მატერიალისტური დიალექტიკა საკითხის დაყენების და გაშუქების, სხვა და სხვა ეპოქა, კაპიტალიზმის სტადიები, რევოლიუციონური პრაკტიკა და გამოცდილება.

ლენინი ემყარებოდა როგორც მარქს-ენგელსის სწავლას და პარიზის კომუნის გამოცდილებას, ისე რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლას. კიდევ მეტი. ლენინი მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ პარიზის კომუნის დროს საფრანგეთის სოციალისტების არც ერთმა ფრაქციამ არ იცოდა რას აკეთებდა არ იყო საერთოდ გაგება იმისი თუ რას აკეთებდენ. ამასთან ერთად ეს „შეუგნებელი“ მუშაობა სწარმოებდა ერთ ქალაქში რამდენიმე კვირას, რუსეთში კი უზარმაზარ ქვეყანაში წლობით ტარდებოდა ახალი სახელმწიფოს შემოქმედება, განვითარება, გამოცდა.

მაგრამ რა არის სახელმწიფო კლასის ხელში? ლენინი უპასუხებს—ყოველი სახელმწიფო, მათ შორის დემოკრატიული რესპუბლიკაც, არის მანქანა ერთი კლასის ხელში მეორე კლასის დასამონებლად. პროლეტარული სახელმწიფო არის მანქანა პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიის დასამონებლად. ეს კი საჭიროა იმიტომ, რომ ექსპლოატატორები არაფრის წინაშე არ ჩერდებიან, თავგამოდებით იბრძვიან, როცა იწყება მათი დამარცხება და ექსპროპრიაცია.

აქაც ლენინი გამოდის არა სამართლის თეორიის „სამარადისო კატეგორიებიდან“, არამედ კლასთა ბრძოლის ლოლიკიდან, სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათიდან.

სახელმწიფო, ლენინის სწავლით, ისტორიული კატეგორიაა. იგი აღმოცენებულია საზოგადოების განსაზღვრულ საფეხურზე, კლასთა ბრძოლის იარაღათ და გაჰქრება მაშინ, როდესაც ის გახდება „მთელი საზოგადოების წარმომადგენლად“ ე. ი. როდესაც დაჰკარგავს თავის კლასობრივ ხასიათს. ამიტომ სახელმწიფოს ფორმალურ კლასიფიკაციას მისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ლენინი ამბობს—საბჭოები ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა როგორც ფორმა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თუ რომელ კლასებს წარმოადგენს ეს საბჭოები.

პროლეტარიატის ხელში სახელმწიფო წარმოადგენს დროებით ინსტრუმენტს ბურჟუაზიის დასამარცხებლად. ეს ინსტრუმენტი არ გადაეცემა პროლეტარიატს ბურჟუაზიისაგან გამზადებულად, როგორც ქარხნის მანქანები. არა. პროლეტარიატი ძალაუფლების დაპყრობისთანავე ბურჟუაზიული სახელმწიფოს რეფორმას, რემონტს, შეკეთებას კი არ უდგება, არამედ დამსხვრევას, განადგურებას და უკუგდებას. ის აგებს ახალ სახელმწიფოებრივ სისტემას, რომელიც განუსაზღვრელი უფლებრივი კომპენტენციით ემსახურება პროლეტარიატის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს, წარმოადგენს ბრძოლის ორგანიზაციულ შტაბს სამოქალაქო ომისა და სამეურნეო ცხოვრების ფრონტებისთვის.– ამ რიგად, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რევოლიუციის გზით, ჰკლავს პროლეტარიატი.

პროლეტარული სახელმწიფო ევოლიუციის გზით თვით კვდება. ამ სიკვდილში ორი მომენტია: 1) მკვდოვანობის პროცესის ხანგრძლივობა, და 2) პროცესის სტიქიურობა. რამდენადაც მონური, ფეოდალური, კაპიტალისტური სახელმწიფო ემყარება დიდი უმრავლესობის ჩაგვრას უდიდესი უმცირესობის სასარგებლოდ, იმდენათ ამ სახელმწიფოთა შინაგანი ბრძოლა მკაცრია, სისხლიანი და ტლანქი. (მონების აჯაყებანი, გლეხთა ომები, პარიზის კომუნა, რუსეთის და ჰუნგრეთის, ჩინეთის რევოლიუცია და სხვ.) სოციალისტურ სახელმწიფოში რამდენათაც დიდი უმრავლესობა ბატონდება უდიდეს უმცირესობაზე, რამდენათაც ამ ბატონობის მიზანია სოციალური ომიდან სოციალურ ზავში გადასვლა, საზოგადოებრივი სიმდიდრის თანასწორ სარგებლობის ნიადაგზე, იმდენათაც პროლეტარული სახელმწიფო ევოლიუციის გზით, უსისხლოთ, ხანგრძლივი პროცესის სახით მიდის თვითგაუქმებისაკენ.

ლენინი გვასწავლის—მხოლოდ კომუნიზმი ქმნის სრულ შესაძლებლობას სახელმწიფოს გაუქმებისთვის, რადგან არავინ არის დასაჩაგრავი, „არავინ“ კლასობრივი აზრით, რომელთანაც საჭირო იყოს სისტემატიური ბრძოლა.

ასეთ ისტორიულ მომენტამდე პროლეტარიატს სჭირდება სახელმწიფო. ლენინი გვასწავლის პროლეტარიატს სჭირდება სახელმწიფო – ამას იმეორებს ყველა ოპორტიუნისტები, სოციალ-შოვინისტები და კაუცკიანელები და გვარწმუნებენ, რომ ასეთია მარქსის სწავლა. მათ „ავიწყდებათ“ დამატება, რომ მარქსის სწავლით პროლეტარიატს სჭირდება მომაკვდავი სახელმწიფო ე. ი. მოწყობილი ისე, რომ მან სწრაფად დაიწყოს მკვდოვანობა და არ შეეძლოს არ მოკვდეს, რომ მშრომელებს სჭირდებათ სახელმწიფო, როგორც „გაბატონებულ კლასად ორგანიზაცია ქმნილი პროლეტარიატი“. „სახელიწიფო არის ძალის განსაკუთრებული ორგანიზიცია, ამა თუ იმ კლასის დამორჩილების. რომელი კლასი უნდა იქნეს დამორჩილებული პროლეტარიატის მიერ? რასაკვირველია მხოლოდ ექსპლოატატორები ე. ი. ბურჟუაზია“. ამიტომ სოციალისტური რევოლიუციის დროს აუცილებელია „პროლეტარიატის პოლიტიკუ-

რი ბატონობა, მისი დიქტატურა ე. ი. ხელისუფლება, რომელიც არავის არ გაუზიარდება და უშუალოდ დაეყრდნობა მასების შეიარაღებულ ძალებს".

აქ მოცემულია მიჯნა ერთი მხრივ „კაუცკიანურ მარქსიზმსა" და მეორე მხრივ ანარქიზმის შორის. ლენინის მიერ უარყოფილია რეფორმისტული თეორია სახელმწიფოში კლასთა თანამშრომლობის შესახებ, უარყოფილია „წმინდა დემოკრატიის" პრინციპი, როგორც საპარლამენტო ლაყბობა. ამით ლენინის სწავლის მიერ აღდგენილია მარქსის რევოლიუციონური თეორია სახელმწიფოს შესახებ. ლენინის მიერ უარყოფილია ანარქისტული თეორიაც სახელმწიფოს გაუქმების შესახებ, უარყოფილია წვრილ-ბურჟუაზიული ნიჰილიზმი და სახელმწიფოს როლის გაუქმების ცდა.

რეფორმისტები სახელმწიფო პოლიტიკურ ფორმათა ძიებაში ეძებენ პროლეტარიატის ხსნას, ანარქისტები ყოველგვარ პოლიტიკურ ფორმათა უარყოფაში. ლენინი უარყოფს სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმათა მნიშვნელობას, საბჭოებიც მისთვის მნიშვნელოვანია არა როგორც ფორმა, არამედ, როგორც განსაზღვრული კლასის, პროლეტარიატის ხელისუფლების წარმომადგენელი, ის უარყოფს ყოველგვარ პოლიტიკურ ფორმათა უარყოფის თეორიასაც, იღებს სახელმწიფოს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურას განუსაზღვრელი უფლებებით, დამყარებულს მასების შეიარაღებულ ძალებზე და მიმართულს კლასობრივი საზოგადოების ლიკვიდაციისაკენ.

ასეთია მოკლეთ ის თვალსაზრისი, რომელიც წამოყენებულია ლენინის მიერ არა მარტო როგორც აკადემიური დოქტრინა, არამედ, როგორც ბრძოლის მეთოდი, რევოლიუციონური შემოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა.

ლენინი მთელი თავისი სიმაღლით სწორეთ ბრძოლაშია მოცემული, ბრძოლაში ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და დაცვისოვის, მისი „სახელმწიფოს და რევოლიუციის" 1917 წლის გამოცემის წინასიტყვობაში აღნიშნავს, რომ მას შედგენილი ჰქონდა მეშვიდე თავი „1905 და 1917 წ. რუსეთის რევოლიუციის გამოცდილება", მაგრამ „პოლიტიკურმა კრიზისმა", ოქტომბრის რევოლიუციის წინა დღებმა, ხელი შეუშალა მის დაწერაშიო. ასეთ „ხელის შეშლის" შეიძლება მხოლოდ მოხარული ვიყოთ, რადგან „სასიამოვნო და სასარგებლოა რევოლიუციის გამოცდილების" გამოყენება, ვიდრე მასზე წერაო".

აქ მოცემულია ლენინის მებრძოლი ფიგურა, რომელიც მიიწევს ქუჩისაკენ, ქარხნისაკენ, ტრიბუნისაკენ, სადაც მილიონები მოძრაობს, სადაც ისტორია კი არ იწერება, არამედ იქმნება, კეთდება, სადაც „სასიამოვნო და სასარგებლოა" რევოლიუციის გამოცდილებით ხელმძღვანელობა.

ლენინის მთელი ბრძოლა საბჭოთა სეხელმწიფოებრიობის მოპოებისა და დაცვისთვის დიდძალ მასალას იძლევა ლენინის, როგორც იურისტის შესასწავლად, როგორც სამართლის პოლიტიკის დარგის მებრძოლის გასაცნობად.

ისტორიამ არ იცის სახელმწიფო სამართლის ისეთი გარკვეული, მტკიცე და სწორი რევოლიუციონური სწავლა, როგორიც მოგვცა ლენინმა. კიდევ მეტი. ისტორიამ არ იცის არც ერთი მოაზროვნე სახელმწიფოსა და სამართლის დარგიდან, რომელსაც გადაეტანოს თავის ნააზრები ბრძოლის არენაზე და გაელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი დაუშრეტელი ნებისყოფა და ენერგია ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად, როგორიც გაიღო ლენინმა.

**ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს სამართლის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსია.**

მაგრამ განა ლენინის, როგორც იურისტის მოღვაწეობა განისაზღვრება სახელმწიფოს სამართლის თეორიითა და პრაქტიკით? რასაკვირველია არა. ლენინი იწყებს ახალ ერას საერთაშორისო სამართლის დარგში.

### 3. ლენინი საერთაშორისო სამართლის დარგში

ძალის მნიშვნელობა ყველაზე მეტად საერთაშორისო სამართალში ჩანს. ლ. ჯორჯი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დღეს, ქაოსისა და ბრძოლების დროს, საერთაშორისო სამართალი ძალის წინაშე ქედს იხრის. საერთაშორისო ცხოვრების ახალ ძალად გამოდის საბჭოთა სახელსწიფოები, რევოლუციონურ ქვეყნები. საერთაშორისო სამართალი არ არის ბუნებრივ-უფლებრივი ნორმები (ლორიმენი) არც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა (რივიე, ვენცელი) ის არც „მსოფლიო კავშირის“ ნორმებია (შტამლერი) და არც ინტერსოციალური სამართალი (დიუგი).

**საერთაშორისო სამართალი არის სახელმწიფოთა გაბატონებულ კლასების ურთიერთობის ნორმები** (საერთაშორისო დამოკიდებულებაში) **დამყარებული სახელმწიფოთა ფაქტიურ ძლიერებაზე, კაპიტალისტურ და იმპერიალისტურ რესურსებზე.**

ლენინმა კარგად იცის ეს გარემოება, ამიტომ ის საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო პოლიტიკის დარგში გამოდის არა არსებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით, არა „საერთაშორისო ზრდილობის“ პრინციპებით, არამედ კლასობრივი ინტერესით და ფაქტიური ძლიერების არგუმენტით.

საერთაშორისო სამართლის ახალ პერიოდში სამი საფეხური არსებობს: პირველი—აბსოლიუტიზმის ხანა, ევროპის ქვეყნების სამიწადმოქმედო შრომაზე დამყარებული მეურნეობის პერიოდი, ხანა საფრანგეთის რევოლიუციამდე; მეორე—ბურჟუაზიის ბატონობა, დამყარებული სამრეწველო კაპიტალიზმის სამეურნეო სისტემაზე. საფრანგეთის რევოლიუციიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე; მესამე—მსოფლიო ომი და რევოლიუციის ხანა, დამყარებული ფინანსიურ კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ნიადაგზე.

ამ სამ საფეხურში სულ სხვადასხვა ხასიათს ღებულობს საერთაშორისო ურთიერთობა, საერთაშორისო სამართლის ნორმები. უკანასკნელ საფეხურში—იმპერიალიზმის პერიოდში თავს იჩენს: 1) წინააღმდეგობა სახელმწიფოთა შორის იმპერიალისტური პოლიტიკის ნიადაგზე, ბრძოლა კოლონიებისა და „გავლენის სფეროებისთვის“, 2) წინააღმდეგობა იმპერიალისტურ და კოლონიალურ ხალხთა შორის, კოლონიების მოძრაობა განთავისუფლებისთვის. 3) წინააღმდეგობა სახელმწიფოებს შიგნით შრომასა და კაპიტალს შორის.

ამიტომ ნაციონალური ომების ნაცვლად ისტორია გვაწვდის კოლონია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ ომებს, რევოლიუციებს და შრომისა და კაპიტალის პერმანენტულ დაპირისპირებას.

ლენინის ხელმძღვანელობით პროლეტარიატი გამოდის მსოფლიოს მეექვსედზე, როგორც სახელმწიფოებრივ ორგანიზაციული ძალა. ამ გამოსვლას აქვს არა მარტო საშინაო, არამედ უაღრესად საერთაშორისო მნიშვნელობა. რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება იტალეთში, გერმანეთში, ჰუნგრეთში. იწყება გამემარცხენეობა მუშათა კლასის ინგლისში და ავსტრიაში. ყოველივე ეს მოქმედობს საერთაშორისო სამართლის დარგში.

როგორ პროგრამას აყენებდა ლენინი საერთაშორისო პოლიტიკის დარგში? როგორია მისი პლატფორმა კაპიტალისტურ, კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებთან ურთიერთობის სფეროში?

ლენინი თავის თეზისებში, ნაციონალურ და კოლონიალურ საკითხების ირგვლივ, რომელიც მიიღო კომუნისტურ ინტერნაციონალის II კონგრესმა, იძლევა **საბჭოთა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს.** აქ გამორკვეულია ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის მიერ ფორმალური თანასწორობის ნიადაგზე ნაციონალური ჩაგვრის სიმწვავე, ფინანსიური კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის პირობებში სახელმწიფოთა ურთიერთობის ფორმების სიმახინჯე, ნაციონალური და კოლონიალური ომების სიმძაფრე. აქ მოცემულია კომინტერნის ამოცანები—კავშირი მსოფლიოს დამონებულ კლასებთან და ერებთან, რაც „ჰქმნის გარანტიას კაპიტალიზმზე გამარჯვებისთვის, რის გარეშე შეუძლებელია ნაციონალური ჩაგვრისა და არათანასწორუფლებიანობის მოსპობა“. ლენინის მიერ ფედერაცია დასახულია, როგორც მშრომელთა გაერთიანების ფორმა საერთაშორისო მასშტაბით. ამ ფედერაციის ეკონომიურ საფუძვლად აღებულია მსოფლიო მეურნეობის გამტკიცება, რომელიც იწყება კაპიტალიზმის დროს და რაც აუცილებლად უნდა დასრულდეს სოციალიზმის პირობებში.

**საერთაშორისო ურთიერთობაში ლენინი საერთაშორისო სოც-დემოკრატიის ნაციონალიზმისა და პაციფიზმის ნაცვლად აყენებს სოციალისტურ და რევოლიუციონურ ინტერნაციონალიზმს, რომელიც გამოდის მშრომელი კლასის დიქტატურისა და ერთა თანასწორობის პრინციპებიდან.**

**აღნიშნული თეზისები** ისე, როგორც ლენინის ყველა გამოსვლები ლიტერატურული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ხასიათის, **აყენებს საერთაშორისო სამართლის დარგში სრულიად ახალ პრინციპებს, სრულიად ახალ გზას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის თეორიას.** მაგრამ ეს არ არის მარტო თეორია. მსოფლიოს ერთი მეექვსედი ამ თეორიით აწარმოებს საერთაშორისო პოლიტიკას, იმპერიალისტური ბურჟუაზია გრძნობს ასეთი საერთაშორისო პოლიტიკის მთელ საშიშროებას თავის ბატონობისთვის. ამიტომ ის მიმართავს აშკარა ბრძოლას, ბლოკადას (ბრესტ-ლიტოვსკის ზავი. დიდი და მცირე ინტერვენცია). ბურჟუაზიის ხმალი ვერ სჭრის. პროლეტარიატის ნებისყოფა და ლენინის გენიალური ხელმძღვანელობა ამარცხებს კაპიტალისტთა შემოტევას. იწყება მეორე პერიოდი საერთაშორისო ურთიერთობაში. „კრემლის ყაჩაღები“ იღებენ ფაქტიურ და იურიდიულ ცნობას კაპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალისტური ქვეყნებიდან. აშკარა ხდება ძალა ჰქმნის საერთაშორისო სამართალს და არა „კატეგორიული აბსოლიუტები“. ცნობას თან ერთვის მთელი რიგი ხელშეკრულებანი ეკონომიური კომპრომისის ნიადაგზე (რუსეთ-ინგლისის შეთანხმება 1921 წ. 16 მარტს. რაპალოს ხელშეკრულება 1922 წ. 16 აპრილს. საბჭოთა კავშირისა და იტალიეთის ხელშეკრულება 1924 წ. 7 თებერვალს. საბჭოთა კავშირისა და გერმანეთის ხელშეკრულება 1925 წ. 12 ოქტომბერს.) ხელშეკრულებანი აღმოსავლეთის მთელ რიგ სახელმწიფოებთან, აღმოსავლეთთან, რომელმაც გაიგო საბჭოთა კავშირის ჭეშმარიტი კეთილმეზობლური ინტერესი და შეიგნო დასავლეთის იმპერიალისტების აგრესიული ზრახვანი. ხელშეკრულებანი ოსმალეთთან, ჩინეთთან, სპარსეთთან.

ამ მხრივ **საერთაშორისო სამართლის დარგში გაჩნდა ორი ძალა:— პირველი — „ერთა ლიგა“, იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა კავშირი, დამყარებული უთანასწორობაზე, ექსპლოატაციაზე, ჩაგვრაზე და მონობაზე, მეორე — საბჭოთა კავშირი, რევოლიუციონური ცეცხლიდან გამოსული პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, დამყარებული მშრომელთა ბატონობაზე, ერთა თანასწორობაზე, რომლის ირგვლივ თავს იყრის მთელი მსოფლიოს დაჩაგრული კლასები და ერები კაპიტალიზმის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.**

ამრიგად ლენინის მიერ აღებული საერთაშორისო პოლიტიკა საბჭოთა საერთაშორისო სამართლის ძირითადი საფუძველია. საბჭოთა კავშირის ურთიერთობა საგარეო საქმეებში ამ საფუძველს ემყარება. **ის არის მთელი მსოფლიოს დაჩაგრული ნაწილის, მშრომელი მასებისა და დამონებული ერების ჭეშმარიტი საერთაშორისო სამართალი.** ლენინი საბჭოთა საერთაშორისო სამართლის საფუძვლების თეორეტიკოსი და პრაქტიკოსია.

## 4. ლენინი სისხლის სამართლის დარგში:

ლენინი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებაში. პროფ. ა. გოიხბარგის მოწმობით, როდესაც 1922 წლის გაზაფხულზე სწარმოებდა სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავება, ლენინს მკურნალების მიერ აკრძალული ჰქონდა მუშაობა, კომისართა საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობა. ამის მიუხედავათ, ლენინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს იმ კომისიის საქმიანობას, რომელიც ამუშავებდა სისხლის სამართლის კოდექსს. ლენინი მიწერ-მოწერას აწარმოებდა იუსტიციის სახალხო კომისარ ამხ. კურსკისთან, აძლევდა მას დირექტივებს, მიუთითებდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ყოფილიყო საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საგარეო თავისებურებანი, პროლეტარიატის დიქტატურის ხასიათი ბურჟუაზიული გარემოცვის პირობებში და სხ. კიდევ მეტი. იგივე ავტორი გადმოგვცემს, რომ ზოგიერთ სხვა მუხლებთან ერთად ლენინს ეკუთვნის კონტრრევოლიუციონური დანაშაულობის ნორმების დამატების მუხლიც, სადაც ლაპარაკია იმ ქმედობის შესახებ, რაც კავშირშია საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილთან, რომელიც მიზნად ისახავს ბლოკადის, შპიონაჟის და სხვ. გზებით საბჭოთა წყობილების დამხობას.

ლენინს სრულიად უყურადღებოდ რომ დაეტოვებია სისხლის სამართლის კოდექსი, ის მაინც დარჩებოდა საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ უპირველეს თეორეტიკოსად და პრაქტიკოსად. ლენინის მიერ ჩამოყალიბებული სწავლა სახელმწიფოზე, გარკვევა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური მიზნების და ამოცანების გარდამავალ პერიოდში, ხელმძღვანელობა ამ პრაქტიკულ—პოლიტიკური მუშაობის, უკვე თავის თავად განსაზღვრავენ სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს, დანაშაულობის ცნებას, დასჯის ბუნებას, სოციალური თავდაცვის ზომების ხასიათს.

კლასთა ადგილგადანაცვლება ჰქმნის ახალ ვითარებას სისხლის სამართლის დარგში. დამნაშავეთა შემადგენლობის სოციალური ბუნება მკაცრად იცვლება. დამარცხებული კლასი იძლევა პოლიტიკურ და. წმინდა კრიმინალურ დამნაშავეთა დიდ პროცენტს. „დანაშაულად—ითვლება კოდექსის სიტყვით—ყოველგვარი საზოგადოებრივად საშიშარი ქმედობა, ან უმოქმედობა, რაც ემუქრება. საბჭოთა წყობილების საფუძვლებს, დამყარებულს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მიერ კომუნისტურ საზოგადოებაში გადასასვლელ გარდამავალ ხანაში". დანაშაულობის ეს ფორმულა ლოღიკურად გამომდინარეობს ლენინის სწავლიდან პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ამ ფორმულაში ისე, როგორც ლენინის სწავლაში სახელმწიფოზე მოხსნილია ყოველგვარი „წმინდა იურიდიული" თვალსაზრისი, ბურჟუაზიულ იურისპრუდენციის იდეოლოგიური გავლენა და აღებულია პროლეტარული დიქტატურის კლასობრივი ინტერესი სისხლის სამართლის დარგში.

ლენინი, როგორც კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, როგორც უშუალო ხელმძღვანელი სამოქალაქო ომის, დამსჯელ პოლიტიკას მიმართავდა უდიდესი სისწორითა და დაკვირვებით. ხელმძღვანელობა სამოქალაქო ომის, წარმართვა კლასობრივი ბრძოლის, ლენინისაგან მოითხოვდა რეპრესიების, ტერორის დარგში დიდ მიზანშეწონილებას, დაკვირვებას და მოქნილობას. ლენინს არ გააჩნდა სისხლის სამართლის დარგში არც თეორიიდან და არც პრაქტიკიდან შექმნილი საფუძვლები. გამარჯვებული პროლეტარიატი ვერ იხელმძღვანელებდა ვერც ძველი სამართლის თეორიით, ვერც ძველი კანონმდებლობით. ახალის შესაქმნელად არ იყო არც დრო, არც შესაძლებლობა. საჭირო იყო მოქმედება, მოქმედება თავდაცვისთვის, მოქმედება მოგერებისთვის. საჭირო იყო დამსჯელი საქმიანობის იმ წესით მომართვა, რომ მას მაქსიმალურად შეეჩერებია კონტრევოლიუციონური შეტევა პროლეტარულ სახელმწიფოზე, საბოტაჟი, ბოიკოტი, გამფლანგველობა და სხ., რაკ ძირს უთხრიდა ახალად შექმნილ ხელისუფლებას. მხოლოდ ლენინის ოსტატურ ხელს შეეძლო პირველი სოციალისტური რევოლიუციის დროს მიზანშეწონილად მიემართა სახელმწიფოს დამსჯელი პოლიტიკა.

სახ. კომისართა საბჭომ სამოქალაქო ომის პირველი შენელების პერიოდში წამოაყენა სიკვდილით დასჯის გაუქმება. ლენინი არ წასულა ამ დებულე-

ბის წინააღმდეგ, მაგრამ განაცხადა, რომ ჯერ ნაადრევია ასეთი კანონის ცხოვრება მას უკან წაგვაღებინებსო. და მართლაც, კონტრრევოლუციის აქტიურმა შემოტევამ გამოიწვია სიკვდილის დასჯის კანონის აღდგენა. ლენინმა კარგად იცოდა, რომ რევოლუციის დროს, სამოქალაქო ბრძოლის პირობებში, დასჯის ყველა სახე, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს არ ემუქრება, ჰკარგავს ზოგად გამაფრთხილებელ (ზოგად პრევენციის) თვისებას. მოწინააღმდეგე მხარეს ვეღარ აშინებს ვერც ერთი სასჯელი, რომელიც დასჯილის სიცოცხლეს არ ემუქრება, ასეთ პირობებში დასჯილი დარწმუნებულია დამსჯელის არახანგრძლივობაში, მისი ძალა-უფლების უმტკიცობაში და დროებლობაში. ამიტომ კატორღის და ციხის კედლები მას არ აფრთხობს, რადგან ყოველ წუთს ამ კედლების დანგრევას მოელის.

ლენინი, რომელმაც იცოდა, რომ სამოქალაქო ბრძოლის დროს აუცილებელია რეპრესიის სიძლიერით მოწინააღმდეგეთა დაშინება,—მიმართავდა მიზანშეწონილ ზომებს. ამ მხრივ დიდ მასალას წარმოადგენს ლენინის უშუალო პრაქტიკული შემოქმედება, როგორც რევოლუციის ხელმძღვანელის და როგორც სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის. ლენინი სამოქალაქო ომის პირობებთან შეფარდებით იმუშავებდა სისხლის სამართლის ახალ ნორმებს, ახალ კანონებს.

**ლენინი საბჭოთა სისხლის სამართლის მამათმთავარია.**

## 5. ლენინი სამოქალაქო სამართლის დარგში

საბჭოთა სამოქალაქო სამართალი აღმოცენებულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებზე. ვიდრე სახელმწიფო, სამოქალაქო ომის პერიოდში, „სამხედრო კომუნიზმის" სისტემის ფარგლებში, თვით გამოდიოდა ერთადერთ სამეურნეო სუბიექტად, მანამდე არ იყო საფუძველი სამოქალაქო სამართლის არსებობისთვის. გადასვლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, დაშვება კერძო ინიციატივის, გადაყვანა სახელმწიფოებრივ მეურნეობის სამეურნეო ანგარიშზე ჰქმნიდა შესაძლეობას სამოქალაქო ბრუნვის განვითარებისთვის, აქედან ამ ბრუნვის მომწესრიგებელი სამართლის შემოღებისთვის.

აქ ჩვენთვის საჭირო არ არის იმის აღნიშვნა თუ რამდენი სიძნელე, პრაქტიკული და თეორიული დაბრკოლებანი ელობებოდა წინ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ჩამოყალიბებას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლენინის მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის წამოყენება და დასაბუთება აყენებდა და ასაბუთებდა სამოქალაქო კოდექსის, მომქმედი სამართლის საფუძვლებსაც. საბჭოთა სამოქალაქო სამართალში იმ თავითვე და დღესაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობათა ურთიერთობის მოწესრიგებას, ამ მეურნეობათა უფლებრივ მომენტთა გამორკვევას, ისეთ მდგომარეობის შექმნას, რომ კერძო ინდივიდუალისტური მეურნეობა არ განვითარდეს საზოგადოებრივ-კოლექტიურ მეურნეობის საზიანოდ. ლენინი ამ გარემოებას აქცევდა დიდ ყურადღებას. პროფ. ა. გოიხბარგის მოწმობით სამოქალაქო კოდექსის შემუშავების დროს, როგორც სპეცი იურისტები, ისე ზოგიერთი სამეურნეო დარგის მომუშავე კომუნისტებიც ცდილობდენ ჩვენი სამოქალაქო კოდექსი დაეახ-

ლოვებიათ ბურჟუაზიულ სამოქალაქო კოდექსთან ე. ი. გაეუქმებიათ ჩვენი კოდექსის კომუნისტური ელემენტები, რითაც ის განსხვავდება ბურჟუაზიული კოდექსებიდან. ლენინი გამოვიდა კომუნისტური ელემენტების დასაცავად. პროფ. ა. გოიხბარგი მოგვითხრობს, რომ მე ლენინმა გამომიძახა ინფორმაციისთვის კოდექსზე მუშაობის შესახებ, გაეცნო საკითხს, დამპირდა, რომ ის მხარს დაუჭერდა კომუნისტური ელემენტების ტენდენციასო. მეორე დღეს ლენინი იცავდა ამ ელემენტებს და მისი სიტყვიდან გამოდიოდა, რომ შემდეგში შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ინდივიდუალისტური წამოწყებების შევიწროვების წინააღმდეგ და არა პირუკუ. ლენინი ებრძოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის გადაჭარბებას და აცხადებდა, რომ ჩვენ ვერ მოვახდენთ მათ ლეგალიზაციასო. ის სამოქალაქო კოდექსის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა—რომ ის პოლიტიკა, რომელიც ჩვენ მტკიცეთ შემოვიღეთ და რომლის შესახებ ჩვენში მერყეობა არ შეიძლება იყოს, წარმოადგენს მცხოვრებთათვის მნიშვნელოვან საკითხს. ჩვენ აქ შევეცადეთ გაგვეყვანა საზღვარი არსებულ ეკონომიურ ბრუნვის დროს ყოველი მოქალაქის კანონიერ მოთხოვნილებასა და მას შორის, რაც წარმოადგენს ახალი ეკონომიური პოლიტიკით ბოროტმოქმედებას, რის ლეგალიზაციას ჩვენ არ დაუშვებთ. თუ ჩვენი ეხლანდელი შესწორებანი არ გამოდგა, ჩვენ მაშინვე შევიტანთ სათანადო შესწორებებს, როგორც კი თავს იჩენს ახალი ეკონომიური პოლიტიკით ბოროტმოქმედებაო.

**მაშასადამე, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ცენტრალური საკითხი, კომუნისტურ და ინდივიდუალისტურ წამოწყებათა ურთიერთობის შესახებ, ლენინმა გარკვევით განმარტა.** მან მოგვცა სახელმძღვანელო დებულება, რომ შეიძლება შემდეგში არა ინდივიდუალისტური წამოწყებების სასარგებლოდ უფლებრივი გარანტიების გაფართოვება, არამედ პირუკუ მათი შევიწროება კოლექტიურ—კომუნისტური წამოწყებების სასარგებლოდ.

აქედან აშკარაა—ლენინმა ახალ ეკონომიური პოლიტიკის დასაბუთებით მოგვცა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის საფუძვლები. ლენინმა მოგვცა გარკვეული პასუხი ჩვენი სამართლის პრინციპიალური ხასიათის შესახებ, რითაც ის განირჩევა ბურჟუაზიული სამოქალაქო სამართლიდან. ამიტომ ლენინი ჩვენს სამოქალაქო სამართლის შემუშავებაშიაც იღებდა უშუალოსა და აქტიურ მონაწილეობას.

**ლენინი როგორც საბჭოთა სამოქალაქო სამართლის საფუძვლების ავტორია.**

## ჩ. ლენინი კანონმდებელი და ადმინისტრატორი

ლენინის საკანონმდებლო მუშაობა არ არის შესწავლილი. ჩვენ ამ მცირე მიმოხილვაში მიზნათაც ვერ დავისახავთ ამ საკითხის განხილვას. აქ საჭიროა აღნიშვნა რამოდენიმე მომენტის, რომელიც ახასიათებს ლენინის საკანონმდებლო მუშაობას. აქაც პროფ. ა. გოიხბარგი გვაწვდის ცნობებს. ის გვეუბნება—ლენინი არკვევდა მეტად მცირე მნიშვნელობის დეკრეტების ყველა დეტალებს, არასოდეს არ გაუშვებდა რაიმე ბუნდოვანს, გაურკვეველს, გაუგებარს მასსებისთვის. ის მოითხოვდა, რომ ყოველი დეკრეტი, დადგენილება შეთანხმებული ყოფილი-

ყო ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებთან. გათვალისწინებული ყოფილიყო ყოველი მომენტი, დადგენილების შედეგები და სხ. ყოველ დეკრეტთან ის მიდიოდა კონკრეტიულად, ცხოვრების თვალით, მოითხოვდა, რომ [illegible] და სწორად გატარებულიყო კანონები სინამდვილეში, გავრცელებულიყო ხალხში კანონის მნიშვნელობა, კანონისადმი პატივისცემა და სხ. დეკრეტი „კანონთა სწორი ხელმძღვანელობისთვის" ლენინის აზრით ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ავტორი გადმოგვცემს, რომ ამხ. კურსკის საშუალებით მე მოვანდო ფურცელის დაწერა ამ დეკრეტის შესახებ და თვალყურს ადევნებდა მის გამოცემასა და გავრცელებასო. დატვირთული კომისართა საბჭოს, პოლიტბიუროს, წითელი არმიის საქმეებით, სამოქალაქო ომის წარმოებით ის დაწვრილებით ეცნობოდა ყოველ პროექტს, ყოველი დადგენილების გეგმას. კონტროლს უწევდა მთელ საკანონმდებლო მუშაობასო.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ ლენინის როლი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ჩამოყალიბების დარგში. ლენინი საკანონმდებლო მუშაობაში შედის **მიწისა და შრომის კოდექსების** ჩამოყალიბებაც. მან პირადათ შეიტანა ამ კოდექსში შესწორებანი და დამატებანი.

ლენინის წერილები, სიტყვები ქალთა საკითხის შესახებ **საფუძველია საბჭოთა საოჯახო სამართლის.** ლენინის სწავლის მიხედვით არის გადაჭრილი არა მარტო ქალის ეკონომიური, პოლიტიკური უფლებანი, არამედ მისი საოჯახო უფლებაც.

ამ მხრივ ლენინის მუშაობა კოლოსალურია. ლენინის საკანომდებლო შემოქმედების შესწავლა აუცილებელია საბჭოთა სამართლის შემდეგი განვითარების თვალსაზრისით. დღეს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ზოგადათ წარმოვიდგინოთ ის კოლოსალური შემოქმედება, რომელიც ლენინმა მოგვცა, როგორც კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ.

ლენინის საკანონმდებლო შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირი აქვს ლენინის თეზისებს, რეზოლიუციებს პარტიის ყრილობებზე, კომინტერნის კონგრესებზე, ცეკასა და პოლიტბიუროს სხდომებზე. დღეს კიდევ ვერ ვაფასებთ ამ ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობას. ხვალ კი, როდესაც უფრო მყუდრო დასიურ პირობებში ჩადგება ჩვენი ცხოვრება, საბჭოთა იურისტები, სოციალისტური იურისპრუდენცია, ალბად ტომებსა და ათეულ ტომებს მოანდომებს იმ მასალაში გასარკვევათ, რომელიც იშვიათი სიუხვით, ნაყოფიერებით და გენიალობით მოგვცა ლენინმა, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს კანონმდებელმა, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ადმინისტრატორმა, როგორც პარტიისა და ინტერნაციონალის რევოლიუციონერმა მებრძოლმა.

განუზომელად დიდი, ფართო და ღრმაა ლენინის შემოქმედება როგორც ადმინისტრატორის, როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელის, როგორც სამოქალაქო ომის მესვეურის. ამ საკითხს ტომებს მიუძღვნის საბჭოთა იურისპრუდენცია, რადგან ამ საკითხში გარკვევა ჩვენ მოგვცემს დიდ გამოცდილებას მართველობის დარგში.

## 7. ლენინი, როგორც სამართლის პოლიტიკის შემოქმედი

სამართლის ფილოსოფიის ისტორიაში ლენინს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. **სამართლის თეორეტიკოსები სწავლობდენ სამართალს ისე, როგორიც არის ის, ლენინი ჰქმნის სამართალს როგორც უნდა იყოს ის.**

ეს „უნდა იყოს“ ლენინის სწავლაში თელეოლოგიურ-იდეალისტური მომენტი არ არის. ლენინი ისტორიული მატერიალიზმის თვალთახედვით არჩევს სამართლისა და სახელმწიფოს პრობლემებს, სამაგალითო სიცხადით ააშკარავებს ბურჟუაზიული იურისპრუდენციის თვალთმაქცობას და სოფისტიკას, კლასობრივ-რევოლიუციონური სტრატეგიით იღებს სამართალსა და სახელმწიფოს და პრაქტიკულად ანალდებს მას ცხოვრების სინამდვილეში.

**ლენინი სამართლის პოლიტიკის იურისტია.** სამართლის პოლიტიკაში კი ის გამოდის პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესით და რევოლიუციის სარგებლიანობის თვალსაზრისით. ის ჰქმნის სოციალისტურ სამართალს. მისი თეორია დოგმატიური მსჯელობისათვის კაბინეტში დალაგებული აზრები კი არ არის, ის ბრძოლის მეთოდია, სამოქალაქო ომის ცეცხლში გამომწვარი და მუშათა კლასის ენერგიით ხორცშესხმული.

მთელი ისტორიის გასწვრივ სამართალის პოლიტიკას არ ჰყოლია ლენინის მგზავსი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი. ლენინის გარდა სამართლის არც ერთ თეორეტიკოსს ქუჩაში, ბარიკადებზე, ომის ცეცხლში არ გაუტარებია თავისი ნააზრევი, ლენინის მგზავსად არ გაულია კოლოსალური ნებისყოფა ახალი უფლებრივი ურთიერთობის დამყარებისთვის, ახალი სამართლის ჩამოყალიბებისთვის.

რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ლენინმა სწორად გაიგო სახელმწიფო და სამართლის ბუნება, იმიტომ რომ ლენინმა, შესაფერ ეპოქაში, მილიონებს გადასცა ეს გაგება მათი ინტერესების გასანაღდებლად, იმიტომ რომ ლენინის პიროვნებაში მოთავსდა ორი თანაბრად ძლიერი ადამიანური ბუნება — ფილოსოფიური, თეორეტიული მოაზროვნე და პოლიტიკური, პრაქტიკული მებრძოლი.

ასეთი პიროვნებანი იშვიათია ისტორიაში. მეცნიერების, თეორეტიკოსების ცოდნა ჰკლავს მათ ნებისყოფას. პოლიტიკოსების, პრაქტიკოსების ბრძოლა ალარიბებს მათ ცოდნას. მეცნიერები მსჯელობენ დაუსრულებლად მასზე, რასაც ვერასოდეს ვერ მისწვდებიან, პოლიტიკოსები დაუცხრომლად იბრძვიან მათთვის, რაც კარგად არ იციან. სამართლის თეორეტიკოსები სწერენ ათეულ და ასეულ ტომებს, იკვლევენ სხვადასხვა ხალხის სამართალს, მათ შედარებას, მათ წარმოშობას, მათ ბუნებას და ერთ ნაბიჯსაც ვერ სდგამენ წინ ახალი სამართლის დამყარებისთვის. პრაქტიკი იურისტები ჭაპან-წყვეტაში არიან სამართლის გაგების, ინტერპრეტაციის, მოშარჯვებისთვის. მათი აზრი და გონება ისაზღვრება არსებულ კანონმდებლობათა ცოდნითა და მისი გამოყენებით. მათი შემოქმედება წინ ვერ მიდის ახალი სამართლის დამკვიდრებისთვის.

ლენინმა აიღო სახელმწიფოსა და სამართლის სწორი გაგება და აქცია ის მილიონთა ბრძოლის საგნათ, გაანაღდა ის ცხოვრებაში, დაამტკიცა მისი სისწორე სინამდვილეში. ამ მხრივ ლენინი წარმოადგენს სამართლის ისტორიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად განსაკუთრებულ ფიგურას, სრულიად თავისებურ პიროვნებას აზროვნებისა და ბრძოლის დარგებში.

ამ მხრივ ლენინი კიდევ შეუსწავლელია. ლენინი, როგორც იურისტი მეტად დიდი, ღრმა და ფართო თემაა. მისი გარკვევა უდრის მთელი სოციალისტური სამართლის საწყისებისა და საფუძვლების შესწავლას. მთელი ეპოქის სოციალ-პოლიტიკური ბუნების გათვალისწინებას.

ლენინის პიროვნება ეპოქაა ეპოქათა უღელტეხილზე გადასავლელი. ამ გარდასვლის სტრატეგიასა და ტაქტიკაშია ლენინის იურიდიული აზროვნება და საქმიანობა. გარდასვლის გზა პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის არის და არა წმინდა იურიდიულის. გარდამავალი პერიოდი კაპიტალიზმის განვითარების კანონებით არის გამოწვეული. ლენინმა კარგათ იცის, რომ იურიდიული მომენტი ამ ფონზე იშლება. ამიტომ ის „სახელმწიფოსა და რევოლიუციის“ პირველ წინასიტყვაობაში სახელმწიფოს სწავლას ქვაკუთხედათ უდებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის გარდასვლის პროცესს სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმათ, რაც მუშათა კლასის გაძლიერებული ექსპლოატაციის საფუძვლად ხდება. იგივე ძირითადი ეკონომიური ფაქტორები იწვევს სახელმწიფოთა ბიუჯეტების მილიტარიზაციას, სამსოფლიო მნიშვნელობის ომებსა და სამხედრო კომფლიქტებს. ამ ისტორიულ პერიოდში იურიდიულ — სახელმწიფოებრივ მომენტი მუშათა კლასისთვის მნიშვნელოვანი ხდება, როგორც საკუთარი კლასობრივი ბრძოლის იარაღების საკითხი, როგორც საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნის საკითხი სამოქალაქო ომში წარმატებით ბრძოლისა და საბოლოო მიზნების განხორციელებისთვის.

ამდენათვე გარდამავალ პერიოდში ყოველი ეკონომიური ბრძოლა აშკარა პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა, ყოველი პოლიტიკური ბრძოლა სახელმწიფოებრივ ხასიათს იღებს, ხელისუფლებისთვის ბრძოლად იქცევა. ბრძოლა ხელისუფლებისთვის, დაპყრობა ხელისუფლების, შენება ახალი სახელმწიფოსა და სამართლის წარმოადგენს იურიდიულ შემოქმედებას. ახალი სამართლისთვის ბრძოლის დროს, პირველ რიგში სამართლის პოლიტიკის საკითხები იჭრება. ეკონომიურ-პოლიტიკური მიზანთა თვალსაზრისით ხდება იურიდიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

## 8. ლენინი სამართალში და პოლიტიკაში

გერმანელი მეცნიერი, სახელმწიფო სამართლის ცნობილი მკვლევარი პროფ. გ. ელინეკი სამართლიანათ აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ თვალსაზრისს გარეშე სწავლა სახელმწიფოზე იქნება არა ცოცხალი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შესწავლა, არამედ მხოლოდ „სახელმწიფოს უსულო ჩონჩხის“ გაცნობა. მართლაც, სახელმწიფო სამართლისა და პოლიტიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ძნელი საქმეა. პოლიტიკის ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის სხვადასხვა გვარ კლასიფიკაციით არის წარმოდგენილი, მაგრამ ის პრაქტიკაში ყოველთვის რჩება სახელმწიფო სამართლის პრაქტიკულ, დამატებით მეცნიერებათ.

სახელმწიფო სამართალი სწავლობს იმას, რაც არის. პოლიტიკა ითვალისწინებს იმას, რაც არ არის, რაც უნდა იყოს, ემსახურება სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებას. ამდენადვე სამართალი თეორეტიული ხასიათის არის, პოლიტიკა—თელეოლოგიური. მაგრამ შეუძლებელია ამ ორი მომენტის ერთმანეთისაგან დაშორება. რაც პოლიტიკურად მიზანშეუწონელია, ან შეუძლებელი მის იურიდაულად დამუშავებას აზრი ეკარგება, რაც იურიდიულად მუშავდება, მას პოლიტიკური გამართლებაც თან უნდა ახლდეს. აქ გამოსავალ წერტილში შეიძლება მხოლოდ სხვაობის ძებნა. თუ მოაზროვნე წმინდა თეორეტიული აზრით უდგება სამართალსა და სახელმწიფოს, მისთვის პოლიტიკას ნაკლები მნიშვნელობა ექნება. მას შეეძლება სამართლის დოგმატიკის სფეროში მოთავსებაც. თუ მოაზროვნე პოლიტიკური თვალსაზრისით შეეცდება სამართლისა და სახელმწიფოს გარკვევას, მისთვის თეორეტიულ ნაწილსაც მნიშვნელობა ექნება პოლიტიკური მიზნების დასაბუთებისთვის, ხოლო თეორია განხილული იქნება პოლიტიკური ამოცანების პრიზმით. ამიტომ ყოველი პოლიტიკური სწავლა ეხება სახელმწიფოსა და სამართალს.

ლენინი პოლიტიკის ხაზით მიდის სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებთან, მაგრამ ამ პოლიტიკის ამოცანების მიხედვით არკვევს მათ თეორიასაც. ამიტომ ლენინის სწავლა სამართლის პოლიტიკის დარგში უფრო თავსდება, ვიდრე სამართლის თეორიის ე. ი. ის უფრო მეტად პოლიტიკური მიზანშეწონილების აზრით იღებს საკითხებს, ვიდრე თეორეტიულ-იურიდიული მხრით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლენინის სწავლას არ ჰქონდეს დიდი თეორეტიული მნიშვნელობა. ლენინმა პოლიტიკის, მიზნის, სასურველობის თვალსაზრისით აიღოს სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები, მაგრამ აიღო არა იდეალისტურ-თელეოლოგიურ საფუძველზე, არამედ ისტორიული მატერიალიზმის ნიადაგზე, ისტორიული აუცილებლობის ანგარიშზე. ამ ანგარიშის განაღდების შემდეგ სამართლის პოლიტიკა გადავიდა არსებულ სამართლად, ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო და სამართალი, როგორც ობიექტი წმინდა თეორეტიული, და პრაქტიკულ-პოლიტიკური შემოქმედებისთვის. ახალ სახელმწიფოს და სამართლის ჩამოყალიბებამდეაც, ბრძოლის პროცესში ახალი უფლებრივი ურთიერთობისათვის, ლენინმა ჩამოაყალიბა მიმდინარე ისტორიული პერიოდის თეორია სახელმწიფოს და სამართლის შესახებ, დასახა ეს თეორია ბრძოლის პროგრამათ, პოლიტიკის საქმეთ და ამოცანათ.

ახალ სახელმწიფოს და სამართლის საჭიროება მოამზადა ეპოქის ეკონომიურმა პირობებმა. რევოლიუციამ გაანაღდა ის, მაგრამ სახელმწიფო და სამართალი არ წარმოადგენს პასიურ ზედნაშენს საზოგადოების მატერიალურ წყობაზე. სახელმწიფო და სამართალი ძლიერი ფაქტორია საზოგადოებრივ და ეკონომიური ცხოვრების ამა თუ იმ სახით წარმართვისთვის. ამიტომ მათ ახასიათებს „უკუღმა ზემოქმედება" ეკონომიკაზე. ფრ. ენგელსი სწორედ ამბობდა— ჩვენ რისთვის ვიბრძოდით პროლეტარიატის პოლიტიკური დიქტატურისთვის თუ პოლიტიკური ძალა-უფლება ეკონომიურად უძლურია. ძალა ე. ი. სახელმწიფო ძალა-უფლება არის ეკონომიური ძლიერებაცო.

ამიტომ ლენინის სწავლაშიაც სახელმწიფო გამოდის, როგორც ეკონომიური ძლიერებაც. სახელმწიფო თავის ეკონომიური, საფინანსო-პოლიტიკით განსაზღვრული გზით წარმართავს საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებას და დააჩქარებს, ხელს შეუწყობს კაპიტალიზმის დეგრადაციას სოციალიზმის სასარგებლოდ. ამ მხრივ ლენინის სამართლის პოლიტიკა მაშინ გაუქმდება, როდისაც გაუქმდება სამართალი, როდესაც გაუქმდება საბჭოთა სახელმწიფო.

## 9 ლენინის როლი ისტორიაში

ჩვენ მოკლეთ განვიხილეთ ლენინი, როგორც პოლიტიკური გენია და ლენინი, როგორც იურისტი. ჩვენ დავინახეთ ლენინის ადამიანური ბუნება, მისი პოლიტიკური გენიალობის საფუძველი. ჩვენ გავითვალისწინეთ მისი სწავლა სახელმწიფოსა და სამართლის დარგში, მისი ბრძოლა ახალი უფლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების სფეროში.

**ლენინი პოლიტიკური გენიაა, ლენინი გენიალური იურისტია.** ლენინი თანაბრად ძლიერია თეორიაში და პრაქტიკაში. პროფ. ვ. ბოშკო ლენინის დახასიათებლად იგონებს ციცერონის მიერ ისეთი პიროვნების ამაოდ ძიებას, რომელიც თანაბრად ძლიერი იქნებოდა ფილოსოფიასა და პოლიტიკაში. მართლაც მთელი ისტორიის გასწვრივ მხოლოდ ლენინის პიროვნებაში შეერთდა ორი პოლიუსი,—თანაბრად სიძლიერე აზროვნებაში და მოქმედებაში, ფილოსოფიაში და პოლიტიკაში.

გენია არ ჰქმნის ისტორიას, ისტორია ჰქმნის გენიას. გენია წარმოიშობა საზოგადოების გარემოს მიერ და ატარებს მთელი ეპოქის ტვირთს, მაგრამ გენიის როლი არ შეედარება იმ პიროვნებათა როლს, რომელთა ბუნებრივი ნიჭი და საზოგადოებრივი გამოცდილება ვერ აშორებია ყოველ დღიურ წვრილმანობას და ცხოვრების ზედაპირზე ხეტიალს. პოლიტიკური გენია, რომლის პიროვნებაში ერთდება დიდი ცოდნის, ძლიერი გრძნობის, მტკიცე ნებისყოფის მომენტები, რომელიც სწორად სინჯავს ისტორიის მაჯისცემას და სწორად წარმართავს მასებს ბრძოლისაკენ, აჩქარებს ისტორიულ პროცესს და ასრულებს უაღრესად აქტიურ როლს კაცობრიობის პროგრესიულ მსვლელობაში. გარდამავალ პერიოდში, როცა მასები მილიონებით გამოდის საბრძოლველად, როცა მასების მოძრაობა მოითხოვს საპროგრამო ხელმძღვანელობას, სამოქმედო ტაქტს, საამბოხო პაროლს, პოლიტიკური გენია იქცევა ძალთა შეკრების, ბრძოლის ხელმძღვანელობის ცენტრად და ამოკლებს ისტორიის მსვლელობის ხანგრძლივობას, ამცირებს ახალი ეპოქის „მშობიარობის ტკივილებს". მხოლოდ ლენინს, როგორც პოლიტიკურ გენიას და როგორც გენიალურ იურისტს შეეძლო უდიდესი რევოლიუციის პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობა და ამავე რევოლიუციით ახალი სახელმწიფოსა და სამართლის ჩამოყალიბება მუშათა კლასის საბოლოო მიზნების გასახალდებლად.

1927. ოქტომბერის 20

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიბლიოგრაფია

**შიო არაგვისპირელი „რჩეული ნაწერები“ სახელგამის გამოცემა**
**1927 წ.**

შიო არაგვისპირელი არ ეკუთვნის ლიტერატურის რომელიმე ვიწრო მიმართულებას. ამ მხრივ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში. მის ნაწერებში ხშირად ნახავთ ისეთ სხვადასხვა გვარ მოტივებს, რომლებიც უმთავრესად ახასიათებენ მწერლებს სხვადასხვა ლიტერატურულ ბანაკებიდან. შიო არაგვისპირელში მკითხველი არაერთხელ შეხვდება ეგნატე ნინოშვილს („დაძმა“), ილია ჭავჭავაძეს („საშინელება“), ყაზბეგს („გიული“), დავით კლდიაშვილს („ბედის მსჯავრი“) და სხვა. ამავე დროს ის განიცდის საკმაო დიდ გავლენას რუს და საზღვარგარეთელ მწერლებისას, კერძოთ და განსაკუთრებით გამოჩენილ ფრანგ მწერალ გიუდე-მოპასინისას. ყოველივე ეს სულაც არ უშლის ხელს შიო არაგვისპირელს დაიკავოს თავისი საკუთარი ორიგინალური ადგილი ქართულ ლიტერატურაში. ზოგ თავის ნაწერებში ის თამამად შეიძლება დაუყენოთ გვერდით ზევით ჩამოთვლილ ჩვენი მხატვრული სიტყვის კორიფეებს.

როდესაც არაგვისპირელს — როგორც საერთოდ ყველა რევოლიუციის დრომდე მწერლებს — ვკითხულობთ, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის, თუ როდის და რა პირობებში იწერებოდა ის, რასაც ეხლა ვფურცლავთ. თანამედროვე მკითხველისათვის — რომელსაც წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება, იყოს მოწამე ეპოქალურ მნიშვნელობის ამბებისა — ცხადია ბევრი რამ არაგვისპირელის ნაწერებში მოეჩვენება უმნიშვნელოდ, სრულიად ინტერესმოკლებულად. მაგრამ უდიდესათ შემცდარი ვიქნებით, თუ ამის მიხედვით დავაფასებთ ჩვენ მას. ყველა ეს, ჩვენთვის დღეის პირობებში — უმნიშვნელო და ინტერესმოკლებული „ამბები“ და ფაქტები“, არა ერთ და ორ ათეულ წლების განმავლობაში შეადგენდა უმთავრეს შინაარს რევოლიუციამდე მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობისას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, ბევრ ისეთ რამეებსაც ნახავთ არაგვისპირელის ნაწერებში, რომლებიც დღესაც ცხოველმყოფელობენ ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენი დროის ისტორია ძალიან დიდი და ჩქარი ნაბიჯებით მიექანება წინ, **მაგრამ საუბედუროთ, წარსულის კუზი ჯერ კიდევ მაგრათ „ამშვენებს“ ჩვენს ზურგს.**

კარგად იცნობდა არაგვისპირელი სოფლის, გლეხის ცხოვრებას. ამიტომ არის ასეთი სიყვარულით ავსე დაბეჩავებულ და დაჩაგრულ გლეხისადმი მისი ნაწერები.

მაგრამ „გლეხი“, „სოფელი“ მისთვის ყოველთვის ერთი და იგივე არ იყო. ის კარგად ხედავდა, რომ სოფელშიაც არის დაჩაგრულების გარდა დამჩაგვრელები; გლეხიც არის და „გლეხიც“.

აი სოფლის გმირი და „რაინდი“ ნათლია ნიკო. უყვარს ქეიფი, ლამაზი ქალები. სოფლის ყველა მდიდრებს ის უნათლავს შვილებს. ამიტომაც ეძახიან „ნათლია“ ნიკოს. სოფლის მწერალია ის და ნინოშვილის უკვდავ ამავე თანამდებობის პირზე — მოსე მწერალზე —

უფრო ნაკლებათ კი არ სარგებლობს მდგომარეობით: ქიტუასაც უხათლავს ის შვილებს, მიტომ, რომ ქიტუა შეძლებული გლეხია. მისი დამოყვრება ხეირია. მაგრამ აი, უკუღმა დატრიალდა ქიტუას ბედის ჩარხი. დალარიბდა ის. ცოლიც მოუკვდა. დარჩა ორი შვილი ნიკოს ნათლულები: გიგლა და კატო. ახლა რა ხეირია ქიტუას მოყვრობაში?! იქით თუ დაეხმარები, თორემ აქეთ რას მოგცემს იგი. ნათლიაც ივიწყებს თანდათან თავის მოყვარეს. ბოლოს სულ ანებებს მას თავს. გამარჯობასაც არ კადრულობს ქიტუასაგან.— მაგრამ, აი გავარდა ხმა სოფლათ: ქიტუამ ცოლი მოიყვანა: ახალგაზრდა და მეტად ლამაზიო. ნიკოც რწმუნდება ამ ხმების სიმართლეში. ის კვლავ განაახლებს ძველ მოყვრობას. ქიტუას ცოლსაც დიდი ცდების შემდეგ დაიყოლიებს და საყვარლად იხდის. ქიტუა ხშირად არ არის სახლში. როდესაც მოდის — დაღლილი, მოქანცული, მას სად აქვს იმის დრო და მოცალეობა, რომ თავის ახალგაზრდა ცოლს მოეალერსოს, ტკბილი სიტყვა უთხრას და სხვ.. საბოლაოდ უვარდება ნიკოს თავის კლანჭებში ქიტუას ლამაზი ცოლი. ნათლულები ძალიან უშლიან ხელს შეყვარებულთ. ამიტომ ცოლი კიდევაც ახერხებს და აიძულებს ქიტუას ქალაქს გააბაროს შვილები. აბა რა იცის ქიტუამ როგორ და ვისთან გააბაროს თავისი საყვარელი: გიგლა და კატო. რუსთაველის დღევანდელ ქუჩაზე—ვილაც „მანდილოსანი“ წაიყვანს ლამაზსახიან კატოს; ერთ-ერთი სომეხი მიკიტანი კი მოჯამაგირეთ აიყვანს პატარა გიგლას. ასე „გაიყიდა“ უფასოთ ქიტუას შვილები, მწერალი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვია მათ... მაგრამ ჩვენ კი განა არ ვიცით კატო—ეს ხომ მომავალი ქრისტინეა... განა „კარგად მოწყობილ“ მანდილოსანში, რომელმაც ასეთი ტკბილი სიტყვებით წაიყვანა მშვენიერი კატო—ჩვენ ვერ ვიცნობთ ნინოშვილის ისტორიულ სონას?! ეს ხომ სონაა, კარგად ნაცნობი სონა!! მის ხელში კი— ჩვენ ვიცით—რა ბედი ეწია ქეთოს!.. უკეთესი მომავალი არც გოგოლს აქვს. მოთხრობა („და-ძმა“) თავდება ქიტუას შურის ძიებით: ის შეესწრება თავის ცოლს და „ნათლია“ ნიკოს და კიდევაც კლავს თავის დამღუპველს.

სოფლის საუკეთესო ცოდნით აქვს არაგვისპირელს დაწერილი მოთხრობა „დიდი-დედა მარიამი და ხატაურა“. არავინა ყავს თავის ოჯახში დიდი-დედა მარიამს. მარტოთ არის. ქმარი მოუკვდა. შვილებიც დაეხოცა. ერთი ქალის შვილი შერჩა და იგიც სხვა სოფელში ცხოვრობს ქმართან. უყვარს დიდი-დედას თავისი დიდ-თმიანი კატა — ხატაურა. ის არის მისი ყველაფერი. ხატაურასაც უყვარს დიდი-დედა. და აი, სოფელში თან-და-თან ვრცელდება ხმები — დიდი-დედა მარიამი კუდიანი არის, თორემ აბა რათ უნდა, რომ ამგვარათ შეუყვარებია ეს ხატაურაო. კიდევაც ეშინიათ დიდი-დედასი — ოჯახი არ გაგვითვალოს — რაიმე უბედურებას არ გადაგვკიდოსო, თორემ არავინ ხმასაც არ გასცემდა მას. ამბობენ დაბეჯითებით — ღამ-ღამობით დიდი-დედა გადააჯდება თავის ხატაურას და ეშმაკმა იცის სად არ დახეტიალობსო. ერთხელ კიდევაც დაუყარაულდენ ღამით სოფლის ახალგაზრდები — შეიძლება ვნახოთ, როგორ გაფრინდება თავის ხატაურათი მარიამიო. ასე „კუდიანათ“ სოფლის თვალში კვდება დიდი-დედა. არავინ არ დასტირის მის დაკარგვას. პირიქით. მხოლოდ ხატაურა არ სცილდება მის საფლავს და მიწასა და ცას შესტირის თავის ობლობას. იშვიათი ოსტატობით აქვს არაგვისპირელს დახატული ადამიანის და პირუტყვის სიყვარული.. განსაკუთრებული სიძლიერით ეს მომენტი სჩანს მის დაუვიწყარ „ჩემო შვინდაში“, რომელიც რაღაც მიზეზების გამო არ არის მოთავსებული ამ წიგნში...

არაგვისპირელი არ იყო ყრუ იმ დიად ბრძოლისადმი, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის მოწინავე ელემენტები მუშათა კლასთან ერთად მეფის რე-

ქიმის წინააღმდეგ. პატარა ეტიუდი „სამარცხვინო ბოძთან“ დაწერილია ჯორჯიაშვილის დახვრეტის გამო. გაზეთი „მზე“, რომელშიაც მოთავსდა საკმაო გაბედულებით დაწერილი ეს ეტიუდი, დახურეს კიდეც ამის გამო.

მეფის მთავრობის ჯალათების წინააღმდეგ აგრეთვე მიმართულია მოთხრობა „საწინქლებაა“. სხვათა შორის ამ მოთხრობის გმირი მიხო მოგვაგონებს ილია ჭავჭავაძის გაბოს.

წმინდა სოციალურ თემების გარდა არაგვისპირელი ხშირად ეხება თავის ნაწერებში ფსიქოლოგიურ მომენტებს. ყაზბეგის უკვდავი კალმით არის დახატული მიტრუას და გიულის სიყვარული (მოთხრობა „გიული“), საერთოდ ეს მოთხრობა უნდა ჩაითვალოს ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ მეტად ძლიერ ნაწარმოებათ. ყაზბეგის საუკეთესო შედევრებს გაბედულათ დაუდგება გვერდით „გიული“. მოხუც ლიას ჭინიანი სიყვარული ახალგაზრდა ულამაზეს გიულისადმი, რომელსაც ის შესამე ცოლად ირთავს, დიდი მწერლის უტყუარი ოსტატობით არის შესრულებული. მოჯამაგირე მიტრუას ტრფობა გიულისადმი, ქერბალაის ლალატი და მთელი ამბავის ფინალი ნამდვილ ტრაღედიის სიძლიერით არის მოცემული.

არა ერთხელ უბრუნდება სიყვარულის ამბებს არაგვისპირელი თავის ეტიუდებში, მაგრამ უკვე არა, როგორც ტრაგედიას, არამედ როგორც სატირის და იუმორის საგანს ასეთია მაგ. სიცოცხლით სავსე „ანტონ ზურაბიჩი“, „ბალღი ყოფილხარ“ და სხვა. ეხოვის საუკეთესო ენით არის შესრულებული ისინი.

არაგვისპირელის სიცილი განსაკუთრებულია. ის არ იცინის ისე, როგორც დავით კლდიაშვილი, ან და ილია ჭავჭავაძე („კაცია ადამიანი?!“). მისი სიცილი ვითომცდა ერთი შეხედვით მხოლოდ ანეკდოტურია, უშინაარსო, ისეთ წვრილმან ფაქტებს ეხება იგი, მაგრამ დააკვირდებით და გაიგებთ, რომ ამ „უბრალო“ სიცილის უკან დამარხულია უსაზღვრო [illegible] ხშირად საშინელი უიმე[illegible]ური ამბავია მოთხრობილი „ბედის მსჯავრში“. ორი მოხუცი პოდპოლკოვნიკები— რომელთაც ასე უყვართ პოლკოვნიკობა —რევაზი დ მიხაკო „რომანიულ“ ნიადაგზე დუელში იწვევენ ერთმანეთს. აი დუელის სცენაც:

— ორი!..

დამბაჩები შეათამაშეს „ორის“ გაგონებაზე და ოდნავ უკან გადიზნიქენ. ცოტათი თავში ტვინი შეუჩუჩუნდათ და გული შეუფრთხიალდათ. დამბაჩები კი თამაშობდნენ...

— სამი!..

„სამის“ წარმოთქმა და—ზურგზე დაცემა ორივესი ერთი იყო. დამბაჩებიც ძირს დაცვივდნენ...

— რა იყო, რა?...—გაკვირვებით შეეკითხა მკურნალი, რომელიც ის-ის იყო, ამოვიდა—და მივარდა მიხაკოს, რომელსაც ორი სეკუნდანტი გულს უხსნიდა...

— რა იყო, მითხარით?—კიდევ შეეკითხა მკურნალი და მიხაკოს გულს თვალები დააშტერა, ეგონა სისხლს დაინახავდა.

— ბედის მსჯავრი!—მოწყენით წამოიძახა ერთმა სეკუნდანტმა და თავი მაღლა აიღო.

— საწყალი, საწყალი —მწუხარებით დაიძახა მკურნალმა, როდესაც მიხაკოს გვამი გადაატრიალ-გადმოატრიალა და ახლა მეორე ნაბიჯისაკენ გაეშურა...

— აქ რაღა ამბავია?..—დაეკითხა რევაზის სეკუნდანტებს.

— იგივე რაც იქ!..—ერთხმად უპასუხეს რევაზის სეკუნდანტებმა...

ასეთია ბედის მსჯავრი, ანეკდოტური ამბავის უკან გამოიცქირებიან ბედის უცნობი თვალები. ვერავინ იცნობს მათ...—სიკდილის თვალებს. დაიწყო ანეკდოტებით და გაათავა ლეონიდ ანდრეევის საშინელი ბედის დაცინვით...

უყვარდა არაგვისპირელს ხალხი. იწოდა მისი ტანჯვით. არ გაურბოდა მას; იყო მასთან და მისი წუხილით და სიხარულით სწუხდა და ხარობდა თვითონაც, ისე, როგორც ესმოდა ეს მას.

რევოლიუციის წინანდელ ეპოქას ეკუთვნის მთლიანად შიო არაგვისპირელი. რევოლიუციის წინა ეპოქაში ამოიწურა ის და ახალი დროისთვის რომელსაც ფიზიკურად მოესწრო ის სიტყვა სათქმელი არ დაურჩა. ვერავინ ვერ დასდებს მას ამაში ბრალს, რადგან ეს იყო არა მისი „ნება“, არამედ „ბედი“, მისგან დამოუკიდებელი პირობებით შექმნილი.

შვიდმა მეგობარმა გადასწყვიტეს ასულიყვნენ „ნინიკას მთაზედ“. მაღალი მთაა ნინიკას მთა. დაღესტანის მთებში უმაღლესი მთაა. ძნელი იყო სავალი გზა... ექვს გული გაუტყდათ, იმედი დაეკარგათ მწვერვალზე ასვლისა და უკანვე დაბრუნდენ. მხოლოდ ერთმა შესძლო მწვერვალზე ასვლა. თვალწარმტაცი სურათი: ზევით ლურჯი ცა, კაშკაშა მზე, ქვევით ჯოჯოხეთი.

„დიდხანს ვიყავი პირქვე დამხობილი თუ არა, არა მახსოვსრა... როდესაც სასოწარკვეთილი და ძალმიხდილი წამოვჯექი, დავინახე: სუდარა იფხრიწებოდა... უკვე აქა-იქ გაფხრეწილიყო კიდევაც და იქიდან მოსჩანდა ოქროსფრად ნამკლები.

— ოხ, ნეტარებავ, მაშ კიდევ ვიხილავ ჩემს მოძმეებს და ჩემს ქვეყანას?! გალომებული თავდავიწყებით **ქვევით... ხალხისკენ დავექანე...** („ნინიკას მთაზედ“).

ეს „გალომებული“ გრძნობა-სურვილი, ხალხთან ერთად ხალხისაკენ დავექანე“ — გატარებულია წარუშლელ ხაზით შიო არაგვისპირელის მთელ შემოქმედებაში. ამიტომ უყვარდა და უყვარს ქართველ ხალხს შიო არაგვისპირელი, ამიტომაც დიდხანს იცოცხლებს ის თავის რჩეულ ნაწერებით.

დაბოლოს არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ სახელგამს: პირველი, რატომ, რა მოსაზრებით არ მოხვდა ამ „რჩეულ ნაწერებში“ მართლაც რომ რჩეული ნაწერი მთელ ქართულ ლიტერატურაში „ჩემო შვინდიავ“; მეორე, რატომ არ მოინახა უფრო სერიოზული კრიტიკული წერილი საკმაოდ დამსახურებულ მწერლის ნაწერებისათვის (ასეთად ხომ არ გამოდგება ტ. ტაბიძის წინასიტყვაობა) და მესამე, სამი მანეთი მეტად ძვირია, მეტად...

ვ. ბახტაძე.

## დ. სულიაშვილი „ნალვერდალი“. 1927. წ. „ზაკკნიგა“-ს გამოცემა.

რატომღაც ჩვენი მწერლები ცხოვრების უდიდეს და მახლობელ დატას 1905 წელს გვერდს უვლიან და ზოგჯერ შორეულ წარსულში და ზოგჯერაც მიმდინარე ცხოვრების უმნიშვნელო და წვრილმან ამბებში ეფლობიან.

1905 წელი, ეს ყოველ მხრივ მდიდარი მასალა თითქმის ხელშეუხებელია და ელის თავის მწერალს, თავის რომანისტს.

მართალია არსებობს ორიოდე ნაწარმოები, ნიჭიერადაც დაწერილი, მაგრამ ერთი რომ ისინი არ იძლევიან რევოლიუციის მთლიან სურათს და მეორე ის, რომ ისინი გაშლილია ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხის რევოლიუციონურ მოძრაობის ფონზე (ტარიელ გოლუა).

ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურის ამ უდიდეს ნაკლულევანების ამოვსების პრეტენზიები აქვს ამ ჟამად ჩვენს წინ-მდებარე წიგნს დ. სულიაშვილის რომანს „ნალვერდალს“.

ჩვენ კარგა გვესმის სიძნელე და სირთულე 1905 წლის ეპოქის მთლიანად და სისრულით ასახვისა, მაგრამ თუ არ იქმნა ცდები, თუნდაც სუსტად დაწყებული, ისე ძნელია მიზნის მიხწევა. გზა თუ გამოჩნდა, გზის გაკაფვა შემდეგ უფრო ადვილი იქნება. ამიტომაც სიამოვნებით უნდა მივეგებოთ ამ მხრივ ყოველ ცდას.

საბჭოთა კავშირში და ჩვენშიაც არსებობს ერთი ყალბი შეხედულება, ესაა თანამედროვე ეპოქით სოციალურ შეკვეთით მუშაობა. განსაკუთრებით ებლა-

უქებიან ამ მცნებას ეგრეთწოდებული „მემარცხენე“ ლიტერატორები.

მაგრამ ამ მცნების აღმსარებელთ ავიწყდებათ ერთი უმთავრესი რამ. შეკვეთაც არის და შეკვეთაც. ხარაზს რომ ტანისამოსის შეკერვა შეუკვეთო აქედან არაფერი გამოვა.

ასევეა ამ შემთხვევაშიაც. ჩვენ ძალიან ვაფასებთ ქართველ „მემარცხენეთა“ ნიჭს, გვწამს კიდეც რომ მათ ეპოქის შეკვეთაზე მუშაობის სურვილი აქვთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მარტო სურვილიც არ კმარა. ეპოქის შეკვეთაზე მომუშავეს უპირველეს ყოვლისა ეპოქის გაგება მოეთხოვება.

ჩვენი მემარცხენეები ჩვენს ეპოქას ერთობ შორიდან და რაც მთავარია ევროპის სათვალეებით უყურებენ.

ამიტომაცაა, რომ მათი გაგება თანამედროვე ეპოქისა ერთობ ზოგადი, გაუგებარი, მშრალი და განყენებულია; ამიტომაცაა რომ ისინი ამ ეპოქის სულსა და გულს ვერ ჩასწვდებიან, მთავარს ვერ დაინახავენ.

დ. სულიაშვილის წინამდებარე რომანი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ უდაო ჭეშმარიტებას, რომ რევოლიუციის შესახებ რომანის წერა, მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც უცხოვრია რევოლიუციონური განცდებით, მიუღია რევოლიუციაში უშუალო მონაწილეობა და ვინც ერკვევა რევოლიუციის მამოძრავებელ საკითხებში.

„ნაღვერდალი 1903—5 წლის რევოლიუციონურ“ მოძრაობის ფონზეა გაშლილი. ავტორს უეჭველად ეტყობა, რომ ის ამ მოძრაობაში კარგად ერკვევა. მაგრამ ამ ნაწარმოებს ისიც ეტყობა, რომ ის, ერთობ ნაჩქარევათ და სახელდახელოდ არის დაწერილი. ამ მიზეზით ეს რომანიც ერთობ მკრთალი სურათია ჩვენი პირველი რევოლიუციის. ტიპები არაა მთლიანი, დასრულებული. განსაკუთრებით სუსტად არის გამოყვანილი იოსები. ავტორს თითქოს უცდია, რათა იოსების სახით 1905 წლის სტალინი მოეცა, მაგრამ ეს ცდა სამეათოდაც ვერ დაუძლევია.

გოგია, ისიდორე, [illegible] და სხვებიც არაა სავს[illegible] მოცემული. 1905 წელში მოქმედება უფრო მეტი იყო, ვიდრე განცდები. ჩვენი ავტორი კი უფრო მეტად განცდებს გვთავაზობს, ვიდრე მოქმედებას. მოქმედება დაჩრდილულია, არ სჩანს, მხოლოდ გოგია სჩანს რევოლიუციის ყოველ მომენტში. დანარჩენი მომქმედი პირები მინიატიურულად აქა-იქ გამოყავს სცენაზე და ზოგჯერ უდროვო დროს უშვებს ფარდას.

რომანში ინტრიგის კვანძიც სუსტია. არის ერთი გაშაბლონებული სიყვარულის ისტორია. ეს სიყვარულიც არაა ფსიქოლოგიურად გამართლებული. ზოგიერთ მომენტში სიმდაბლე და ქვენა გრძნობები სჭარბობს.

ამასთანავე მომქმედი პირები მოცემულია მხოლოდ რევოლიუციის ასპარეზზე მუშაობით, როგორი იყვნენ ისინი ოჯახში, საზოგადოებაში ეს არ ვიცით.

არც ის ვიცით თუ როგორ გახდნენ ისინი სოციალისტებათ, რევოლუციონერებათ; ციდან ჩამოვარდენ, ცხოვრებამ შექმნა თუ სხვა.

ერთი შენიშვნა კიდევ. „ნაღვერდალში“ რევოლუციონური მოძრაობა სემინარიიდან იწყება. ეს არ არის მართალი. ჩვენში ინტელიგენციას რევოლუციონურ მოძრაობის ასპარეზზე გამოსვლა მუშათა კლასმა დაასწრო. ჟორდანია-მახარაძეებზე ადრე ბოჭორიძე-ჩოდრიშვილები სჩანან.

მიუხედავად ყოველი ამ ნაკლისა ამ რომანს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი გამოსვლა დადებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ის რამდენიმედ მაინც ავსებს ჩვენი ლიტერატურის ზემოდ აღნიშნულ უდიდეს ნაკლულევანებას.

რომანი დაწერილია ჯავახიშვილისებური სტილით.

**გ. მეზუკე.**

**ი. დავითაშვილი. ლექსები ვარლამ ხუროძის რედაქციით. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი 1927 წ. გვ. 400+VIII**

ჩვენში უკვე მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძალების სისტემატიურ და მონოგრაფიულ შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული იმ მწერლებისაკენ, რომელთაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოტივები ახასიათებენ. ამ მოტივების სათავეების გაცნობა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა, განსაკუთრებით ჩვენი მოზარდი თაობისთვის. ერთ ასეთ საყურადღებო მოვლენას ი. დავითაშვილი შეადგენს. მუშა-მწერალი, რომელმაც თავისი საკუთარის ძალღონით გაიკვლია გზა მწერლობისაკენ, სრულიად სამართლიანად იზიდავდა თანამედროვეების ყურადღებას. ამ ყურადღებას არც დღეს არის იგი მოკლებული. ამაზე მოწმობს ის დიდი ტომი, რომელიც სახელგამმა გამოსცა.

დღეს, ცხადია, ი. დავითაშვილის ლექსის ფორმა და შინაარსის შედარებითი სილარიბე ბევრს ვერ მოხიბლავს, მაგრამ, სამაგიეროდ თავისი თანამედროვეებისათვის დავითაშვილის პრიმიტიულს პოეზიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მას, იქნებ, უფრო ესმენდნენ, ვინაიდან უფრო მისაწვდომი იყო ფართო მასსებისთვის, ვიდრე მხატვრული სიტყვის ბუმბერაზები.

ბევრი ჩვენგანი ი. დავითაშვილს იცნობს, როგორც „ჯეჯილის“ ავტორს. მაგრამ დაწვრილების ამ მუშა-მწერლის ნაწერებს ცოდნით ბევრი ვერ დაიკვეხებს. ამ გარემოების გამოსწორებას საგრძნობლად ხელს შეუწყობს ჩვენ მიერ დასახელებული გამოცემა.

ლექსები წიგნში მოთავსებულია თემატიურის თანამიმდევნეობით. პირველ ნაწილს შეადგენს ლექსები, რომელნიც გამოხატავენ მუშისა და გლეხის ყოფაცხოვრებასა და მისწრაფებათ, მეორე ნაწილს—ამავე თემაზე დაწერილი, მაგრამ დაუბეჭდავი, აღმოჩენილი ლექსები, მესამე ნაწილს — საერთო საგანმანათლებლო და ეროვნული მოტივები, მეოთხეს — ამავე თემაზე დაწერილი დაუბეჭდავი ლექსები, მეხუთეს—სატრფიალო ლექსები, მეექვსეს—საბავშო ლექსები, მეშვიდეს—ვარიანტები და სხვ. შემდეგ მოთავსებულია ი. დავითაშვილის წერილი ს. მგალობლიშვილისადმი და, დასასრულ, სიტყვები ი. დავითაშვილის პანაშვიდზე წარმოთქმული ილიასა და აკაკის მიერ. წიგნში სულ მოთავსებულია 172 ლექსი და რამდენიმე ვარიანტი.

წიგნს დართული აქვს რედაქტორის ვარლამ ხუროძის წინასიტყვაობა, ნ. მთვარელიშვილის მიერ დაწერილი ბიოგრაფია ი. დავითაშვილისა, რედაქტორის შენიშვნებით, და ამომწურავი წერილი იოსებ დავითაშვილის შემოქმედებაზე რედაქტორისა.

გამოცემა სრულია და მოხდენილი. რედაქცია სავსებით დამაკმაყოფილებელი.

**შხეფელი.**

---

**„ПРОФ. ФРАНЦ ЛИСТ. Международное право в систематическом изложении“**

შესწორებული და დამატებული პროფ. გრამარის მიერ. გამოცემა 1926 წ. გვ. 242, ფასი 3 მანეთი.

საერთაშორისო სამართლის დარგის საჭიროებას ჩვენ დიდათ განვიცდით. ეს დარგი საჭირო ხდება არა სპეციალისტ-იურისტებისათვის, არამედ ყველა მათთვის, ვისაც სურს გაერკვეს საერთაშორისო პოლიტიკაში. საბჭოთა კავშირი გამოვიდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტის როლში მთელ რიგ კაპიტალისტური ქვეყნების მიერ დე-იურეთ ცნობის შემდეგ. საბჭოთა

კავშირს უხდება ბრძოლა ამ სახელმწიფოებთან ყოველ ფეხის გადადგმაზე. ამ ბრძოლაში კაპიტალისტური ქვეყნები არღვევენ საერთაშორისო სამართლისა და ადათის ელემენტარულ წესებს და ამავე დროს ჩვენვე ბრალად გვდებენ, რომ თითქოს ჩვენ ვარღვევთ საერთაშორისო ვალდებულებებს. ამიტომ ყოველი აქტიური პოლიტიკური მუშაკისთვის იჭრება საკითხი საერთაშორისო სამართლის ნორმების გაცნობისა და შესწავლის საკუთარ მიზანთა დასაცავად და ბურჟუაზიული ქვეყნების ავაზაკობის შესაფასებლად ამავე ქვეყნების სამართლის თვალსაზრისით.

ამ მიზნისთვის პროფ. ფრ. ლისტის შრომა ძვირფას მასალას წარმოადგენს. ის ითვლებოდა და ითვლება ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოთ, როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში. რუსეთში ის, უკანასკნელი გამოცემის ჩათვლით, მეხუთედ ითარგმნება ამ გამოცემის დადებით მხარეს შეადგენს 1. პროფ. ფრ. ლისტის კურსის სისტემატიური დალაგებისა და ღრმა იურიდიული ანალიზის გამოყენება 2. პროფ. გრამარის მიერ ძველი მასალების ნაცვლად დღევანდელი მასალების გამოყენება და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო სამართლის დარგიდან ცნობების სწორი განხილვა.

პროფ. ფრ. ლისტი გარდაიცვალა 1919 წელს. მან თავისი შრომის უკანასკნელი შესწორება მოასწრო 1917 წ. მას შემდეგ საერთაშორისო სამართლის დარგში უდიდესი ცვლილებანი მოხდა. მთელი სახელმწიფოები დაინგრა. აღმოცენდა ორ სამყაროთა შორის ფაქტიური და უფლებრივ ბრძოლის რთული ამბები. ცხადია, დღეს საჭირო იყო ამ ამბავთა იურიდიული ანალიზი, მათი შესწავლა საერთაშორისო სამართლის მიერ. ამ მხრივ პროფ. გრამარის მიერ აღნიშნული შრომის შესწორება დიდ მასალას იძლევა დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში გასარკვევად.

წიგნის შესავალი ეხება საერთაშორისო სამართლის ცნებას, ამ სამართლის დაყოფას, მის წყაროებს, ისტორიას. საბჭოთა სახელმწიფოების საერთაშორისო-უფლებრივ დამოკიდებულებათა ისტორიას. ამ უკანასკნელ თავში გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი მომენტი კაპიტალისტური სახელმწიფოების ყაჩაღური პოლიტიკის ჩვენს მიმართ, დაწყებული 1917 წლიდან, ვიდრე 1924 წლამდე.

**პირველი წიგნი** ეხება (შრომა დაყოფილია ოთხ წიგნათ) სახელმწიფოების საერთაშორისო ურთიერთობის უფლებრივ სუბიექტებს. სახელმწიფო ძალა-უფლებას, ტერიტორიას და ხალხს. ამ წიგნში განმარტებულია ყველა ძირითადი უფლებრივი ნორმები და თეორიული საკითხები დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობის უფლებრივ სუბიექტებთან.

**მეორე წიგნი** არკვევს საერთაშორისო ურთიერთობის ფარგლებს, ამ ურთიერთობის ნაციონალურ ორგანოებს, (წარმომადგენლობა, სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლები, წარმომადგენლები და კონსულები, სავაჭრო წარმომადგენლები) საერთაშორისო ურთიერთობის ორგანიზაციის ფორმებს (ორგანიზაციები საერთო და სპეციალური ხასიათის, ადმინისტრატიული და სასამართლო ფუნქციის) და საერთაშორისო უფლებრივ ურთიერთობის საკითხებს (ხელშეკრულებანი და მათი იურიდიული ელემენტები. ბუნება და სხვა).

**წიგნი მესამე** ეხება სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობის ინტერესების მთლიანობას. მიმოსვლისა და დამოკიდებულების დარგი (ზღვების, არხების. მდინარეების რკინის-გზების, ფოსტა-ტელეგრაფის. ფასობის, მანეთის და წონის საკითხები) კანონმდებლობის და მართმსაჯულების დარგი (პუბლიკური სამართალი. სამოქალაქო, სისხლის სამართალი, დაცვა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველებისა და მცენარეების, იდეური ინტერესების).

**მეოთხე წიგნში** მოთავსებულია საერთაშორისო დავის გადაჭრის საკითხები (მშვიდობიანი გზა დავის გადაჭრის,

ომის საკითხი, ომის ნორმების ბუნება, ნეიტრალურ სახელმწიფოთა უფლებრივი მდგომარეობა).

ამრიგად, საერთაშორისო სამართლის ყველა საკითხი გარკვეულია ახალი მასალების გამოყენებით. ჩვენთვის ეს შრომა გამოსადეგია არა მარტო როგორც უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო, არამედ როგორც დამხმარე წიგნი პოლიტიკურ საკითხების, საერთაშორისო ურთიერთობის დარგის შესასწავლად. ჯერ-ჯერობით სხვა ცდები ამ დარგში ვერ იძლევა აღნიშნულ შრომის თანაბარ ღირებულების ნაწარმოებს.

**ს. ამაღლობელი**

რედაქტორი: მ. კახიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი:

გვერდი

1. **ნ. ლენინი**—ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება (წერილი რ. ს.-დ. მ. პ. (ბ) ც. კ., პ. კ. და მ. კ.) . . . . . . . . 5

## მხატვრული ლიტერატურა

### საქართველო

2. **გალაქტიონი**—პოეტის შეხვედრა მოჩვენებებთან რევოლიუციის მუზეუმის წინ 7 ნოემბერს, 1917 წ. . . . . . . . . . . . 7
3. **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—*** . . . . . . . . . . . . . . . . . 9
4. **სანდრო შანშიაშვილი**—ლენინი ჯავშანოსზე . . . . . . . . . . 10
5. **კარლო კალაძე**—მებრძოლის ლექსი . . . . . . . . . . . . . 11
6. **გიორგი ქუჩიშვილი**—ოქტომბრისათვის . . . . . . . . . . . 12
7. **ნ. ზომლეთელი**—უძლეველი ათეული . . . . . . . . . . . . 14
8. **ი. ლისაშვილი**—10... . . . . . . . . . . . . . . . . . . 16
9. **დავით სულიაშვილი**—ლენინი და პეტროგრადი . . . . . . . 17
10. **სანდრო ეული** ათი წელი . . . . . . . . . . . . . . . . 24
11. **ალექსანდრე ქუთათელი**—კორნელი და მუშები . . . . . . . . 34
12. **სიმონ ჩიქოვანი**—ოქტომბრიდან 27-მდე . . . . . . . . . . 40
13. **ლეო ქიაჩელი**—სისხლი (რომანი. გაგრძელება) . . . . . . . 44
14. **ნ. ზომლეთელი**—იფქლი (რომანი ქართველ რევოლიუციონერების ცხოვრებიდან. გაგრძელება . . . . . . . . . . 70

### რუსეთი

15. **ვ. მაიაკოვსკი**—25 ოქტომბერი 1917 წელი (თარგმანი სიმონ ჩიქოვანისა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 99
16 **ბ. პილნიაკი**—მემკვიდრენი (თარგმანი ელიზბარ პოლუმორდვინოვისა 104

## კრიტიკა, მხატვრობა და პუბლიცისტიკა

17 **პროფ. შ. ნუცუბიძე**—რევოლიუცია და მეცნიერება საქართველოს სინამდვილეში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 113
18 **კონსტანტინე კაპანელი**—ოქტომბრის რევოლიუცია და იდეოლოგია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 124
19 **პლატონ ქიქოძე**—ოქტომბერი ქართულ მწერლობაში . . . . . . 131

20 **ბესარიონ ჟღენტი**—ხელოვნება და ოქტომბერი . . . . 140
21 **ს. დანელია**—რევოლიუცია და სკოლა . . . . . . . . 9
22 **სერგო ამაღლობელი**—ლენინი და რევოლიუციონური სამართალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 156

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბიბლიოგრაფია:**

23 **ვ. ბახტაძე**—შიო არაგვისპირელი, „რჩეული ნაწერები" სახელგამი- . 80
24 **გ. მებუკე**.—დ. სულიაშვილი „ნალვერდალი" გამოც. „ზაკკნიგა 1927 წ. 82
25 **შხეფელი**—ი. დავითაშვილი. ლექსები. ვარლამ ხნროძის რედაქტორობით სახ. გამომც. ტფილისი 1927 წ. გვ, 400/VIII . . . 185
26 **ს. ამაღლობელი**—„Проф. Франц. Лист. международное право в систематическом изложении." . . . . . . . . . . . . . 185